კვირის პალიტრა

გზა

N1 (291) 5/I-11/I.2006.
ფასი 60 თ.

კადრს მიღმა — საახალწლო „შტრაფები“, ინტრიგანი მოქალაქე და ნათხოვარი ინდაური

63

„მინდა, გავხდე დედა“ ანუ თამუნა ამონაშვილის ვნებიანი ბედობა

1168
2006

„მძიმეწონიანი“ წარსული და დღე, რომელიც არასოდეს დაავიწყდება

„...ეს იყო ბოლო დღე, როდესაც გემრიელად გეახელით“

გასული წლის ორატორული მარგალიტები:

„მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს...“

„ადგილზე მოკვლევას ატარებენ ჩვენი ექსპერტები, კერძოდ ძალლები...“

„...ამომრჩეველი გიგა ბოკერიას ცემას მთხოვს“

„კიდევ ერთხელ გავეცანი „ყვარყვარეს“ და...“

„მომავალ წელს ჩვენ ჭველანი გავფრინდებით...“

და სხვა

ნამდვილი ამბავი — მახეში გაბმული თოვლის პაპა

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

№1 (18). იანვარი. 2006. „კვირ... სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

ქართული არმია - 2005

ახალი ამერიკული ტყვიამფრქვევი

ცნობილი ლაინერების ტრაგიკული ბედი

რატომ აწგრევენ ჩინოვნიკები ქართველთა „მხედრულ სულს“

იანვრის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი და 2006 წლის კალენდარი

ომის წარმოების ხუთი ძირითადი პრინციპი

ნეაპოლიტანური მასტიფი



ინდიელთა წყევლა. რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტები იმსხვერპლა



2006 წლის კალენდარი

უბადლო ბონადირე

ველაზე ...ასური ჟურნალი ...რა მარტო ...ამაკაცებისთვის

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
№1 (291)
5 — 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲬᲘᲜ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ!“ ᲐᲜᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲢᲐᲠᲔᲑᲘᲗ 3
ᲬᲚᲘᲡ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ
ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘ 4
ᲞᲝᲡᲢᲖᲔ
ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲘ 6
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲓ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ „ᲕᲔᲠ ᲔᲬᲔᲕᲐ“... 7
ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ
„ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ...“ 8
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 10
ᲡᲐᲮᲔ
ᲨᲔᲮᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ: „ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲔᲥᲝᲚᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ“ 10
ᲙᲐᲓᲠᲡ ᲛᲘᲚᲓᲐ
ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ „ᲨᲢᲠᲐᲤᲔᲑᲘ“, ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲓᲐᲣᲠᲘ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ 14
- ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ 15

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
„ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲘᲐᲜᲘ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ: „2002 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲝᲚᲝ ᲦᲦᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲐᲓ ᲒᲔᲐᲮᲔᲚᲘᲗ“ 17
ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ, ᲜᲐᲗᲚᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲩᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ 20
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲩᲔᲛᲛᲐ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲐᲜᲣ „ᲒᲖᲐᲡ“ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ“... 23
ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ
„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲢᲔᲚᲔᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲪᲮᲝ ᲒᲐᲘᲔᲚᲕᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲣᲕᲘᲥᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ“ 27
ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ
„ᲞᲝᲚᲘᲤᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲔᲞᲘᲠᲝᲡᲐᲛᲓᲔ“ 28
ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲯᲚᲝ
„ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝ, ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲨᲕᲔᲑᲓᲘ“... 29

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲚ 2005 ᲬᲔᲚᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, „ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ“. ᲖᲝᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲐᲕᲓᲐ, ᲕᲘᲦᲐᲪ ᲓᲘᲗᲘᲠᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲣᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ „ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚ“ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲙᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲜᲐᲓ, ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ.

4

ᲜᲐᲗᲚᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲩᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

„ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲯᲔᲠᲐ. ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲛᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲜ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ...“

20

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲔᲥᲝᲚᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ“

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲔᲮᲘᲡᲒᲣᲚᲖᲔ ᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲙᲕᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲒᲘᲥᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪ, ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ ᲛᲐᲗ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡ“.

10

„ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲘᲐᲜᲘ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ

170-ᲓᲐᲜ 85 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔ „ᲓᲐᲗᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲓᲘᲔᲢᲐᲖᲔᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲫᲛᲚᲘᲡ — ᲮᲘᲜᲙᲚᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚ ᲝᲞᲒᲘᲛᲘᲡᲢᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ.

17

დღესასწაული

რატომ დღესასწაულობს შობას მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილი ახალი სტილით 25 დეკემბერს? 30

რეკორდები

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32

ლეგიონერი

- ლევან კობიაშვილი – საქართველოს „ელჩი“ გერმანიაში 34
- მალხაზ ასათიანი – მოსკოველთა თავმდაბალი ლიდერი 36

ჯანმრთელობა

- იღღესასწაულეთ, მაგრამ არა ჯანმრთელობის ხარჯზე 38
- ცოტა რამ ალკოჰოლის შესახებ 39

უფლისწული

პრინცი უილიამი ასპარეზზე გამოლის... 40

ვარსკვლავები 41

რომანი

რუსულან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

ლეგენდა

ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას ლეგენდარული სიყვარული 47

პალიტრა

ბალახით გაცოცხლებული სახეები 49

ახალგოსახლე

ნინამ საკუთარ თავში არქიტექტორის ნიჭიც აღმოაჩინა 51

ავტო 52

ოჯახი

ჯადოსნური დამთხვევები, მოულოდნელი ქორწინება ახალი წლის ღამეს და დაბადების დღეების კასკადი დეკემბრის დამლევს 54

ახალი სახეები

ქართველი ბარბრა სტრეიზანდი ჯემალ სეფიაშვილის მიუზიკლში მიიღებს მონაწილეობას 57

ნამდვილი ამბავი

მახეში გაბმული თოვლის პაპა 58

ასტროლოგია

როგორ „დავინახოთ“ თხის რქა 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რამდენად საქმიანი ადამიანი ბრძანდებით? 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოლის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას ლეგენდარული სიყვარული

„დავიბადე 1904 წელს ქ. ვარშავაში. იქ იდგა ის პოლკი, რომელშიც მსახურობდა მამაჩემი. ვარშავა არ მახსოვს, რადგან ჩემი დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მთელი ჩვენი ოჯახი საქართველოში გადმოვიდა“, – ასე იწყებს თავის ბიოგრაფიულ წიგნს ქართული კინოს ვარსკვლავი – ნატო ვაჩნაძე.

47

მალხაზ ასათიანი – მოსკოველთა თავმდაბალი ლიდერი

უკანასკნელ პერიოდში, ქართული ფეხბურთი ტალანტებით განებივრებული ნამდვილად არ არის და ამიტომ თითოეული ნიჭიერი მოთამაშის გამოჩენა, როგორც ფეხბურთის სპეციალისტებში, ასევე გულშემტკივრებში დიდ სიხარულს იწვევს. მით უმეტეს, თუ მისი ოსტატობის ზრდა შუა გზაზე არ შეჩერდება...

36

ნაომი კემპბელი სიენა მილერის წინააღმდეგ



როგორც ჩანს, ნაომი კემპბელმა ბასრი კლანჭები კიდევ ერთხელ გამოაჩინა. ფეთქებადი ხასიათით ცნობილმა სუპერმოდელმა ამჯერად მეგობრის, კეიტ მოსის დასაცავად გამოიდო თავი და ბრიტანელ სიენა მილერს შეურაცხყოფა მიაყენა.

42

თქეში

– კომპიუტერს რაღას ერჩოდნენ ეგ ვირები?!

– მაგის კითხვა მეც მინდოდა, მაგრამ გივიმ რომ დამინახა, ისეთი ხმით მიღრიალა – აქ შემოსვლა როგორ გაბედეო?! – რომ ტყვიასავით გამოვვარდი ოთახიდან...

43

„წინ რეგირებისკენ!" ანუ ახალი წელი ჩამოცვრებით

რაც მართალია, მართალია — არნახული ახალი წელი გავითენეთ. დღესასწაულების აღნიშვნა მართლაც, კარგი გვასწავლა ახალმა ხელისუფლებამ, მაგრამ ასეთს მაინც არ მოველოდი. ჯერ იყო და, ვეებერთელა ნაძვის ხე წამოვჭიმეთ პარლამენტთან და ვეებერთელა გასაბერი თოვლის ბაბუაც ამოვუყენეთ გვერდში. მართალია, ვიღაც ცელქმა ბავშვმა იგი იქვე ჩაფუშა ჩხვლეტით, მაგრამ უცებ გააქანეს ვულკანიზაციაში. ჩვენი ვულკანიზატორების პროფესიონალიზმი კი თავად მოგეხსენებათ, — ტროლეიბუსის „პაკრიშკას ლატკავენ და ბერავენ ნახადუ" და ცელოფანის თოვლის ბაბუის დაწებება რას მიქვია ამასთან?!

ევროპული დონის სერვისიც ავითვისეთ ქართველებმა და როგორც დასავლეთში იციან ხოლმე, ჩვენთანაც — ყველგან საახალწლო „სეილები" გამოცხადდა: „Sex-shop-ებში სულ ნახევარ ფასად დაიყარა გასაბერი „სნეგუროჩკები"; პროდუქტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: თუ დეზერტირების ბაზარში სხვა დროს გოჭი 50 ლარი მაინც ღირს, საახალწლო ფასდაკლებით, 25 ლარად კაი წიწილას იყიდდით და ა.შ. ჰოდა, ასეთ პირობებში როგორ არ იზეიმებ ახალ წელს!..

ამიტომ მთელი ქალაქი ქუჩაში იყო გამოსული ახალი წლის შესახვედრად. როგორი სანახაობა გინდოდა, სულო და გულო, აქ არ გენახა: თეატრალური, მუსიკალური, ქორეოგრაფიული თუ საკარნავალო... და რაც მთავარია, სპეციალურად გაკეთებული ყინულის მოედანიც მასპინძლობდა მსურველებს. ე.წ. „ყინულის სანახაობის" შემდეგ, ხალხმაც ბევრი ისრიალა, მაგრამ ამაოდ ელოდა პოლიტიკოსების სრიალს. მაგათი ამბავი ხომ იცი, ხალიჩაზე რომ დადიან, მაშინაც ეშინიათ, არავინ „მოგვასრიალოსო" და ყინულზე გამოვიდოდნენ?!

სამაგიეროდ, ესტრადაზე მოიწონეს თავი ჩვენმა პოლიტიკოსებმა და მომღერლებთან ერთად, დუეტები ჩაწერეს. მართალია, მუსიკალური შედეგრებია, ვერ იტყვი, მაგრამ რასაც მათგან პარლამენტსა და კანცელარიაში ვისმენთ, იმას აშკარად სჯობია.

მოკლედ, ჯეროვნად ვიდღესასწაულეთ ახალი 2006 წლის მოსვლა, მაგრამ ახლა საფიქრალი დაგვემატა: რა ვუყოთ ამდენ რამეს? კარგი, ნაძვის ხეს მოუვლიან და შეშად აქცევენ, მაგრამ ამ ყინულის მოედანს რა გინდა მოუხერხო? ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მოიფიქრეს, 15 იანვრამდე გავაჩეროთ და მერე, სადმე გადავიტანოთო (ალბათ, დილომში)...

ასე რომ ვაქე ჩვენი მთავრობა მაგარი ზეიმის მოწყობისთვის, ალალი იყოს, მარა ახლა ვერ ვუწონებ ნაფიქრალს და ერთ რჩევას მივცემ: ეს ყველაფერი მარტო თბილისში მოხდა. მართალია, დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას კარგა ხანია უკვე პრეტენზიაც აღარ აქვს, ჩვენც ისე გვინდა ყველაფერი, როგორც თბილისშიაო, მაგრამ დენი ხომ უნდა ჰქონდეთ, რომ ტელევიზორში მაინც ნახონ, რაც თბილისში ხდება?! აბა, როდემდე შეიძლება, თბილისიდან ჩამოსული ავტობუსის მძღოლის მონაყოლით მიიღონ ინფორმაცია?!

ჰოდა, მოდით, ასე მოვიქცეთ: 31 დეკემბრის ღამეს ხომ შევხვდით თბილისში ახალ წელს? ახლა დავავლოთ ხელი იმ ნაძვის ხეს, თოვლის ბაბუას, სცენას და ყინულის მოედანს თავის მომღერალ —მოსრიალეებიანად და ჩამოვიაროთ საქართველოს კუთხეები. შესაბამისად, ახალი წელიც მაშინ დადგება იმ კუთხეში, როცა ნამდვილი საახალწლო ზეიმი მოეწყობა ხალხისთვის, კახეთში 3 იანვარს დაიწყება ახალი წელი, ქართლში — 8 იანვარს, იმერეთში — 14 იანვარს და ა.შ. მოკლედ, თუ საქართველოს მთელ ტერიტორიას ვერ ვყოფნით საზეიმო არსენალით, იყოს ახალი წელი ხაშლამასავით — ჩამოტარებით...

***P.S.** საუბარი სამეგრელოს ერთ-ერთ ოჯახში:*

ცოლი — ადექი, კაცო, ღვინო მაინც ჩამოასხი, 17 იანვარი დგება და მოვა ახალი წელი აწი...

ქმარი — სად მეჩქარება? ქუთაისელები მასე იოლად გამოუშვებენ?! მარტამდე მაინც დააგვიანდება...

პროვოკატორი

განვლილ 2005 წელს, პოლიტიკოსთა უმრავლესობა, შეიძლება ითქვას, „ფრაზებად დაიხარჯა“. ზოგი თავის ოპონენტს ლანძღავდა, ვილაც დითირამბებს უმღეროდა „ახალშობილ“ გმირებს, ზოგი კი, საკუთარი ორატორული ნიჭის გამოსავლენად, უაზრობამდე გაუგებარ რაღაცებს ამბობდა. წლის საუკეთესო ფრაზის გამოსავლენად, მცირე გამოკითხვა ჩავატარე. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობაზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება პრეზიდენტის იმ მოწოდებას მოუხდენია, რომელიც ბანაკ „პატრიოტში“ თქვა, როდესაც ახალგაზრდებს ბუჩქების დათვალიერება ურჩია. თუმცა გასული წელი, სხვა არანაკლებ საინტერესო და ორიგინალური ფრაზებით იყო მდიდარი, ჩვენც რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ.

„მომავალ წელს, ჩვენ უკეთესი მავფრინდებით...“

ანუ გასული წლის ორატორული მარგალიტები

ემა ტუხიაშვილი

კახა კუკავა:

— მე უშიშარი, ვითარცა უხორცო, არ ვარ, მაგრამ ბექაურის არ მეშინია.

ავთანდილ მარგიანი:

— გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეორე ადგილზე გავედი, მარტო სტალინმა მაჯობა.

ვლადიმერ გუცაევი:

— მწვრთნელობა ძალიან ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან მაყურებელი შენგან კატასტროფულ წარმატებას ელოდება.

ნანა კაკაბაძე:

— რა გინდათ ამ კუბლაშვილისგან? ამ შემთხვევაში, კუბლაშვილი ისეა, როგორც მიტინგზე მეგაფონი.

გიორგი გუგავა:

— უამრავ ჩვენს მოქალაქეს ამ ცივი ზამთრის გატარება პირველყოფილ პირობებში მოუწევს.

მიხეილ სააკაშვილი:

— დათო კირკიტაძემ რომ დაცვის ბიჭს ბოდიში მოუხადა, არის თუ არა ეს კულტურული რევოლუცია?!

ვანო მერაბიშვილი:

— ადგილზე მოკვლევას ატარებენ ჩვენი ექსპერტები, კერძოდ — ძაღლები.

აკაკი ასათიანი:

— სააკაშვილის ბებია არაჩვეულებრივი ქალია, მაგრამ რატომ არ ესწრება უშიშროების საბჭოს სხდომებს, არ ვიცი.

ავთანდილ მარგიანი:

— ვანო მერაბიშვილი გარეგნულად ძალიან ჰგავს ლავრენტი ბერიას, ამიტომ ჯობია, საქმიანობითაც მიემსგავსოს.

ვანო მერაბიშვილი:

— აი, ჩვენ გვსაყვედურობენ: პროფესიონალიზმი! პროფესიონალიზმი... რა შუაშია პროფესიონალიზმი? მთავარია ეფექტურობა!

მიხეილ სააკაშვილი:

— „პატრული“ ერთადერთი გადაცემა იყო გასულ წელს, სადაც კარგ ამბებს ამბობდნენ... ცუდი ამბების შესახებ.



კოგა დავითაშვილი:

— ჩემი ამომრჩეველი, სოციალური პრობლემების მოგვარების გარდა, გიგა ბოკერიას ცემას მთხოვს, რაც ჯერ ვერ შევასრულე.

გიორგი გუგავა:

— პარლამენტში 150 მოსატეხი ხელია...

მიხეილ სააკაშვილი:

— ეს არის უკანასკნელი გაუმჯობესება, რაც დღეს არის... თქვენ იცით, რომ საკმარისია, ადამიანმა გასაღები დაკარგოს, რომ რეკავს პატრულში, ქმარმა ცოლს გადაბრუნებული სიტყვა უთხრას, რომ ცოლი მომენტალურად რეკავს პატრულში. საკმარისია, უბრალოდ,

ადამიანი იყოს ცუდ ხასიათზე, დეპრესიაში და მხიარულება სჭირდებოდეს, რომ ხშირად ისიც რეკავს პატრულში.

ვანო მერაბიშვილი:

— დაშავებულები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარება...

— ჩვენს პოლიციელებს ბრძანების მიცემა არ სჭირდებათ. ისინი ისედაც ყველანაირ ბრძანებას ასრულებენ.

ირაკლი წერეთელი:

— სტიქიურმა უბედურებებმა საქართველოში განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა.

ავთანდილ მარგიანი:

— მე ოპოზიცია კი არა, მთვლემარე, მომლოდინე დათვი ვარ.

ვანო მერაბიშვილი:

— ყველაზე მეტი თანამშრომელი შინაგან საქმეთა სამინისტროდან დააკავა სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მიხეილ სააკაშვილი:

— მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს...

დავით ბერძენიშვილი:

— კახა ბენდუქიძეს აქვს ასეთი სტილი: სამ სიმართლეს იტყვის, ორ ტყუილს და ამას ერთმანეთში აზავებს, მაგრამ ალექსიშვილი მხოლოდ ტყუილებს ამბობს.

შალვა ნათელაშვილი:

— მეცოდება ჩვენი დროის „ახალი გმირი“ კირკიტაძე, ეს ბავშვი ისეთ წრეში მოხვდა, დაიღუპება... ჩვენში ისეთი კულტურული რევოლუცია შემოდის, რომ გვეუბნებიან — ბოთლზე დამჯდარი მთავრობა აიტანეთო.

ედუარდ შევარდნაძე:

— დღეს ბევრ ისეთ რამეს ყიდიან, რაც შესაძლოა, მე არ გამეყიდა. გაყიდვას დიდი ჭკუა არ უნდა, მთავარია, ქონება შეინარჩუნო და კარგად მოიხმარო.

ირაკლი ოძრუაშვილი:

— ორხევის სამხედრო ნაწილში ვიყავი და იქ 3 ჯარისკაცი დავსაჯე — წრეზე 10 კილომეტრი ვარბენინე, მე კი ვიდექი და ვუყურებდი... სხვათა შორის, სწორად არ მიმაჩნია, როდესაც მინისტრი სერჟანტის მოვალეობას ითავსებს. გგონიათ, თვითკრიტიკული არ ვარ? დღეს სამსახურში 3 საათზე მივედი, რადგან დილიდან, მუშისა და „პრარაბის“ ფუნქციას ვასრულებდი.

მიხეილ სააკაშვილი:

— ჩვენი პირობა არის ის, რომ დენს მიგაერთებთ და დენი გექნებათ.

ნოდარ გრიგალაშვილი:

— შარზე კი არ ვართ, თუ ადამიანი გააკეთებს იმას, რასაც ვუკარნახებთ, ამას ვიტყვით.

კახა ლომაია:

— ის, რაც არ იზომება და არ იწონება, არ შეიძლება შეფასდეს.

შალვა ნათელაშვილი *(საქართველოს პრეზიდენტის სახელით):*

— „მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ გავეცანი ჩემი თაღლითი წინაპრის — „ყვარყვარეს“ შესახებ მხატვრულ ფილმს, მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან, ხალხს კი ბოდიშს ვუხდი ურცხვი ტყუილისთვის“.

კახა ბენდუქიძე:

— ადამიანისთვის, რომელიც ყველა ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს, ფული უკვე ციფრები ხდება.

მიხეილ სააკაშვილი:

— მომავალ წელს, ჩვენ ყველანი გავფრინდებით აქედან... და დავბრუნდებით აქ.

ედუარდ შევარდნაძე:

— ამის გამო შესაძლოა, პანღურიც ამოეკრათ ლავროვისთვის. ■



ისეთი პროფესიის ადამიანები, როგორიც ექიმები არიან, ახალი წლის ღამესაც შრომობენ და ცდილობენ, დაეხმარონ გაჭირვებაში ჩავარდნილთ (ბუნებრივია, პატიოსან და პროფესიის ერთგულ ესკულაპებს ვგულისხმობთ). მათ ძალზე რთული და მძიმე სამუშაო აქვთ. თუმცა, საქმიანობისას, ხშირად, სასიამოვნო და კურიოზულ სიტუაციაშიც ხვდებიან.

ექიმები და მათი საახალწლო ღამეები

მარეხ ჭონიშვილი

დაგვეთანხმებით, სამედიცინო დაწესებულებებს შორის, სრულიად გამორჩეული ადგილი აქვს სამშობიაროს სახლს, რომელსაც ამ წერილის მომზადებისას, პირველად მივაშურეთ და 2006 წლის პირველი ახალშობილების შესახებაც შევიტყვეთ. ნუციკო ცინცაძე და ნიკოლოზ ვანიშვილი ახალი წლის პირველ წუთებზე მოევლინნენ ქვეყანას. ნუციკო სამშობიაროს სახლ „ჰერაში“ დაიბადა, ხოლო ნიკოლოზი — კონსტანტინე ჩაჩავას სახელობის სამშობიაროს სახლში. თეონა ბაკალაიასა და ნუგზარ ვანიშვილისთვის ნიკოლოზი მესამე შვილია, ხოლო მაკა ალაშვილისა და ირაკლი ცინცაძისთვის ნუცა — პირველი შვილია.

თეონა ბაკალაია:

— პატარის დაბადება და ახალი სიცოცხლის ამქვეყნად მოვლინება ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ ახალი წლის ღამეს ბავშვის დაბადებას ორმაგი სიხარული მოაქვს. ძალიან ლამაზი და უჩვეულო ახალი წელი მაჩუქა ჩემმა ბიჭმა ნიკოლოზმა... სამზადისში ვიყავით, როცა მუცელი ამტკივდა. თავიდან, გამხელას არ ვაპირებდი, მეგონა, უბრალო ტკივილები მქონდა და გადამივლიდა, რადგან 15-18 იანვრამდე, ნიკოლოზის დაბადებას არ ველოდით. მაგრამ ტკივილმა არა და არ მომასვენა. 31 დეკემბერს, ღამის 10 საათზე მომიყვანეს საავადმყოფოში, ხოლო ნიკოლოზი, როცა პირველი საათი დაიწყო, მაშინ გაჩნდა!.. ნიკოლოზის გარდა, ორი გოგო მყავს, რომლებიც დიდი სიხარულით ელიან სახლში ძმიკოს მისვლას. ყველაზე ბედნიერი კი, ჩემი ქმარია — ახალი წლის ღამეს, ბიჭი ვაჩუქე! ჩვენს სიხარულს ისიც დაემატა, რომ სამშენებლო კომპანიამ სიურპრიზი მოგვიწყო — ბინა გვაჩუქა. ეს ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის დიდი საჩუქარია. ხომ ამბობენ — ახალწლის ღამეს, სიხარული მოაქვსო! სწორედ ასეთი იყო ჩემთვის ეს ახალწლის ღამე.

მაკა ალაშვილი:

— ნუცა პირველ იანვარს, დილის 7 საათზე დაიბადა. ახალწლის ღამეს სახლში შევხვდი და შემდეგ წამომიყვანეს საავადმყოფოში. ვიცოდი, რომ ჩემი გოგო პირველ იანვარს დაიბადებოდა... ნუცა ჩვენი პირველი შვილია და მის დაბადებას დიდი სიხარულით ველოდით, ახალმა წელმა კი, ეს მომენტი გაგვილამაზა. ახალი წლის მოსვლა ყოველთვის მიხაროდა, მაგრამ ახლა, უფრო დიდი სიხარულით შევხვდებით ხოლმე, რადგან ჩემი შვილის, ნუცას დაბადების დღეცაა. ნუცამ უკვე საახალწლო საჩუქარიც მიიღო: ერთ-ერთმა ბანკმა 40-ლარიანი ანგარიში გაუხსნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მის მესვეურებს...

ახალწლის ღამეს მისი და მისი მეგობრების თავს გადახდენილი ბევრი სახალისო ამბავი გაიხსენა ექიმმა **ნოდარ კეზერაშვილმა,** *რომელიც გადაუდებელი დახმარების ერთ-ერთ სამსახურში საქმიანობს:*

— შარშან, ღამის 4 საათზე გამოგვიძახეს. ოჯახი, სადაც უნდა მივსულიყავით, მე-16 სართულზე ცხოვრობდა. საშინელი მდგომარეობა დაგვხვდა: ლიფტი არ მუშაობდა და მთელი სადარბაზო ჩაბნელებული იყო. ხელების ცეცებით, დიდი წვალებით მივაღწიეთ ოჯახამდე, სადაც 18 წლის გოგონა უგონო მდგომარეობაში დაგვხვდა. როდესაც ახლოს მივედი და „ავადმყოფის“ გასინჯვა დავაპირე, მივხვდი, რომ გოგო მთვრალი იყო. მშობელს ვუთხარი — საშიში არაფერია, თქვენი შვილი ჯანმრთელადაა, ეტყობა, ცოტა ზედმეტი დალია, გამოფხიზლდება და ხვალ დილით, კარგად იქნებამეთქი. გოგოს დედა კი, გაბრაზებული მეუბნება: უშენოდაც კარგად ვიცით, რომ მთვრალია, მაგის გასარკვევად კი არ გამოგიძახეთ, შენ ის გვითხარი, ქალიშვილია თუ არაო... სახტად დავრჩი. გაოცებისგან აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ამას ნამდვილად არ მოველოდი. ამის შემდეგ შევნიშნე, იქვე, კუთხეში „ატუზული“ ბიჭი, რომელსაც გოგოს მამა განძრევის საშუალებას არ აძლევდა. როგორც შემდეგ გაირკვა, გოგო და ბიჭი ერთად შეხვედრიან ახალ წელს რესტორანში. ბიჭს მთვრალი გოგო სახლში მიუცილებია, დედამ კი აღმოაჩინა, რომ მისი გოგო „ქვემოთ“ შიშველი ყოფილა; თავისი შვილისგან ვერაფერი გაუგია, ბიჭს კი არ უჯერებდა, რომელიც ირწმუნებოდა — არაფერი დამიშავებია, ხელიც კი არ დამიკარებია, უბრალოდ, ბევრი დალია, ჩაისველა და თვითონვე გაიხადაო... მშობლებს არ სჯეროდათ მისი ნათქვამის და ბიჭს გაუპატიურებას აბრალებდნენ. ჩვენც ვერაფერით დავეხმარეთ და ძალიან გაბრაზდნენ. თუმცა კი ვურჩიეთ — შვილის გამოფხიზლებისთვის დაეცადათ და კარდიოლოგის ნაცვლად, გინეკოლოგი გამოეძახათ...

მიუხედავად იმისა, რომ ექიმები უმეტეს შემთხვევაში, ყურადღებიანი და მობილიზებული არიან, მათ თურმე შეიძლება, ახალი წლის ღამეს, პაციენტი დაეკარგოთ...

— ოჯახში, სადაც გამოგვიძახეს, პაციენტი მამაკაცი იყო. გავსინჯეთ და სათანადო დახმარებაც აღმოვუჩინეთ. მისი საავადმყოფოში გადაყვანა აუცილებელი არ იყო, მაგრამ ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით, წამოვიყვანეთ. როდესაც ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში არ არის, ექიმები წინ ვსხდებით. ამჯერადაც ასე იყო. ექიმები წინ დავსხედით, ის კაცი კი, უკანა სალონში მოვათავსეთ... როდესაც საავადმყოფომდე მივედით, აღმოჩნდა, რომ პაციენტი მანქანაში აღარ იყო. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავცვივდით. რა აღარ ვიფიქრეთ?!. მაგრამ ისევ პაციენტმა გამოგვიყვანა მდგომარეობიდან: დაგვირეკა და დაგვამშვიდა — არ ინერვიულოთ, სახლში ვარო. თურმე, შუქნიშანთან რომ გაგვიჩერებია მანქანა, ჩამოსულა და სახლში წასულა... ყოფილა შემთხვევა, ექიმები გამოვუძახებივართ, ოჯახში კი, სადაც მივსულვართ, გაშლილი სუფრა დაგვხვედრია. მასპინძელს კი თავი ასე უმართლებია: ახალი წლის ღამეა, ყველა ქეიფობს, თქვენ კი მუშაობთ, შეგვეცოდეთ და დაგიძახეთო... ასეთი უცნაური გამოძახება ბევრია. ახლა ერთ შემთხვევასაც მოგიყვებით, რომელიც ჩემს მეგობრებს გადახდათ, იმედია, ამის გამო არ გამინაწყენდებიან... ახალი წლის დღეებში, გამოძახებაზე გავიდნენ. ოჯახში, სადაც მივიდნენ, ძალზე საზეიმო გარემო დახვდათ. ოჯახი ახალ წელსა და შვილის ქორწინებას ერთდროულად ზეიმობდა. ჩემი მეგობრები ვერ მიხვდნენ გამოძახების მიზეზს. ბიჭის დედას ისინი მალე გაურკვევია საქმით ვითარებაში: ჩემმა შვილმა ცოლი შეირთო, დღეს პირველად უნდა იყვნენ ერთად და რადგან მას სუსტი გული აქვს, წინასწარ გამოგიძახეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე იყოთო... თავიდან, ჩვენმა ექიმებმა იფიქრეს, რომ ეს უბრალოდ, საახალწლო ხუმრობა იყო და წამოსვლა დააპირეს, მაგრამ ბიჭის დედამ სრული სერიოზულობით უთხრა მათ, რომ თუ მის შვილს რაიმე მოუვიდოდა, პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ. სხვა გზა არ ჰქონდათ და დარჩნენ. როდესაც გოგო და ბიჭი ოთახში შევიდნენ, ბიჭის დედას კარზე მიუდგია ყური და ძალიან ნერვიულობდა... ჩემს მეგობრებს გაუმართლათ — ყველაფერი კარგად დამთავრდა, ბიჭს მათი დახმარება არ დასჭირვებია.

ხშირად, „სასწრაფო დახმარებას“, დაგვიანებით მისვლის გამო საყვედურობენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, რომელის შესახებაც ახლა წაიკითხავთ, მათ ადრე მისვლის გამო გაუბრაზდნენ...

— დათქმულ მისამართზე მისვლას სავარაუდოდ, 8-9 წუთს ვანდომებთ, მაგრამ ხანდახან, ისეთი ექსტრემალური სიტუაციაა, ხალხს ეს ბევრად ეჩვენება, იმიტომ, რომ ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს... გამოძახებაზე ვიყავით გასული. როდესაც მომსახურება დავამთავრეთ, ოპერატორმა სხვა შეტყობინება გადმოგვცა, რომელიც გვერდითი სადარბაზოდან მიუღია. წამში გავჩნდით ახალ პაციენტთან. დავაკაკუნეთ. კარი ქალმა გაგვიღო. ძალიან გაკვირვებული დარჩა და გვიყვირა კიდეც — ასე ადრე რატომ მოხვედით? ჯერ არ გამომიცვლიაო! — და კარი მოგვიჯახუნა. ■

ამბობენ, სტატისტიკას ვერაფერს გამოაპარებო. ციფრების ენა მართლაც, ძალზე მეტყველია. მას ხშირად, სწორედ წლების მიჯნაზე მიმართავენ, რადგან საზოგადოების განვითარების დონეს ნათლად ასახავს. თუმცა, ციფრების გარეშეც ვიცით, მაგალითად, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში არცთუ ისე სახარბიელოა. წლების მანძილზე გაბატონებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ სავალალო ასახვა პოვა მოსახლეობაზე: მისი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა სარჩო-საბადებლის საშოვნელად, აქ დარჩენილთა ნახევარზე მეტი, სიღარიბის ზღვარს მილმა იმყოფება და მომავალს ერთობ უიმედო თვალით შეჰყურებს. ჩვენში შექმნილ დემოგრაფიულ კრიზისს, ხან ცივილიზაციის მავნე გავლენას ვაბრალებთ, ხან — ზედმეტ წიგნიერებასა და ხან კიდევ, ღმერთმა უწყის, რას... არსებულ დემოგრაფიულ და ზოგადად, სოციალურ მდგომარეობაში უკეთ გასარკვევად, სტატისტიკის დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილეს, გიორგი ყაველაშვილს მივმართეთ.

Sobadoba umniSvnelod matulobs, magram emigraciul process „ver eweva“...

ნანა ფიცხელაური

— ბატონო გიორგი, დღესდღეობით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში?

— 2005 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 4 მილიონ 289 ათას 100 მოსახლეა. 2002 წელს, როდესაც მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა, სულ 4 მილიონ 371 ათასი 500 კაცი დაფიქსირდა.

— შობადობის მაჩვენებლებში როგორი ტენდენცია შეიმჩნევა?

— ვინაიდან 2005 წლის მონაცემები ჯერ-ჯერობით, დამუშავების პროცესშია, იძულებული ვარ, წინა წლის მონაცემები შემოგთავაზოთ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მნიშნელოვანი სხვაობა ამ ორი წლის მაჩვენებელს შორის მოსალოდნელი არ უნდა იყოს. ამგვარად, 2004 წელს, საქართველოში დაიბადა 49 ათას 572 ბავშვი. რაც შეეხება გარდაცვლილთა რაოდენობას — 48 ათას 793 ადამიანია. ბუნებრივია, მატება — ანუ დაბადებულთა რაოდენობა, გარდაცვლილთა რაოდენობას აღემატება. მართალია, მხოლოდ 1,6%-ით, მაგრამ ფაქტია — სჭარბობს. დაბადებულთა შორის, 28100 ბავშვი, ოჯახისთვის პირველი შვილია, 15773 — მეორე, 4207 — მესამე, 1037 — მეოთხე, 455 კი — მეხუთე ან მეექვსე და ა.შ. სამწუხაროდ, 2004 წლისთვის, 870 ჩვილი მკვდრად იშვა.

— ძირითადად, რა ფაქტორი განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლებას?

— ამის უმთავრესი მიზეზი, მიგრაციული პროცესები გახლავთ. 2004 წელს, ჩვენი გათვლებით, საქართველოდან 26900 კაცი წავიდა. საერთოდ, მოსახლეობის კლების განმსაზღვრელი 3 ძირითადი ფაქტორი მოქმედებს: დაბადება, გარდაცვალება და მიგრაციული პროცესები.

— იმედია, ქორწინების მაჩვენებელიც აღემატება განქორწინებისას...

— ქორწინების რიცხვი შეადგენს 14866-ს, ხოლო განქორწინების — 1793-ს. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2003 წელს დაქორწინდა 12696 ადამიანი, ხოლო განქორწინდა — 1825. ასე რომ, ლოგიკურია — ქორწინება ყოველთვის სჭარბობს განქორწინებას.

— ბოლო წლებში, უმუშევართა რიცხვიც გაიზარდა, არა?

— 2004 წლისთვის, უმუშევრობის დონემ 12,6% შეადგინა. 2003 წელს ეს მაჩვენებელი 11,5%-ს შეადგენდა, 2002-ში კი — 12,6%-ს.

— ახლა სიღარიბის ზღვარზე გვითხარით: რამდენი პროცენტია ამ ზღვარს მილმა და როგორ იანგარიშება საარსებო მინიმუმი — ე.წ. საომმარებლო კალათა?

— სიღარიბის ზღვარს მილმა ამჟამად, მოსახლეობის 52% იმყოფება. საარსებო მინიმუმს ჩვენ ვანგარიშობთ შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ნორმატიული ხელფასის მიხედვით. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი საშუალოდ, 141,8 ლარი იყო, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი — 124,4 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი — 241,6 ლარი. 2004 წელს, გაანგარიშებული გვაქვს სამომხმარებლო კალათა, რომელშიც 355 დასახელება შედის — ე.ი. ყველა ის საქონელი, რომელიც აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის. სიღარიბის ზღვარს რაც შეეხება — მიმდინარე წლიდან, ამ კატეგორიის მეთოდოლოგიურ კვლევასა და დეტალურ რევიზიას ვაპირებთ. თუ საჭირო იქნება, ცვლილებებსაც შევიტანთ.

— მიგრაციის მატების და შობადობის კლების — ანუ მოსახლეობის რიცხოვნობის კლების გამომწვევი ძირითადი მიზეზი, ფაქტია, გაუსაძლისი მატერიალური მდგომარეობა უნდა იყოს...

— მიგრაციის გამომწვევი მიზეზი, რა თქმა უნდა, მატერიალური სიდუხჭირეა. რაც შეეხება შობადობას — საბჭოთა კავშირის დაშლამდე ბოლო აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წელს, 15 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობის 24,7%-ს შეადგენდნენ, 65 წელს გადაცილებულები — 8,9%-ს. 2005 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით კი, პირველი მაჩვენებელი 18,2%-ს, ხოლო მეორე — 13,4%-ს შეადგენს. ამგვარად, ახალგაზრდების წილმა მოსახლეობის რიცხოვნობაში დაიკლო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში საერთო დაბერების ზრდის ტენდენცია აღინიშნება. ამის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრაციაში იმყოფება ძირითადად ახალგაზრდობა — ე.ი. უხეშად რომ ვთქვათ, რესურსი, რომელსაც ნამატის მოტანა — ბავშვის გაჩენა შეუძლია... ხალხი საქართველოდან მიდის და საცხოვრებლად საზღვარგარეთ რჩება.

— როდის შევა ძალაში ახალი კანონ სტატისტიკის შესახებ და როდის ჩატარდება მოსახლეობის ახალი აღწერა?

— სტატისტიკის შესახებ კანონპროექტი, რომელმაც გაიარა ყველა სტადია, დაგზავნილია სამინისტროებში, საიდანაც შენიშვნები მივიღეთ. კანონპროექტი საბოლოო დასკვნისთვის იუსტიციის სამინისტროს გადაეცა, შემდეგ — პარლამენტს გადაეგზავნება და განსახილველად გავა. 2006 წლიდან, ვაპირებთ აღწერის მოსამზადებელი სამუშაოს აქტიურად დაწყებას. აღწერა 2010 წელს ჩატარდება. იმისათვის, რომ საერთაშორისო ნორმებით მიღებული ყველა სტანდარტი დავაკმაყოფილოთ, ახლავე — 4 წლით ადრე უნდა შევუდგეთ მუშაობას. გაეროს რეკომენდაციით, აღწერები ქვეყანაში 0-ით დაბოლოებულ წლებში უნდა ჩატარდეს — მაგალითად, 2010, 2020 წელს და ა.შ. — 10 წელიწადში ერთხელ. ■

წინილებს თუ შემოდგომით ითვლიან, პოლიტიკოსების და ხელისუფლების ნაღვაწ-ნამოქმედარს — წლის მიწურულს აფასებენ. ძველ, უღიმღამო სტერეოტიპებს ნაჩვევთ, აგერ უკვე ორი წელია, ახალგაზრდა და ენერგიული პრეზიდენტი გვყავს, თავისი „კბილა“ ხელისუფლებით. ეს ის ორი წელიწადია, რომელმაც ზოგს იმედები გაუმართლა, ზოგს კი — დაუმსხვრია. თუმცა, ეგზალტირებული ხელისუფალნი თავს ყველაფერში წარმატებულად მიიჩნევენ და ამის დასტურად, ორი წლის თავზე, „16 გამარჯვებას“ „აფრიალებენ“...

ქართველი ხალხი ბრძენიაო, — უყვარს თქმა ბატონ პრეზიდენტს, რომლის მიმართაც, ხოტბაც ბევრი თქმულა და საყვედურიც. მართლა ბრძენია თუ არა ჩვენი ხალხი და შეცდა თუ არა არჩევანში 2004 წლის 4 იანვარს, ჯერჯერობით, — ძნელი სათქმელია და როგორც პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, ხალხის არჩეული და მოწონებული პრეზიდენტია და რატომ უნდა დაეჭვდეს, სწორად იქცევა თუ არაო?..

რამაზ საყვარელიძე: დემოკრატია მარტო სურვილი როდია...

ნანა ფიცხელაური

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის ორწლიან ნაღვაწს, როგორი „მოსწრებით“ გამოირჩევა მიხეილ სააკაშვილი?

— როგორც ლექტორი, გეტყვით — ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ „საგანთან“, რომელიც „პირველ სემესტრში“ არ სრულდება და სხვაში გადადის — ანუ საბოლოო „ნიშანზე“ ლაპარაკი ძნელია... პრეზიდენტს ჰქონდა შეფასება „კარგიც“ და „ცუდიც“. ეს ნიშნები „ბოლო სემესტრში“ — ე.ი. ორ წელიწადში დაჯამდება და საბოლოო შედეგებზეც მერე ვილაპარაკებთ. ჯერჯერობით, რაიმე მკვეთრი გეზი გამოკვეთილი არ არის.

— თუმცა, როგორც თავად ამბობს, უმთავრესი — დემოკრატიის გეზი რახანია, გამოიკვეთა. თქვენი აზრით, რამდენად მძლავრობს ქვეყანაში დემოკრატიის რეალური ნიშნები?

— დემოკრატიის გზის არჩევანი პრაქტიკულად, ყველა ქვეყანამ გააკეთა — აზიის და აფრიკის ქვეყნებმაც კი, თუმცა, ამის მაგალითებს მხოლოდ ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკაში ვხედავთ. დემოკრატია მარტო სურვილი როდია, ის უნარიც არის — შეგვიძლია თუ არა... სურათი აქაც არ არის სრული. ჩვენში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, ვინაიდან დემოკრატიის პირობებში არ გვიცხოვრია, ის ჩვენთვის აბსოლუტურად ახალი ხილია. ის კი არა და, ხშირად, არც გვესმის, დემოკრატიის მოთხოვნა რატომ არის ჩვენთვისვე სასარგებლო. საქართველოში დემოკრატიის ამა თუ იმ სტანდარტზე თანხმდებიან იმის გამო, რომ დასავლეთი ითხოვს ამას. იგივე თვითმმართველობა, ადგილობრივი არჩევნები და სხვა — დასავლეთის კაპრიზად ითვლება, თორემ, ჩვენი ნება რომ იყოს, ამ გზით ალბათ, არ წავიდოდით. ეს აშკარაა: 15 წელია, თვითმმართველობის მექანიზმს არაფერი ეშველა... საერთოდ, „უკეთესი“ სახელმწიფო გამოდის, როცა ხელისუფლება დელეგირებულია ადგილებზე და ყველაფერი ერთ წერტილში არ არის თავმოყრილი. პრეზიდენტი, ხელისუფლებასთან ერთად, ამ ქვეყნის შვილია, მათ არასოდეს უცხოვრიათ დემოკრატიულ გარემოში და დემოკრატიული გამოცდილება არ ჰქონიათ: ვინაიდან ასეთი მმართველის რანგში ბატონ მიშას გამოცდილება არა აქვს, ბევრს ვერც მოვთხოვთ — როგორც ჩვენ არ ვიცით, ისე მან არ იცის და როგორც ჩვენ უნდა ვისწავლოთ, ისე მანაც უნდა ისწავლოს დემოკრატია — იმ განსხვავებით, რომ ის უფრო სწრაფად უნდა ითვისებდეს ამას, მისი განსაკუთრებული ადგილის გამო.

— რა შეიძლება ჩაითვალოს სააკაშვილის მთავარ მიღწევად განვლილ ორ წელიწადში?

— პოზიტიურია ის, რომ პრეზიდენტმა მოახერხა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა, მხარი დაუჭირა განათლების მინისტრს რეფორმის განხორციელებაში და ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩატარდა. და მესამე — 15 წლის განმავლობაში პირველად, შეიკრა ბიუჯეტი.

— ნეგატიურ მხარეებზე რას იტყვით?

— ღმერთი სამობითაა, — ნათქვამია. დადებითი სამი ვახსენე და ნეგატიურსაც ამდენივეს დავასახელებ... ნეგატიურს ვხედავ იმავე პოზიტიურ სფეროებში — კერძოდ, რუსეთთან იმ რაუნდის მოგების ფონზე, რომელსაც ბაზების გაყვანა ჰქვია, ძალზე ბევრ დათმობაზე წავედით. თუ გავიხსენებთ, პუტინის ფორმულა იყო — ტანკები ჩავანაცვლოთ ენერგეტიკით და ეკონომიკით. ტანკები კი გავიყვანეთ, მაგრამ ამით, საქართველო არ გამოგვიყვანია რუსული გავლენის სფეროდან. საქართველოს ამ ეტაპზე, სხვა გზა არა აქვს, მძიმე ენერგეტიკული პირობების გამო, მაგრამ შეიძლებოდა, პოლიტიკის ისე აგება, რომ რაც შეიძლება მეტი ალტერნატივა შექმნილიყო — უნდა გაუმჯობესებულიყო საინვესტიციო კლიმატი საიმისოდ, რომ რუსეთის გვერდით, სხვა ქვეყნების ბიზნესსაც ფართო გასაქანი მისცემოდა. ამ პირობის ფონზე, გამოდის, რომ საქართველო ისევ რუსული პოლიტიკისა და ბიზნესის გავლენის სივრცეშია მოქცეული და საკითხავია, რა უფრო მტკიცეა — ტანკები თუ ბიზნესგარემო... საკმაოდ მძიმე პროცესი გამოიწვია ასევე, მოუფიქრებელმა, მეცნიერების რეფორმამ. სიჯიუტემ ერთ შემთხვევაში — ეროვნულ გამოცდებში — კარგი შედეგი მოგვცა, გაამართლა იმიტომ, რომ იქ კარგად იყო ეს ყველაფერი გათვლილი, — მაგრამ ამავე სიჯიუტემ მეორე შემთხვევაში — ანუ უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერების რეფორმის საქმეში — არ გაამართლა, ვინაიდან ბევრი რამ გაუთვლელია და ამიტომ პროცესი იწყება, მაგრამ პრობლემა არ წყდება. არადა, ამ სფეროში ჩავარდნის შემთხვევაში, რეანიმაციას, აღდგენას შეიძლება, 100 წელი დასჭირდეს.

— სხვათა შორის, ოპონენტები მეცნიერების სფეროში მიმდინარე პროცესს ხშირად, ჩინეთის კულტურულ რევოლუციას ადარებენ. ეს ტერმინი თავად მიხეილ სააკაშვილმაც იხმარა — საქართველოში კულტურული რევოლუცია მიმდინარეობსო...

— კულტურული რევოლუციის მიზანი, დანგრევა როდი იყო — ძველი, კორუმპირებული კადრებისგან გათავისუფლება გახლდათ, ოღონდ — ამ მცდელობამ ნგრევა გამოიწვია. ვიმეორებ — ერთია მიზანი, მეორე — უნარი. ძალიან კარგ მიზნებს, უუნარობის შემთხვევაში, საქმე კატასტროფამდე მიჰყავს ხოლმე. ჩვენს შემთხვევაშიც იგივე პრობლემა იყო — ძველი კადრებისგან გათავისუფლება. მაგრამ თუ ისევე რადიკალურად მივუდგებით, როგორც ეს ჩინეთში ხდებოდა

(ჯერჯერობით, სწორედ ასეთი სურათი გვაქვს), დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანს. არაკომპეტენტური ფენების გაჩენა ქვეყანას ძალზე ცუდ დღეში ჩააგდებს. როცა მანქანის საჭესთან მეტისმეტად ახალგაზრდა ადამიანი ზის, ეტყობა ხოლმე — „გაზს“ ფეხს დააჭერს და არაფერს არ უწევს ანგარიშს — დაახლოებით ასეთ სურათს ვიღებთ...

— ეი. თქვენთვის, პრეზიდენტიც და ხელისუფლებაც მეტისმეტად ახალგაზრდა, დაუდევარ მესაჭეებთან ასოცირდებიან?..

— ხელისუფლების არსებითი შეცდომა ის არის, რომ მან არა კომპეტენციის, არამედ ასაკობრივი ნიშნით დაიწყო კადრების შერჩევა. იმედი მაქვს, დარჩენილ ორ წელიწადში, დაფიქრდებიან და ამ შეცდომას გამოასწორებენ... მედალს ორი მხარე აქვს და „მესამე პოზიტივის“ უარყოფითი მხარე ის გახლავთ, რომ კარგია, როცა ბიუჯეტი ივსება, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა, ის ბიზნესის განვითარების შედეგად შევსებულიყო და არა მხოლოდ ფინანსური პოლიციის მეშვეობით. ამის შედეგად ის მივიღეთ, რომ ბიზნესი შეიზღუდა — ანუ არ შეიქმნა ქვეყანაში საჭირო ბიზნესგარემო.

— ამ შეცდომების გამოსწორებას ორი წელი ეყოფა?

— ორი წელი კი არა — ამისთვის რამდენიმე თვეც საკმარისია. მთავარია, შეცდომას მიხვდე და დაფიქრდე. ახალგაზრდობის თვისებაა — გგონია, რომ ყველაფერში მართალი ხარ. მთელი ქართველი მოსახლეობის დანაშაული ის არის, რომ მას იმხელა სიბრძნე უნდა ჰქონოდა, მიმხვდარიყო — არ შეიძლება, მთელი ხელისუფლების დაკომპლექტება ერთი პარტიით და ისიც, მხოლოდ ახალგაზრდებით.

— თქვენ მხოლოდ სამი მიღწევა ახსენეთ, ხელისუფლებამ კი — 16 გამარჯვება დაითვალა. ეს ციფრი ცოტა უტრირებულად ხომ არ გეჩვენებათ?

— ეს ამბავი არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასფალტების დაგება და ბავშვების გართობა საერთოდ არ არის ხელისუფლების კომპეტენცია და ამაზე რეიტინგის აგება ისევ იმაზეა გათვლილი, რომ მოსახლეობა გაუთვითცნობიერებელია. ის მინუსები, რომლებიც ჩამოვთვალე, ნაწილობრივაა ხელისუფლების მინუსები. სასურველია, მოსახლეობაც მიხვდეს, რომ შეუმცდარი არ არის. ამას წინათ, საახალწლო გამოკითხვა ჩატარდა, სადაც მოვლენების რეიტინგი იყო მოცემული. იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტი გაიზარდა, მხოლოდ აქა-იქ თუ ახსენებდა ვინმე. მოსახლეობა თუ ვერ ხვდება, რომ ბიუჯეტის შევსება კარდინალური მნიშვნელობის ფაქტია, ის ნამდვილად არ იმსახურებს ნორმალურ მატერიალურ პირობებში ცხოვრებას და სწორედ მისი არაკომპეტენტურობის შედეგია ისიც, რომ ხელისუფლებას ისე ვირჩევთ, რომ ეკონომიკურ პროგრამას არ ვეკითხებით.

— პოპულარული გამოთქმაა — ხალხი რა ხელისუფლების ღირსიცაა, ისეთი ჰყავსო. ეთანხმებით ამ შეხედულებას?

— ჩემი აზრით, პრეზიდენტს სახე არ შეუცვლია — ასეთი გახლდათ მაშინაც, როცა იუსტიციის მინისტრი იყო. მას რიტუალები და პომპეზურობა ყოველთვის მოსწონდა. პრეზიდენტობაც ისეთი სტილით გააგრძელა, როგორიც ხალხს მოსწონდა. საკაშვილმა რეალურად, 97% მიიღო და რატომ უნდა დაეჭვდეს, სწორად იქცევა თუ არა?.. ჩვენ, ხალხმა რაიმე საფუძველი მივეცით იმისა, რომ დაეჭვდეს?.. მე მიმაჩნია, რისი ღირსიც ვართ, იმაზე უკეთესი ხელისუფლება და პრეზიდენტი გვყავს. ქვეყანაში, სადაც პრაქტიკულად, არაფრის წარმოება არ ხდება, სადაც ელემენტარული წესრიგის დამყარება შეუძლებელია, სანამ პოლიცია არ ჩაერევა, სადაც სასამართლო რაში სჭირდებათ, ვერ ხვდებიან, როცა მოსამართლისგან სამართალს იშვიათად ითხოვენ (და ითხოვენ მხოლოდ მათ სასარგებლო გადაწყვეტილებას), იქ პრეზიდენტიც ისევე იქცევა, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი მოიქცეოდა.

— იზიარებთ თუ არა საზოგადოებაში ბოლო დროს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მიხეილ საკაშვილის რეიტინგი დაეცა?

— პრეზიდენტს ჯერ კიდევ შეუძლია (და აქვს კიდეც საამისო პოტენციალი), რომ მეტი მოისმინოს. ის ჩქარობს რაღაცის გაკეთებას და თუ ფიქრს და მოსმენას მეტ დროს დაუთმობს, დაინახავს, რომ საზოგადოება მისგან მოითხოვს უფრო სერიოზულ გარემოცვას, რომ ბავშვების, მით უმეტეს — აგრესიული ბავშვების გარემოცვა ხალხს აღიზიანებს. ხელისუფლებაში უნდა იყოს ყველა თაობის წარმომადგენელი და ისევე, როგორც საზოგადოებაში, უნდა ფასდებოდეს კომპეტენცია, იგრძნობოდეს სამართლიანობის და არა — ერთმანეთის ერთგულება... რაც შეეხება რეიტინგს — არ ვიცი, გამოკითხვები არ მინახავს. მაგრამ ეს არ არის პრობლემა — ნოემბრის არჩევნების წინ, თუ გახსოვთ, საკაშვილის რეიტინგი 7%-ს შეადგენდა. ბათუმში და ბოლნისში ჩასვლით და იქ ენერგიული მოქმედებით, მან 2-3 კვირაში, რეიტინგის ამაღლება მოახერხა.

— თქვენი აზრით, როგორი მენტალიტეტის კაცია საკაშვილი — უფრო ევროპული თუ ქართული?

— ამდენი ემოციურობა ევროპაში, მით უმეტეს პოლიტიკურ სინამდვილეში, სად არის?!. საკაშვილი უფრო ქართული მენტალიტეტის კაცია... უაიარაღოს მამლუქივით, ხან ევროპელობაზე „ვიქაჩებით“, ხან — აზიელობაზე, მაგრამ არც ევროპელები ვართ, არც სლავები... საკაშვილმა ხომ გამსახურდიას მომხრეთა სიმპათია სწორედ იმის ხარჯზე დაიმსახურა, რომ იგივე ქარიზმა შესთავაზა ხალხს — არ ვამბობ, რომ იგივე ღირებულებები და ორიენტაცია. პოლიტიკაში ხდება ხოლმე — თავსატეხმა შიგადაშიგ, ისეთი ნაბიჯი შეიძლება გადაგადგმევინოს, რომელიც მისაღები არ არის. რაც უფრო დიდხანსაა ადამიანი პოლიტიკაში, უფრო ჩანს, შესწევს თუ არა უნარი, საკუთარი ორიენტაცია გაატაროს ცხოვრებაში.

— მოარული ხმებით, ევროპასაც და ამერიკასაც მიხეილ საკაშვილი აღარ ესიმპათიურება, ზოგიერთები კი, ახალი რევოლუციის მოახლოებასაც წინასწარმეტყველებენ...

— საკაშვილის მტრების სიმრავლე გასაკვირი არ უნდა იყოს: მისმა ხელისუფლებამ ბევრი ადამიანი დატოვა სამსახურის გარეშე... ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა საკაშვილი და მთელი ხელისუფლება შეცდომების გააზრებასა და გადაითამაშებენ თუ არა რაიმეს... თუ პრეზიდენტმა ეს მოახერხა, მას ზარ-ზეიმის გარდა, არაფერი ელის. ამ მხრივ, ბატონ მიშას დიდი პოტენციალი აქვს — ხალხს უყვარს. მაგრამ თუ შეცდომები გაგრძელდა — სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია... რაც შეეხება მსოფლიოს დამოკიდებულებას — მეეჭვება, მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება იყოს. თუმცა, ევროპასა და ამერიკას არ უყვართ, როცა მის მიერ არჩეული ადამიანი პრობლემებს ქმნის — ანუ როცა მათ უჩნდებათ სატკივარი. საკაშვილისა და მისი ხელისუფლების მხრიდან კი, რაღაც პრობლემები გაჩნდა — კონფლიქტურ ზონებში, რუსეთთან ურთიერთობაში, თვით ქვეყნის შიგნით — პოლიტიკური კრიზისი... მაინც მეეჭვება, რომ ისინი საქართველოს საქმეებში ჩაერიონ: ევროპასაც და ამერიკასაც საკუთარი პრობლემებიც ჰყოფნით.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ლომი ფერებს ვერ არჩევს.
2. ტეპლიცე — ქალაქია ჩეხეთში.
3. „ქორია“ და „ელამი“ სინონიმებია.
4. თითბრის როდინს ავანდასტა ჰქვია.
5. მარნეულს 1947 წლამდე, ბორჩალო ერქვა.

6. ჩაუშესკუ 25 წელი განაგებდა რუმინეთს.
7. ჟერარ დეპარდიე საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია.
8. ცნობილ მოგზაურ ტიმ სევერინს „მითების კონტროლიორს“ ეძახიან.
9. „ანომალია“ ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით „უსწორმასწორობას“ ნიშნავს.
10. ჩერჩილს სძულდა მაჰათმა განდი. იგი მას პატარა, ნახევრად შიშველ ფაკირს ეძახდა.
11. „ეპიზოდის მსახიობის იმიჯი მთელი ცხოვრება ვერ მოვიშორე“, — წუხს ლია ახეჯაკოვა.
12. „ეეეხ, დალ ბი კტო ვ ზაიმი, დო სლედუიუშეი ზიმი და პაზაბილ ობ ეტომ!“ — მღერიან რუსები.
13. „ისტორიას ქალები ქმნიან, თუმცა ისტორია მხოლოდ მამაკაცთა სახელებს იმახსოვრებს“, — ამბობდა ჰაინრიხ ჰაინე.
14. „იმის ნახევრის მოყოლაც ვერ მოვასწარი, რაც მოგზაურობების დროს ვნახე“, — თქვა სიკვდილის წინ მარკო პოლომ.
15. „თუ გინდათ, გავლენა იქონიოთ ბავშვზე, ეცადეთ, მისი მამა არ აღმოჩნდეთ“, — გვირჩევს ამერიკელი პოეტი დონ მარკესი.
16. „მერსედესი“, რომელშიც პრინცესა დაიანა დაიღუპა, პარიზის ერთ-ერთი საავტომობილო გვირაბის მეცამეტე საყრდენს შეეჯახა.
17. ლუდოვიკო მეცამეტის მუშკეტერები, ღამის გუშაგობა თუ არ უწევდათ, ზაფხულში დილის 6 საათზე დგებოდნენ, ზამთარში — დილის 8 საათზე.
18. მანგრიის ხეს დროთა განმავლობაში, ერთი მხარე უხმება და მეორე მხარე უფრო მეტად უვითარდება. ასე მიიწევს იგი წყლისაკენ. ეს ხე წელიწადში რამდენიმე მეტრით გადაადგილდება.
19. „ახალ წელს რა გსურთ, რომ თოვლის ბაბუამ თქვენგან იყიდოს?“ — ჰკითხა დათო გოგიჩაიშვილმა „ღამის შოუს“ ეთერში მიწვეულ კახა ბენდუქიძეს.
20. პოლ მაკარტნის დედინაცვალი დღესაც ღიმილით იგონებს, როგორ

ფეხბურთელი ეროვნული საბჭოს საახალწლო ოცნება:

„ძალიან მინდა, ვეყოლოს შვილი“



თამუნა ამონაშვილს, თურმე, ძალიან კარგი ფეხი აქვს და ამის გამო ხშირად უწევდა მეკვლეობა. ეს მით უფრო ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თამუნა სცენაზე „თოვლის ბებოც“ გახლდათ. ბოლო წლებში, საახალწლო კონცერტებში მონაწილეობის გამო, მეკვლეობაზე უარს ამბობს...

ეკა მინდაძე

— ბავშვობაში, ისევე, როგორც ყველას, მეც მჯეროდა ზღაპრების და თოვლის ბაბუის. სხვათა შორის, დიდხანს მეგონა, რომ ახალი წლის ღამეს, ის ჩუმად მოდიოდა, დატვირთული ხურჯინით და ყველა ბავშვს საჩუქარს უტოვებდა. მართალია, დღეს ნაკლებად მჯერა ოცნებების, მაგრამ გულის სიღრმეში, მის რომელიმე კუნჭულში მინდა, მჯეროდეს, რომ თოვლის ბაბუა ნამდვილად არსებობს და მუდამ სიკეთე მოაქვს. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ თოვლის ბებო ვიყავი და თუ თოვლის ბებო არსებობს, ესე იგი თოვლის ბაბუაც რეალურია *(იცინის)*. კარგია, რომ უფროსები ბავშვებს მის არსებობაში აჯერებენ და არწმუნებენ, რომ თოვლის ბაბუას თითქმის ყველა სურვილის ასრულება შეუძლია. მშვენიერია, თუ ბავშვს დიდხანს ექნება იმის ილუზია, რომ თოვლის ბაბუას მართლა მოაქვს მისთვის სასურველი საჩუქარი. აქედან გამომდინარე, ის ყველა ბავშვის ოცნების რეალიზატორია. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მინდა, ბავშვებს უყვარდეთ მამაპაპური თოვლის ბაბუა და არა ევროპული სანტა-კლაუსი.

— რას სთხოვდი ხოლმე თოვლის ბაბუას?

— ძალიან მინდოდა, თოვლის ბაბუას ბევრი შოკოლადი და სათამაშო, კერძოდ, ლამაზი თოჯინა მოეტანა. აქედან გამომდინარე, ჩემი მშობლებიც ზუსტად იმას დებდნენ ახალი წლის ღამეს ჩემს საწოლთან, რაც მინდოდა. სათამაშოების გარდა, ხშირად, ტანსაცმელსაც ყიდულობდნენ. დღემდე მახსოვს, როგორ გამიხარდა, ახალი წლის დილით ბალიშთან დადებული, მოქარგული ჟაკეტის დანახვა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ახალ წელს, თოვლის ბაბუამ განსაკუთრებით ძვირფასი საჩუქარი მომიტანა — ეს გახლდათ ულამაზესი თეთრი „შუბა“. იმდენად მიყვარდა, რომ სულ მინდოდა, იმით მევლო. მახსოვს, ერთხელ, ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში ეზოში თეთრი „შუბით“ ჩავედი...

— ნაძვის ხის მორთვა გიყვარდა?

— კი, როგორ არა. იმდენად მიყვარდა ნაძვის ხის მორთვა, რომ ამ საქმეს არავის ვანდობდი. ბოლო 5-6 წელია, რაც პატარა ნაძვის ხეს ვდგამ, თორემ მანამდე, მუდამ დიდ ნაძვის ხეს ვრთავდი. ბავშვი რომ მყავდეს, ალბათ ისევ დიდ ნაძვის ხეს დავდგამდი. ისე, წესად მაქვს, 2 წელიწადში ერთხელ ნაძვის ხის გამოცვლა. გვერდზე აუცილებლად, სათამაშო თოვლის ბაბუასაც ვუდგამ. აბა, თოვლის ბაბუის გარეშე როგორ შეიძლება?!

— ნაძვის ხის სათამაშოებიდან თუ გაქვს შემორჩენილი შენი ბავშვობის დროინდელი?

— რა თქმა უნდა! ძალიან ბევრი სათამაშო მქონდა, მაგრამ ბინის გამოცვლის შემდეგ, ის სათამაშოები და ნაძვის ხე გავაჩუქე. სათამაშოებიდან ყველაზე მეტად მიყვარდა ფერადი ჩიტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინიც გა-

ვაჩუქე. აბა, როდემდე შეიძლება, ბავშვობის დროინდელი სათამაშოების შენახვა?!

— როგორც ვიცი, ხშირად ყოფილხარ მეკვლე.

— კი. სხვათა შორის, ძალიან კარგი ფეხი მაქვს. ალბათ იმიტომ, რომ მარჯვენა ფეხისგულზე ხალი მაქვს, ამიტომ ჩემს მეკვლეობას ბედნიერება მოაქვს. აქედან გამომდინარე, ყველა ჩემი მეგობარი და ახლობელი მეპატიჟებოდა და მეც, რიგის მიხედვით ვცდილობდი მათ ოჯახებში მისვლას.

— მართლა ასეთი კარგი ფეხი გაქვს?

— რა თქმა უნდა! მე თითოეული ოჯახის პრობლემების შესახებ კარგად ვიცოდი და ოჯახში შევაბიჯებდი თუ არა, სიკეთესთან ერთად, იმას ვუსურვებდი, რაც ამ ოჯახს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ეს იყო რამდენიმე წლის წინ, სანამ „კონცერტომანია“ დაიწყებოდა. ბოლო ხანები მოგეხსენება, ყოველ დღესასწაულზე მომღერლები ვშრომობთ, ამიტომაც სამწუხაროდ, დრო საერთოდ აღარ მრჩება ოჯახებში სასიარულოდ. იმდენად დადებითი და ვნებიანი აურა მაქვს, რომ ადამიანს, რომელსაც რაიმეს ვაჩუქებ, თუნდაც უმნიშვნელოს, აუცილებლად წარმატებულად წაუვა საქმეები და ბედნიერი იქნება, მით უმეტეს — ბედობის დღეს. ეს ცნობილი ფაქტია, ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის. სხვათა შორის, მე არაერთი ახალბედა მომღერლისთვის სპეციალურად გამიკეთებია საჩუქარი, რომ მისი შემოქმედება უფრო წარმატებული გამხდარიყო...

— შენს ოჯახში ვინ არის ხოლმე მეკვლე?

— ძირითადად, ოჯახის წევრები ან მეგობრები.

— ამბობენ, ნამდვილი მეკვლე ბარბარობის დღეს შემოსული სტუმარიაო.

— რა თქმა უნდა. აქედან გამომდინარე, ვცდილობ, ამ დღეს, ჩემი მეგობრები დავპატიჟო და შემთხვევით მოსული ადამიანი შინ არ შემოვუშვა...

— ოჯახში ძველით ახალ წელს უფრო აღნიშნავთ თუ ახალი სტილით ახალ წელს?

— მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი დღესასწაული, ძველით ახალი წელია, ყველა მაინც ახალი სტილით ზეიმობს. თუმცა, ძველით ახალ წელსაც ვაკეთებ გოზინაყს, იმიტომ, რომ ახალ წელს გაკეთებული გოზინაყი ძველით ახალ წლამდე არ მრჩება. ასე რომ, ყოველ წელს, ორჯერ მიწევს გოზინაყის მომზადება. იმდენად მიყვარს, რომ ზაფხულშიც კი გამიკეთებია და მიჭამია.

— გარდა გოზინაყის მომზადებისა, სამზადისში თუ მონაწილეობ ხოლმე?

— არა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი წლის ღამეს ძალიან დატვირთული ვარ, სამწუხაროდ, სახლში ფუსფუსს ვერ ვახერხებ. ამ საქმეს მშვენივრად უძღვება დედაჩემი. მე კი უფრო, „გარე მინისტრი“ ვარ *(იცინის)*...

— საახალწლო კერძებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— ყველაფერი მიყვარს, რასაც დედაჩემი აკეთებს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბაჟე. ის დედას ძალიან გემრიელი გამოსდის. რაც შეეხება სასმელს — მიყვარს 1 ჭიქა წითელი ან შავი ღვინის დალევა.

— ახალ წელს ჩვეულებრივ, სად ხვდები ხოლმე?

— რა თქმა უნდა, სახლში. შემდეგ, გავდივარ ამა თუ იმ კონცერტზე. ბოლოს კი გვიან, მეგობრებისთვისაც ვიცლი.

— როგორი იყო შენთვის 2005 წელი?

— რა გითხრა — ალბათ, „შერეული“, როგორც ყოველთვის: ეს წელი თავისებურად ლამაზიც იყო და დაძაბულიც. მაგრამ ამ წელს, ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: მთელი ცხოვრება მემახსოვრება ის, რომ 2005 წელს ჯვარი დავიწერე.

— როგორც იცი, 2006, ძაღლის წელიწადია. გიყვარს ძაღლები?

— მიყვარს. განსაკუთრებით, ლამაზი და კარგი ჯიშის ძაღლები, მაგრამ ახლოს ვერ ვეკარები. ჩემ გარშემო არაერთ ოჯახს ჰყავს ძაღლი, მაგრამ მე სახლში ძაღლს ვერ ავიტან. რა ვქნა — ასეთი ვარ...

— უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები გაქვს, მოსკოვში საქმიანი ვიზიტით მიდიხარ თუ დასასვენებლად?

— რა თქმა უნდა, საქმიანით: იქ რამდენიმე კონცერტი მაქვს დაგეგმილი სხვადასხვა კლუბში.

— გჯერა თუ არა, რომ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილი ასრულდება?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, რომ დავიჯერო...

— მაინც რა გინდა, რომ აგიხდეს, თუ საიდუმლო არ არის?

— ძალიან მინდა, რომ მეყოლოს შვილი.

— დაბოლოს, რას უსურვებ ჩვენს მკითხველებს, შენს თაყვანისმცემლებს?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მშვიდობას. ვისურვებდი, რომ გაჭირვებული ადამიანები აღარ ყოფილიყვნენ. განსაკუთრებით მინდა, რომ ქუჩაში აღარ იყვნენ ულუკმაპუროდ დარჩენილი მოხუცები და ბავშვები. ვფიქრობ, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ მოვლა-პატრონობა იმიტომ, რომ ისინი ყველაზე უსუსურები არიან... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეროვნული უბის წიგნაკიდან:

უგზავნიდნენ პოლის თაყვანისმცემელი გოგოები სხვადასხვა ნივთს და ეხვეწებოდნენ: „სთხოვეთ პოლს, ეს საღეჭი რეზინი დაღეჭოს და შემდეგ, ისევ უკან გამომიგზავნეთ“ — ანდა: „სთხოვეთ პოლს, ერთი დღე ატაროს ეს წინდები და შემდეგ, უკან გამომიგზავნეთ!“

21. კოლუმბიელი ნარკობარონი, პაბლო ესკობარი 11 წლის ასაკში, საფლავის ქვებს იპარავდა, წარწერებს შლიდა და ქვებს ყიდდა.

22. სერგეი ესენინს ძალზე ეშინოდა სიკვდილის. მან საკუთარი ბიუსტიც კი გადაგდო ფანჯრიდან. ბიუსტი რომ დაიმსხვრა, ესენინმა შესძახა: „ვსიო, ტეპერ ბუდუ ჟიტ!“

23. „ადამიანი მხოლოდ უმნიშვნელო როლს თამაშობს საკუთარ ცხოვრებაში“, — ამტკიცებს სტანისლავ ეჟი ლეცი.

24. ავსტრალიაში, ერთ ოჯახში მობინადრე ბულდოგმა პატრონის მუსიკალური საათი გადაყლაპა. პატრონი მანამ ეძებდა საათს, სანამ ძაღლის მუცლიდან ნაცნობი მელოდია არ შემოესმა. ცხოველი ვეტერინართან წაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. ექიმმა ძაღლიც გადაარჩინა და საათიც.

25. ამერიკაში მშრალი კანონის მოქმედების დროს, მაფიოზ ბუტლეგერებს თითქმის ყველა პოლიციელი და ჩინოვნიკი მოსყიდული ჰყავდათ. მაგრამ ყველა როდი იღებდა ქრთამს, გამონაკლისებიც არსებობდნენ: ბუტლეგერთა რისხვად შერაცხული პოლიციელები — იზი ეინშტეინი და მო სმიტი — ქრთამს არასდროს გაჰკარებიან. მათ სპირტიანი სასმელებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი ტაქტიკაც ჰქონდათ შემუშავებული. ზამთარში ისინი მანქანას ღამის კლუბთან აჩერებდნენ. იზი ეინშტეინი წელს ზემოთ ტანსაცმელს იხდიდა და თოვლში წვებოდა, მო სმიტი კი, კლუბის კარზე ტეხდა ბრახუნს: „ღმერთო ჩემო, აქ კაცი წევს გაყინული, კვდება და შველა სჭირდება!“ გამოდიოდა ბარმენი, გაყინული პოლიციელი შენობაში შეჰყავდა და მოსასულიერებლად, პირში რამდენიმე ყლუპ ვისკის ასხამდა, რის შემდეგაც, მას დაუყოვნებლივ აპატიმრებდნენ. პოლიციელთა ამ წყვილს ეს ფანდი არაერთხელ გამოუყენებია წარმატებით.

ცნობილი ტელეპროექტი „პატრული“ უკვე მეორე წელია, საახალწლო ხუმრობებს გვთავაზობს, სადაც მთავარი პატრულები, ცნობილი ადამიანები არიან. გასული წლის გმირებიდან, წელს მხოლოდ ინგა გრიგოლია და სტეფანე იყვნენ, დანარჩენები კი, პატრულობის ბედნიერებას პირველად ეზიარნენ. ვიდრე მათ შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ, თავდაპირველად, პროექტის იდეის ავტორის, გურამ დონაძის კომენტარს შემოგთავაზებთ:

საახალწლო „შტრაფები“, ინტრიგანი მოქალაქე და ნათხოვარი ინდაური

— თავად რატომ არ მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა?

— იმის გამო, რომ მე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ვარ. ალბათ, ძალიან საინტერესო იქნებოდა, მე რომ პატრულის როლი შემესრულებინა, მაგრამ საკუთარ პროექტში „გამარიაჟება“ ნამდვილად არ მჭირდება და არც სწორად მიმაჩნია ასეთი საქციელი.

— დიდი მადლობა.

საინტერესო იქნებოდა, მე რომ პატრულის როლი შემესრულებინა, მაგრამ საკუთარ პროექტში „გამარიაჟება“ ნამდვილად არ მჭირდება და არც სწორად მიმაჩნია ასეთი საქციელი

— კიდევ იმის თქმა მინდა, რომ თქვენს რედაქციას შსს-სა და მინისტრის სახელით, შობა-ახალ წელს ვულოცავ, წარმატებებს პროფესიონალურ საქმიანობაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ!

ახლა კი, „ერთჯერადი“ პატრულების შთაბეჭდილებებს გავეცნოთ. უხდიდნენ თუ არა მათ ქრთამს, რა ღირდა ინდაური და ჩურჩხელები და უყვარს თუ არა ქართველ ხალხს პატრული — ამ ყველაფერზე მსახიობები: ***მარიანა ინდაშვილი, ცუცა კაპანაძე*** *და რეჟისორი* ***გიორგი კიკალეიშვილი*** *გვიპასუხებენ.*

მარიანა:

— ამ პროექტში მონაწილეობა გურამ დონაძემ მთხოვა და სიხარულით დავთანხმდი, რადგან პატრულის მიმართ დიდი სიმპათია მაქვს.

— რატომ? იმიტომ, რომ პატრულს სიმპათიური თანამშრომლები ჰყავს თუ მათი სამუშაოს გამო?

— ყველაფერი ერთად. საკმაოდ სიმპათიური ბიჭებიც ჰყავთ და კეთილგანწყობილებიც არიან დაზარალებული ადამიანების მიმართ. არასოდეს არაფერი ეზარებათ და კარგები არიან. რამდენადაც ვიცი, ხალხსაც კარგი დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ. გურამ დონაძემ მსგავსი პროექტი შარშანაც გააკეთა, რომელსაც ვუყურე და ძალიან მომეწონა. იმდენად შევედი აზარტში, რომ ჩემი თავი პატრულად წარმოვიდგინე და ვფიქრობდი, მსგავს სიტუაციებში მე როგორ მოვიქცეოდი... წელს, როცა დამირეკა და მითხრა, ცოტა ხნით პატრული უნდა იყოო, ავად ვიყავი და ლოგინში ვიწექი, მაგრამ იმდენად მქონდა პატრულობის სურვილი, რომ სწოლიდან წამოვდექი, ფორმა ჩავიცვი და ნატახტრის გზაზე ჩურჩხელებსაც ვყიდდი. როგორც ჩანს, ხალხს პატრულის ძალზე დიდი შიში აქვს, რადგან რომ ვაჩერებდი მანქანებს, მძღოლები გაფითრებული სახით გადმოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი დაურღვევიათ, მაინც შეშფოთებულნი იყვნენ. არც კი მეგონა, თუ პატრულის ასე ეშინოდათ. საკმაოდ კორექტულად იქცეოდნენ, რადგან ჩემთვის ზედმეტი არაფერი უთქვამთ, უბრალოდ, თავს იმართლებდნენ. „შტრაფს“ თუ არ გადაიხდით, მაშინ ჩურჩხელები წაიღეთ და 100 ლარი გადამიხადეთ-მეთქი, — ვეუბნებოდი. ზოგი იმდენად განერვიულდა, სერიოზულად შემეშინდა, გული არ გასკდომოდა. „შტრაფად“ რაღაც კოლოსალურ თანხას ვუსახელებდი. ისინი კი თავიანთ ოჯახურ მდგომარეობას მიხსნიდნენ — რამდენი ოთახი ჰქონდათ ბინაში, რომ „სექენდ ჰენდში“ ყიდულობდნენ ტანსაცმელს და ა.შ. ამ მომენტში წესით, რაიმე სახუმარო უნდა მეთქვა, მაგრამ ისე განვიცდიდი მათ მდგომარეობას, რომ ვერაფერს ვამბობდი. ძალიან ვნერვიულობდი. ისღა მქონდა იმედად, რომ ბოლოს უნდა მეთქვა, ეს საახალწლო ხუმრობაა-მეთქი. გულით ვინატრე, ნეტავ, ვალიდოლი მქონოდა ჯიბეში... ქუდი ისე მქონდა ჩამოფხატული, რომ საერთოდ ვერავინ მიცნო. თან, ეკრანზე აბსოლუტურად სხვანაირი ვარ და მით უმეტეს, იქ ისე გამოვიყურებოდი, რომ დედაჩემიც კი ვერ მიცნობდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ვიღაც ორი ბიჭი გავაჩერე და ისინი მიხვდნენ, რომ ნამდვილი პატრული არ ვიყავი. ერთ მძღოლს რომ ვუთხარი — ეს ყველაფერი საახალწლო ხუმრობა იყო-მეთქი, — ისე გაუხარდა, რომ მანქანაში ბევრი რაღაც ეწყო და მანდარინები და კანფეტები მაჩუქა. ერთმა კიდევ, ქრთამის სახით, 50 ლარი მომიტანა. იმ კაცს თავიდან, 100 ლარი ვთხოვე. ჯერ მითხრა — „კაპიკიც“ არ მაქვსო, — მერე, ის 50 ლარი მომიტანა და თან იფიცებოდა — ამის მეტი მართლა არ მაქვსო. ვუთხარი — თუ გინდა, დაგიჯერო, მაშინ დაიჩოქე-მეთქი. მართლა დაიჩოქა და თან პირჯვარს იწერდა; ოღონდ, იმდენად ნერვიულობდა, რომ „უკულმა“ იწერდა პირ-

ნათია ქივიძე

— შარშანდელმა „საახალწლო პატრულმა“ გაამართლა და დიდი რეიტინგითაც სარგებლობდა. წელსაც ვგრძნობდი, რომ ხალხი ახალ „საახალწლო პატრულს“ ელოდა... 15 ნოემბერს, გადაცემის გადაღებები და მონტაჟი უკვე დასრულებული გვქონდა. პროგრამა 50-წუთიანი იყო, სადაც, როგორც თავად დარწმუნდით, ბევრი საკმაოდ კარგი სახუმარო ნომერია.

— რის მიხედვით შეარჩიეთ ამ სახუმარო ნომრებში მონაწილე გმირები?

— არაფერი განსაკუთრებული არ იყო ამისთვის საჭირო. უბრალოდ, დავურეკე ცნობილ ადამიანებს და პროექტში მონაწილეობა შევთავაზე. ყველა დიდი სიამოვნებით დამთანხმდა, გარდა ერთი ცნობილი მსახიობი ქალბატონისა, რომლის სახელსა და გვარს არ გაგიმხელთ. სიმართლე რომ გითხრათ, მისგან ეს უარი ძალზე გამიკვირდა, რადგან აქამდე, ის ქალბატონი ამაზე კარგ არც ერთ პროექტში სტუმრის სტატუსით ნამდვილად არ მინახავს...

— გაიხსენეთ ისეთი კურიოზი, რომელიც კადრს მიღმა დარჩა.

— ხალხს ფარული კამერით გადაღების მერე რომ ვუმხელდით, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო და ჩვენ ნამდვილი პატრულები არ ვართ-თქო, მერე უკვე, ყველა გადაცმულ პატრულს ცნობდნენ და იცინოდნენ. არც ერთს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ერთადერთი ადამიანი შეგეხვდა, რომელიც ძალზე გაღიზიანდა. გამიკვირდა, რომ ამ ადამიანში არანაირი ქართული მენტალიტეტის ნასახი არ აღმოჩნდა: დაიწყო ინტრიგანობა, ჩივილები. ჩხუბობდა — ასეთ სიტუაციაში რატომ გადამიღეთო?! ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ვიდრე ის მიხვდებოდა, რომ მას ფარული კამერით ვიღებდით, ე.წ. პატრულს ქრთამი შესთავაზა. ისე მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ, უწესო ადამიანები იქცევიან. მერე გვედავებოდა — ჩემი კადრები არ გაუშვათო. არც მქონდა ამის სურვილი, მაგრამ ძალიან მეწყინა, ჩვენი ხუმრობა რომ ვერ გაიგო. ეს ფაქტი კურიოზიც იყო და ცოტათი არასასიამოვნო მომენტიც. ეს კაცი რომ გადაიღეს, ლელა წურწუმია და გიორგი კიკალეიშვილი პატრულირებდნენ.

ჯვარს... ახლა იმის გამო შევედავე — უკულმა რომ იწერ პირჯვარს, ეს რა წესია-მეთქი?!. გავაგიჟე კაცი. ის ფული კი, რა თქმა უნდა, დავუბრუნე, აბა, შინ ხომ არ წავიღებდი!.. იმდენად შევიჭერი როლში, რომელიმე სერიალში სიამოვნებით შევასრულებდი პატრულის როლს. რეალურად კი, პატრულობა მართლა ძნელი ყოფილა. იქ სამუშაოდ ადამიანს ძლიერი ნერვები სჭირდება. მე კი ისეთი სუსტი გული მაქვს, რომ მათი ოჯახის გაჭირვებას რომ ვისმენდი, სერიოზულად მეცოდებოდნენ. პატრული რომ ვყოფილიყავი, რაც არ უნდა დაერღვიათ, მაინც გავუშვებდი... მოკლედ, ნამდვილ პატრულად არ გამოვდგები. ზოგიერთი მათგანი კანონებზე მელაპარაკებოდა და მემუქრებოდა — ახლა პროკურატურაში დავრეკავ და შენს თავს მოვახსნევინებო! ერთმა კაცმა მითხრა — იმდენად მიჭირს, რომ ამწუთას, „მეორად ტანსაცმელში“ ეს შარვალი 6 ლარად ვიყიდეო. ერთი კაცი კი ისე განერვიულდა, რომ გავარდა, მანქანაში ჩაჯდა და გაზეთის კითხვა დაიწყო. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთვის ერთი ზედმეტი სიტყვაც კი არ უკადრებია არავის, მიუხედავად იმისა, რომ უსამართლოდ ვაჩერებდი, არავის არაფერი დაურღვევია და მაინც „შტრაფს“ ვუწესებდი. ალბათ, ქალი რომ ვიყავი, ამის გამო უფრო ლოიალურად მექცეოდნენ... რაც შეეხება ახალ წელს — გეტყვით იმას, რომ თქვენს მკითხველს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ, რომ საქართველოში ყოფილიყოს ისეთი ლაღი და ბედნიერი ცხოვრება, რომ ხალხს პატრულისთვის „შტრაფის“ გადახდის არ შეშინებოდეს. კიდევ ვისურვებდი, რომ წესები არ დაერღვიოთ.

— გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი კლიშეკერი ხარ, შენი სახე ეკრანზე არ ჩანს ხოლმე, ამიტომ ალბათ, ხალხი ვერ გცნობდა, ხომ?

გიორგი:

— როგორ არა?! მცნობდნენ — იმიტომ, რომ ლელასთან ერთად „ვმორიგეობდი“ და მაშინვე ხვდებოდნენ, ვინ გიორგი ვიყავი... ვინც გვიცნო, ისინი გავუშვით კიდეც. ასე დავრჩით „გაახალწლევგახუმრებულები“... მინდა აღვნიშნო, რომ გადაღებების დღეს, ძალიან ციოდა. მე და ლელა დიღმის გზაზე ვიდექით საპატრულო მანქანით და ჩვენს „მსხვერპლს“ ველოდით. პირველი ხუმრობა დიდი შოკის მომგვრელი იყო. ალბათ გახსოვთ, მანქანას ვაჩერებდით და ვეუბნებოდით — თქვენი მანქანა გადმოცემული იყო და ეს პაკეტი დაგივარდათ-თქო; ვაწვდიდით პაკეტს, რომელშიც 2.000 დოლარი იდო. რა თქმა უნდა, ეს ყალბი კუპიურები იყო. ის ხალხი, რომელიც თავიდან გვიცხადებდა, რომ პაკეტი არ დაუკარგავს, რომ გაიგებდა, პაკეტში რაც იდო, — უი, კი, კი, დავკარგეო! — ამბობდა, — მოჰკიდებდა ხელს და მიდიოდა. ჩვენგან 100-ოდე მეტრში პატრულის სხვა ეკიპაჟი იდგა, რომელიც ფულს ართმევდა, თან ედავებოდა — ეს თქვენს ხელში საიდან მოხვდაო?! — მერე ჩვენთან მოჰყავდათ, ჩვენ კი უარს ვაცხადებდით — საიდან მოიტანეთ, ეს ხალხი საერთოდ არასოდეს გვინახავს-თქო... წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ!.. მერე, მე და ლელა მივხვდით, რომ ჩვენი ასეთი ხუმრობით ვიღაც შემოგვაკვდებოდა და გურამს ვთხოვეთ — იქნებ, სხვა ხუმრობით შევცვალოთ-თქო. იმანაც მოიფიქრა, ვითომ, ჩემი დაბადების დღე იყო; ვაჩერებდით ხალხს და თუ „შტრაფს“ არ გადაიხდიდნენ, ერთ ჭიქა კონიაკს ვასმევდით და ვუშვებდით; 100 მეტრში კი, მათ „სიმთვრალის გამო“ აკავებდნენ... ერთი კურიოზული ამბავი ის იყო, რომ მკითხეს — რა გქვიაო? — ვუპასუხე — მე რუსლანი მქვია და ჩემს მეწყვილეს ლიუდმილა-მეთქი. — რუსლან, შენ გაგიმარჯოსო! — და წავიდა. იქით დაიჭირეს. ამ დროს, ლელამ მთხოვა — საპატრულო მანქანის გატარება მინდაო, — და გავიარეთ. იმ კაცმა კი ყვირილი დაიწყო — აი, ამ რუსლანმა და ლიუდმილამ დამალევინეს სასმელიო!.. მერე, როცა სიმართლე ვუთხარით, ძალიან დიდხანს არ სჯეროდა, რომ ლელა წურწუმია იყო პატრული, მერე კი გვითხრა — კონცერტის ბილეთი მომეცით და წავალო.

— ქრთამი არავის შემოუთავაზებია?

— არანაირი ქრთამის შემოთავაზება არ ყოფილა. ერთი რამ კი, შემიძლია თამამად აღვნიშნო: ჩვენგან ნასვამი მძღოლები რომ მიდიოდნენ, მეორე ეკიპაჟთან არ „გვიშვებდნენ“ — არ უმხელდნენ, რომ ჩვენ დავალევინეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მოსახლეობას პატრულის მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს.

— თავად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ პატრულის მიმართ?

— არაჩვეულებრივი. იმიტომ, რომ ძალიან კარგი, წესიერი და კულტურული ბიჭების შთაბეჭდილებას ტოვებენ. აქამდე, მათთან შეხება არ მქონია, რადგან არც წესრიგის დამრღვევი ვარ და არც კრიმინალი.

— აქამდე თუ უყურებდი გადაცემა „პატრულს“?

— კი, ვუყურებდი და გურამს ვუთხარი კიდეც, რომ ამ საახალწლო პროექტებით გადაცემას ბევრი რამ შესძინა. კიდევ ერთს ვიტყვი: ჩემი აზრით, გადაცემა „უბნის ინსპექტორი“ ყველაზე კარგი რეალითი-სერიალია, დიდი სიამოვნებით მივიღებდი მასში მონაწილეობასაც. ამ თემას ჩემს პროფესიონალურ საქმიანობაში აუცილებლად გამოვიყენებ. თქვენს მკითხველებს კი, ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ, იმდენი საჭმელი ჰქონდეთ, რომ მაცივრის კარი არ იხურებოდეს. და კიდევ — სტაბილურობას ვუსურვებ, რომლისკენაც ნამდვილად მივდივართ.

მხოლოდ ერთმა კაცმა ვერ მიცნო. ვიღაც მეცნიერი იყო და 20 ლარად ერთი კილო ნიგოზი მივყიდე...

ცუცა:

— გურამ დონაძემ დამირეკა და ამ პროექტში მონაწილეობა შემომთავაზა. ვიკითხე — თუ გადამიხდით რაიმეს-მეთქი? — რა თქმა უნდაო, — მიპასუხა, — ვიცით, როგორც გიჭირს და აუცილებლად კარგად გადაგიხდით, მაგრამ იცოდე, ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს და არავის უთხრაო. თანხა გადამიხადეს და მეც ამ ყველაფერს საიდუმლოდ ვინახავ. არავისთვის მითქვამს. აგერ, თქვენ გეუბნებით და იმედი მაქვს, რომ არ გამცემთ... ალბათ იცით, რომ მე გასაყიდად ინდაური და ნიგოზი მქონდა. ჯარიმის სახით, მძღოლებს იმხელა თანხას ვუსახელებდი, რომ გიჟდებოდნენ, მერე კი ჩუმად ვეუბნებოდი, რომ საკუთარი ხელით გაზრდილი კარგი ინდაური მყავდა და თუ ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, მაშინ ის უნდა ეყიდათ. მთავარი ის იყო, რომ აბსოლუტურად ყველა მცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აღნაგობის გამო, ჩემი ზომის ტანსაცმელი ვერ იშოვეს და პატრულის ქულაჯა მუხლამდე მწვდებოდა, ქუდიც ისე მქონდა ჩამოფხატული, რომ არაფერი მიჩანდა... მძღოლები გადმოვიდოდნენ თუ არა მანქანიდან, მაშინვე მეუბნებოდნენ — შენ ცუცა არა ხარო? — არა, გენაცვალე, მე კაპიტანი ნამორაძე ვენერა გახლავართ-მეთქი! — მაგრამ ვინ მიჯერებდა?! — კაპიტანო ვენერა-ცუცა, ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებიაო, — მეუბნებოდნენ. ერთ-ერთმა მძღოლმა მითხრა, ჩაჯექი მანქანაშიო. მეც ჩავჯექი. ის თან აქეთ-იქით იყურებოდა და თან ფულს ჩუმად მითვლიდა. მომცა 100 ლარი და წავიდა. ვუყვიროდი — დაბრუნდი, დაბრუნდი-მეთქი. — რა იყო, ქალბატონო ვენერა-ცუცა, კიდევ უნდა მოგცეთო? — არა, მე უნდა მოგცეთ-მეთქი. — რა უნდა მომცე, კაცოო?.. — გადაირია. დავუბრუნე ფული და ჩვენს ხუმრობაზეც ბევრი იცინა. მერე, როგორც იქნა, ერთ მძღოლს ეს ჩემი ვითომდა გამოზრდილი ინდაური 25 დოლარად მივყიდე. წავიდა ის კაცი და ჩასვა ინდაური მანქანაში. დონაძე გადაირია — დააბრუნებინე, გოგო, ეგ ინდაური, ნათხოვარი მყავსო. — მერე, შე მათხოვარო, ამ ნათხოვარ ინდაურს რომ მაყიდვინებ, ასე უნდა-მეთქი?!. ძლივს დავაბრუნებინეთ იმ კაცს, აღარ გვიბრუნებდა — 25 დოლარად ვიყიდე ეს ინდაური და ვერავის ვერ მივცემო... მხოლოდ ერთმა კაცმა ვერ მიცნო. ვიღაც მეცნიერი იყო და 20 ლარად ერთი კილო ნიგოზი მივყიდე. ცელოფანის პარკი არ გვქონდა, ამიტომ ჯიბეებში ჩავუყარე ეს ნიგოზი, ნაწილი კიდევ, ორივე ხელში დავაჭერინე. ძალიან ეწყინა, როცა ვუთხარით, ხუმრობა იყო-თქო. მერე, მისმა ახლობლებმა დამირეკეს და მთხოვეს, არ გაუშვათ ეგ კადრი, სირცხვილია, ცნობილი მეცნიერიაო. — რა ვქნა, გენაცვალე, გადაცემის ავტორი, დონაძეა და იმას დაურეკეთ, მე ვერ გადავწყვეტ, რომელი კადრი უნდა გავიდეს და რომელი არა-მეთქი... მოკლედ, ამ პროექტით ძალზე კმაყოფილი ვარ. კარგად ვიმხიარულე და მომავალშიც აუცილებლად მივიღებ მასში მონაწილეობას. თუმცა, პატრულზე მეტად, „უბნის ინსპექტორი“ მომწონს და ეს პროექტიც რომ გააკეთონ, იქაც სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას. ოჯახურ კონფლიქტებს ცუცა კაპანაძე მოაგვარებდა!.. ქართველ ხალხს ვულოცავ შობა-ახალ წელს და ბედნიერებას ვუსურვებ! ■

მსოფლიოში სასტიკად დანაშაულებამ იმატა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შემაშფოთებელ სტატისტიკას აქვეყნებს

ის, რომ კრიმინოგენური ვითარება მთელ მსოფლიოში დაიძაბა და სასტიკ დანაშაულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, სიახლეს არ წარმოადგენს. ამაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. თუმცა, სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც გასული წლის 30 და 31 დეკემბერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მისი ექსპერტების მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ საათში, 200 ათასამდე დანაშაული ხდება. შარშან კი, მთელი წლის მანძილზე, დედამიწაზე 450 მილიონი დანაშაული დაფიქსირდა. ეს ოფიციალური ცნობაა. მაგრამ ექსპერტები აცხადებენ, რომ ვითარება გაცილებით შემაშფოთებელია. მათი მონაცემებით, მსოფლიოში მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ზემოთ აღნიშნულ ციფრს 3-4-ჯერ აჭარბებს. „უბრალოდ, დანაშაულთა უმეტესობა არ არის რეგისტრირებული", — ამბობენ ისინი. მათივე თქმით, სულ უფრო ხშირად ფიქსირდება უახლესი ტექნიკის — მაგალითად, კომპიუტერის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულიც.



საგრძნობლად იმატა ძალადობის შედეგად დაღუპულთა რიცხვმაც. ყოველწლიურად, მილიონ 600 ათასზე მეტი ადამიანი სწორედ ბოროტმოქმედების შედეგად იღუპება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2005 წლის მიწურულს, აღნიშნულ საკითხს საგანგებო კონფერენცია მიუძღვნა და ქვეყნების მთავრობებს მიმართა თხოვნით — დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა განზრახ მკვლელობების რიცხვი შემცირდეს და აღმოიფხვრას ოჯახური ძალადობისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები. „გარდა იმისა, რომ იღუპებიან, მილიონობით ადამიანი იღებს სხეულის ისეთ მძიმე დაზიანებებს, რომლის შედეგადაც, სამუდამოდ ინვალიდად რჩება", — ნათქვამია ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ანგარიშში. ამავე დოკუმენტის თანახმად, ძალადობის შედეგად დაღუპულთა ასაკი 15-დან 44 წლამდე მერყეობს. ამ მიზეზით გარდაცვლილთაგან 14% მამაკაცია, 7% — ქალი. „ამ ციფრებს უფრო შორს თუ გავყვებით და საფუძვლიან გამოვითვლით, დავადგენთ, რომ მსოფლიო მასშტაბით ყოველწუთს, თითო ადამიანი მაინც კვდება თავდასხმის შედეგად, ყოველ 40 წამში კი, თვითმკვლელობა ფიქსირდება. რაც შეეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს, ამის შედეგად, ყოველ საათში საშუალოდ, 35 ადამიანი იღუპება", — აღნიშულია ექსპერტთა დასკვნაში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ბოლო ასწლეულის მანძილზე, ომებსა და ლოკალურ შეტაკებებში დაღუპულთა საერთო რაოდენობა 191 მილიონს(!) შეადგენს. ამასთან, შემაშფოთებელი სისწრაფით იზრდება და სულ უფრო შემზარავ ხასიათს იძენს ძალადობა ოჯახებში. იქ მომხდარი კონფლიქტების შედეგად დაღუპულთაგან უმეტესობა — ქალია, მათგან ყოველი მეოთხე — სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. დაფიქსირებული ფაქტები მეტყველებს, რომ ქალებს ხშირად, ყოფილი ქმრები ან საყვარლები უსწორდებიან. ოჯახში ძალადობის პრობლემა ხანდაზმულებსაც უკავშირდება. ორგანიზაციის წარმომადგენელთა ცნობით, მოხუცთა 6% სწორედ ოჯახური კონფლიქტის შედეგად ეთხოვება სიცოცხლეს.

„ამ სტატისტიკურმა მონაცემებმა ადამიანებს უნდა შეაცვლევინოს დამოკიდებულება ძალადობისა და ოჯახური პრობლემების მიმართ. გამოუსწორებელი არაფერია და თუკი საჭირო ზომებს მივიღებთ, სასიკვდილო შემთხვევების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება. ამისთვის აუცილებელია, შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები მოსწავლეებისთვის, მათი მშობლებისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნებში უნდა შეიზღუდოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება", — აღნიშნავს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თავმჯდომარე, გრო გარლემ ბრუნდტლანდი.

გამოკვლევების მიხედვით, ყველაზე დიდი საშიშროება ადამიანის სიცოცხლეს კოლუმბიაში ემუქრება. ექსპერტები ამბობენ, რომ იქ ყოველი მეათასე მოსახლე მკვლელობის მსხვერპლი ხდება. ამ მხრივ, მეორე ადგილზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა, მესამეზე — იამაიკა. მას მოჰყვება ვენესუელა, შემდეგ — რუსეთი, მექსიკა, ლიტვა და ესტონეთი. მეცხრე ადგილს ლატვია იკავებს, ხოლო მეათეს — ბელორუსია. რაც შეეხება აშშ-ს — სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად, იქ სხვადასხვა სახის 30-40 მილიონი დანაშაული ფიქსირდება; მათგან 4,5-5,5 მილიონი მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება.

რუსეთში მკვლელობებმა და ყაჩაღობამ იმატა

საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები აცხადებენ, რომ ყველაზე მეტი მკვლელობა რუსეთის ფედერაციაში ფიქსირდება. 2005 წლის მონაცემებით, ამ მაჩვენებლით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ყველაზე წინ დგას და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი უსწრებს. სტატისტიკის მიხედვით, რუსეთში 20-ჯერ მეტი მკვლელობა ფიქსირდება, ვიდრე იაპონიაში; 17-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიაში; 14-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში; 12-ჯერ მეტი, ვიდრე შვეიცარიაში და 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე აშშ-ში. სამაგიეროდ, ყაჩაღური თავდასხმების მიხედვით, შვეიცარია 20-ჯერ აჭარბებს რუსეთს. დანიაში კი 10-ჯერ მეტი ქურდობა ხდება. პატიმრების რაოდენობის მხრივ, პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია, მეორეზე — რუსეთი, მესამეზე — ყაზახეთი, მეოთხეზე — ბელორუსია. რუსეთის გენპროკურატურის ინფორმაციით, 2005 წელს, ქვეყანაში 33500 განზრახ მკვლელობა დაფიქსირდა, მათგან 7700 დღემდე გაუხსნელია. რუსი სამართალდამცველები იმასაც აღიარებენ, რომ მომრავლდა კანიბალიზმის შემთხვევაც. ოფიციალური ცნობით, ძალადობის შედეგად, იქ ყოველწლიურად, დაახლოებით 100 ათასი ადამიანი კვდება, მათგან 3500-ზე მეტი — მოზარდია.

მოზარდ მკვლელებს შორის გოგონებიც არიან

მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება. სტატისტიკის მიხედვით, არასრულწლოვნები ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად კლავენ, აყაჩაღებენ და სხეულის მძიმე დაზიანებებს აყენებენ ადამიანებს. მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულებში შეინიშნება ვანდალიზმი და განსაკუთრებული სისასტიკე. ასევე ხშირად ფიქსირდება ჯგუფური ყაჩაღობის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სექსუალური ხასიათის დანაშაულის ფაქტიც. აღსანიშნავია ისიც, რომ მოზარდ დამნაშავეთა შორის, გოგონათა რიცხვმაც იმატა. მაგალითად, რუსეთში არსებულ გამოსასწორებელ დაწესებულებათაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებმა 63 კოლონია გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ იქ მცხოვრები 18500 პატიმრიდან, 1500 გოგონა იყო.

ყველაზე მეტი არასრულწლოვანი დამნაშავე ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს მსოფლიო პრობლემაა. მათი თქმით, მოზარდთა მხრიდან აგრესია ელვის სისწრაფით მატულობს და სულ უფრო საშიშ სახეს იძენს.

„როცა ამ ბავშვებს უყურებ, ბევრი იმდენად ლამაზი და მომხიბლავია, რომ გიჩნდება სურვილი, მაშინვე გაათავისუფლო. როგორც კი იკითხავ, თუ რა დააშავა, აღმოჩნდება, რომ სადისტური მკვლელობა ჩაიდინა... მათი ასაკი 14-დან 17-წლამდე მერყეობს. ამ ასაკში მოზარდი განვითარების ე.წ. ავტომატურ ფაზაში შედის და მისი შეჩერება პრაქტიკულად, შეუძლებელია. რაც არ უნდა დაუშალო, მაინც თავისას გაიტანს. ამიტომ ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები ბიოლოგიური ფაქტორებითაცაა განპირობებული. ამ აგრესიის ჩახშობა მხოლოდ ადრეული ასაკიდან სწორი აღზრდითაა შესაძლებელი. როცა მოზარდების მიერ ჩადენილი ამ სახის და ამ რაოდენობის დანაშაული ფიქსირდება, ეს ქვეყანაში არსებული, აღზრდისა და განათლების ინსტიტუტების სისუსტეზე მიუთითებს“, — აღნიშნავს გარლემ ბრუნდტლანდი.

„ჩვენში სულ უფრო მეტი დანაშაული იხსნება“ _ ირწმუნებიან ქართველი სამართალდამცველები

წლიური შედეგები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომაც გამოაქვეყნა. თუმცა, ლაპარაკია მხოლოდ გახსნილ დანაშაულებზე. ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ მძიმე კატეგორიის დანაშაულებსა და დღემდე გაუხსნელ ფაქტებზე ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის რატომღაც მიუწვდომელია. ციფრებზე საუბარს თავს არიდებენ, თუმცა შს სამინისტრო ირწმუნება, რომ ადრინდელთან შედარებით, საქართველოში კრიმინოგენური ვითარება უმჯობესდება და რაც მთავარია, სამართალდამცველების მიერ სულ უფრო მეტი დანაშაული იხსნება.

თბილისის შს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, 2005 წელს, 65 განზრახ მკვლელობის, 79 მკვლელობის მცდელობის, 369 ყაჩაღობის, 391 ძარცვის, 118 ავტოტრანსპორტის გატაცებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვატარების 367 ფაქტი გამოვლინდა. ამ ცნობის თანახმად, დედაქალაქში ყველაზე ხშირად, ქურდობა ხდებოდა. გასულ წელს, ქურდობის 986 ფაქტი დაფიქსირდა.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით, გამოვლენილია 615 დანაშაული, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში მხილებულია 916 პირი. შს სამინისტროს ინფორმაციით, გახსნილია წინა წლებში ჩადენილი 241 დანაშაული, დანაშაულთა ჩადენაში მხილებულია 4892 პირი, მათგან დაკავებულია 4176. დაკავებულებიდან 868, წარსულში ნასამართლევი გახლდათ. ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ დაკავებულთაგან 9 — ე.წ. კანონიერი ქურდია, 37 — კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, 245 — ქურდული ტრადიციების მიმდევარი გახლავთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2005 წელს განხორციელებულ სპეცოპერაციებზეც ამახვილებს ყურადღებას. „სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და რეზონანსულ უწყებად რჩება“, — მიიჩნევენ სამინისტროს ხელმძღვანელები. მათი თქმით, „ნადირობის სეზონი“ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის — მერაბ ჟორდანიას დაკავებით გაიხსნა: მაშინ, ყოფილ საფეხბურთო ჩინოსანს სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისება წაუყენეს ბრალად. ამას მოჰყვა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრის, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის — ალექსი დავითაშვილისა და ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი წევრის — გიორგი რევაზიშვილის დაკავება. ისინი ბიზნესმენისთვის თანხის გამოძალვაში დაადანაშაულეს. იმავე პერიოდში, სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად აიყვანეს საგადასახადო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები: ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის კონტროლის უფროსი, თენგიზ გაბელია, თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე, გიორგი კიკალიშვილი, დავით მაღრაძე, ლევან ნიკოლეიშვილი და სხვები. ისინი ქრთამის — 150 ათასი ლარის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. 2005 წლის ივლისში, განხორციელდა გორის ტერაქტში ეჭვმიტანილების — ვალიევისა და ზასიევის აყვანის სპეცოპერაციაც. 10 მაისს კი, თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ეჭვმიტანილი, ვლადიმერ არუთინიანიც დააკავეს. ამას მოჰყვა „საქსტანდარტის“ გენდირექტორისა და მისი პირველი მოადგილის, შემდეგ — ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, შალვა რამიშვილის დაკავება. უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, ციხეში ხანმოკლე პერიოდით, ბათუმის ყოფილი მერი და საზღვაო სანაოსნოს ყოფილი დირექტორი, ასლან სმირბაც აღმოჩნდა. გახმაურებულ დაკავებებს შორის, შს სამინისტრო განსაკუთრებით აღნიშნავს 2005 წლის 22 ნოემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლოში“ სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებით ჩატარებულ სპეცოპერაციას. იმ დღეს, ქრთამის აღების ბრალდებით, საბაჟოს 13 თანამშრომელი დააკავეს. შს სამინისტროს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 2006 წლიდან, ის კიდევ უფრო გააქტიურდება.

■

კრიმინალური ქრონიკა

მოსკოველი ტრეფიკიორი არასრულწლოვან გოგონებს არაბეთში ყიდდა

მოსკოვის საქალაქო სასამართლო ამჟამად, მოსკოველი ტრეფიკიორის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს. განსასჯელი 28 წლისაა. ბრალდება მას ოთხი სხვადასხვა მუხლით წაუყენეს: ადამიანებით ვაჭრობაში, არასრულწლოვნებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნასა და ყალბი დოკუმენტების დამზადებაში.

გამოძიების ვერსიით, განსასჯელი და მისი თანამზრახველები, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად მოქმედებდნენ. გოგონები, განსაკუთრებით არასრულწლოვნები, მათ ძირითადად, ქალაქ ტაშკენტიდან ჩამოჰყავდათ. თავდაპირველად, მათ რა თქმა უნდა, მაღალანაზღაურებად სამუშაოს ჰპირდებოდნენ. გოგონები ამ მაცდურ წინადადადებას მაშინვე თანხმდებოდნენ და ტყუვდებოდნენ. ჯერ მოსკოვში ჩადიოდნენ. იქ მათ, განსასჯელი ხვდებოდა და აძლევდა წინასწარ გამზადებულ, საზღვარგარეთის ყალბ პასპორტებს, სადაც გოგონების ასაკი შეცვლილი იყო. ამას ტრეფიკიორები იმისთვის აკეთებდნენ, რომ საუდის არაბეთში შესასვლელი ვიზის მიღებისას, პრობლემები აეცილებინათ თავიდან. ამის შემდეგ, გოგონებს ჯგუფის სხვა წევრები დუბაიში ხვდებოდნენ.

ართმევდნენ მათ საბუთებს და მუქარით აიძულებდნენ, პროსტიტუციით დაკავებულიყვნენ. დამნაშავეთა ჯგუფი ამ გეგმას ოთხი თვის მანძილზე წარმატებით ახორციელებდა. დაჯგუფების მოსკოველი წევრი გასული წლის დეკემბერში, მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიევო-2"-ში დააკავეს. მაშინ ის დუბაიში გოგონათა მორიგ ჯგუფს აგზავნიდა. სამართალდამცველებს სწორედ გოგონებმა დაურეკეს. როგორც თავად განაცხადეს, აეროპორტში სრულიად შემთხვევით მოჰკრეს ყური მოსკოველის ლაპარაკს და ასე შეიტყვეს მისი ნამდვილი განზრახვის შესახებ. შეშინებულმა გოგონებმა დაუყოვნებლივ დარეკეს მილიციაში და შველა ითხოვეს.

დაცვის წევრებს სერიული მოძალადე გაექცათ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთი ციხის დაცვის წევრებს — ორ ოფიცერს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ჯერჯერობით, ისინი მხოლოდ სამსახურიდან გაათავისუფლეს იმისათვის, რომ დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულეს: ოფიცერთა უყურადღებობის შედეგად, ციხიდან საშიში დამნაშავე გაიქცა.

ციხე ფლორიდის შტატში, მაიამი-დეიდის რაიონში მდებარეობს. როგორც იქაური სამართალდამცველები აცხადებენ, საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიში მოძალადე — 34 წლის რეინალდო რაპალო, გოგონების (მათ შორის არასრულწლოვნების) და ხანდაზმული ქალების გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს. მოძალადის მსხვერპლი, 6 გოგონა (მათგან ერთ-ერთი — 11 წლის) და 77 წლის მოხუცი გახდნენ. რაპალო სასამართლო პროცესის დაწყებას 2003 წლიდან ელოდა. ის კამერაში მარტო ჰყავდათ გამოკეტილი და განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ გაქცევა მაინც მოახერხა. როგორც ჩანს, ამაზე დიდხანს ფიქრობდა და საგანგებოდ მოემზადა კიდეც. პატიმარმა დაადგინა, რომ მისი კამერის ჭერზე დამონტაჟებული სავენტილაციო მოწყობილობის მილი ციხის სახურავზე გადიოდა. იქ მან გასასვლელი ხვრელი აღმოაჩინა. მილი სახურავზე ასასვლელ რკინის კარამდე გრძელდებოდა. რაპალომ, როგორც ჩანს, რკინის კარის საკეტი წინასწარ გატეხა, შემდეგ, კვლავ საკანში დაბრუნდა, რამდენიმე ზეწარი ერთმანეთზე გადააბა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. როცა შესაფერისი მომენტი დადგა, ის სახურავზე აძვრა, იქიდან კი, გადაბმული ზეწრების მეშვეობით, მიწაზე დაეშვა.

მოძალადის მოულოდნელ გაქცევას დიდი ხმაური მოჰყვა. სამართალდამცველებმა, გარდა იმისა, რომ გაქცეული პატიმრის ფოტოები გამოაქვეყნეს, მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენაც მოუწოდეს. აღსანიშნავია, რომ რაპალო, 6 გოგონასა და ერთი მოხუცი ქალბატონის გაუპატიურების გარდა, გაუპატიურების მცდელობის ოთხ ფაქტშიც იმხილება. შტატის ხელმძღვანელობამ გაქცეულის დასაკავებლად დახმარებისთვის, ჯილდოდ, 16 ათასი დოლარი გამოყო.

ბანდიტები ტრანსსექსუალებს უწევდნენ ექსპლუატაციას

იტალიის პოლიციამ მილანში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება გამოავლინა. პოლიციელთა ინფორმაციით, ჯგუფის წევრები სამხრეთ ამერიკიდან ჩამოყვანილ ტრანსსექსუალებს უწევდნენ ექსპლუატაციას. სამართალდამცველების თქმით, ტრანსსექსუალები მათ ესპანეთის, საფრანგეთისა და შვეიცარიის გავლით, უკანონოდ ჩაჰყავდათ მილანში და იქ არსებულ ღამის კლუბებში მუშაობას აიძულებდნენ. ჯგუფის ოთხი წევრი უკვე დაკავებულია. მაგრამ პოლიციის ინფორმაციით, ბანდის ლიდერები სამხრეთ ამერიკაში იმყოფებიან. მათი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

იტალიის სასამართლომ 2 აგენტის დასაპატიმრებლად ორდერები გასცა

ამ დღეებში, იტალიის, კერძოდ — მილანის სასამართლომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 2 აგენტის დასაკავებლად, ევროპის მასშტაბით მოქმედი ორდერები გასცა. აგენტები ეგვიპტელი სასულიერო პირის გატაცებაში არიან ბრალდებულები. გატაცება მილანში 2003 წლის 17 თებერვალს მოხდა. ეგვიპტელი სასულიერო პირი — ოსამ მუსტაფ ხასან ნასრი, იგივე აბუ ომარი მოულოდნელად გაიტაცეს, ჩაიყვანეს ეგვიპტეში და იქ სასტიკად აწამეს. მისი გატაცების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ აბუ ომარი ტერორისტებთან თანამშრომლობაში იყო ეჭვმიტანილი. იტალიელი სამართალდამცველების თქმით, გატაცება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა მოაწყვეს. თუ აქამდე, ოპერატიულ თანამშრომლებს ბრალდებულების დაკავება მხოლოდ იტალიის ტერიტორიაზე შეეძლოთ, ახლა ამის საშუალება მათ ევროპის 25 ქვეყანაში მიეცათ.

პოლიციის მაიორს თაღლითობა ედება ბრალად

საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის უფროსი გამომძიებელი, თბილისელი, პოლიციის მაიორი, 1978 წელს დაბადებული ბაადურ კაპანაძე სამართალდამცველებმა თაღლითობისთვის დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, მაიორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიცემულ ერთ-ერთ მოქალაქეს სასამართლოში დახმარებას დაპირდა, სანაცვლოდ კი, მას 280 დოლარის ღირებულების მობილური ტელეფონი გამოსძალა.

ყაჩაღობა თემქაზე

სოფელ მარტყოფის მკვიდრი, 1979 წელს დაბადებული ვალერიან ჩიტრეკაშვილი პოლიციამ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავა. სამართალდამცველების ინფორმაციით, ის გლდანი-ნაძალადევის გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობდა. პოლიციის ცნობით, თავდამსხმელებმა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში მცხოვრები, 1960 წელს დაბადებული ნოდარ არაქელოვი დააყაჩაღეს. დაზარალებულს ფიქსატორიანი დანითა და საფანტის პისტოლეტით დაემუქრნენ და ამ გზით 70 ლარი, მობილური ტელეფონი და ავტომანქანა „გაზ-3110" წაართვეს. დანა, პისტოლეტი და ავტომანქანაც ამოღებულია. თავდამსხმელთაგან კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ჩიტრეკაშვილია დაკავებული.

ჰეროინი შაქარში...

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის №3 საპყრობილის საამანათო განყოფილებაში, საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა 30 წლის გოჩა დ-ძე დააკავეს. თანამშრომლების თქმით, ის საპატიმროში ნარკოტიკული ნივთიერების შეგზავნას ცდილობდა. ეჭვმიტანილს ერთ-ერთ პატიმართან ამანათი მიჰქონდა. ამანათის შემოწმებისას კი, შაქრის ფხვნილში 0,117 გ ნარკოტიკული ნივთიერება — ჰეროინი აღმოჩნდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს სამმართველო აწარმოებს.

„მძიმეწონიანი“ წარსული და დღე, რომელიც არასოდეს დაავიწყდება: „2002 წლის 23 იანვარი იყო პოლო დღე, როდესაც გემრიელად გეახელით...“



პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილის პოლიტიკური კარიერა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც საბჭოთა რეჟიმი საქართველოში მძლავრობდა. ძმები ბერძენიშვილებისა და მათი თანამოაზრეების მიერ იატაკქვეშეთში აღმოცენებული რესპუბლიკური პარტიის არსებობა, ცხადია, სისტემისთვის მიუღებელი იყო. შესაბამისად, პირველი ქართველი რესპუბლიკელები დაისაჯნენ კიდეც — თავისუფლების აღკვეთით 3 წლის ვადით. ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით დაპატიმრებული ლევან ბერძენიშვილი მორდოვეთის ციხეში გატარებულ ტუსაღობის ხანაზე ახლა უკვე ირონიულად ლაპარაკობს. ღიმილით იხსენებს, თუ როგორ აწვდიდა, ურთულესი გზის გავლით, მისი ერთგული თანამოაზრე და მოკავშირე ცოლი „პერედაჩებს“... კამათისას ფარ-ხმალს მხოლოდ მეუღლესთან ყრის. მისი გატაცება, კომპიუტერი და დიეტოლოგიაა. უყვარს კითხვა. წიგნის სიყვარული ბიბლიოთეკის დირექტორობამდეც ჰქონდა ღრმად გამჯდარი. რაც შეეხება დიეტოლოგიას — განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ზედმეტმა წონამ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შეუქმნა. 170-დან 85 კილოგრამამდე „დათხელებული“ ლევან ბერძენიშვილი მუდმივად- დიეტაზეა და საკუთარ თავს საყვარელი საჭმლის — ხინკლისა თუ ხაჭაპურის გასინჯვის უფლებას მხოლოდ წელიწადში ერთი-ორჯერ აძლევს. თავს გამოუსწორებელ ოპტიმისტად მიიჩნევს და ყოველ ახალ წელს, განსაკუთრებული იმედებითა და სიხარულით ელოდება.

თამარ როსტიაშვილი

— დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად — ტექნიკური უნივერსიტეტის) ავტომატიკა-ტელემექანიკის, ხოლო მოგვიანებით — სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სხვადასხვა დროს, სოხუმისა და თბილისის უნივერსიტეტებში ვმუშაობდი. 1984 წლის დასაწყისში, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის მუხლით, დამაპატიმრეს და 3 წლის განმავლობაში, გაძლიერებული რეჟიმის, მორდოვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ციხეში ვიჯექი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, უნივერსიტეტში დავბრუნდი. მოგვიანებით, ბიზნესშიც მოვსინჯე ძალები და რამდენიმე ხნის განმავლობაში, მეგობრებთან ერთად კომპიუტერებით ვვაჭრობდი. ამის შემდგომ კი, გაეროს პროგრამით, სახელმწიფო მართვის ხელშემწყობ ჯგუფში ვმუშაობდი. გახლდით საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დირექტორი, ხოლო შემდეგ — ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის პოსტზე დავინიშნე. მიყვარს კომპიუტერი და ინტერნეტში მუშაობა. დაინტერესებული ვარ უცხო ენებით და დიეტოლოგიით. კარგად ვფლობ რუსულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს. აგრეთვე ვიცი, ინგლისური და ფრანგული. რუსულის ცოდნა მორდოვეთის ციხეში გავიღრმავე. ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ასე დამემართა.

მე გაცილებით მხიარული, ოპტიმისტი და მსუბუქი ხასიათის ვარ, ვიდრე დავითი

— პოლიტიკური იდეოლოგიის გამო, ძმები ციხეში ერთდროულად მოხვდით. პარტიის ჩამოყალიბებისას, მშობლებისგან წინააღმდეგობას არ წააწყდით?

— 1978 წელს, როდესაც ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის სჯიდნენ და ეს ჩვენც კარგად გვქონდა გაცნობიერებული, მაინც წამოვიწყეთ პოლიტიკური მოძრაობა იატაკქვეშეთში. მშობლებმა პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე გვიან გაიგეს — მაშინ, როდესაც მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. იმ დროს, 24 წლის ვიყავი, ჩემი ძმა დავითი კი — 17-ის. სწორედ იმ პერიოდიდან ვარ პოლიტიკაში. როგორც დედაჩემი, აგრეთვე მამაჩემიც, ემხრობოდნენ რესპუბლიკელების იდეოლოგიას. დედა იმდენად აქტიურობდა, რომ სასამართლო პროცესზე კიდეც ითქვა — ეს ქალი დასაპატიმრებელიაო... პოლიტიკური პარტიის შექმნით, მშობლებს მძიმე დარტყმა მივაყენეთ, რადგან ორი შვილის ციხეში-ერთდროულად ყოფნა, დამეთანხმებით, მძიმე ასატანია. მამაჩემი — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — სამსახურს მთლიანად ჩამოშორდა. საბჭოთა კავშირში პოლიტპატიმარი შვილების პატრონს, სასამართლო ხელისუფლებაში რომ არავინ გააჩერებდა, ცხადი იყო. იმ პერიოდში, ახლო ნაცნობების გარკეული ნაწილი ჩემს ოჯახთან ურთიერთობას უფრთხოდა. ნაწილი კი, პირიქით — მხარდაჭერას გამოხატავდა. მნიშვნელოვანი იყო ჩემი მეუღლის მხარდაჭერაც. ჩემთან ერთად, პარტიის შექმნაში ჩემი მეუღლეც აქტიურად მონაწილეობდა. იგი დასაჭერი იყო, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ციხეში არ მოხვედრილიყო... დაპატიმრების შემდეგ, მახსოვს, თუ რაოდენ საშინელი და ურთულესი გზის გავლით უხდებოდა ჩემს ცოლს „პერედაჩების“ მოტანა, მაგრამ მაინც ახერხებდა ჩემთვის ერთი-ორი განსხვავებული ლუკმის მოწოდებას. უჭკვიანესი ქალია. კამათში მხოლოდ ჩემს ცოლთან ვაგებ ხოლმე... გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკაში ჩემი ძმა უფრო მეტად აქტიურობდა. ის გახლდათ პარტიის ლიდერი, მე კი

საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩავები: ვწერდი სტატიებს, ვაძლევდი ინტერვიუებს. ვიქცეოდი ისე, როგორც პოლიტიკური ანალიტიკოსი. მაშინდელი რესპუბლიკელების ძირითადი საქმიანობა, საბჭოთა რეჟიმის ანტიპროპაგანდა იყო. შევქმენით სათანადო დოკუმენტები, შევიმუშავეთ წესდება, მიმართვა ხალხისადმი და ეს ყველაფერი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „სამრეკლოში". გვქონდა საბეჭდი მანქანები, რომლებზეც მე და ჩემი მეუღლე ვბეჭდავდით და ჟურნალს მცირე ტირაჟით, რესპუბლიკის მასშტაბით ვავრცელებდით. მახსოვს, „სამრეკლოს" პირველი ნომერი სულ 13 ეგზემპლარი გამოიცა. რესპუბლიკელებს გაცნობიერებული გვქონდა, თუ რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შევშინდით. ჟურნალის მესამე ნომრის გამოცემაც კი ვერ მოვასწარით: როგორც მოსალოდნელი იყო, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის დაგვაპატიმრეს... სასჯელის მოხდის შემდეგ, რესპუბლიკურმა პარტიამ კვლავ განაახლა მოღვაწეობა.

— თქვენთან ერთად პარტიის ყველა წევრი დააპატიმრეს?

— პირველად ჩემი ძმა, დავითი დააპატიმრეს, 6 თვის შემდეგ, მე და ვახტანგ ძაბირაძე და ბოლოს, სასამართლო დარბაზში, გვერდით მოგვისვეს თანამებრძოლი, ვახტანგ შონია. ოთხივე, ერთი და იმავე მუხლით გაგვასამართლეს, ხოლო მეხუთეს — ფრიდონ ჯაჯანიძეს საბეჭდი მოწყობილობის მოპარვა დააბრალეს და არაპოლიტიკური მუხლით გაასამართლეს. დაპატიმრებულებმა — ანუ პარტიის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ციხეში პარტიის დანარჩენი წევრებიც არ მოხვედრილიყვნენ.

— ციხიდან გამოსვლის შემდეგ, კა-გე-ბე ალბათ, უფრო მეტად გაკონტროლებდათ. პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელება როგორღა შეძელით?

— სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, რესპუბლიკურმა პარტიამ მოღვაწეობა ძველებურად გააგრძელა. პარტიას დავით ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. მის გვერდით ვიყავით მეც და ვახტანგ ძაბირაძეც, ხოლო ვახტანგ შონიამ საქართველო დატოვა და ოჯახთან ერთად, ისრაელში წავიდა საცხოვრებლად. პარტია უკვე ღიად მოქმედებდა. სუკმა იცოდა ჩვენი არსებობის შესახებ და მუდმივად გვაკონტროლებდა. მიუხედავად ამისა, ამან ხელი არ შეგვიშალა იმაში, რომ 1990 წელს, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად რესპუბლიკელები უზენაეს საბჭოშიც მოხვედრილიყვნენ. 1992 წელს, პარლამენტში ფრაქცია „რესპუბლიკელები" ჩამოვაყალიბეთ. როდესაც შევარდნაძის რეჟიმი უკვე აუტანელი გახდა, მე, მიხეილ სააკაშვილმა და რეზო შავიშვილმა შევქმენით ნაციონალური მოძრაობა. მოძრაობა შემდეგ, პარტიად გადაკეთდა. ნაციონალებს რესპუბლიკელებიც შევუერთდით და შეიქმნა ალიანსი. იმ პერიოდისთვის, როგორც რესპუბლიკელებს, ასევე ნაციონალებს და დემოკრატებს საერთო მიზნები ამოძრავებდათ. ალიანსის უპირველესი მიზანი, შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ჩამოგდება იყო. რევოლუციის დროს, რესპუბლიკელები დღევანდელი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები ვიყავით. ერთადერთი პარტია, რომელიც წლების განმავლობაში, აბაშიძეს უპირისპირდებოდა, რესპუბლიკური პარტია იყო.

— შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმების დამხობის შემდეგ, რესპუბლიკელები მმართველ პარტიას მალევე გაემიჯნეთ. ალიანსმა შესაძლებლობები ამოწურა თუ განსხვავებული ინტერესები გაგიჩნდათ?

— ვარდების რევოლუციისა და აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ჩვენი გზები გაიყარა. რესპუბლიკელები მსოფლიოში კვალიფიციურობითა და ღრმა ცოდნით გამოირჩევიან, ამიტომ, ჩვენი ალიანსი დიდხანს რომ ვერ იარსებებდა, ეს მალევე გაირკვა. თავქარიანი პოლიტიკა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ახორციელებს, რესპუბლიკელებისთვის მიუღებელია. აჭარაში გამართულმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ნაციონალები მოგვექცნენ არა როგორც პარტნიორებს, არამედ როგორც დაუძინებელ მტრებს. მეამაყება, რომ ამ სასტიკ და მძიმე ბრძოლაში, როდესაც ხელისუფლება არჩევნებს აყალბებდა, მოვიპოვეთ მნიშვნელოვანი წარმატება: მმართველ პარტიას, აჭარის მასშტაბით, ამომრჩეველთა ხმების 14% წავართვით. ეს პროცენტი გაცილებით მეტი იქნებოდა, ნაციონალებს წესების დაცვით რომ ემოქმედათ. აჭარის არჩევნებში მიღწეული წარმატება გარკვეულწილად ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ბერძენიშვილები ბათუმელები ვართ და გვეხერხება მშობლიურ ქალაქში ხმების აღება. სადღეისოდ, მაღალმთიან აჭარაში რესპუბლიკელების რეიტინგი ძალზე მაღალია.

თავქარიანი პოლიტიკა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ახორციელებს, რესპუბლიკელებისთვის მიუღებელია.

— და მაინც, ხელისუფლებასთან რესპუბლიკელების დაპირისპირების ძირითადი მიზეზი რა იყო?

— პირველი მიზეზი გახლავთ 2003 წლის თებერვალში პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები. რესპუბლიკელები ხელისუფლებას კატეგორიულად არ ვეთანხმებოდით, მაგრამ მაინც მის გვერდით ვრჩებოდით, რადგან ასლან აბაშიძე იყო მოსაშორებელი. სააკაშვილმა პრეზიდენტად დადგომისთანავე, კონსტიტუცია თავის სასარგებლოდ შეცვალა. მასში შეტანილ საეჭვო ცვლილებებზე ევროსაბჭო დღემდე მსჯელობს და პარლამენტს მის გადასინჯვას სთხოვს. აჭარის რევოლუციამდე, პრეზიდენტი სააკაშვილი დაგვპირდა: იმ შემთხვევაში, თუ აჭარაში გავიმარჯვებდით ანუ აბაშიძის რეჟიმს მოვსპობდით, ავტონომიურ რესპუბლიკას რესპუბლიკელების მოსაზრებების გათვალისწინებით მოაწყობდა, რადგან ჩვენი პარტია ყველაზე კარგად იცნობს ამ რეგიონს. როგორც ბევრი რამ, აგრეთვე ეს დაპირებაც სააკაშვილს დაავიწყდა. სადღეისოდ, აჭარაში ავტონომია მხოლოდ ფორმალურად არსებობს. აჭარის ხელისუფლებას, მინისტრებსაც კი, თბილისის მთავრობა უნიშნავს. ავტონომიის ხელისუფლების კონტროლს ვერ ახორციელებს აჭარის პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს რატომ უნდა ირჩევდეს ქვეყნის მმართველი ძალა და არა ადგილობრივი მოსახლეობა?! ეს ჩემთვის გაუგებარია. თვითმმართველობა ხომ ყველა ქვეყნისთვის დემოკრატიის გასაღებს წარმოადგენს. ფედერალიზმის იდეები ახალი ხელისუფლებისთვის უცხო აღმოჩნდა. არადა, თავიდან, სულ სხვა „სიმღერას მღეროდა". სწორედ ამ მიზეზების გამო, გავემიჯნეთ მმართველ პარტიას... მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკური პარტიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია ლაშა ნაცვლიშვილი და ვალერი გელაშვილი. მათი მოსვლით, პარტიას გაუჩნდა ფინანსური რესურსები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი ფუნქციონირების ხარისხი.

— რას ნიშნავს თქვენთვის რესპუბლიკელობა?

— რესპუბლიკელები, მემარჯვენე ცენტრისტები ვართ, უფრო მეტად ლიბერალები, ვიდრე კონსერვატორები. იმ პერიოდში, როდესაც რესპუბლიკელობა გადავწყვიტეთ, შეგვეძლო, ნებისმიერი მიმართულება ან სახელი შეგვერჩია. საბჭოთა დროს, აშშ-ში იყო რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები. იქაური რესპუბლიკელები ყოველთვის უფრო მკაცრად ექცეოდნენ საბჭოთა

კავშირს, ვიდრე დემოკრატები. მახსოვს, ჩემი წინადადება იყო, პარტიას რესპუბლიკური დარქმეოდა, რადგან ამერიკელი რესპუბლიკელების მსგავსად, გვსურდა ქვეყანაში ანტისაბჭოთა პროპაგანდის გატარება... რესპუბლიკელები, კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ბაზრის არსებობის მომხრენი ვართ. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში ყველაფრის მოქცევა არასწორია.

— ოპოზიციური პარტიები რეიტინგის ასამაღლებლად ხშირად, ხელისუფლების კრიტიკას მიმართავენ და ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას არ ერიდებიან. ამ მხრივ თქვენ შედარებით ლოიალური ხართ. რატომ?

— 20 წელია, რაც ლექტორი ვარ და სტუდენტებთან მიწევს შეხვედრები. წარმომავლობა — აკადემიური წრიდან — და ასაკი მაძლევს საშუალებას, ნებისმიერ საკითხს შეძლებისდაგვარად მშვიდად მივუდგე. თუმცა, ყველაფერს წყნარად ვერ შევხედავ და შესაძლოა, წონასწორობიდანაც გამოვიდე. ბოლოს და ბოლოს, გურული ვარ — დედის გინებას ნამდვილად ვერ ავიტან!.. ლიბერალიზმის მომხრე ვარ. ხშირად მშველის იუმორის გრძნობა, რომელიც ღმერთმა მაჩუქა და კონკრეტულ სიტუაციაში შემიძლია, ჩემს თავსაც ირონიით შევხედო.

— არ ფიქრობთ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ოპოზიცია სუსტ ოპონირებას უწევს?

170 კილომდე ავედი. ამის შემდეგ, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები დამეწყო. ბიბლიოთეკის კიბეზე ძლივს ავდიოდი

— სადღეისოდ, ოპოზიცია თანდათანობით ძლიერდება. საპენსიო კანონმდებლობასთან მიმართებაში, ოპოზიციის ბრძოლამ შედეგი გამოიღო: ქალებში საპენსიო ასაკი 65-დან 60-წლამდე შემცირდა. ხელისუფლებაზე პატარა გამარჯვება იყო ისიც, რომ რეპრესირებულებს არ უმატებდნენ საკომპენსაციო თანხებს და ოპოზიციის მონდომებით, კანონში ცვლილებები შევიდა. პარლამენტში ჩვენი ფრაქცია თითქმის სულ ყოფილი ნაციონალებით არის დაკომპლექტებული. თუ დღეს, ნაციონალებს დავითაშვილი, ძიძიგური, ხაინდრავა, ბერძენიშვილი გამოეთიშნენ, ხვალ შეიძლება, უფრო მეტიც გაემიჯნოს. გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, რომ მათ პრობლემები არ შევუქმნა... მომავალში, უფრო მეტად გავძლიერდებით და კანონშემოქმედებით საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩავებმებით. მიმაჩნია, რომ დღევანდელი ოპოზიცია არც ახლა ზის უაზროდ პარლამენტში. არც ერთი სესია ჩვენი ღრმა დაკვირვებების გარეშე არ მიმდინარეობს...

— პოლიტიკაში თუ არსებობს საკითხი, რომელთან მიმართებაშიც ძმებს განსხვავებული მოსაზრებები გაქვთ?

— არ არსებობს საკითხი, რომელშიც შესაძლოა, განსხვავებული მოსაზრებები გვქონდეს. მე და დავითი არა მარტო ძმები, არამედ თანამოაზრეებიც ვართ. არ მახსოვს, ჩემს ძმასთან ოდესმე კამათი მომსვლოდეს.

— უცხო თვალით, ძმები განსხვავებული ხასიათის ადამიანები ჩანხართ...

— ეს მართლაც ასეა. ჩვენ რადიკალურად განვსხვავდებით ერთმანეთისგან: მე გაცილებით მხიარული, ოპტიმისტი და მსუბუქი ხასიათის ვარ, ვიდრე დავითი. მიმაჩნია, რომ უფრო მარტივი ხასიათი მაქვს, ვიდრე მას. დავითი, ჩემგან განსხვავებით, ფრთხილია. ამავდროულად, მე ვჭამ ყველანაირ საკვებს, ის — ვერა... მოგზაურობა ორივეს გვიყვარს, თუმცა, ერთად ხშირად არ გვიმოგზაურია. საერთო ნიშანი ისიცაა, რომ არც ერთს არა გვაქვს აგარაკი, თუმცა, ორივეს ამის დიდი სურვილი გვაქვს...

— დიეტოლოგიით როდის დაინტერესდით?

— დიეტოლოგიით თითქმის ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული. 7 წლის ასაკამდე, გამხდარი, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. შემდეგ, თანდათანობით, წონაში მომატება დავიწყე. ჯერ, საყვარლად პუტკუნას რომ ეძახიან, ისეთი ვიყავი, მერე კი — ვუმატე... მახსოვს, მეშვიდე კლასში იმ წონის ვიყავი, რასაც დღეს ვიწონი... სკოლა რომ დავამთავრე, 110 კილო ვიყავი, უნივერსიტეტს რომ ვამთავრებდი — 130-ზე მეტი. აი, მაშინ კი, პირველად და სერიოზულად დავინტერესდი დიეტოლოგიით. მივედი რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ექიმის ხელმძღვანელობით, 60 კილოგრამი დავიკელი. ეს იყო ჩემი პირველი და სერიოზული დაკლება წონაში. სწორედ ამ დროს შევირთე ცოლი და ჩამოვაყალიბე პარტია. ასე რომ, რესპუბლიკური პარტია მსუქანი კაცის შექმნილი არ გეგონოთ... ჩემი ცოლი სერიოზული კულინარი აღმოჩნდა და მისი ძალისხმევით, 170 კილომდე ავედი. ამის შემდეგ, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები დამეწყო. ბიბლიოთეკის კიბეზე ძლივს ავდიოდი. 2002 წლის 3 იანვარს, როდესაც ექიმებმა ყველაფერი იღონეს, რომ ჩემთვის წნევა დაეგდოთ და მაინც ვერ მოახერხეს, მტკიცედ გადავწყვიტე, წონაში დამეკლო. ჩემმა პოლიტიკურმა პარტნიორმა, კობა დავითაშვილმა შემომთავაზა — დიეტოლოგ ელენე გიორგაძესთან ხომ არ წავსულიყავითო?.. რა თქმა უნდა, ბევრი აღარ მიფიქრია და დავთანხმდი. 2002 წლის 23 იანვარი გუშინდელი დღესავით მახსოვს, რადგან ეს იყო ბოლო დღე, როდესაც გემრიელად გეახელით... მე და კობა წავედით პროფესორ ელენე გიორგაძესთან, რომელიც ახალგაზრდა და სიმპათიური ქალი აღმოჩნდა. კობამ ექიმს უთხრა: მინდა, დავიკლო, რომ ამას (ჩემზე ამბობდა) არ დავემსგავსოო... მე კი ექიმს ასე მივმართე: მინდა, ისე შევიცვალო, რომ თქვენნაირმა ქალმა ინტერესით შემომხედოს-მეთქი... დიეტოლოგმა მიპასუხა: ახლაც ინტერესით გიყურებთ, როგორც პოლიტიკოსს, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, საერთოდ აღარ იქნებითო... მას შემდეგ, მუდმივად დიეტაზე ვარ. მივირთმევ ყველაფერს — მცირე რაოდენობით: ნამცხვარს, პურს, ხაჭაპურს და ა.შ. მსუყე საჭმელს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გეახლებით. ასე ვახერხებ წონის შენარჩუნებას. წაიკითხავენ ჩვენთან იაპონურ დიეტას და გიყვებიან, როგორ უნდა ჭამო ბამბუკი, მერე, დადიხარ და დაეძებ ბამბუკს, რომელსაც ვერ შოულობ... ელენე გიორგაძეს კი, არა მარტო სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ სოციალურითაც, აქვს წონის დაკლების გააზრებული პროგრამა.

— თქვენ, როგორც პოლიტიკოსი, რას მიიჩნევთ 2005 წლის მიღწევად და როგორ ფიქრობთ — რა არის ქვეყნის ცხოვრების გასაუმჯობესებლად უპირველესად საჭირო 2006 წელს?

— 2005 წელი წარმატებულიც იყო და ნაკლებად წარმატებულიც. ამ წელიწადში შევძელით პარტიის რეიტინგის გაზრდა. ქვეყნისთვის წარმატებული მოვლენა პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ჯორჯ ბუშის ვიზიტი იყო. მთლიანობაში რომ შავაფასო 2005 წელი, უნდა ვთქვა — უკეთესი იყო, ვიდრე 2004. რაც შეეხება ახალ წელს — ვფიქრობ, რომ 2006 წელს ყველაზე დიდი მოვლენა იქნება ის, რომ საქართველო გავა დსთ-დან. როგორც გამოუსწორებელი ოპტიმისტი, მომდევნო წლებს ყოველთვის იმედიანად ველოდები და ყოველთვის მჯერა, რომ დამდეგი ახალი წელი, გასულთან შედარებით, უკეთესი იქნება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი. გისურვებთ, ერთიან საქართველოში ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას!..

■

მართალია, ახალი წელი უკვე დადგა, მაგრამ საახალწლო განწყობილება ქართულ ოჯახებში ჯერ კიდევ არ განელებულა. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს დღესასწაული ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ უმეტესობას თოვლის ბაბუის არსებობის ჯერ კიდევ სჯერა და ახალ წელს, სულმოუთქმელად ელოდება, რომ ნაძვის ხესთან დადებული საჩუქარი გახსნას... რა ხდება ცნობილი ადამიანების ოჯახებში, როგორ ულოცავენ ისინი ახალ წელს ოჯახის წევრებს და მღერიან თუ არა საახალწლო სიმღერებს? — ამ კითხვებზე მათი შვილები გვიპასუხებენ, რომლებიც 2005 წლის დამლევს, წინასაახალწლო სამზადისის დროს მოვინახულეთ.

შოდამ უჩინარი თოვლის ბაბუა, ნათლულებთან ჩაჭრილი შაღალჩინოსნები და პოლიტიკოსი შამა, რომელიც ყველა სურვილს ასრულებს

ნათია ქივიძე

გიორგი წერეთელი (დადა), *ცისანა სეფიაშვილის შვილი, 10 წლის:*

— რა არის ახალი წელი?

— ახალი წელი საზეიმო განწყობილებაა. ნაძვის ხეს დგამენ, მაშხალებს ისვრიან... ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული. ყოველთვის სულმოუთქმელად ველოდები. ტრადიცია გვაქვს, რომ 24 დეკემბერს, აუცილებლად ნაძვის ხე უნდა მოვრთოთ. ამ საქმეს ძირითადად, მე და ბებო ვაკეთებთ. ხანდახან, ბაბუაც გვეხმარება. ყოველ წელიწადს, ნაძვის ხის ახალ-ახალ სათამაშოებს ვყიდულობთ. ასე გროვდება, გროვდება და უკვე იცი, რამდენი მაქვს?!.

— თოვლის ბაბუა თუ მოდის ხოლმე შენთან?

— თოვლის ბაბუის აღარ მჯერა. საახალწლო საჩუქარი კი მხვდება ხოლმე კართან, მაგრამ ვინ ყიდულობს, არ ვიცი. ის ვიცი, რომ ამას თოვლის ბაბუა არ აკეთებს. ისე, ბებიას, ბაბუას, დედას და მამას ყოველ წელს მოაქვთ ხოლმე ჩემთვის საჩუქრები.

— შენ არავისთვის გაგიკეთებია საახალწლო საჩუქარი?

— როგორ არა?! გასულ წელს, პრეზიდენტის ნაძვის ხე ტარდებოდა და იქ ვმონაწილეობდი. მერე, ჰონორარი რომ მომცეს, ბებოს სვიტერი ვუყიდე. წელს არ ვიცი, ჰონორარს კიდევ მომცემენ თუ არა. კიდევ, ვატარებთ სპექტაკლს „ვაკის თეატრალურ სარდაფში“, ვდგამთ „ლურჯ ფრინველს“, სადაც პურის როლს ვასრულებ. თუ ფულს მომცემენ, ჩემს დაძმას რაიმეს ვუყიდი.

— როგორ ხვდებით ხოლმე ახალ წელს?

— ახალ წელს ყოველთვის, მე, ბებო და ბაბუა ვხვდებით ერთად. დედა თავის სახლშია, ამიტომ მასთან ერთად ახალი წლის ღამეს თითქმის არასოდეს ვარ. მერე მივდივარ ხოლმე. ახალი წელი რომ მოდის, საკმაოდ ბევრ შამპანურს ვსვამ. მართალია, ისე, ლუდი უფრო მიყვარს, მაგრამ ამ ერთ ღამეს გამონაკლისს ვუშვებ... სურვილი არასოდეს ამხდენია, ამიტომ აღარ უნდა ჩავიფიქრო. ერთხელ, ძაღლი ჩავიფიქრე, მომიყვანეს და ერთ კვირაში, ისევ წაიყვანეს... ისე, თუ ჩავიფიქრებ რამეს, ისევ იმას, რომ ის ძაღლი ისევ დამიბრუნონ, თუმცა, ამის შანსი აღარ არის...



თოვლის ბაბუის აღარ მჯერა. საახალწლო საჩუქარი კი მხვდება ხოლმე კართან, მაგრამ ვინ ყიდულობს, არ ვიცი

— რომელი ახალი წელი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად და რატომ?

— შარშანდელი ახალი წელი ძალიან ტანჯულად გავატარე, რადგან 30 დეკემბერს, დედაჩემმა იმშობიარა, რის გამოც, 31-ში, ბებიაჩემი 9 საათამდე სამშობიაროში იყო, 10 საათზე მოვიდა. გოზინაყის გაკეთება და სუფრის გაშლა ძლივს მოვასწარით და ძალიან დავიღალე, სადაც დავჯდებოდი, იქ მეძინებოდა. თუმცა, ეს წელი ჩემთვის ძალიან კარგი იყო, იმიტომ, რომ საახალწლო საჩუქრად ძმა შემეძინა. წელს დედაჩემი აღარ იმშობიარებს, მაგრამ მე კიდევ მინდა, რომ და ან ძმა მყავდეს. იცი, რა საყვარლები არიან?!. ლევანი ვითომ წყნარია, მაგრამ შტეფსელებს ურტყამს და თავისი ბუდიდან აგდებს ხოლმე. კატო კი ბიჭებს სათამაშოებს ართმევს.

— დადა, როგორც ვიცი, ედუარდ სააკაშვილი შენი თანაკლასელია. როგორი ბავშვია?

— პირველ-მეორე კლასში მასთან არ ვმეგობრობდი, მაგრამ ახლა ყველანი მისი მეგობრები ვართ. ძალიან კონტაქტურია, კარგად სწავლობს.

— ცელქი თუ არის?

— ამ ბოლო დროს, გაცელქდა ცოტა, ჩვენთან ერთად თამაშობს ხოლმე.

— მამამისზე რაიმეს თუ გიყვებათ ხოლმე?

— არა, ედუარდს ტრაბახი საერთოდ არ უყვარს.

ლუკა ჭოხონელიძე, *ნატო გელაშვილის შვილი, 6 წლის:*

— ლუკა, შენი აზრით, რა არის ახალი წელი?

...მაშინ, ლამაზად დავწერ იმ წერილს, თორემ, სირცხვილია... ყველა სურვილს შემისრულებს?

— ახალი წელი მხიარული დღეა. ამ დღეს, თოვლის ბაბუას საჩუქრები მოაქვს ხოლმე. კიდევ, ჩემს საყვარელ საჭმელებს აკეთებენ — გოზინაყს და საცივს. მერე, მე და ჩემი ძმა მაშხალებს ვისვრით და შუშხუნებს ვანთებთ. ახლა უკვე მალე დავდგამთ ნაძვის ხეს. ჩვენი საკლასო ოთახიც უნდა მოვრთოთ ბევრი წვიმით. ჩემი ნაძვის ხე ცოტა პატარაა, მაგრამ ისე — დიდია. გოზინაყს ბებო აკეთებს ხოლმე და მე ვეხმარები, სუფრის გაშლაშიც ვმონაწილეობ. ხანდახან, სარეცხსაც კი ვრეცხავ. მეუბნებიან ხოლმე, დარეცხეო და მეც ვრეცხავ, რა ვქნა, აბა? ახალ წელს ძალიან ბევრი ხალხი ვხვდებით ერთად. უბრალოდ, მამა ჩვენთან არ არის, ის დოლიძეზე ცხოვრობს.

— მოდი, თოვლის ბაბუაზე ვილაპარაკოთ...

— თოვლის ბაბუა ახალი წლის ღამეს, კარზე ზარს რეკავს; რომ ვაღებთ, იქ საჩუქრები გვხვდება, თვითონ კი წასულია. ვერასოდეს გამოვიჭირე. შენ გინახავს თოვლის ბაბუა? მომიყევი, რა, როგორია.

— დიდი, თეთრი ნაბადი აქვს მოხურული, თეთრი წვერი აქვს, თეთრი ყაბალახი ახურავს და ხურჯინი აქვს გადაკიდებული, სადაც ბევრ საჩუქარს ინახავს.

— მაინცდამაინც მაგ კაცმა რატომ აირჩია თოვლის ბაბუობა?

— ნამდვილად არ ვიცი... რა გინდა, რომ წელს თოვლის ბაბუამ გაჩუქოს?

— რა ვიცი... ტანსაცმელი, ის ნივთები, რომლებიც სკოლაში მჭირდება — მაგალითად, წიგნები, რადგან ჩემმა ძმამ სულ დახეული წიგნები დამიტოვა... კიდევ, პულტიანი მანქანა მინდა. ხომ არ იცი, ეს ყველაფერი თოვლის ბაბუას როგორ უნდა ვთხოვო?

— წერილი დაუწერე, ბალიშის ქვეშ შეინახე და თვითონ იპოვის.

— მართლა?! მაშინ, ლამაზად დავწერ იმ წერილს, თორემ, სირცხვილია... ყველა სურვილს შემისრულებს?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ერთ სურვილს მაინც შეგისრულებს.

— ისე, დედიკოც გვჩუქნის ხოლმე საჩუქარს და ვახოც — დედას მეგობარია. დედა ახალი წლის ღამეს, ძალიან მხიარულადაა ხოლმე. გოზინაყს თვითონ კი არ აკეთებს, ბებო ამზადებს. მაშხალების ხმაზე დედას გული უსკდება ხოლმე, მაგრამ ჩვენ მაინც ვისვრით. ვახო კიდევ გვეუბნება ხოლმე, მალე დაწექითო, მაგრამ ჩვენ არ ვუჯერებთ. ყველაზე მეტად ის ახალი წელი დამამახსოვრდა, როცა ყველა ერთად ვიყავით — ჩემი დეიდა, ბებიები... მაგრამ მამა არც მაშინ იყო ჩვენთან ერთად... იცი, ეს შარვალი, ახლა რომ მაცვია, შარშან მაჩუქა თოვლის ბაბუამ. კიდევ სათლელი გამომიგზავნა.

— შენ და შენი ძმა საჩუქრების გამო ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე?

— ხანდახან, გავგიჟდებით — ერთმანეთს ვეჭყანებით და მერე, დავეტაკებით ხოლმე. ასეთ დროს, დედიკო ძალიან ბრაზდება და შენიშვნას გვაძლევს...

განსაკუთრებული მხიარულება კობა დავითაშვილის ოჯახში დამხვდა. მისი ოთხი ბიჭი ჩემმა დანახვამ ისე გაამხიარულა, რომ ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. სულ პატარას — ბართლომეს — ჩემი დიქტოფონი მოეწონა, ხელიდან გამომტაცა და გაიქცა. როცა ძმებმა წაართვეს და დამიბრუნეს, აცრემლებული მოვიდა ჩემთან და მითხრა — გოგონა, მე შენ აღარ გეპალაკებიო... მაგრამ მოგვიანებით, ჩემთან ლაპარაკის სურვილი მაინც გაუჩნდა და ცდილობდა, ჩემს ყველა კითხვაზე გაეცა პასუხი.

— რა არის ახალი წელი?

თორნიკე, *6 წლის:*

— ახალი წელი არის, თოვლის ბაბუა რომ მოდის და ნაძვის ხეს რომ ვრთავთ.

ლუკა, *7 წლის:*

— ახალი წელი არის დღესასწაული, რომელზეც ბევრი მხიარულებაა.

მათე, *5 წლის:*

— შენ რა გქვია, ჟურნალისტი?

— არა, ნათია მქვია.

— ჟურნალისტი ჯობია და ასე დაგიძახებთ.

— კარგი, დამიძახეთ. თქვენ ის მითხარით, ახალ წელს როგორ მხიარულობთ, რას აკეთებთ ხოლმე?

— ჩვენ ახალ წელს გოზინაყებს ვჭამთ, კიდევ, ტანკებით ვთამაშობთ, მაშხალებსაც ვისვრით.

თორნიკე:

— ახალი წელი როცა მოდის, მათეს და ბართლომეს უკვე სძინავთ, მარტო მე და ლუკას გვღვიძავს და საჭმელს ვჭამთ. ჩვენთან რატომღაც, თოვლის ბაბუა არ მოდის ხოლმე. რატომ, არ ვიცით. მარტო ერთხელ მოვიდა, რაღაცები მოგვიტანა და მერე აღარ მოსულა. ძალიან მინდა, რომ მოვიდეს, მაგრამ წერილები არ გაგვიგზავნია.

მათე:

— ერთხელ, ბაღში გვყავდა თოვლის ბაბუა, რომელიც ცეკვავდა და მღეროდა.

— საჩუქრები არ მოგიტანათ?

— არა, სათამაშო იყო. „კნოპკაზე“ ხელს რომ დააჭერდი, მაშინ მღეროდა და ცეკვავდა.

თორნიკე:

— ისე, ვიცი, რომ თოვლის ბაბუა ლელანდიაში ცხოვრობს.

6 წლის თორნიკე და 7 წლის ლუკა



ბართლომე (3 წლის): „თოვლის ბაბუა ყინულში ცხოვრობს და იქ საჩუქრებს აკეთებს...“ (მამასთან და ძმასთან, მათესთან ერთად)

— მე მეგონა, ლაპლანდიაში ცხოვრობდა.

ბართლომე, *3 წლის:*

— არა, ყინულში ცხოვრობს და იქ საჩუქრებს აკეთებს ხოლმე.

თორნიკე:

— მერე, ლატლანდიაში ყინავს, თან, იქ ყინულის დედოფალიც არის. თოვლის ბაბუა უჩინარია. შეუძლია, თაროზე საჩუქარი დადოს, მაგრამ შენ ვერ დაინახავ.

ლუკა:

— მე რაღაც აღარ მინდა, რომ თოვლის ბაბუას წერილი მივწერო, რადგან ერთხელ, რაღაცები ვთხოვე და არ შემისრულა. ან ვერ მიიღო და ან ვერ მოახერხა საჩუქრის მოტანა.

ბართლომე:

— გოგონა, გოგონა, თოვლის ბაბუამ ნაძვის ხე მოგვიტანა და იმიტომ მომენატრა.

— მამა ახალ წელს როგორ გილოცავთ, რას აკეთებს ხოლმე?

თორნიკე:

— მასწ, მასწ, ახლა მე გეტყვი, რა! მამა ჯერ აივანზე მაშხალებს ისვრის, მერე ოთახში შემოდის, მაგიდის გარშემო დადის და მღერის — „ჯინგლ ბელს, ჯინგლ ბელს...“ ქუჩაში არ გავდივართ ხოლმე, ახალი წლის ღამეს ყველა სახლში ვართ.

— თქვენი მეკვლე ვინ არის ხოლმე?

ლუკა:

— ჩვენთან მეკვლე არ მოდის. განსხვავებულად ვხვდებით ახალ წელს: ნაძვის ხე გვინთია და როცა ვიძინებთ, ხან მოდის თოვლის ბაბუა და ხან — არა.

— ლუკა, შენი ნათლია, ირაკლი ოქრუაშვილია, თორნიკესი კი — მიხეილ სააკაშვილი. ნათლიები თუ გილოცავენ ხოლმე ახალ წელს?

— არა. ნათლიები საერთოდ არც ერთ დღესასწაულს არ გვილოცავენ...

ყველაზე სერიოზული რესპონდენტი, შალვა ნათელაშვილის 11 წლის ქალიშვილი — დაკო ნათელაშვილი აღმოჩნდა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მამის ყველა პოლიტიკურ შეხედულებას ეთანხმება, პოლიტიკოსობა მაინც არ სურს. პოლიტიკოსი ჩემი ძმა გამოვა, მე კი იურიდიულზე უნდა ჩავაბაროო, — მითხრა.

— ახალ წელს, ჩემს ოჯახთან ერთად, ბაზალეთში ვხვდები. ნაძვის ხეც უკვე მოვრთეთ. რა თქმა უნდა, ახალ წელს, მამაც ჩვენ გვერდით იქნება.

— თოვლის ბაბუა თუ გესტუმრებათ?

— ვიცი, რომ თოვლის ბაბუა მშობლების გამოგონილია. თუმცა, მაინც მიხარია მისი მოსვლა, რადგან ვიცი, რომ ჩემს მშობლებს უნდათ, რომ მე და ჩემი ძმა კარგ განწყობილებაზე ვიყოთ. მშობლები წინადღეს გვეკითხებიან ხოლმე, თუ რა საჩუქარი გაგვიხარდება, მაგრამ ჩემთვის მათ მიერ ნაჩუქარი ნებისმიერი სათამაშო თუ რაიმე სხვა ნივთი მისაღებია.

— როდის მიხვდი, რომ თოვლის ბაბუა გამოგონილია და მშობლები გატყუებდნენ?

— არ მატყუებდნენ — უბრალოდ, მახალისებდნენ. ამას ტყუილი არ ჰქვია...

— მამა როგორ გილოცავს ხოლმე ახალ წელს?

— მამა მხოლოდ ახალ წელს კი არა, ისედაც ყველა სურვილს მისრულებს. ახალი წლის ღამეს კი, ოჯახის ყველა წევრი ძალიან მხიარულად ვართ. მაშხალებს ვისვრით და საახალწლო გადაცემებს ვუყურებთ.

— ოჯახური საახალწლო ტრადიცია თუ გაქვთ?

— ჩვენი მეკვლე ყველაზე ხშირად, მამაა. თუმცა, ხანდახან, მე და ჩემი ძმაც ვართ. უბრალოდ, მამა შინ ყველაზე გვიან შემოდის. ოჯახში ის ყოველთვის კარგ განწყობილებაზეა, არასოდეს ჩხუბობს. ჩვენი ტრადიცია ასევე ის არის, რომ საახალწლო სუფრაზე აუცილებლად გვაქვს გოზინაყი. კიდევ გვაქვს ხინკალი და მწვადი, რადგან მამას ორივე ძალიან უყვარს.

— მამას ტელევიზორში თუ უყურებ ხოლმე და როგორ შეაფასებდი მის გამოსვლებს?

— მამაჩემი ყოველთვის სიმართლეს ამბობს და მე ეს ძალიან მომწონს. რატომღაც, როცა მამა ეკრანზე გამოჩნდება, ყოველთვის ვნერვიულობ...

— შენი საახალწლო სურვილი რა არის?

— ნებისმიერი რამ, რასაც მამა მაჩუქებს, ძალიან მომეწონება. ისე სურვილი კი — ვოცნებობ, რომ საქართველოს ყველა მცხოვრები ახალ წელს კარგად შეხვდეს, არ იყვნენ უბედური ადამიანები და ყველას მხიარული განწყობილება ჰქონდეს.

— საზღვარგარეთ თუ შეხვედრიხარ ახალ წელს და რით განსხვავდება ჩვენი და მათი ახალი წელი?

— კი, მოსკოვში შევხვდი, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად და იქაც იგივე იყო. ყველანი სახლში ვიყავით და ერთმანეთს ვულოცავდით. არაფერი განსხვავებული არ ყოფილა.

■

დაკო: ვიცი, რომ თოვლის ბაბუა მშობლების გამოგონილია (მამასთან და ძმასთან ერთად)

„ის ახალი წელი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა“

„ჩემმა შეყვარებულმა ჩემი დაქალი მოიყვანა ცოლად ანუ „გზას“ ჩემთვის წარმატებები მოაქვს“...

ახალი წლის ღამეს, ყველა, სურვილების ასრულებას ვნატრობთ. ზოგს უსრულდება, ზოგს — არა. ის წელიც სწორედ ამით გვამახსოვრდება ხოლმე; თუ შეგვისრულდება ჩანაფიქრი, ვიტყვით, რომ იღბლიანი და წარმატებული წელი გვქონდა, თუ არა და — ბედისწერასა და უღბლობას ვუჩივით...

მარი Хაშარიძე

ერთ წელიწადს, მოხდა ისე, რომ მთელი ოჯახი ახალ წელს სტუმრად შეხვდა. მე კი საიმისო განწყობილება არ მქონდა და გადავწყვიტე, შინ დავრჩენილიყავი. 12 საათს შამპანურის „ბათქით“ შევხვდი, ახლობლებისგან სატელეფონო მილოცვები მივიღე, მეც მივულოცე, სავარძელში მოვკალათდი და ტელევიზორს მივაპყარი მზერა. პირველ საათზე, კარზე კაკუნი გაისმა. სტუმარს არ ველოდი, მაგრამ გამიხარდა, რომ ვიღაცამ ჩემი მონახულება გადაწყვიტა და კარი ისე გავაღე, რომ საჭვრეტში არც გამიხედავს. ზღურბლთან ყურებამდე გაღიმებული თოვლის ბაბუა იდგა და ხელში ლამაზად შეფუთული საჩუქარი ეჭირა. ვიფიქრე, რომ მისამართი შეეშალა, მაგრამ მან სწორედ ჩემი სახელი, გვარი და მისამართი მითხრა. გაოცებულმა შემოვიპატიჟე, ლაპლანდიიდან ჩამოსული თეთრწვერა ჯადოქარი და ბუნებრივია, ოჯახიც დავალოცვინე. შემდეგ, თოვლის ბაბუამ თავის „სპისოკს“ ჩახედა და მითხრა — თქვენი გვარის გასწვრივ კიდევ ის წერია, რომ ნაძვის ხის გარშემო უნდა ვიმღეროთ ერთად და ახალ წელზე ლექსიც უნდა ვთქვათო... — ჯერ, ახალი წლის სადღეგრძელო დამილიე-მეთქი, — ვუთხარი და ღვინით სავსე ჭიქა მივაწოდე. მეორე სადღეგრძელოს მესამე მივაყოლეთ, მერე — კიდევ... და მთელი საათი არ გავუშვი ჩემი თოვლის ბაბუა... წასვლისას კი, ნაძვის ხის გარშემო ვიცეკვეთ, ვიმღერეთ და ლექსებიც ვთქვით... საოცარ გუნებაზე დამაყენა მოხუცმა, მაგრამ ვერაფრით ვათქმევინე, ვისი მოწყობილი იყო ეს სიურპრიზი. მერწმუნეთ, ეს ახალი წელი არასოდეს დამავიწყდება... ახლა კი, პირველი მკითხველის მესიჯი. ვნახოთ, რით დაამახსოვრდა გასული წელი ბესოს.

მაგარი რომანი, მაგარი „გულაობა“ და მაგარი ტყუილი

„ყველას გილოცავთ ახალ წელს! მინდა, შარშანდელი წელი გავიხსენო და მოგიყვეთ, რა დამემართა 31 დეკემბრის ღამეს. დავიწყებ იმით, რომ ზაფხულში, ზღვაზე გავიცანი ერთი გოგონა. „უბრალო“ ქალი არ გეგონოთ — საკმაოდ ცნობილი ადამიანია და ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც, ტელევიზორშია გამოჭიმული. გაცნობის პირველსავე წუთებიდან, კარგად განეწყო ჩემ მიმართ. ზღვაზე მარტო ისვენებდა და თითქმის მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. თავიდან, ხელკავის გამოდებასაც ვერ ვუბედავდი, მეგონა, გადაირევა და საერთოდ დავკარგავ-მეთქი. მერე კი, თვითონვე აქტიურობდა და ხან მეხუტებოდა, ხან — საკოცნელად მიშვერდა ტუჩებს. მეც მეტი რა მინდოდა?! ჰოდა, გაიბა ჩვენ შორის რომანი და მაგრადაც „ვიგულავეთ“. მოვიდა დრო, როდესაც ის შინ უნდა გამგზავრებულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ, მეც უკან გამოვყევი, მაგრამ რად გინდა?! ჩემთან ურთიერთობა აღარ ისურვა. ტელეფონს მითიშავდა, თვალს მარიდებდა და გამირბოდა. მე კი ლანდივით დავყვებოდი უკან და საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ გრიალებდა ხან ერთ მომღერალთან, ხან — მეორესთან, ხან — პარლამენტარის გვერდით ვხედავდი და ხან — ტელეწამყვანთან... გული მწყდებოდა, რომ მეც ცნობილი და პოპულარული არ ვიყავი, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრიდი და მაინც განვაგრძობდი მის დევნას. ამასობაში, ახალი წელიც მოახლოვდა. დავურეკე და ჯიქურ ვთხოვე, რომ ახალი წლის ღამე ჩემთან ერთად გაეტარებინა. თავიდანვე ვიცოდი, რომ უარს მივიღებდი და ძალიან გამიკვირდა, როცა უეცრად, დამთანხდა. 31 დეკემბერს, 11 საათზე, მის სახლთან ვიდექი და ველოდი, როდის ჩამოვიდოდა ჩემთან. ჯერ მითხრა, რომ ახალ წელს, სახლში შეხვდებოდა და მერე გამოვიდოდა გარეთ. რაღას ვიზამდი? ველოდი... ახალ წელს ქუჩაში, მის სახლთან შევხვდი. გავიდა მთელი საათი და არ ჩანდა. დავურეკე. სტუმრები მომივიდნენ, ცოტა ხანს შევყოვნდები, შემდეგ დედას გადავაბარებ და ჩამოვალო, — მითხრა... ისევ ველოდი... უკვე დილის 4 საათი იყო, ის კი ჯერაც არ ჩანდა. ათასი მიზეზი მოიგონა და არ ჩამოვიდა. მეც გავჯიუტდი და ადგილიდან ფეხს არ ვიცვლიდი... გათენდა. გავიყინე, მომშივდა, მაგრამ გმირულად ვითმენდი და ველოდი... ველოდი... ასე, დილის 11 საათი იქნებოდა, როცა ეზოში ტაქსი გაჩერდა და იქიდან ის გადმოვიდა, ვისაც მთელი ღამე ეზოში ველოდი... თურმე, ის არხეინად ერთობოდა, მე კი მატყუებდა, რომ შინ იყო და მთელი ღამე მაყურყუტა. ამის შემდეგ რაღას ვიზამდი?.. აღარც დამირეკავს მისთვის და თუ ტელევიზორში გამოჩნდება, მაშინვე სხვა არხზე ვრთავ ხოლმე... გამოდის, აუცილებლად ცნობილი ადამიანი უნდა ვყოფილიყავი, რომ თავის გვერდით ყოფნის საშუალება მოეცა? აბა, სხვა რით ავხსნა მისი საქციელი?.. პატივისცემით, ბესო“.

სავსებით სწორი დასკვნა გამოუტანია ჩვენს მკითხველს, მაგრამ ვურჩევ, არ განაწყენდეს. „ესლი ჟენშინა კაჟდი დენ არტისტა ვიდიტ, აკადემიკა ვიდიტ, კოსმონავტა ვიდიტ, იშტოიანა ვიდიტ...“ — აბა, შენ რა მისი საკადრი-

სი ყოფილხარ?!. გაუშვი, იფრინოს!.. დასამშიდებლად კი, შემდეგი რესპონდენტის მესიჯს გაეცანი, რომელიც შენზე არანაკლებ დღეში აღმოჩენილა...

„...ტუში! ტუში დაუკარი!“

„ორი წლის განმავლობაში ვიყავი შეყვარებული ერთ მშვენიერ გოგოზე და მის მიმართ სერიოზული გეგმებიც მქონდა — ოჯახის შექმნას ვაპირებდი. მასაც ვუყვარდი და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებდით. ორი წლის განმავლობაში, მის ოჯახს არ ვიცნობდი. ვთხოვე, რომ შინ დავეპატიჟე და მშობლები გაეცნო. მინდოდა, რომ მათ წარმოდგენა ჰქონოდათ, ვის უკავშირებდა მათი შვილი ბედს. თანაც, იმედი მქონდა, რომ მათზე კარგ შთაბეჭდილებას მოვახდენდი, რადგან ვერც ოჯახის შვილობას დამინუნებდნენ, ვერც სიტყვა-პასუხს და ვერც გარეგნობას. ბოლოს, ნათია შემპირდა, რომ ახალ წელს დამპატიჟებდა და მაშინ გამაცნობდა ოჯახს; თანაც, იმ დროს, მისი სხვა ნათესავებიც იქ იქნებოდნენ და ყველას ერთად ვნახავდი. როგორც იქნა, მოვიდა სანატრელი 31 დეკემბერი, გამოვეწყვე, ბლომად ოდეკოლონიც ვიპკურე და სასიდედროსა და სასიმამროს ვეწვიე. ბლომად სტუმარმა მოიყარა თავი. უხერხულად კი ვიყავი, მაგრამ არ ვიმჩნევდი... მივუსხედით სუფრას. განსაკუთრებულ ყურადღებას არავინ იჩენდა ჩემ მიმართ, რაც ძალიან გამიკვირდა, თუმცა, გულის სიღრმეში მათი მადლიერი ვიყავი, რომ ჩემზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ. სამაგიეროდ, ერთი ახალგაზრდა მამაკაცი ჰყავდათ ყურადღების ცენტრში და თან ჰყვებოდნენ. ნათია ვერ მოვიხელთე, რომ მეკითხა, ვინ იყო ის ადამიანი. ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ საკმაოდ შეძლებული ვინმე იყო. მაჯაზე ოქროს საათი ეკეთა, ძვირად ღირებულ კოსტიუმში გამოწყობილს კი, თავი ისე ეჭირა, ქვეყნის მბრძანებელი გეგონებოდათ... აშკარად დამჩრდილა, მაგრამ ამაზე, ძალიან არ ვნერვიულობდი. ნათიას დედა ჩემით დაინტერესდა, გამომკითხა, ვინ ვიყავი, რა გვარის, სად ვმუშაობდი, რით ვსუნთქავდი... მეც დაუფარავად მოვახსენე ყველაფერი, მაგრამ ამ ქალს აღფრთოვანება ვერ შევნიშნე... ხალხი შექეიფიანდა, სასმელზე უარი არც მე მითქვამს და თანდათანობით, ღვინო ძარღვებში გამიჯდა. ვიფიქრე, თავს მოვანონებ-მეთქი და გადავწყვიტე, მემღერა. ეს საქმე მეხერხება. გიტარა მოვითხოვე. თამადა, ნათიას მამა იყო. — ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი და შემდეგ ვიმღეროთო, — მითხრა და ბრძანება გასცა, ჩემთვის ინსტრუმენტი მოეტანათ. ფეხზე წამოდგა, განსხვავებული სასმისი შეავსო და დაიწყო: — მე მინდა, ერთი დიდებული ადამიანის, ახალგაზრდა, ღირსეული ვაჟკაცის სადღეგრძელი შემოგთავაზოთ, რომელიც სულ მალე, ჩვენი ოჯახის წევრი, ჩვენი სიძე გახდება... გავწითლდი, მაგრამ მაინც წამოვდექი ფეხზე. სწორედ ამ დროს, გიტარაც შემოიტანეს და მომაწოდეს. დარცხვენილმა, გამოვართვი და ის იყო, მადლობის სათქმელად მოვემზადე და თავი მორცხვად დავხარე, რომ თამადის შემდეგ სიტყვებს მოვკარი ყური: ჩვენს ნიკას დავლოცავ!.. ამის შემდეგ, უკვე აღარაფერი გამიგონია, რადგან ნიკა მე კი არა, სწორედ ის „მოოქრული“ კაცი იყო, რომელიც მთელი საღამო, ყურადღების ცენტრში ჰყავდათ... თვალებით ნათია მოვძებნე, მაგრამ ის ოთახში აღარ იყო. თვალთ დამიბნელდა. კინაღამ იქვე ჩავიკეცე... გონს ისევ თამადის სიტყვებმა მომიყვანა: — ტუში, ტუში დაუკარიო! — მეუბნებოდა... წარმოგიდგენიათ?! საკუთარი საცოლის საქმროს სადღეგრძელოზე, ტუში უნდა დამეკრა. გიტარა მოვიმარჯვე და დავიწყე სიმღერა, მაგრამ ხმის ნაცვლად, საშინელი ხავილი ამოვუშვი ყელიდან. მერე, ხველა ამიტყდა და ოთახიდან გასვლის მიზეზიც მომეცა... მარტო ოთახიდან კი არა, ოჯახიდანაც ისე წამოვედი, რომ არც არავის შეუნიშნავს... მართალია, ჩემი ნათია მამშვიდებდა — მე შენ მიყვარხარ და მშობლების აზრი არ მაინტერესებსო, — მაგრამ როცა შევთავაზე, გამომყევი-მეთქი, რაღაც მოიმიზეზა და რამდენიმე ხნით გადადო... მერე კი გათხოვდა და დღესაც, მასთან ერთად ცხოვრობს. არ ვიცი, ბედნიერია თუ არა, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ მდიდარია. გული კი იმაზე მწყდება, რომ იმ დღეს ვერ ვიმღერე. ისეთი ტექსტი მქონდა მომზადებული, რომ ყველას სინდისზე შევაგდებდი და იქნებ, საქმე სხვანაირად შებრუნებულიყო...“

რა ვიცი, იქნებ, მართალიც ხართ და ბევრი რომ არ დაგელიათ, „სი ბემოლსაც“ ასწევდით. მაგრამ არა მგონია, რომ ამით თქვენს საქმეს შველებოდა...

ინდაურის საცივი, შემწვარი გოჭი და გოზინაყი — საახალწლო საჭმელია... „კაცის თავი“?.. ასეთი კერძი არც გამისინჯავს, არც გამიგონია, მაგრამ აგერ, ჩვენი რესპონდენტი ამ დელიკატესის რეცეპტს გვთავაზობს.

აბა, რა ეგონა?!

„მართლაც, დაუვიწყარი იქნება ჩემთვის 2006 წლის შემობრძანება. გადავწყვიტე, რომ წელს, განსხვავებულად შევხვედროდი ახალ წელს და მერწმუნეთ, გამომივიდა კიდეც. ჩემი ქმარი წინასწარ გავაფრთხილე, რომ სტუმრები მხოლოდ მეორე დღისთვის დაეპატიჟა, ღამე კი, მხოლოდ მე და ის, ინტიმურ გარემოში შევხვედროდით. რომ გითხრათ, ძალიან გაუხარდა-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ დედა დავაფიცე და სხვა გზა არ ჰქონდა. წინასწარ მოვამზადე ყველაფერი და არც სურნელოვანი სანთლები დამვიწყნია. სუფრა გავაწყვე, მეც საგანგებოდ ამ დღისთვის ნაყიდ ტანისამოსში გამოვეწყვე, ქმრის კომპლიმენტებიც დავიმსახურე და საუკეთესო განწყობილებით ველოდი 12 საათის დადგომას. დათომ არ დაიშალა და 10 საათიდან მივუსხედით სუფრას. ერთ სადღეგრძელოს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე შევყევით ქეიფს. ახალი წლის მოსვლას მაშხალების სროლით შევეგებეთ და ისევ განვაგრძეთ ქეიფი... 2 საათზე, კარზე დააკაკუნეს. არ მესიამოვნა დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენა, მაგრამ აბა, რაღას ვიზამდი?! სამაგიეროდ, ჩემს ქმარს აუციმციმდა თვალები. კართან მისი თანამშრომელი იდგა, რომელსაც 2 ქალბატონი ახლდა. რა თქმა უნდა, შემოვიპატიჟე. — ეს ჩემი მეუღლეა, ეს კი — ცოლისდა, — გაგვაცნო თანმხლებნი და სუფრას მიუჯდა. გავაგრძელეთ ქეიფი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ვიეჭვე, რომ ეს კაცი იტყუებოდა და ცოლი და ცოლისდა კი არა, ვიღაც ქალები ახლდნენ... ამ ქალებს გავუშინაურდი, ვითომ ვერაფერს მივხვდი და რაღაც-რაღაცები შევეკითხე. ისე ფრთხილად მპასუხობდნენ, რომ მივხვდი, ჩემი ეჭვი მართლდებოდა. ის კიდევ, ჩემს ქმარს აუტყდა — გინდა თუ არა, ჩემთან წავიდეთო. რა თქმა უნდა, არსადაც არ გავუშვებდი. ამისათვის საუკეთესო ხერხს მივაგენი: განსხვავებული სასმისები გადმოვიღე და დავიწყე მათი დათრობა. სულ მალე, მოსწყდათ კისრები. ფეხზე დგომის თავი არც ერთს არ ჰქონდა. ჩემი ქმარი იქვე მიწვა, სადაც იჯდა. ბატონმა ვალერიმ კი, თავი საკუთარ თეფშში ჩადო და ხვრინვა ამოუშვა. მე ისევ განსხვავებულს წამოვავლე ხელი და სუფრის „დელიკატესის“ — „კაცის თავის“ სადღეგრძელო დავლიე, იმ ქალებსაც დავალევინე. მერე, სახლის კარი გავუღე და ვუთხარი — ახლა აქედან მოუსვით, თქვე გათახსირებულებო, თორემ, ამ ახალ წელს, სამუდამოდ დაგამახსოვრებთ-მეთქი!.. ხმის ამოუღებლად წავიდნენ. კარი საგულდაგულოდ ჩავრაზე და უკან გამოვბრუნდი. ჩემს ქმარსაც და მის ძმაკაცსაც თავები გადავპარსე, მერე მეც ჩემს ქმარს მივუწექი და დავიძინე... დილით, მათ ჩემზე ადრე გამოეღვიძათ. ერთმანეთს გაოცებულები უყურებდნენ. მეც გავიკვირვე — ეს რა გიქნიათ-მეთქი?!. ორივემ იფიქრა, რომ მეც დამეძინა და თავი იმ ქალებმა გადაპარსეს. ამიტომ იხტიბარი არ გაიტეხეს და მითხრეს, ვითომ მთვრალებმა გადაიპარსეს თავი... გულში მეცინებოდა და სუფრას ვაახლებდი. ცოტა ხანში, მათ სხვა მეგობრებიც შემოუერთდნენ. გაკვირვებით იჩეჩდნენ მხრებს, მათი გადაპარსული თავების

დანახვაზე. ახლა, თუ რომელიმე მათგანი „გზავნილებს“ წაიკითხავს, მიხვდება, თუ ვინ იძია მათზე შური. დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარი აუცილებლად წაიკითხავს, რადგან ძალიან უყვარს „გზავნილები“, დიდი გატაცებით ეცნობა ხოლმე ყველა ნომერს და გულიანად იცინის სხვების თავგადასავლებზე. ახლა, ალბათ, არ გაეცინება... ისე, მარი, ერთი რამ მინდა გითხრა: როცა თავს ვპარსავდი, მაშინვე შენ გამახსენდი და გონებაში, გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტსაც ვადგენდი. როგორ მაინტერესებს, რას იტყვის ჩემი ქმარი! აუცილებლად მაგასაც მოგწერთ...“

„ვაგონი მიქრი-იიის!..“

„ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წელი ჩემს ბავშვობაში „გადავაგორე“. 31 დეკემბერი იყო. თბილისში ახალი წლისთვის უჩვეულოდ ცხელოდა. მამაჩემმა აიჩემა — გინდა თუ არა, სოფელში წავიდეთ და ახალ წელს იქ შევხვდეთო. ჩავალაგეთ ჩანთებში ყველა საჭირო ნივთი და მძიმე ბარგით რკინიგზის სადგურისკენ გავემართეთ. ძველ მატარებელში ჩავსხედით და ჩუქ-ჩუქით დავიძარით. ვაგონი მიქრი-იიის!.. თავდაპირველად, ზესტაფონში ჩავედით. იქ ისეთი დიდი თოვლი იდო, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებული იყო. ჩვენ კი, ჭიათურაში უნდა ჩავსულიყავით. ჩვენდა სამწუხაროდ, დავრჩით ზესტაფონში. ღამეა, ძალიან ცივა. წასასვლელი არსად გვაქვს... მამაჩემს ერთი ადამიანი გაახსენდა, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, მაგრამ მისამართი კარგად არ იცოდა. რის ვაი-ვაგლახით მივაგენით და შუაღამისას, დაუპატიჟებლად მივადექით ნატო დეიდას. იმ ღამით იქ დავრჩით, კარგად ვიქეიფეთ, მეორე დილით კი, ჭიათურისკენ გავემართეთ. ამინდი იმედს არ გვაძლევდა, მაგრამ ჩვენ მაინც წავედით. როგორც იქნა, „ელექტრიჩკაში“ მოვთავსდით. ხალხით სავსე ვაგონში სრული სიბნელე იყო, მძიმე და სპეციფიკური სუნი იდგა... ერთი სიტყვით, საშინელება იყო. ამ დროს, ვიღაცა ხუმრობის ხასიათზე დადგა და ძროხის ხმით დაიბღავლა. იმას მეორე აჰყვა — ცხვრის ბღავილით, მერე — მესამე... ასე შემოგვთავაზეს მგზავრებს ყველა ცხოველის პაროდია. გვცივა, გვშია, რაც საგზლად წამოვიღეთ, ყველაფერი შემოგვეჭამა... როგორც იქნა, დაღლილ-დაქანცულებმა ჩავაღწიეთ ჭიათურაში. უკვე ბნელოდა, სოფელში ვეღარ მოვახერხეთ წასვლა, რადგან ტრანსპორტი არც იქ მოძრაობდა და იძულებული გავხდით, ახლა ჭიათურაში, ისევ ნაცნობის ოჯახში გაგვეთია ღამე. იქაც მაგრად ვიქეიფეთ და მეორე დღეს, ფეხით ავუყევით მთაგორიან გზას. მთელი 7 კილომეტრი ვიარეთ აღმართ-აღმართ და მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, სოფელ შუქრუთს მივადექით, რისთვისაც მთელი 3 დღე ვიარეთ. უკან დასაბრუნებლად კი, მხოლოდ 2 დღე დაგვჭირდა... აი, ასეთი ახალი წელი გვქონდა, მამაჩემის წყალობით. პატივისცემით, პავლიკა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და საახალწლო საჩივრებს გავეცნოთ.

„ახალი წლის ღამეს, დაკარგული სიყვარულის სადღეგრძელო დავლიე...“

„გზავნილების“ ყველა ერთგულ მკითხველს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ, რომ „გზავნილები“ არ შემოჰკლებოდეთ. პირადად მე, ყოველი ხუთშაბათის გათენება იმიტომ მიხარია, რომ „გზავნილებს“ წავიკითხავ. იმედია, ამჯერად ჩემს მესიჯსაც ვიხილავ ახალი წლის პირველ ნომერში. თქვენი ერთგული ინგა, ქუთაისიდან“.

„მე ათენიდან გწერთ. ერთი ჩვეულებრივი, საყვარელი ადამიანისგან უარყოფილი გოგო ვარ. სანამ თბილისში ვიყავი, მას ჩემზე აბოდებდა, წამოსვლის დღეს, ცრემლებითა და დიდი ვარდების თაიგულით გამომაცილა, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე მიღალატა. არადა, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს! ყველა მამაკაცი ერფნაირი არამზადაა. არა უშავს, მალე ჩამოვალ და თვალებს დავთხრი“.

„იცით, რა ბედნიერი ვარ?.. მე 21 წლის ვარ, ის — 41-ის, მაგრამ რა კაცია, იცით?! ჩემი სიცოცხლეა! ვნატრობ, რომ მთელი ცხოვრება მის გვერდით ვიყო... ნეტავ, შენც ასე გიყვარვარ?“

„ჩემი საყვარელი მამაკაცი ყველაფერზე მიდიოდა, რომ ერთად ვყოფილიყავით. ჯერ იყო და, ქუჩაში დამიჩოქა და ხმამაღლა ყვიროდა, მიყვარხარო... მერე, ფანჯრიდან ხტებოდა და სახლიდანაც კი გაიქცა. როცა ყველა დაითანხმა, რომ ერთად ვყოფილიყავით, რამდენიმე თვეში, ცოლი მოიყვანა. ხომ ხედავ, რომ ღმერთმა დაგსაჯა და ისევ მე გიყვარვარ!.. კუკუშკები“.

„გამარჯობა, მარი. მე პირადად არ გიცნობ, მაგრამ შორიდანვე ვხვდები, რომ ეშმაკუნა და ჭორაობის მოყვარული იქნები. აბა, ისე ხალხს თავის ამბებს როგორ დააცდენინებდი?.. ეგ იქით იყოს და ყველაზე ცუდი ის არის, რომ სული კბილით მიჭირავს, რომ მეც მოგწერო ჩემო ცხოვრების წვრილმანები. მაინც, როგორ ფიქრობ — შენთან ჭორაობის შემდეგ, ხალხს შეუძლია, თავისუფლად ამოისუნთქოს? გულიდან დარდი ეხსნებათ? თუ უბრალოდ, ერთობიან? ვიცი, მესიჯი დაიბეჭდება, მაგრამ შენი აზრის გაგება თუ შემიძლია?.. თემური“.

„საუკეთესო ახალი წელი იყო 2003, როცა ბუენოს-აირესში შევხვდი. ზღვა, მზე და ახალი წელი. ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებოდით, მაგრამ დეპოზიტი... „გზავნილები“, „ამორე მიო“!.. გკოცნით. თუ კიდევ გავფრინდი, „გზასაც“ წავიყოლებ. აბა, ჰე!“

„ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი საყვარელი ადამიანი სწორედ მაშინ შემიყვარდა, როცა „გზის“ საყიდლად ქუჩაში გავედი. ასე რომ, „გზას“ ჩემთვის წარმატებები მოაქვს. თქვენი ერთგული მკითხველი, მარი“.

„ყველაზე მეტად, 1983 წლის ახალი წელი დამამახსოვრდა, რადგან იმის მერე, სულ ციხეში ვარ. ახლა გავთავისუფლდი. მიხაროდა, ახალ წელს გარეთ შევხვდები-მეთქი, მაგრამ იარაღი ჩამიგდეს და ისევ დამიჭირეს“.

„ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო 2005 წლის დადგომა. სოფელში ვაპირებდი წასვლას. რომ არ წავსულიყავი, არ გამოდიოდა... ბილეთებზე ადრიანად ვერ ვიზრუნე და ცხოვრებაში პირველად შევხვდი ახალ წელს მატარებელში. თანაც, მძინარე. მაგარია, არა?“

„ჩემო სიყვარულო, ჩემო სიხარულო,/ ჩემო ღიმილო და სევდავ.../ ალბათ, რომ იცოდე, როგორ მენატრები,/ ირგვლივ დაივიწყებ ყველას./ აუ, მარი, გთხოვ, ეს მესიჯი გაუშვი! ეძღვნება გუდაურში მყოფ თაკო ბედოიძეს, დიდი სიყვარულით, დათოსაგან“.

„დაღამდა... სიბნელეა... სევდაა... უშენობაა... მარტოობა... ფიქრები... წარსული... მჭირდები... ლოდინით ვიღლები... წყეული სიტყვები... მხოლოდ კითხვები... ვხვდები, ვიშლები... ალბათ ვიღლები... მიყვარხარ... არ ვიცი, ვინა ხარ... თენდება... გრძნობა ნელდება... მაგრამ გრძელდება... ეძღვნება ყველაზე ლამაზ გოგოს, ნათია ბ-ძეს“.

„რა უბედური ვარ! ჩემმა შეყვარებულმა ჩემი დაქალი მოიყვანა ცოლად. საახალწლოდ მგონი, თავს მოვიკლავ. არ გეცოდები? მარი, დამამშვიდე, რა!“

„მარი, ვიცი, არ დამიბეჭდავ, მაგრამ მაინც გიგზავნი. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა 2005 წელი, იმით, რომ მოვხვდი ქვეითი პატრულის რიგებში. დიდი იმედგაცრუება კი, 7 ივნისს მქონდა, როცა ბოლო გამოცდიდან პირჯვრის გადაწერისთვის გამომაგდო და ბილეთის მოყოლა არ დამაცადა ბესო მან-ძემ. ღმერთმა მაინც არ გამწირა. გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ გამარჯვებებს. „გზავნილების“ ერთგული მკითხველი ხაშურიდან, რამაზ გ“.

„მარი, მინდა შენ და მთელ „გზის“ კოლექტივს მოგილოცოთ ახალი წელი. გულწრფელად გისურვებთ, რომ დაგეპყროთ მაღალი მწვერვალები. მარი, სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, ტელევიზიით რომ გნახე. ვინ იცის, რამდენჯერ მიფიქრია — ნეტავ, როგორია მარი ჯაფარიძე-მეთქი?.. ახლა კი, გარეგნობით გიცნობთ. მინდა მოგიყვეთ

ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წლის შესახებ. იყო დრო, როდესაც მშობლებთან ერთად, გოიმურად, ოქროსა და დოლარებში ვხვდებოდი ახალ წელს. მაშინ მწამდა ოქრო-ფულის დაბედების და არც არასდროს მკლებია არც ერთი. მუდამ სიყვარულისა და ჭკუის დეფიციტს განვიცდიდი. იყო საყვარელი, რომელიც ჩემ გამო არ წაეთრა თავისიანებთან და ჩემთან ერთად შეხვდა ახალ წელს. ჯერ კიდევ 18 წლისამ, სიყვარულს ჩემი სხეული ვაჩუქე წინასაახალწლოდ. ის კრეტინიც დაება და ძველით ახალ წლამდე არ წათრეულა შინ. მთელი ის ახალი წელი, სიყვარულით და დიდი ტკივილით იყო სავსე. ეს ამბავი ქორწილით დაგვირგვინდა. მომდევნო ახალ წელს კი, დიდი მუცლითა და ჩამქრალი თვალებით შევხვდი. ახლა, მყავს ერთი ადამიანი, რომელსაც ვაღმერთებ. ეს ჩემი შვილია, მარი, შენი მოსახელე. არც კი ვიცი, თუ ოდესმე, ახალი წლის დადგომა ისევ გამიხარდება“.

„ახალ წელს არასოდეს ვისვრი მაშხალებს. მხოლოდ ფანჯრიდან ვუყურებ ხოლმე ფეიერვერკს. ჩემი ფანჯრის წინ მცხოვრები კაცი კი, ყოველ ახალ წელს თოფს ისვრის. წინა ახალ წელს, ზუსტად 12 საათზე, ფანჯრის მსხვრევის ხმა გავიგონე. თურმე, მისი გასროლილი ტყვია ჩემს ფანჯარას მოხვდა. ასე დამამახსოვრდა წინა, 2005 წელი. გილოცავ ახალ წელს და მადლობას გიხდი იმ სიამოვნებისთვის, რომელსაც „გზავნილებით“ გვანიჭებ. დიდა“.

„მე და ბესო სამ სურვილზე დავნაძლევდით. წავაგე. მან კი, 2 იანვრის დილას დამიმესიჯა — პირველი სურვილი ის არის, რომ ცოლად გამომყვეო. უარი ვუთხარი და ამის გამო, ერთმანეთს დავშორდით... ის უზომოდ მიყვარს. ვიცი, 2005 წელი არ დაბრუნდება, მაგრამ იქნებ, ბესო მაინც დამიბრუნდეს! თეო“.

„2005-ის ახალი წელი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. მე, ჩემმა მულმა და მეუღლის ბიძაშვილმა მთელი ღამე გავათენეთ. მე და ოთომ პირველ იანვარს, დილის 6 საათზე რომ დავიწყეთ სმა, საღამომდე არ გავჩერებულვართ. დავდიოდით ნათესავებში და ყველგან თითო ჭიქას „ვურტყამდით“. 2-ში, მეუღლის დაბადების დღეა. რა თქმა უნდა, იმ დღესაც დავლიეთ. ისეთ დღეში ჩავცვივდით, რომ 3-ში, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით... წელს, მეუღლის თანამშრომლები მოდიან სტუმრად და ასე... ისევ მომიწევს დალევა“.

„მარი, ამ საახალწლოდ უცნაური თხოვნა მაქვს შენთან, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მაქვს. მყავს 9 თვის პატარა, მეუღლე, დედა, ავადმყოფი ბებია და დედამთილი. ამდენი, ნახევრად მშიერი ადამიანი ერთად ვცხოვრობთ. ჩვენ — ჯანდაბას, მაგრამ ბავშვის საჭმელიც კი არ მაქვს. იქნებ, დამეხმარო და როგორმე, ხმა მიაწვდინო რომელიმე ბიზნესმენს, რომ ჩემს ქმარს რაიმე სამუშაო გამოუძებნოს. გთხოვ, უყურადღებოდ ნუ დამტოვებ და ჩემ მაგივრად სთხოვე დახმარება. ან იქნებ, ჟურნალში წაიკითხოს ვინმემ და გულთან ახლოს მიიტანოს ჩემი გასაჭირი... არ გეგონოთ, რომ თვითონ გულხელდაკრეფილი იჯდეს და სამუშაოს არ ეძებდეს. სადაც მივიდა, ყველგან ჰპირდებიან, დღეს-ხვალ იბარებენ, ბოლოს კი, არაფერს უკეთებენ. ამასობაში, დრო გადის და ჩემი შვილი, რის ვაი-ვაგლახით იზრდება...“

„2 წლის წინ, 2 ბიჭი, კოკა და ვაკო ერთდროულად მიყვარდა. ახალი წელი რომ მოახლოვდა, ჩავუთქვი სურვილი — ვინც პირველი მომილოცავდა ახალ წელს, ცოლად იმას გავყვებოდი. 00 საათსა და 2 წუთზე, კოკამ მომილოცა. მეორე დღეს, ვაკოსთან მინდოდა შეხვედრა, მაგრამ ქალაქში არ იმყოფებოდა. ამიტომ შევხვდი კოკას და დღეს, მისი ცოლი ვარ. ასე „გადაწყვიტა“ ახალმა წელმა ჩემი ბედი. ახლა, პატარაც მყავს და ბედნიერი ვარ“.

„მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, სწორედ ეს, 2006 წელია ყველაზე ბედნიერი, რადგან ნამდვილ მამაკაცს ვუყვარვარ და პირველად ვარ ჩემს თავში დარწმუნებული. გელა, სიხარულო, ძალიან მიყვარხარ“.

„სწორედ წლევანდელი ახალი წელი დამამახსოვრდება ყველაზე მეტად და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩემმა საყვარელმა ადამიანმა კიდევ ერთხელ მომატყუა და ამით ჩვენს სამწლიან სიყვარულს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ამ ტყუილს აღარ გაპატიებ. ანდა, როდემდე აპირებ ტყუილებითა და აფერისტობით ცხოვრებას?.. ახალი წლის ღამეს კი, პირველი დაკარგული სიყვარულის საძღვგრძელო დავლიე. აკაკი“.

„7 თვეა, რაც ათენში ვარ. ჩემმა შვილმა ჩემი წამოსვლის შემდეგ აიდგა ფეხი. ახლა კი, საახალწლო ზეიმი ჰქონდა ბაღში. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება ის დედა, რომელიც თავისი შვილის პირველ ნაბიჯებს ვერ ნახავს და ქმარიც უზომოდ ენატრება... იაგო, ძალიან მიყვარხარ! ელისო“.

საჩივრის სვეტი

„მარი, არ შეიძლება, რომ ახალ წელს ვუჩივლო?.. მას არასოდეს აუსრულებია ჩემ მიერ ჩაფიქრებული სურვილი... შენ კი — გილოცავ! გისურვებ ბედნიერების 12 თვეს, მხიარულების 52 კვირას, წარმატების 365 დღეს, ჯანმრთელობის 8760 საათს, სიამოვნების 525600 წუთს და სიყვარულის 31536000 წამს. ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემი მეგობარი ხარ. სოფო“.

„მინდა, მამაჩემს ვუჩივლო, რომელიც უაზროდ დაბორიალებს ორ ოჯახს შორის... მეორე ოჯახში პატარა შვილი ჰყავს. ხან ჩვენთან არის, ხან — იქ. ვერ გავიგე, რა უნდა. ან ერთგან იყოს, ან — მეორეგან. აქაოდა, ევროპელი ვარო, არ დაქრის აქ?!.“

„ვუჩივი მარის, რადგან „გზავნილების“ გამო, მოუთმენლად ველი ხუთშაბათს. დედაჩემი მემუქრება — იმეცადინე, თორემ მარისთან გიჩივლებო... ზარმაცი არ ვარ, უბრალოდ, არ შემიძლია, რომ ყოველ ხუთშაბათს ვიმეცადინო, თუ „გზავნილებს“ არ წავიკითხავ. დედი, დამანებე, რა, თავი! ხომ იცი, „გზავნილების“ გარეშე ვერ გავძლებ! ელენიკო“.

„ვუჩივი განათლების მინისტრს, რადგან ამდენი გამოცდა დანიშნა. ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე და ფსიქოლოგიც კი დამჭირდა, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. რა ჯანდაბად მინდა თქვენი დიპლომი, თუ მთელი ცხოვრება ავადმყოფი დავრჩები?! ბატონო კახა, მთელი ახალგაზრდობა უმორჩილესად გთხოვთ, რომ შეგვიმსუბუქოთ გამოცდები. თქვენც და ბევრმა სხვამაც ადრინდელ პერიოდში ჩააბარეთ და სწავლობდით და კი ხართ ახლა ფუმფულა სკამებზე. ჩვენ დებილები ხომ არ ვართ! რა საჭიროა, ასეთი „უგზო-უკვლო“ განათლება?! მომავალი მხატვარი, ნინი“.

„ვუჩივი ჩემს ძმას, რომელიც ახლა, ბაკურიანშია და ვერ მოიფიქრებს, რომ ერთხელ მაინც დამირეკოს. ფიდო, თბილად ჩაიცვი, არ გაცივდე, თორემ, ისევ მე მომიწევს აფთიაქში სირბილი შენს წამლებზე. შენი მზრუნველი დაიკო, ხატია“.

„ვუჩივი ბედს, რომელმაც ჩემი საყვარელი დედიკო წამართვა. დე-ე, ხომ მითხარი — ავადმყოფი ანგელოზი ვინ ნახაო? მკვდარი ანგელოზი ვინ ნახაო? მოხუცი ანგელოზი ვინ ნახაო?.. და თუ ანგელოზები არ ავადმყოფობენ, არ ბერდებიან და არ კვდებიან, მაშ, შენ რა დაგემართა? მაშ, შენ რა დაგემართა? მაშ, შენ რა დაგემართა?.. ეს ჩემს უდროოდ წასულ დედას ეძღვნება, თავისი პატარისაგან“.

„ვუჩივი დათო ჩ-შვილს, რომელმაც ახალი წელი არ მომილოცა. არ გრცხვენია, ბიჭო, ასე რომ იქცევი?! მერე შემეხვეწები — ერთი მაკოცნინეო, — მაგრამ ვერ მოგართვეს — კოცნას დამსახურება უნდა. მარი, ათენიდან“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. იმედია, ახალი წელი ძალზე მხიარულად გაატარეთ. ჰოდა, მომდევნო ნომერში სწორედ ამ თემაზე მოგვწერეთ — „ღვინო დავლიე, დავთვერი, ცხოვრება გავიხალისე“... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.(77)45.68.61. გვიამბეთ, სიმთვრალეში თქვენს თავს გადახდენილი, სახალისო შემთხვევების შესახებ. ველი თქვენს მესიჯებს და მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

ცნობილი ტელესახის, სერგი გვარჯალაძის გადაცემა „ვაკანსია“ საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერიდან კი გაქრა, მაგრამ სერგი უმუშევარი არ დარჩენილა. იგი აგრძელებს მუშაობას სტუდია „კომუნიკატორში“. ერთგვარად ამპლუაც კი შეიცვალა და ახლახან კინოდოკუმენტალისტად მოევლინა მაყურებელს. ამჯერად სერგი რამდენიმე ახალ პროექტზე მუშაობს და პირველად ჩვენ გვიმხელს იმ სიურპრიზებს, რომელთაც ქართველ ტელემაყურებლებს უმზადებს.

როდესაც ტელეეთერში რაღაც უცხო გაიელვებს, არ უნდა ეიფიქროთ, რომ რაიმეს ეკარგავთ

ეკა ლომიძე

— „ვაკანსიას“ სახელშეკრულებო ვადა ამოეწურა და ამიტომაც აღარ გადის ტელეეთერში. თუმცა ვფიქრობ, ასეთი გადაცემა სჭირდება ქართველ საზოგადოებას. იმიტომ კი არა, რომ „ვაკანსია“ ფანტასტიკური გადაცემა იყო. უბრალოდ, ჩვენთან ძალზე აქტუალურია დასაქმების პრობლემა და ალბათ კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური.

— ადამიანების დასაქმებას თუ ახერხებდით?

— ამ მხრივ ძალზე შედეგიანი იყო გადაცემა. ამიტომ მიუხედავად იმისა, გამოაცხადებს თუ არა რომელიმე ტელეკომპანია ასეთი სახის პროექტებზე ტენდერს, ჩვენ მაინც ვაგრძელებთ მუშაობას. ხალხი გვირეკავს, „იმეილით“ გვიკავშირდება და ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. „ვაკანსიის“ წყალობით ერთ-ერთ ცნობილ საერთაშორისო ფონდში მიმიწვიეს დასაქმების პროექტზე სამუშაოდ. ვფიქრობ, მისი განხორციელება ძალზე წაადგება უმუშევრებს. პროექტით, ძირითადად, გათვალისწინებულია ძალოვანი სტუქტურების ყოფილ, ახლა უმუშევრად დარჩენილ პირთა გადამზადება სხვა სამსახურებში სამუშაოდ. არ შეიძლება, კაცმა ერთხელ რაღაც ისწავლო და მთელი სიცოცხლე ელოდებოდე სპეციალობით სამსახურის შოვნას.

— მას შემდეგ, რაც დოკუმენტური ფილმი „ელექტრონავტები“ წარადგინეთ საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში, ბევრმა აღნიშნა, რომ ამპლუა შეიცვალეთ.

— „კომუნიკატორში“ ყოველთვის ვცდილობდით დოკუმენტური მასალების ჩვენებას. უბრალოდ, ამას ფილმის სახე არ ჰქონდა. ასე რომ, კინოდოკუმენტალისტობა ჩემთვის უცხო ხილი არ ყოფილა. მიხარია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია ყურადღებას ამახვილებს დოკუმენტურ კინოზე. ჩემი აზრით, ეს სხვა კომერციული არხებისთვისაც უნდა იყოს სამაგალითო. იმედი მაქვს, ქართული დოკუმენტური ფილმებით უცხოური ტელეარხებიც დაინტერესდებიან, ფესტივალებში მივიღებთ მონაწილეობას და ამ გზითაც გაიცნობს ქართულ კულტურას მსოფლიო. „ელექტრონავტები“ ექვსი ქართველი მუსიკოსის შესახებ არის გადაღებული. ისინი ელექტრონულ მუსიკას ქმნიან. მოგვწონს თუ არა ეს მუსიკალური მიმდინარეობა, ის ახლა ქართული კულტურის ერთ-ერთი ნაწილია. თუმცა დღეს მისი პოპულარიზაცია არ ხდება. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში თინეიჯერებში განსაკუთრებით პოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ელექტრონული მუსიკა, მაგრამ ჩვენმა მელომანებმა არაფერი იციან ქართული ელექტრონული მუსიკის შესახებ. არადა, ის მუსიკოსები, ვისზეც ფილმი გადავიღეთ, პოპულარული არიან ევროპაში.

— ამჯერად რაზე მუშაობთ, ისევ მუსიკოსებზე იღებთ ფილმებს?

— საბედნიეროდ, საქართველოში მრავლად გვაქვს თემა, რომელთა შესახებ ფილმების გადაღება შეიძლება. ამჯერად დამაინტერესა იმ ადამიანების საქმიანობამ, რომლებიც ცხოვრებას, რომ იტყვიან, ქარის წისქვილებთან ბრძოლაში ატარებენ. კერძოდ, ვმუშაობ ფილმზე, რომელიც „ისტერნ პრომოუშენის“ საქმიანობაზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფის წევრები სპორტსმენები იყვნენ, ერთ დღეს კი გადაწყვიტეს, რომ დანგრეულ და დაჩაჩანაკებულ ქვეყანაში მსოფლიო დონის მუსიკალური ვარსკვლავები ჩამოეყვანათ. მათი წყალობით საქართველოში ისევ შეიკრა მაყურებელთა წრე, რომელსაც არა ფსევდო, არამედ ნამდვილი მუსიკა აინტერესებს. ცნობილი უცხოელი მუსიკოსების საქართველოში ჩამოსვლამ ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი უცხოეთში. მხოლოდ იმისათვის, რომ კონცერტი ჩაატაროს, „ისტერნ პრომოუშენს“ მუსიკოსები არ ჩამოჰყავს. სტუმრებს ქართულ კულტურასაც აცნობენ, თორემ მუსიკოსების საგასტროლო ტურნეებს უამრავი კომპანია აწყობს. მუსიკოსები ერთმანეთს კარგად იცნობენ და მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ერთი მათგანი მეორეს უყვება, რომ დიდი კულტურის ქვეყანაში იყო და გასტროლით კმაყოფილი დარჩა. დამეთანხმებით, გასახარია, რომ რეი ჩარლზი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა საქართველოზე, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას ტერორისტების ბუნაგს უწოდებდა ზოგიერთი. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ქართული სიმღერით ატირებული ჯორჯ ბენსონი, ვიდრე მისი შესანიშნავი კონცერტი. ბიზნესინტერესიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში „ისტერნ პრომოუშენის“ საქმიანობა წამგებიანია, მაგრამ თუ ყველა შეუშინდება სიძნელეებს, საქმე არასოდეს წავა წინ და შოუბიზნესის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

— რამდენადაც ვიცი, ახალ სატელევიზიო პროექტებსაც ამზადებთ. უკვე გადაწყვეტილიც ხომ არ არის, რომელ ტელეარხზე გამოჩნდებით?

— ალბათ, ამ თვის ბოლოს დავიწყებთ მოლაპარაკებას რამდენიმე ტელეკომპანიასთან. პროექტები „რეალითი შოუს“ ფორმატში გაკეთდება. ერთ-ერთი, „ამტანებისა“ და „ჯეო-ბარის“ ალტერნატივა იქნება, ოღონდ ეს იქნება წმინდა

მუსიკოს დადა დადიანთან ერთად

ქართული პროდუქცია — ფორმითაც, შინაარსითაც და ფსიქოლოგიითაც. ამ პროექტში მონაწილეებს შორის არ იქნება კონფრონტაცია.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვისაც მონაწილეების მუდმივ ურთიერთდაპირისპირებაზე აგებული „ამტანები“ და „ჯეო-ბარი“ არ მოსწონს?

— ვფიქრობ, ამ პროექტების ქართულ ტელეკომპანიებში გაკეთება კარგი ფაქტია, მიუხედავად იმისა, ვიღაცას მოსწონს თუ არა ეს. „რუსთავი-2“-მა დიდი შრომა გასწია ამ პროექტის მოსამზადებლად. შეიძინეს ძვირად ღირებული ტექნიკა, საგანგებოდ მომზადდა პროექტზე მომუშავე ჯგუფი.

ამ ორ პროექტში კონფრონტაცია მონაწილეებს შორის აქტუალურია, ისევე როგორც, ანალოგიურ უცხოურ პროექტებში.

ჩვენ გვინდა ჩვენს პროექტში ყველაფერი კონსტრუქციულად წარიმართოს და მაყურებელი მხოლოდ დაკა-დაკას არ უყურებდეს. ისეთი ქართული პროექტის გაკეთება გვინდა, რომელიც უცხოელებისთვის იქნება მისაბაძი. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, აუცილებლად სხვები შეძლებენ. ამ საქმეში მთავარია გამოცდილება. კიდევ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, — მალე საზოგადოებას გაუნელდება ინტერესი უცხოური პროექტების მიმართ და სწორედ მაყურებლის განწყობა უკარნახებს ტელევიზიებს ახლებურად აზროვნებას.

— საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, ქართული სატელევიზიო კულტურა დაბალ დონეზეა და მას განვითარება კარგა ხანს არ უწერია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ქართველებმა ძალიან კარგად ვიცით, რა როგორ გავაკეთოთ, მაგრამ გამოცდილება და ცოდნა გვაკლია. თუ არ ვიზარმაცებთ, ყველაფერს შევძლებთ. ერთ საინტერესო შემთხვევას გავიხსენებ: შარშან ტელეხიდი მოეწყო ქართული და რუსული კულტურის წარმომადგენლებს შორის. რუსები ჩივიან, — ჩაგვყლაპა დასავლურმა კულტურამ, თქვენ ეს საფრთხე არ გემუქრებათ, სანამ თქვენს ოჯახებში ქართულად მღერიან და ცეკვავენ და ქართულ კულტურას სცემენ პატივსა. მართალია ის ხალხი — სანამ საკუთარ ფესვთან ძლიერად ხარ დაკავშირებული, უცხო კულტურა ვერ მოგერევა. ნებისმიერ უცხო კულტურას მიიღებ, გადახარშავ და როგორც გინდა, ისე მოირგებ. ამას ოდითგანვე აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები და როდესაც ჩვენს ტელეეთერში რაღაც უცხო გაიელვებს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაიმეს ვკარგავთ. საკუთარი კულტურის დამფასებელი არაფერს კარგავს, პირიქით, იგებს.

■

„პოლიფონიური სიმღერის ცრაფიცია ბავშვობიდან ეჯირფლავდ“

საბერძნეთში მცხოვრები ქართველები ნამდვილად განებივრებული ვართ თანამემამულე შემოქმედთა გასტროლებით. განსაკუთრებით ბოლო 2-3 წლის მანძილზე, ელადას უამრავი მხატვრული კოლექტივი ეწვია, რომლებმაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს არა მარტო ქართველ, არამედ ბერძენ მსმენელსა და მაყურებელსაც. ესენი გახლავთ: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — ანზორ ერქომაიშვილი), ხალხური სიმღერის ანსამბლი „ნეკრესი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — ნინო მესხიშვილი), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“ (ქორეოგრაფი — თამაზ კობახიძე) და მრავალი სხვა.

ავტორი ანზორ ერქომაიშვილთან ერთად

უკვე გასული, 2005 წლის მიწურულს, საბერძნეთის სტუმარი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვოკალური ანსამბლი „მეხური“, რომელიც მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაცია „თოას“, ბერძნულ-ქართული ასოციაცია „დიოსკურიისა“ და ათენის ქართული ინსტიტუტის (დირექტორი — ცნობილი ელინისტი, ავთანდილ მიქაბერიძე) ინიციატივით გვეწვია. ანსამბლის ვიზიტის მიზანი ასეთი იყო: გაეცნო ადგილობრივი საზოგადოებისთვის „პოლიფონიური სიმღერის ტრადიცია კავკასიიდან ეპიროსამდე“.

ქართველ შემოქმედთა დელეგაციას საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ანზორ ერქომაიშვილი ედგა სათავეში. თავდაპირველად, ანსამბლი ქალაქ იანინას (ეპიროსი) ეწვია. დაათვალიერა ეპიროსის მხარის ღირსშესანიშნაობები. საინტერესო შეხვედრებისა და მოგზაურობის შემდეგ, „მეხურის“ ბიჭები ათენში გაემგზავრნენ და შეხვდნენ ბერძენ და ქართველ საზოგადოებას. ეს დაუვიწყარი საღამო გაიმართა ათენის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რეტსორან — „მაგემენოს ავლოსში“. „მეხურის“ ბიჭებმა კიდევ ერთხელ „დაანაყრეს“ ადგილობრივი ქართველობა და მასპინძლები ქართული ხალხური სიმღერით. მაშინ კი, როცა „ჩემო კარგო ქვეყანავ“ აჟღერდა, დარბაზი ფეხზე წამოდგა და მსმენელებმა თავიანთი ხმები შეაშველეს ანსამბლს... ასევე აქტიურობდა დარბაზი ქართული ხალხური ცეკვის შესრულებისას...

მომდევნო დღეებში, ანსამბლის წევრებმა და ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო შეხვედრები გამართეს ადგილობრივ მკვლევარებთან: ბიზანტიური მუსიკის, ეპიროსის პოლიფონიური სიმღერის, ძველი ბერძნული მუსიკის სპეციალისტებთან.

ლიგია მუმკულიანი
ათენი

„ისეთქალი რომ ვიყო, ხელიდან არ გაგიშვებდი“...

მარი ჯაფარიძე

„საპატარძლოს“ რუბრიკაში თეო თავაძის გამოჩენამ ბევრი მისი თაყვანისმცემელი გაახარა. თუმცა ტატოს დამარცხებამ თეო დაამწუხრა და ხასიათზე ვერ არის, მაგრამ იმედია, ეს დროებითია და მალე გაუვლის. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც თეოსთან დაკავშირება უნდოდათ, მათთან მიმართებაში ერთი მცირე და უმნიშვნელო საყვედური მინდა გამოვთქვა. ან მე ვერ ვწერ გასაგებად, ან მათ არ იციან კითხვა. თეოს ინტერვიუს ბოლოს ვამბობდი: მოგეწონათ, ჩვენი საპატარძლო? მაშინ შეგიძლიათ, ჟურნალიდან „მიეხმატკბილოთ“, ამისათვის კი საჭიროა, დამიმესიჯოთ (და არა — დაუმესიჯოთ) ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. თქვენი გზავნილები 2006 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდება და თეო მათ აუცილებლად წაიკითხავს-მეთქი... აქ ხომ ნათლად ჩანს, რომ მითითებული ტელეფონის ნომერი ჟურნალისტისაა და არა თეოსი! მაგრამ მკითხველები მირეკავდნენ და თეოს კითხულობდნენ. როდესაც ვუხსნიდი — ჟურნალისტი ვარ-მეთქი, არ მიჯერებდნენ და მინაწყენდებოდნენ... განსაკუთრებით ერთი გოგონა — მერი ფაღავა ვერაფრით დავარწმუნე და მისგან საყვედურით სავსე 100 მესიჯი მაინც მივიღე: „თეო, ჟურნალისტი რომ არ ხარ, ვიცი. ეს შენი ნომერია. გუშინ ჩემს დაქალს ხომ ელაპარაკე!.. კარგი, აღარასოდეს შეგაწუხებ. იქნებ, ოდესმე დაგივიწყო... დიდი ბოდიში შეწუხებისთვის“. მერე ბოდიშს იმისთვის იხდიდა, რომ შეწუხებისთვის ბოდიში მომიხადა... მოკლედ, იმედია, ახლა მაინც დარწმუნდება, რომ მე არ ვარ თეო და დამშვიდდება...

რა თქმა უნდა, ეს საყვედური ყველა მკითხველზე არ ვრცელდება და ვინც ყურადღებით წაიკითხა, ასეთი გზავნილები გამოგიგზავნეს:

„მარი, მინდა, თეოს გადასცე, რომ ბოლო კვირაში, მისი საქციელი არ მომეწონა. შეიძლება, ბესო არ მოსწონს, მაგრამ ასე აშკარად ამის გამოხატვა როგორ შეიძლება? ის იბრძოდა არა იმიტომ, რომ ტატოს მოეგო, არამედ იმიტომ, რომ ბესო დამარცხებულიყო. ეს მის თითოეულ მოქმედებაში ჩანდა. ტატოს კი ეგონა, რომ თეო მისი გულისთვის იკლავდა თავს. რატომ აითვალწუნეთ ასე ბესო?.. როცა გაიმარჯვა, ისე მიულოცეთ, რომ სახეზე გეწერათ, ვითომ გაგიხარდათ და ტატოს მხარეს მხოლოდ იმიტომ იბრძოდით, რომ ეს თამაში იყო... დამარცხებაც ღირსეულად უნდა შეგეძლოს“.

„თეო-თეო, მე შენი ფანი ვარ. ძალიან მინდოდა, რომ ფინალში შენ და ტატო მენახეთ. გული დამწყდა, ტატოს მაინც გაემარჯვა. მე გორიდან ვარ და ძალიან მინდა შენი გაცნობა. მერე რა, რომ ქალი ვარ?! გილოცავ ახალ წელს!“

„თეოს! სიამოვნებით გაგიცნობდი სამეგობროდ, რადგან მინდა, ჩემი რამდენიმე მოსაზრება გაგიზიარო. მაგალითად, მეთქვა ის, რომ ძალიან გამიკვირდა, 25 წლის რომ აღმოჩნდი. მე 35-ის მეგონე. არ გეწყინოს, ეს გარეგნობიდან გამომდინარე კი არა, უბრალოდ, ყველას სჯაბნიდი და უკვე დაბრძენებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდი. არ მომწონს შენი და ტატოს ურთიერთობა, თუმცა მჯერა, რომ გულწრფელია. მას ამასობაში, როგორც ქალი, ისე შეუყვარდი. შენ კი, მისი ტრფობა არაფერში გჭირდება. მეცინება, რომ მაგონდება მისი სიტყვები, რომელიც გითხრა: სირცხვილი საზოგადოებას, რომელმაც შენ გაგაგდო!.. მე სულაც არ შემრცხვენია. ასევე არ მრცხვენია, პროვინციელი, 30 წლის რომ ვარ, მელოტი... ისე, მრცხვენია, მაგრამ ამას აქ ხომ ვერ ვიტყვი!.. პედაგოგი“.

„რაო, თეო, თქვენი კლანი დამარცხდა? სიმართლე გითხრა, ძალიან გამიხარდა. დროა, დამარცხება აღიარო და ასეთი „სტერვაც“ ნუ ხარ... დიტოსა და ბესოს ფანი“.

„შენ გგონია, გამექცევი და მთვარეზე ფეხით ახვალ?.. დაგიჭერ და იმდენს გკოცნი, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ...“

„შენ გაუშლელი, ტანჯვის ხარ ვარდი და ჩემი სული ეკლად დაგება... თეო, შენია ჩემი გულიც, სულიც და გონებაც... ვარდენ არს-ძე. ველი შენს ზარს“.

„თეო, როცა მნახავ, არ მომეკარო, თუ მომეკარები, არ მომეფერო. თუ მომეფერები, არ მაკოცო, თუ მაკოცებ, არ შემიყვარო, თუ შემიყვარებ, არ მიმატოვო. ხ“.

„პრივეტ“, თეო, როცა დაიღლები და სულიერ სიმარტოვეს იგრძნობ, გაიხსენე, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც უყვარხარ და მზად არის, გაჩუქოს ბედნიერი დღე. მ“.

„თეო, იცი, როგორ მომწონხარ?.. მაგრამ შენ რომ ტატოს მხარეზე არ ყოფილიყავი, უფრო მაგარი გოგო იქნებოდი. რატომ გაწირეთ ბესო ყველამ?..“

„თავიდან, შენ გგულშემატკივრობდი, მაგრამ მერე, ისეთი თვისებები გამოამჟღავნე, რომ ვინანე... ბესო თქვენ გაწირეთ, მაგრამ ღმერთმა — არა. თეო, შენ კი გაცილებით უკეთესი მსახიობი ხარ, ვიდრე იმიჯმეიკერი და არც შენმა მომხიბლაობამ გაჭრა, ტატოს გამარჯვებისთვის. ასე რომ, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. მიყვარხარ და გკოცნი. ვასო“

„თეო, მე შენი ფანი ვარ და შენი გამარჯვება მინდოდა. ტატო თუ ბესო, ჩემთვის სულერთი იყო. შენ რომ პირველად გავარდი, იმ საღამოს, ზუსტად 50-ჯერ დაგიმესიჯე, მაგრამ ვერ გადაგარჩინე“.

„თეო, ვიზიარებ შენს მწუხარებას ტატოს დამარცხების გამო. ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი ბოლო „ლაივშოუს“. ყოველთვის ტკბილად მოგიგონებთ ორივეს. ბესოს ფანი არ გეგონოთ, მე სამართლიანობის ფანი ვარ“.

„რა კარგი ტიპი ხარ, თეო, შენი გულისთვის ვუყურებდი „ბარს“. მინდოდა, რომ შენ გაგემარჯვა. მე მეგონა, რომ ასე, ტელევიზორიდან ადამიანის შეყვარება შეუძლებელი იყო, მაგრამ თურმე, არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს“. ძალიან მინდა შენი ახლოს გაცნობა. არ ვიცი, მომეცემა თუ არა ამის შესაძლებლობა. მე სოფელში ვცხოვრობ და ამიტომ, ვერ გთხოვ თამამად შეხვედრას. ვიცი, იუკადრისებ: სად შენ და სად — მეო?! — მეტყვი. ქალაქელი რომ ვიყო, ხელიდან არ გაგიშვებდი და მაინც ჩემი გახდებოდი. მიყვარხარ, გოგოოოოვ! მალხო“. ■

რატომ დღესასწაულობს შობას მართლმადიდებელი სამყარო ახალი სტილით 25 დეკემბერს?

7 იანვარს თითქმის მთელი მართლმადიდებლური სამყარო შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც ცოდვით დაცემული კაცობრიობის მხსნელის — იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების, ხორციელად შობის მოსახსენიებლად და განსადიდებლადაა დაწესებული, ამიტომ მას ქრისტესშობასაც უწოდებენ. მაცხოვრის შობის აღნიშვნა, მოხსენიება მოციქულთა ხანიდან იღებს სათავეს. მოციქულთა ერთ-ერთ დადგენილებაში პირდაპირ არის მინიშნებული „დღენი სასწაულებისანი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დღე ქრისტეს შობისა, რომელიც მეათე თვის ოცდამეხუთე დღეს აღნიშნეთ ხოლმე“...

მორენა მერკვილაძე

ქრისტესშობას მოციქულთა შემდგომაც აღნიშნავდნენ ძველი ქრისტიანები, თუმცა ქრისტიანობის პირველი საუკუნეების საეკლესიო მოღვაწეთა მოწმობით, ძველი ეკლესიისთვის ზუსტად არ იყო ცნობილი ქრისტეშობისთვე და რიცხვი, ამიტომ მას სხვადასხვა დროს დღესასწაულობდნენ. მაგალითად, საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელის მოწმობით, შობას ძველი ქრისტიანების ნაწილი 20 მაისს დღესასწაულობდა, ნაწილი — 6 ან 10 იანვარს. სხვა მოწმობათა თანახმად, ქრისტესშობა 25 ან 28 მარტს აღინიშნებოდა. V საუკუნეში, წმინდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქრისტესშობის დღესასწაული 25 დეკემბერს აღენიშნათ: „ეს გადაწყვეტილება შემდეგ საფუძველზე იქნა მიღებული. სახარებიდან ზუსტადაა ცნობილი ქრისტეს ჯვარცმის თვე და რიცხვი. ეკლესიაში კი, ძველი დროიდან იყო გავრცელებული აზრი, რომ ქრისტეს დედამიწაზე წლების სრული რიცხვი უნდა ეცხოვრა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე დასკვნეს, რომ ქრისტე ჩაისახა იმ დღეს, როდესაც ივნო ანუ იუდეური პასექის დღეს, რომელიც იმ წელს 25 მარტს აღინიშნა. აქედან 9 თვე რომ გადავთვალოთ, მივიღებთ 25 დეკემბერს. ამ თარიღს ადასტურებს წმინდა იპოლიტე, წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე და სხვა წმინდა მამები“ („საპატრიარქოს უწყებანი“).

რატომ დღესასწაულობს შობას მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილი ახალი სტილით 25 დეკემბერს?

როგორც აღვნიშნეთ, 7 იანვარს (ახალი სტილით ქრისტესშობას), მხოლოდ მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილი დღესასწაულობს (საქართველოს, რუსეთის, სერბეთის, იერუსალიმის ავტოკეფალიური ეკლესიები, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიების ტაძრების ნაწილი), ნაწილი კი, შობას 25 დეკემბერს (ახალი სტილით) აღნიშნავს (მაგალითად, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია), რაც შემდეგი მიზეზის გამო მოხდა: XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ყველა მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობდა ძველი ანუ იულიანური კალენდრით (ქრისტიანები ხელმძღვანელობენ დროის ათვლის სამი სისტემით — იულიანური, გრიგორიანული და ახალი — ულიანური; იულიანური კალენდარი მიიღეს ჩვ. წ. აღ-მდე საუკუნეში, გაიუს იულიუს კეისრის დროს; გრიგორიანული შეიქმნა 1582 წელს, რომის პაპის — გრიგორ მეცამეტის დროს; ახალი ულიანური კალენდარი კი, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურმა ეპარქიამ 1923 წელს შეიმუშავა), მაგრამ 1923 წელს, საბერძნეთში მოხდა კალენდარული რეფორმა, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელმა ეპარქიამ გარკვეული შესწორება შეიტანა იულიანურ კალენდარში და გადაწყვიტა, რომ უძრავი საეკლესიო დღესასწაულები ახალი სტილით აღენიშნათ. მოძრავი საეკლესიო დღესასწაულები — მაგალითად, აღდგომა, — კვლავ ძველ სტილზე (ე.ი. იულიანური კალენდრით) დატოვეს. მაგრამ საქართველოს, რუსეთის, სერბეთის, იერუსალიმის სხვადასხვა ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიების სამრეკლოებისა და ტაძრების ნაწილი კვლავ ძველი, იულიანური კალენდრის ერთგულნი დარჩნენ, რომლითაც ძველთაგანვე ხელმძღვანელობდა ქრისტეს ეკლესია და წმინდა მამები.

რას მოგვითხრობს „ახალი აღქმა“ იესო ქრისტეს შობის შესახებ?

მაცხოვრის შობის შესახებ მოთხრობილი აქვთ მათე და ლუკა მახარებლებს. მათი მონათხრობის თანახმად: როდესაც იესოს შობის დრო მოახლოვდა, რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, მოსახლეობის სრული აღწერა უნდა ჩატარებულიყო, ამიტომ ყველა ადამიანი წინაპართა ქალაქში უნდა წასულიყო (რადგან, ებრაული ჩვეულების თანახმად, საყოველთაო აღწერა ტომებისა და გვარების მიხედვით ტარდებოდა; თითოეულ ტომსა და გვარს თავისი ქალაქები და მამამთავართა სახელებთან დაკავშირებული ადგილები ჰქონდა). ვინაიდან მართალი იოსები წარმოშობით დავითის შტოდან იყო, თავის დანიშნულთან — წმინდა მარიამთან ერთად გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან, დავითის ქალაქში — ბეთლემში წავიდა. ქალაქის სასტუმროში მათთვის ადგილი არ გამოიძებნა,

ამიტომ ქალაქგარეთ მდებარე გამოქვაბულს შეაფარეს თავი, სადაც უამინდობის დროს, მწყემსები საქონელს აბინავებდნენ. გამოქვაბულში ყოფნისას, წმინდა მარიამს მოუწია მშობიარობის ჟამმა: „და შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში“ (ლუკა 2,7).

იმ მხარეში მწყემსები მინდვრად იყვნენ, ღამით ისინი თავიანთ სამწყსოს სდარაჯობდნენ. მწყემსებს უფლის ანგელოზი გამოეცხადა, რამაც ისინი ძალზე შეაშინა. მწყემსები ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინიათ, აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი და ნიშნად ეს გექნებათ. იმ ყრმას ჰპოვებთ შეხვეულს და ბაგაზე მწოლარეს“. ამის შემდეგ გამოჩნდა ანგელოზთა დიდძალი ლაშქარი ციდან, აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2,4-14).

როდესაც ანგელოზები გაუჩინარდნენ, მწყემსები წავიდნენ ბეთლემს და იხილეს ბაგაზე მწოლიარე ახალშობილი ყრმა.

მაცხოვრის იუდეის ბეთლემში დაბადების შესახებ აღმოსავლელ ვარსკვლავთმრიცხველებსაც (მოგვებს) ეხარათ — უჩვეულოდ კაშკაშა, ახალი ვარსკვლავის გამოჩენით, რომელიც აღმოსავლეთში იხილეს. ეს ვარსკვლავი წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და გაჩერდებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო. როდესაც მოგვები ქრისტეს შობის ადგილას მივიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან ერთად, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას. გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და სმირნა (მური).

რაში მდგომარეობს იესო ქრისტეს შობის არსი და მნიშვნელობა?

უფალმა იესო ქრისტემ ადამიანური ბუნება შეიმოსა, რათა კაცობრიობა წარწყმედისგან — მარადიული სიკვდილისაგან, ეშმაკის მონობისა და ცოდვის წყვდიადისგან ეხსნა — ე.ი. შემოქმედმა ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო, მონის სახე მიიღო. სწორედ ეს იყო უფლის განკაცების, ხორციელად შობის მთავარი მიზანი.

მართლმადიდებელი მამა, თეოდორე გიგნაძე ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „ხორციელად შობა, ეს უდიდესი სასწაული, ღმერთმა უდიდესი თავმდაბლობით აღასრულა. იშვა არა მაშინდელი ცივილიზაციის ცენტრში — რომში, არამედ პროვინციაში, იუდეაში; იქაც არა დედაქალაქ იერუსალიმში, არამედ პატარა ქალაქ ბეთლემში; არა როგორც იმპერატორი, არამედ ვითარცა ღარიბი ხუროს შვილი. არა დიდებულ სასახლეში, არამედ ბაგაში, არა ძვირფას ქსოვილებში, არამედ უბრალო ჩვრებში გამოხვეული“. ამგვარი შობით, უფალმა სიმდაბლისა და მორჩილების, ამასთანავე, მოთმინებისა და მცირედით კმაყოფილების მაგალითი გვიჩვენა. მიგვანიშნა აგრეთვე იმაზე, რომ გარეგნული ბრწყინვალება და დიდება, რაც უბრალო მოკვდავისთვის ესოდენ დიდებული და მნიშვნელოვანია, უფლისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მისთვის მთავარი, წმინდა გული, თავმდაბლობა და მორჩილებაა.

შობის ვარსკვლავი

როგორც „სახარება“ გვაუწყებს, „მოგვები ახალშობილ მაცხოვართან უჩვეულოდ კაშკაშა ვარსკვლავმა მიიყვანა. საინტერესოა, რა ვარსკვლავი იყო ეს? I საუკუნის საეკლესიო მოღვაწეები მას განსაკუთრებულ, საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის გაჩენილ ვარსკვლავად მიიჩნევენ. წმინდა იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი შობის ვარსკვლავს, ვარსკვლავის სახით მოვლინებულ ანგელოზად მიიჩნევენ: „როცა ვარსკვლავზე მოისმენ, ნუ იფიქრებ, რომ ეს ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. არა, ეს იყო ღვთიური და ანგელოზებრივი ძალა, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა. რადგან მოგვები, ვარსკვლავთმრიცხველები იყვნენ, უფალმა მოიყვანა ისინი მათთვის გასაგები ნიშით, კერძოდ, ვარსკვლავით... სინამდვილეში, რომ ის ვარსკვლავი ანგელოზებრივი ძალა იყო, იქიდანაც ჩანდა, დღისით ანათებდა, მიდიოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოგვები მიდიოდნენ და იდგა როცა ისინი ისვენებდნენ. ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მოძრაობდა ჩრდილოეთიდან, სადაც სპარსეთია, სამხრეთისაკენ — სადაც იერუსალიმია... ისიც გასაოცარია, რომ ვარსკვლავი მაღლიდან დაეშვა, დედამიწასთან ახლოს გაჩერდა და ზუსტად უჩვენა ის ადგილი, სადაც იშვა ჩვილი იესო; რადგან თუკი ის კვლავ მაღლიდან ეჩვენებოდა, როგორ მივიდოდნენ იქ, სადაც ქრისტე იყო?“ — ბრძანებს ნეტარი თეოფილაქტე.

მოგვთა თაყვანისცემა

მოგვები ქრისტეს თაყვანსაცემად, აღმოსავლეთიდან მოვიდნენ და ახალშობილ მაცხოვარს სამი ძღვენი მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური, თითქოსდა ნიშნად ღვთის სამგვამოვნებისა. ოქრო მიართვეს, როგორც მეფეს, გუნდრუკი — როგორც მღვდელმთავარსა და მოძღვარს, მური — როგორც ადამიანს (მურს მიცვალებულთა ბალზამირებისთვის იყენებდნენ), რომელსაც თავისი სიკვდილით, სიკვდილის ძალაუფლება უნდა დაერღვია. როდესაც წმინდა იოანე ოქროპირი მოგვთა თაყვანისმცემისა და მათ მიერ მორთმეული ძღვენის შესახებ საუბრობს, ბრძანებს: „აქედან ჩანს მათი აზრების მაღალი მიმართულება — ისინი არ სწირავენ ცოცხალ მსხვერპლს, რითაც ებრაელები ჭეშმარიტი ღმერთის მიმართ პატივისცემას გამოხატავდნენ. არამედ მიართვეს უსისხლო მსხვერპლი, რითაც თითქოსდა დასაბამი მისცეს ახალ აღთქმისეულ მხვერპლშეწირვას“.

ეკლესიური მოძღვრებით, მოგვების მოგზაურობა მიგვანიშნებს, რომ მაცხოვარი ყველას, თითოეულ ჩვენგანს მიგვიღებს. მოგვთა მსგავსად, თითოეულ ქრისტიანს შეუძლია, შესწიროს შესაწირი მაცხოვარს. ეს შესაწირი კი, როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გვიქადაგებს, პირველ რიგში, უნდა იყოს გულმხურვალე ლოცვა, ჩვენი ეკლესიური ცხოვრება და კეთილი საქმეები.

საშობაო ალილო

სიტყვა „ალილო“, „ალილუიადან“ მომდინარეობს, რაც ნიშნავს „აქებდეთ, ადიდებდეთ უფალს“. „ალილოც“ ხომ ქრისტესშობის მაცნე, მისი ამქვეყნად მოვლინების სიხარულით გაჯერებული საგალობელია!

საქართველოში ძველი ქრისტიანები გულში ვეღარ იტევდნენ ქრისტეს შობით გამოწვეულ სიხარულს და ქუჩაში გამოდიოდნენ, რათა ქვეყნიერებისთვის მაცხოვრის დაბადება ეხარებინათ. „ალილოს“ ყველა კუთხეში სხვადასხვაგვარად გალობდნენ, თუმცა, ყველა კუთხის ტრადიციულ საგალობელში იესო ქრისტეს მოვლინების სიხარული გამოსჭვიოდა.

მეალილოეები ცხვრის ჯუბებით იყვნენ შემოსილები და ხელში კომბალი ეჭირათ, რაც სიმბოლურად, „სახარებისეულ“ მწყემსებს განასახიერებდა. ქრისტესშობის მახარებლებს საჩუქრებით ეგებებოდნენ. „ალილოს“დროს, შეწირულ საჩუქრებს, მართლმორწმუნე ქართველები ყოველთვის აღიქვამდნენ როგორც უფლისადმი მირთმეულ ძღვენს — ე.ი. ეს საჩუქარი სიმბოლურად, მოგვების მიერ მაცხოვრისადმი მირთმეულ ძღვენს განასახიერებდა. ■

განვიშორნეთ საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაი (განვიშოროთ სიძვანი, მრუშებანი, ბილწებანი, მტერობანი...).

პავლე, ეპისტოლე რომაელთა მიმართ

ფრაზეგენიალური

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე ილჯლიანები...

წვეულება უმაღლეს წერტილზე

2004 წლის 3 მაისს, ჰენრი და თომას შელფორდებმა, ნაკულ მისრა პატაკმა, რობერტ ატკენმა, რობერტ სალიმ, ჯოშუა ჰემინგმა (ყველა — დიდი ბრიტანეთიდან) და ავსტრალიელმა კაიო ბაზოლინიმ ტიბეტში, ლხაკპა-რის მთაზე, ზღვის დონიდან 6805 სიმაღლეზე ისადილეს. ჰენრი შელფორდის 30 წლისთავის აღსანიშნავად, მისი მეგობრების გუნდმა მთაში მაგიდები, სკამები და ვერცხლის სერვიზი აიტანეს.

ღილების უნიკალური კოლექცია

ამერიკელი დოლტონ სტივენსის კოლექციაში, რომელიც 439900 ერთეულს შეიცავს, ორ ერთნაირ ღილს ვერ იპოვით. ღილების მეფედ წოდებულ, ქალაქ ბიშოპვილის მკვიდრს უძილობა აწუხებს და ის ხშირად, სხვადასხვა საგნის ღილებით მორთვის პროცესში ათენებს ღამეს. ასე გაჩნდა ღილებით დამშვენებული ავტომანქანა, გიტარა, ფერმის დამხმარე ნაგებობები. „ჩემს ცოლს დავუბარე: როცა მოვკვდები, ღილებით სავსე ტომარა, ნემსი, ძაფი და მომცრო ფარანი ჩამიდოს კუბოში — ვინ იცის, იქნებ, გავიღვიძო და რაღაცა ხომ უნდა ვაკეთო!..“ — აღნიშნა სტივენსმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

უმძიმესი თვითმფრინავის უსწრაფესი გადაადგილება

1997 წლის 15 ოქტომბერს, სიდნეიში (ავსტრალია) ამ ქვეყნის მკვიდრმა დევიდ ჰაქსლიმ „ბოინგი 747-400“, რომელიც 187 ტონას იწონის, 1 წუთსა და 27,7 წმ-ში, 91 მ-ზე გააგორა. პირველად ჰაქსლიმ 37-ტონიანი „ბოინგი-737“ 1991 წელს გადააადგილა. შემდეგ, უკვე 105-ტონიანი „კონკორდი“ 143 მ მანძილზე გაათრია, ხოლო 39 წლის ასაკში, ზემოაღნიშნული რეკორდი დაამყარა.

დამარილებული ღორის ხორცი	მიქელე პლაჩიდოს კინოგმირი ... კატანი	აკვნის დეტალი, შარდის სადენი ხის მილი	ქალღმერთ ვენერას ვაჟი	ქალაქი საფრანგეთში	მანეთის მეასედი	... ჰო, ... არა
ლოინგიკოჩაღოუიზაჯია			�iqaqiqi			
ელექტროსაქონლის უცხოური ფირმა	ხორცისა და რძის პროდუქტების ქართული ფირმა	ზუთხის ლორად გამოყენებული გვერდი	მკვეხარა	ესპანელი ფერმწერი ბარტოლომე ...	სახის ნაწილი	მსახიობი ... რივზი

ყველაზე ძვირად ღირებული სარეკლამო რგოლი

სუნამოს — „შანელი №5“ — 4-წუთიანი სარეკლამო რგოლის წარმოება, რომელიც ავსტრალიელმა რეჟისორმა ბაზ ლურმანმა გადაიღო, 18 მლნ გირვანქა სტერლინგი (33 მლნ დოლარი) დაჯდა. პრემიერა კლიპისა, რომელშიც ნიკოლ კიდმანი და მერილინ მონროს ორეული არიან გადაღებულნი, აშშ-ის კინოთეატრებში 2004 წლის პირველ ნოემბერს, ხოლო ტელევიზიით, იმავე წლის 11 ნოემბერს გაიმართა. კიდმანმა ამ რგოლში მონაწილეობისთვის 3,71 მლნ დოლარი მიიღო. ეს ყველაზე დიდი ჰონორარი გახლდათ, რომელიც ოდესმე, სარეკლამო რგოლის ერთ წუთში ვინმესთვის გადაუხდიათ: რეკლამაში კიდმანის მონაწილეობა თითოეულ წუთში 928.000 დოლარად შეფასდა.

გამარჯვებათა რაოდენობის რეკორდი სამთო-სათხილამურო სპორტში

მამაკაცებს შორის რეკორდი — 13 გამარჯვება — ორ სპორტსმენს ეკუთვნის: შვედ ინგემარ სტენმარკს (1978-1979 წწ. სეზონი) და ავსტრიელ ჰერმან მაიერს (2000-2001 წწ). ქალთა შორის ასევე 13-ჯერ გაიმარჯვა შვეიცარიელმა ფრენი შნაიდერმა: 1988-1989 წლების სეზონში მან არც ორჭიდშიც დაუთმო ვინმეს პირველობა და სლალომის 7 ეტაპიც დაუმარცხებლად დაასრულა.

ყველაზე მეტი ტყუპი ერთსა და იმავე დღეს

მსოფლიოში მხოლოდ ორი დედა არსებობს, რომელსაც ერთსა და იმავე დღეს, ორ-ორჯერ გაუჩნდა ტყუპი. ამერიკელ ლორა შელის 1990 წლის 25 მარტს შეეძინა ქალ-ვაჟი — მელისა ნიკოლი და მარკ ფრედერიკ ჯულიანი; ხოლო 2003 წლის 25 მარტს, ასევე ქალ-ვაჟი — კაილა მეი და ჯონათან პრაის მური; ასევე ამერიკელ კეროლაინ კარგადოს, 1996 წლის 30 მაისს შეეძინა ტყუპი გოგონა — კეილანი მარი და კალეა მეი; 2003 წლის 30 მაისს კი, ასევე ტყუპი გოგო — მიქაელა ანიო და მალია აბიგაილი.



ყველაზე მასობრივი ნახტომი

2001 წლის 7 სექტემბერს, დიდ ბრიტანეთში მეცნიერების წლის დაწყების აღსანიშნავად, ერთდროულად 559493 ადამიანი ახტა. ისინი ხტუნვას 1 წთ-ის მანძილზე განაგრძობდნენ. ღონისძიებაში სულ 569069 კაცი მონაწილეობდა. ზოგიერთმა მათგანმა კი — მაგალითად, ხეიბარმა ბავშვებმა — იმით შეიტანეს წვლილი საერთო მხიარულებასა და ხმაურში, რომ იატაკზე მძიმე საგნები ხმაურით მიმოფანტეს.

ოთხრობა „მამელუკის“ ავტორი	ცემენტის დუღაბში არეული ღორღი	პერუელების კვანძოვანი დამწერლობა	მსახიობი ... ბერიმორი	ათქვეფილი კვერცხის ცილა	კონგოს დედაქალაქი	გამის ნოტი
ლასაქრონი	ხივუღრიუგეხუგრასგავიენრა					
ყვავილი	მზის ღმერთი	გზის ირგვლივ ფიცრით შემოვლებული ზღუდე	სასმელი, ურევენ ჯინს	სურნელოვანი ფხვნილი, იყენებენ კოსმეტიკაში	ყურე, ახუ...	აფრიკაში გავრცელებული ზოლებიანი ცხენი	შეთანხმება ომის შეწყვეტის შემდეგ	ლურჯი მინერალი სარეცხისთვის

საქართველოში ბევრი არ გვყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც დღესდღეობით, ევროპის სოლიდურ კლუბში მაღალ დონეზე თამაშობს და ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად გამოდის. გელზენკირხენის „შალკეს“ მარცხენაფლანგელი სწორედ მათ რიგს მიეკუთვნება და ჩვენი სიტყვების დასტურად, წლის მანძილზე ლევანის, როგორც გერმანულ პირველ, ასევე მეორე ბუნდესლიგაში ასპარეზობა გამოდგება.

ზოგიერთ სკეპტიკოსს მიაჩნდა, რომ კობიაშვილის შესაძლებლობის ზღვარი „ფრაიბურგი“ გახლდათ, მაგრამ ორი წლის მანძილზე „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობით მან ყველას ამის საწინააღმდეგო დაუმტკიცა. ჩვენი ჟურნალის მკითხველს გავაცნობთ იმ გზას, რომელიც გელზენკირხენელთა ერთ-ერთმა ვარსკვლავმა დღემდე გაიარა და ასევე შევატყობინებთ, თუ რას ფიქრობენ გერმანელი ფეხბურთის ქომაგები ქართველ ნახევარმცველზე.

ლევან კობიაშვილი საქართველოს «ელჩი» გერმანიაში

გიორგი ლანჩავა

ფეხბურთის თამაში ლევანმა ლეგენდარული ქართველი მარცხენა გარემარბის, აწ გარდაცვლილი მიხეილ მესხი-უფროსის მიერ დაარსებულ საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ დაიწყო. 1993 წელს, 16 წლის კობიაშვილი რუსთავის „მეტალურგში“ მოხვდა, რომელსაც რევაზ ძოძუაშვილი ედგა სათავეში. ერთი წლის შემდეგ, ლევანი რუსთაველებთან ერთად, საქართველოს თასის ფინალში გავიდა, სადაც ქვემოქართლელებმა თბილისის „დინამოსთან“ 0:1 მარცხი იწვნიეს. „დინამოელთა“ მთავარ მწვრთნელს. დავით ყიფიანს ნიჭიერი ყმაწვილი თვალთახედვის არიდან არ გამორჩენია და 1995 წელს, იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ „დინამოში“ მიიწვია.

ლევანს არც „მეტალურგზე“ გაცილებით ტიტულოვან გუნდში დამკვიდრება გასჭირვებია და პირველი დღიდანვე, თბილისელთა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ განიხილებოდა. ევროპის საკლუბო ტურნირებზე კობიაშვილს დებიუტი სწორედ „დინამოში“ ჰქონდა, მაგრამ მისი პირველი გასვლა ევროპაში წარუმატებელი აღმოჩნდა. 1995 წელს. ყიფიანის შეგირდები უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარულ პლოვდივის „ბოტევს“ დაუპირისპირდნენ და ორი მატჩის ჯამში, გათამაშებას გამოეთიშნენ.

„დინამოში“ ჩატარებული სტაბილური სეზონის შემდეგ, ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემ კობიაშვილს ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მისცა. ლევანის დებიუტი ქვეყნის უპირველეს გუნდში 1996 წელს, ოსლოში, ნორვეგიასთან ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში შედგა, რომელიც ჩვენებურთა მარცხით დასრულდა – 0:1. რაც შეეხება ნაკრებში პირველ ოფიციალურ შეხვედრას, ის კობიაშვილმა იმავე წელს, პერუჯაში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, იტალიელთა წინააღმდეგ ითამაშა. აღნიშნულ მატჩში მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს, რავანელის გოლის წყალობით. აქვე გეტყვით, რომ მომდევნო თამაშში, რომელიც თბილისში ინგლისელების წინააღმდეგ შედგა, ლევანს ახალგაზრდა დევიდ ბექჰემთან დაპირისპირება მოუხდა. სხვათა შორის, იმავე შესარჩევ ციკლში კობიაშვილმა საუკეთესო თამაში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე იტალიელებთან ჩაატარა, როდესაც დავით ყიფიანმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა. ეს შეხვედრა ფრედ – 0:0 დასრულდა.

„დინამოში“ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, კობიაშვილი ქართველებისთვის კარგად ნაცნობ, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავიდა, სადაც პირველსავე დღიდან, გუნდის ლიდერად იქცა. 1996-1997 წლების სეზონის დასრულებისას, რუსეთში ჟურნალისტებმა ქართველი ფეხბურთელი წლის საუკეთესო დებიუტანტად და ახალგაზრდა მოთამაშედ დასახელეს. საუკეთესო მარცხენა ნახევარმცველის ნომინაციაში კი, იგი მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელს, ანდრეი ტიხონოვს ჩამორჩა.

„ალანიაში“ კობიაშვილმა მხრის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, 1998 წელს, ისევ თბილისის „დინამოში“ დაბრუნებულიყო. მალე ის გერმანულ „ფრაიბურგში“ გადავიდა, სადაც უკვე გამოდიოდა ალექსანდრე იაშვილი. აღნიშნული კლუბი იმხანად, მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. მაგრამ 1998 წლის სეზონის დამთავრებისას, პირველ ბუნდესლიგაში აღზევდა. ერთი წლის შემდეგ, იაშვილსა და კობიაშვილს ლევან ცქიტიშვილიც შეუერთდა. კობიაშვილმა „ფრაიბურგის“ თავკაცის – ფოლგერ ფინკეს ნდობა მაშინვე დაიმსახურა და 5 წლის განმავლობაში, გერმანელთა ქართველი ლეგიონერი გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად ითვლებოდა. თვითმხილველთა თქმით, „ფრაიბურგის“ ფანებისთვის დიდი პატივი იყო, თამაშის შემდეგ, კობიაშვილის, ცქიტიშვილის ან იაშვილის მაისურის დასაკუთრება. მიუხედავად იმისა, რომ იგი „ფრაიბურგში“ ძირითადად, დაცვით ფუნქციებს ასრულებდა, გოლების გატანაც შეძლო. კობიაშვილმა ფრაიბურგელთა რიგებში 164 მატჩი ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა. პირველ ბუნდესლიგაში ყველაზე შედეგიანი მისთვის 2000–2001 წლების სეზონი იყო. მაშინ ლევანმა 7-ჯერ მოახერხა მეტოქეთა კარის დალაშქვრა. ხოლო 2002-2003 წლების სეზონში, როდესაც „ფრაიბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში გამოდიოდა, კობიაშვილმა მეტოქეთა კარის დარაჯები 10-ჯერ დაამწუხრა და გერმანიის უმაღლეს დივიზიონში საკუთარი გუნდის დაბრუნებას დიდად შეუწყო ხელი.

იმ პერიოდში, კლუბისგან განსხვავებით, ნაკრებში ლევანი ასეთი შედეგიანი არ ყოფილა, მაგრამ იქაც მოახერხა თავის გამოჩენა, როდესაც

გასულ შესარჩევ ციკლში თბილისში ირლანდიის ნაკრებს მშვენიერი საჯარიმო გაუტანა და შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, საქართველოს ნაკრებმა ის თამაში მაინც დათმო – 1:2. კობიაშვილს ბევრი აკრიტიკებს, რომ ის ეროვნულ გუნდში ისეთ დონეზე ვერ ასპარეზობს, როგორც კლუბში. მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ასეთი სტაბილური მოთამაშე ნაკრებში ბევრი ნამდვილად არ გვყავს. თითზე ჩამოსათვლელია მატჩები, რომლებიც მან ნაკრებში „ჩაგდო“.

„ფრაიბურგში“ გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ, ლევანმა 2003 წელს, გელზენკირხენის „შალკესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ცხადია, მისი მომავალი კლუბი სულ სხვა დონის გახლდათ, მაგრამ ის დღემდე ამბობს, რომ „ფრაიბურგში“ გატარებული წლები კარიერაში საუკეთესოდ მიაჩნია. ამ შემთხვევაში, ლევანი მის ყოფილ გუნდში შექმნილ მეგობრულ ატმოსფეროსა და გულშემატკივრების ქართველებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს. შეგახსენებთ, რომ ერთი პერიოდი, „ფრაიბურგში“ ხუთი ქართველი – ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე – ირიცხებოდა. კობიაშვილი სხვა ფეხბურთელების მსგავსად, ფინკესთანაც მეგობრობდა და მისი თქმით, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და მოთამაშეებს ოჯახებთან ერთად, თავისუფალი დრო ხშირად, ქალაქგარეთ გაუტარებიათ.

სხვათა შორის, გერმანელმა ჟურნალისტებმა „ფრაიბურგის“ გულშემატკივრებში გუნდის ყველა დროის საუკეთესო 11 ფეხბურთელის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარეს და კობიაშვილმა მარცხენაფლანგელის პოზიციაზე ცნობილ გერმანელ ფეხბურთელს, იორგ ჰაინრიხს აჯობა. აქვე დავძენთ, რომ „შალკეში“ გადასვლამდე, შესაძლოა, ქართველი, მიუნხენის „ბაიერნში“ აღმოჩენილიყო. 2001-2002 წლების სეზონის წინ, კობიაშვილს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი უმთავრდებოდა და მიუნხენელთა მენეჯერმა, ული ჰიონესმა მისი, როგორც თავისუფალი აგენტის, ხელში ჩაგდება მუქთად მოისურვა, მაგრამ ჩვენებურმა „ფრაიბურგში“ დარჩენა და გუნდთან ერთად უეფას თასზე ასპარეზობა ისურვა. ხოლო როდესაც ფოლკერ ფინკეს შეგირდები 2002 წელს, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდნენ, ჰიონესს კობიაშვილი საერთოდ დაავიწყდა. ერთი წლის შემდეგ, „შალკემ“ ყველას დასწრო და ლევანთან კონტრაქტი გააფორმა. როდესაც ქართველი ნახევარმცველი გელზენკირხენელთა ლიდერი გახდა, პოპულარულმა გერმანულმა სპორტულმა გამოცემამ – „კიკერმა“ დაწერა: „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს რომ არ ეზარმაცათ, ლევან კობიაშვილი დღეს, მიუნხენურ გიგანტში ითამაშებდაო. „კიკერისავე“ ცნობით, „შალკეს“ მენეჯერმა, რუდი ასაუერმა ამ ტრანსფერის განხორციელებისას, ული ჰიონესს ჭკუით აჯობა: იმ პერიოდში, ასაუერმა აღნიშნა კიდეც – კობიაშვილის შეძენით ძალზე კმაყოფილები ვართო. მაშინ „შალკემ“ „ფრაიბურგს“ ლევანის სანაცვლოდ, მილიონი ევრო გადაუხადა. ქართველმა ახალ გუნდში პირველსავე წელს, ძირითად შემადგენლობაში 29 თამაში ჩაატარა, მაგრამ გოლი არ გაუტანია. თუმცა 2004-2005 წლების სეზონში, როდესაც გუნდს სათავეში ჩაუდგა რალფ რანგნიკი, რომელმაც ქართველი ნახევარმცველად განამწესა, მან 32 მატჩი ითამაშა და საკუთარ ანგარიშზე სამი გოლიც მიითვალა. გარდა ამისა, „შალკესთან“ ერთად, ბუნდესლიგის პირველობის ვერცხლის მედალი მოიგო და გერმანიის თასის ფინალიც ითამაშა, სადაც გელზენკირხენელები „ბაიერნთან“ დამარცხდნენ. მანამდე, კობიაშვილს საქართველოს ჩემპიონობა და თასი ჰქონდა მოპოვებული. 2005 წელს, ლევანი უკვე მეორედ დაასახელეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად. პირველად, ასეთი პატივი მას 1999-2000 წლის სეზონის დასრულებისას ერგო.

გასულ წელს, ის პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ერთ მატჩში სამი გოლი გაიტანა. მისი კარგი თამაშიდან გამომდინარეა, რომ „შალკემ“ საქართველოს ნაკრების წევრს კონტრაქტი 2010 წლამდე გაუგრძელა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კობიაშვილი ქველმოქმედებას ეწევა. ჯერ კიდევ „ფრაიბურგში“ თამაშისას, მან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ყაზბეგის სასულიერო სემინარიის გასარემონტებლად სოლიდური თანხა გაიღო. გარდა ამისა, ორი წლის წინ, გერმანიაში ლევანმა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მომზადება უზრუნველყო. ალბათ მისი ხასიათის წყალობითაა, რომ „ფრაიბურგში“ ლევანი ადგილობრივ ქომაგთა ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშე გახლდათ. თუმცა მას გულშემატკივართა პატივისცემა არც გელზენკირხენში აკლია, რასაც „შალკეს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, ადგილობრივი ფანების გამონათქვამები მოწმობს:



Erwin K.: „შალკეში“ ლევანი „ფლეიოფის“ კანონებს ყველაზე მეტად იცავს. არ მახსოვს, მას რომელიმე ფეხბურთელზე ან მსაჯზე აგრესია მიეტანოს. ეს კობიაშვილს უფრო პატივსაცემ პიროვნებად ხდის“.

Daniel Z.: „გარდა იმისა, რომ კობი მშვენიერი ფეხბურთელია, ის არაჩვეულებრივი ადამიანია. ფანებს ყოველთვის ძალზე თბილად გვექცევა, რასაც ყველა მოთამაშეზე ნამდვილად ვერ ვიტყვი“.

Kurt V.: „კობი სოლიდური ფეხბურთელია, რომელსაც აქვს უმაღლესი კლასი და მშვენივრად ერგება „შალკეს“ სათამაშო სტილს. ლევანი არასოდეს უშვებს შეცდომას და გულშემატკივრის აზრს ყოველთვის ითვალისწინებს. დარწმუნებული ვარ, კობი და „შალკე“ ერთად დიდ ისტორიას დაწერენ“.

Robert N.: „ლევანი უბრალოდ, დიდებული ფეხბურთელია. გუნდისთვის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და მინდვრის მიღმაც არაჩვეულებრივი ადამიანია. „პატარა შალკელებს“ ვურჩევდი, მაგალითი მისგან აიღონ. რუდი ასაუერმა მისი შეძენით, ბოლო წლებში ყველაზე ხეირიანი ტრანსფერი განახორციელა“.

Pauf Guseinovi: „აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ ექვსი წელია, გელზენკირხენში ვცხოვრობ. კობიაშვილი ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელია. მას აქ ყველა პატივს სცემს, განსაკუთრებით კი, ლევანის ვარცხნილობა მოსწონთ“.

Matzelinho: „ლევან კობიაშვილი ძალიან მშვიდი ადამიანია. საკუთარი პიროვნების შესახებ ფანებს თავს მხოლოდ კარგი თამაშითა და თავდადებით გვახსენებს. ის ჩვენი გუნდის „მშვიდი ვარსკვლავია“ და ამიტომ ვაფასებ ასე ძალიან“.

Brigit V.: „ლევანმა უკანასკნელ პერიოდში, გოლების გატანაც დაიწყო, რაც მას ჩვენი გუნდისთვის უფრო ძვირფასს ხდის. იმედი მაქვს, რომ იგი კარიერის დარჩენილ ნაწილს „შალკეში“ გაატარებს. კობი, ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეა, რადგან თავის საქმეს ყოველთვის ჩუმად აკეთებს“.

Joehelno B.: „კობიაშვილი მოედანზეც და მის მიღმაც მშვენიერი პიროვნებაა. რუდი, არსად გაუშვა კობიაშვილი. ეს დიდი შეცდომა იქნება. თუმცა, ასაუერს ჩემი რჩევა არ სჭირდება, მან ისედაც ყველაფერი კარგად იცის“.

Lenny Tobias: „დიდი მადლობა საქართველოს, რომ ასეთი ფეხბურთელი გვაჩუქა. „ფრაიბურგიდან“ ფაქტობრივად, უფასოდ მივიღეთ კაცი, რომელიც დღეს, გუნდის წარმატების ერთ-ერთი შემოქმედია. იგი იმდენად მშვიდი, სიმპათიური და მშრომელი ფეხბურთელია, რომ ცოტა ხანში, ჩვენი კულტი გახდება“.

Diego G.: „კობი საქართველოს ელჩია გერმანიაში. დარწმუნებული ვარ, მომავალში, ამ პოსტზე დაინიშნება, რადგან მასზე დიდი დიპლომატი არ არსებობს. მან ქართველებსა და რურელებს ერთმანეთი შეგვაყვარა და ამაზე მეტი რა გინდათ“.

Karl T.: „კობიაშვილი არასოდეს აკეთებს რადიკალურ განცხადებებს და არ ცდილობს ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოქცევას. თავის საქმეს ყოველთვის მონდომებით და ფრიადზე ასრულებს. მას შეგიძლიათ ენდოთ“.

Otto H.: „ბევრი მოთამაშე მატჩის წინ, ენას დაიგრძელებს და გაუთავებლად ლაყბობს – ამას ვიზამ, იმას ვიზამო, – მაგრამ მოედანზე ვერაფერს აკეთებს. კობი არასოდეს არაფერს გვპირდება, მაგრამ ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობს“.

■



უკანასკნელ პერიოდში, ქართული ფეხბურთი ტალანტებით განებივრებული ნამდვილად არ არის და ამიტომ თითოეული ნიჭიერი მოთამაშის გამოჩენა, როგორც ფეხბურთის სპეციალისტებში, ასევე გულშემატკივრებში დიდ სიხარულს იწვევს. მით უმეტეს, თუ აღნიშნული ფეხბურთელი გაცემულ ავანსებს გაამართლებს და მისი ოსტატობის ზრდა შუა გზაზე არ შეჩერდება...

მალხაზ ასათიანი — მოსკოველთა თავმდაბალი ლიდერი

გიორგი ლანჩავა

მალხაზ ასათიანზე ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ მან ამ ეტაპზე მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების სრულად თუ არა, დიდწილად მაინც გამომჟღავნება და ამჟამად, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ტყეულუბრალოდ როდი გვევლინება. მალხაზი რუსეთის ჩემპიონის – მოსკოვის „ლოკომოტივის“ წამყვანი ფეხბურთელიც გახლავთ, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ გასულ სეზონში, რუსეთის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა – „სპორტ-ექსპრესმა“ ქართველი, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ათჯერ დაასახელა. ამ მაჩვენებლით, ასათიანი რუსულ პრემიერლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებს შორის, აბსოლუტური ლიდერია. გარდა ამისა, იგი ამავე გაზეთის ნომინაციაში, რუსეთის მასშტაბით ცენტრალურ მცველებს შორის, მეორე ადგილზე გავიდა. მალხაზი აგრეთვე, რუსეთში მოასპარეზე ერთადერთი ქართველია, რომელიც ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის მიერ დასახელებულ 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა და იქაც, ცენტრალურ მცველებს შორის, მეორე ადგილი ერგო.

ახლა, როდესაც „ლოკომოტივის“ მოთამაშემ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ისე ჩანს, რომ ფეხბურთელისთვის განვლილი სპორტული გზა ძალზე იოლი გახლდათ. მაგრამ ასათიანის საფეხბურთო ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა.

ის ქუთაისში, მატერიალურად საკმაოდ შეჭირვებულ ოჯახში დაიბადა და თავის პირველ ნაბიჯებს ფეხბურთში ასე იხსენებს: „პირველად, ბურთის თამაში ქუთაისში ჩვენი სახლის აივანზე დავიწყე. ოჯახის წევრები ნამდვილად არ იყვნენ მონდომებული, რომ ფეხბურთელი გავმხდარიყავი, მაგრამ სპორტის ეს სახეობა ძალიან მიყვარდა. 7 წლის ასაკში, მათ ჩვენს სახლთან მდებარე საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანეს. მართალია, მამაჩემს სურდა, რომ განათლება მიმეღო და იგი ხშირად მომიწოდებდა – სწავლა, სწავლა და სწავლაო, – მაგრამ გაკვეთილების მომზადებას დიდი ენთუზიაზმით არ ვეკიდებოდი. რაც უფრო ვიზრდებოდი, სწავლისთვის ნაკლები დრო მრჩებოდა, რადგან ვარჯიშიდან დაღლილი მოვდიოდი და წიგნებთან ჯდომის თავი აღარ მქონდა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ფეხბურთი ავირჩიე“.

საფეხბურთო სკოლიდან ასათიანი 1998-1999 წლების სეზონში, ქუთაისის „ტორპედო-2“-ში მოხვდა. ერთი წლის შემდეგ, ის ამავე ქალაქის „ინტერში“ გადავიდა, სადაც მისი ნიჭი „ტორპედოს“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, დავით ყიფიანმა შეამჩნია და ასათიანი გუნდში მიიწვია. თუმცა, ვიდრე მალხაზს „ტორპედოელთა“ ძირითად გუნდში აიყვანდნენ, მას ერთი საინტერესო ამბავი შეემთხვა. საქმე ისაა, რომ 1999 წელს, ფეხბურთელი მეგობრების თხოვნით, სამტრედიის რაიონის სოფლების პირველობაზე სოფელ ბაშის ღირსებას იცავდა და სხვებთან შედარებით, აშკარად გამოირჩეოდა. აღნიშნული ტურნირის დასრულებისას, ასათიანის გადაბირება საქართველოს პირველ ლიგაში მოასპარეზე „სამტრედიას“ სურდა, რომლის პრეზიდენტი, ასათიანის მამას ამ ტრანსფერის სანაცვლოდ, ფქვილსა და სხვა პროდუქტებს სთავაზობდა. გამომდინარე იქიდან, რომ მალხაზის ოჯახს ძალზე უჭირდა, „იბერიაში“ მისი გადასვლა ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. თუმცა, ერთ-ერთმა სპორტულმა ჟურნალისტმა ასათიანის პერსონით, აწ გარდაცვლილი მიხეილ ქორქია დაინტერესა, რომელიც „ტორპედოს“ დამფუძნებლებს შორის შედიოდა, რასაც ისიც დაემთხვა, რომ პერსპექტიული ყმაწვილის თამაში ყიფიანსაც მოეწონა და საბოლოოდ, ის ქუთაისში აღმოჩნდა. მალხაზმა 1999-2000 წლების სეზონში, რომელიც მისთვის უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გახლდათ, გამთამაშებლის პოზიციაზე „ტორპედოში“ 13 მატჩი ითამაშა და 3 გოლი გაიტანა. მომდევნო წელს, მან 23 შეხვედრა ჩაატარა და მეტოქეთა კარის დალაშქვრა 5-ჯერ შეძლო. ეროვნული ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელებმა – დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა, რომლებიც ასევე „ტორპედოს“ ავარჯიშებდნენ, ასათიანი ქვეყნის უპირველეს გუნდში გამოიძახეს.

მისი დებიუტი ნაკრებში 2001 წლის 24 აპრილს თბილისში, ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებულ შეხვედრაში შედგა, როდესაც მან მატჩის 68-ე წუთზე გოგა გახოკიძე შეცვალა. ის შეხვედრა ქართველებმა 3:2 მოიგეს. 2001-2002 წლების სეზონში, ახალგაზრდა ნახევარმცველმა „ტორპედოს“ მაისური 25-ჯერ მოირგო და 1 გოლი გაიტანა.

აღნიშნული სეზონის დასრულების შემდეგ, აქტიურად დაიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ ასათიანი „ტორპედოს“ დატოვებდა და კარიერას ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააგრძელებდა. მართლაც, მალხაზი კიევის „დინამოში“ გაემგზავრა, მაგრამ უკრაინულ გრანდში მისი ტრანსფერი არ შედგა. გარდა ამისა, იყო ლაპარაკი შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ ასათიანის სავარაუდო გადასვლის შესახებ, თუმცა ვერც ეს მოხერხდა. ამავე დროს, ნიჭიერი ქუთაისელი ახალგაზრდით თბილისის „დინამოს“ ხორვატი თავკაცი, ივო შუშაკი დაინტერესდა, რომლის მცდელობაც, შეეძინა ასათიანი, ფუჭი აღმოჩნდა. სხვათა შორის, საზღვარგარეთ მალხაზის გაყიდვით ხელის მოთბობა საკმაოდ ბევრ ადამიანს სურდა და ამის გამო, ფეხბურთელს

გარკვეულ ბარიერებსაც უქმნიდნენ. საბოლოოდ, 2003 წლის ზამთარში, ქართველი ნახევარმცველი, იური სიომინის მიერ დამოძღვრილ მოსკოვის „ლოკომოტივში“ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ იგი რუს რკინიგზელთა რიგებში ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის შემენაც მაშინ, უშუალოდ კლუბის პრეზიდენტმა, ვალერი ფილატოვმა დაჟინებით მოითხოვა. მანამდეც და ახლაც, ეს საკითხი გუნდის მთავარი მწვრთნელის კომპეტენციას წარმოადგენდა.

ვიდრე რუსეთს მიაშურებდა, მალხაზმა ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში „ტორპედოში“ 15 მატჩი ითამაშა და 6 ბურთი გაიტანა. აქვე გეტყვით, რომ ქუთაისელთა რიგებში ის სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მალხაზისთვის რუსულ კლუბში პირველი ნაბიჯები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, რადგან სიომინმა მართალია, ასათიანს თავის გამოჩენის შანსი თავიდანვე მისცა, მაგრამ შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე მყარად დასვა. ის კი არა და, რუსეთის პრემიერლიგის მატჩებში „ლოკომოტივის“ თავკაცს ჩვენებური, მატჩის განაცხადშიც კი არ შეჰყავდა და მას ასპარეზობა დუბლშემადგენლობაში უწევდა. ამ პერიოდს მალხაზი ასე იხსენებს: „მოსკოვში რომ ჩავედი, კლუბს ბინა არ შემოუთავაზებია და ამიტომ 5-6 თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, მარტო, „ლოკომოტივის“ ბაზაზე ვცხოვრობდი. თან, პრობლემა იმანაც შემიქმნა, რომ რუსული ენა, ფაქტობრივად, არ ვიცოდი. ამ პერიოდში, დიდი დახმარება გამიწია თანაგუნდელმა მარატ იზმაილოვმა, რომელიც თითქმის სულ ჩემ გვერდით იყო და უცხო გარემოსთან შეგუება გამიადვილა. თუმცა, ბაზაზე ცხოვრებას ის დადებითი მხარეც ჰქონდა, რომ სულ რეჟიმში ვიყავი და საკუთარ თავზე ინდივიდუალურად მუშაობის მეტი საშუალება მეძლეოდა. როდესაც თამაში არ მიწევდა, ძალზე ცუდ განწყობილებაზე ვიყავი და არაფრის ხალისი არ მქონდა. ასე თითქმის ერთი წელიწადი გავატარე“.

თუმცა, „ლოკომოტივის“ ყოფილ მწვრთნელს, სიომინს ჩვენებური, ნამდვილად არ გაუწირავს და როდესაც მან მწვრთნელს ჰკითხა, რა მიზეზით არ ათამაშებდა, იური პავლოვიჩმა განუმარტა: შენი დრო აუცილებლად დადგებაო. სწორედ ამან გადააფიქრებინა ასათიანს „ლოკომოტივის“ დატოვება, თორემ, ერთი პერიოდი, ის ამ ნაბიჯის გადადგმაზე სერიოზულად ფიქრობდა. სიომინისთვის რომ მალხაზის ბედი სულერთი არ იყო, ამის დასტურად, მოსკოველთა მიერ 2003 წელს, ჩემპიონთა ლიგაზე გამართულ ორ თუ სამ მატჩში ქართველის სათადარიგოთა შორის გამწესება და მოედანზე რამდენიმე წუთით შემოყვანა მოწმობს.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასაწყისში, ასათიანი საქართველოს პირველი ნაკრების მწვრთნელებს ძირითად შემადგენლობაში არ მიუწვევიათ და ის ძირითადად, 21-წლამდელთა გუნდში ასპარეზობდა. თუმცა, პოსტიდან ალექსანდრე ჩივაძის წასვლის შემდეგ, ეროვნული გუნდის სათავეში დროებით მყოფმა ხორვატმა ივო შუშაკმა „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი რუსეთის ნაკრებთან შეხვედრისთვის გამოიძახა და 30 აპრილს, გუნდის სასტარტო 11 ფეხბურთელს შორის შეიყვანა. იმ დღეს, ქართველებმა რუსებზე ისტორიული გამარჯვება სწორედ ასათიანის მიერ გატანილი გოლის წყალობით მოიპოვეს. ასეთი დებიუტი, ცხადია, ბევრი ფეხბურთელისთვის სანატრელია. არადა, მაშინ, მალხაზი მხოლოდ მოსკოველთა დუბლშემადგენლობაში თამაშით კმაყოფილდებოდა...

უკანასკნელი ორი სეზონი ასათიანის კარიერაში საუკეთესოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ – როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში გამართული მატჩების მიხედვით. თან, გასათვალისწინებელია, რომ მანამდე ფლეიმეიქერად მოთამაშე ქართველს, კლუბში ცენტრალური მცველის პოზიცია ანდეს და ამ უკანასკნელმაც „ლოკომოტივის“ თავკაცთა იმედი გაამართლა. ის შარშანწინ, „ლოკომოტივთან“ ერთად, რუსეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო შარშან, ქვეყნის პირველობის ბრინჯაოს მედალი, სუპერთასი და დსთ-ის ჩემპიონობა მოიგო. გარდა ამისა, ასათიანმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ორი გოლი გაიტანა, რაც მართალია, ჩვენი ნაკრებისთვის ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდა, მაგრამ ფეხბურთელისთვის უდავოდ მიღწევაა. საერთო ჯამში, ასათიანს ნაკრებში 14 თამაში აქვს ჩატარებული და მან 4 გოლი გაიტანა. „ტორპედოში“ მალხაზმა 66 მატჩი ითამაშა და მოწინააღმდეგეთა მეკარეები 15-ჯერ დაამწუხრა. 2003 და 2004 წელს, მალხაზი „ლოკომოტივის“ რიგებში მოედანზე 33-ჯერ გამოვიდა და თავი სამჯერ გამოიჩინა. 2005 წელს კი, მან ოფიციალურ თამაშებში მოსკოველთა შემადგენლობაში 8-ჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი, ხოლო არაოფიციალურში – ორჯერ. აქვე გეტყვით, რომ ადრეული პერიოდისგან განსხვავებით, მალხაზი ბაზაზე აღარ ბინადრობს და არბატზე ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ გასულ წლამდე, მან ავტომანქანის მართვა ფაქტობრივად, არ იცოდა და ყოფილი თანაგუნდელი – მიხეილ აშვეთია უწევდა მძღოლობას. შარშან ზამთარში, ასათიანმა მამას „მიცუბიშის“ ჯიპი ისე უყიდა, რომ თავად მის საჭესთან არც დამჯდარა და ავტოს შერჩევისას, მეგობრები დაიხმარა.

ამჟამად, საქართველოს ნაკრების წევრი, მოსკოვის ქუჩებში საკუთარი ავტომობილით გადაადგილდება, მაგრამ იმასაც ხაზს უსვამს, რომ 100 კმ/სთ სიჩქარეს არასოდეს აჭარბებს. ცხადია, როგორც ახალგაზრდა თაობის უმეტესი წარმომადგენელი, გართობაზე უარს არც ის ამბობს, მაგრამ აქაც იცის ზომა-წონა: „კარჩაკეტილი ცხოვრება ნამდვილად არ მიყვარს და როდესაც საშუალება მაქვს, მოსკოვის ღამის კლუბებს ვსტუმრობ. თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, გართობისას ზომიერების ფარგლებს არ გავცდე. ხანდახან, ცოტა ალკოჰოლსაც ვსვამ, მაგრამ დღე და ღამე ხელში ჭიქა ნამდვილად არ მიჭირავს. თამადობით, თანაგუნდელებთან ნამდვილად არ ვთამადობ, რადგან ამ შემთხვევაში, ქართული სადღეგრძელოები რუსულად უნდა ვთქვა, რაც ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. მართალია, რუსული მეტნაკლებად კარგად ვისწავლე, მაგრამ მას სრულყოფილად ვერ ვფლობ. ქართული სამზარეულო, კერძოდ – იმერული ხაჭაპური და ხინკალი რომ მომენატრება, მოსკოვში არსებულ ქართულ რესტორნებს ვსტუმრობ, მაგრამ აქ ჩვენებურ კერძებს იმ დონეზე ვერ ამზადებენ, როგორც საქართველოში“, – გვითხრა ასათიანმა. საკუთარი პოპულარობის თაობაზე მან შემდეგი გვაუწყა: „სიმართლე გითხრათ, არც ისე პოპულარული ვარ. იმ ხალხმა, რომელიც რუსეთის ჩემპიონატს ადევნებს თვალყურს ან „ლოკომოტივის“ გულშემატკივრებმა ქუჩაში შეიძლება, მიცნონ, თორემ, სხვებისგან დიდ ყურადღებას ნამდვილად ვერ ვგრძნობ“. მალხაზი ასევე თავშეკავებულად ლაპარაკობს რუსი ქალების მისდამი დამოკიდებულებაზე: „ქალებისგან დიდ ინტერესს ჩემ მიმართ ნამდვილად ვერ ვგრძნობ. ყოველ შემთხვევაში, აქამდე, არავინ მოსულა და არ უთქვამს – მალხაზ, შენზე ვგიჟდებიო. თუმცა, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთავარია, ფეხბურთი ვითამაშო და ამით ვიყო კმაყოფილი“. აღსანიშნავია, რომ ფინანსური მდგომარეობა ფეხბურთელს საშუალებას აძლევს, საზღვარგარეთის ფეშენებელურ კურორტებზე დაისვენოს, მაგრამ ასათიანი ხანმოკლე შვებულებას თითქმის ყოველთვის, მშობლიურ ქუთაისში ატარებს, სადაც ნათესავებისა და მეგობრებისთვის საჩუქრების გარეშე არ ჩადის. საკუთარ საქციელს ასათიანი ასე ხსნის: „ოჯახის წევრებს ჩემს ცხოვრებაში ძირითადი ადგილი უკავიათ და მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან ქუთაისში ყოველდღე ვურეკავ, ისინი მაინც ძალიან მენატრებიან. ამიტომ, დასვენების დროს, ქუთაისში ჩავდივარ, სადაც ყოველ საღამოს, მწვადს ვწვავთ“...

■

იდღესასწაულეთ, მაგრამ არა ჯანმრთელობის ხარჯზე

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

უკვე ჩაიარა საახალწლო „გასტროენტეროლოგიურმა“ განსაცდელებმა. თუმცა, ბევრი ადამიანი მსუნაგობის მსხვერპლი გახდა და კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებაც გაუმწვავდა. ბევრს კი, ვინც მარხვაზე იყო, ასეთი „პერსპექტივა“ ჯერ კიდევ წინ აქვს — შობის დღესასწაულზე. ჩვენში თითქმის ყოველ მეორე ადამიანს აქვს ქრონიკული გასტრიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, პანკრეატიტი. ეს პათოლოგიები კი, კვების რეჟიმის დარღვევის შედეგად მწვავდება.

სადღესასწაულო დღეები გრძელდება. წინ კიდევ ბევრი შეხვედრა და წვეულებაა. გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და მოსალოდნელ უსიამოვნებებს მინიმუმამდე შეამცირებთ:



● თუ სტუმრად ან რესტორანში მიდიხართ, გირჩევთ, ისადილოთ ან ივახშმოთ, სახლიდან გასვლის წინ კი, მსუბუქად მიირთვათ საკვები. თუ გაშლილ სადღესასწაულო სუფრას მშიერი მიუჯდებით, ვერ შეძლებთ თავის გაკონტროლებას — უზომო რაოდენობით ნოყიერი კერძების მიღება კი, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გამწვავებას შეუწყობს ხელს.

● ეცადეთ, მენიუს კრიტიკულად მიუდგეთ. მაქსიმალურად გააკეთეთ აქცენტი ბოსტნეულის სალათებსა და მხალეულზე — ისინი აბსოლუტურად უსაფრთხოა, თანაც, მდიდარია უჯრედისითა და ფერმენტებით, რომლებიც ნოყიერი საკვების მონელებაში დაგეხმარებათ.

● განსაკუთრებულად გირჩევთ ცხიმიანი თევზის მირთმევას — იგი მდიდარია ცხიმოვანი მჟავებითა და D და E ვიტამინებით, რომლებიც თავისუფალ რადიკალებთან „თავგამოდებულ“ მებრძოლებადაა ცნობილი (თავისუფალი რადიკალები კი, აქტიურად წარმოიქმნება ორგანიმზში, ალკოჰოლის მიღების დროს). ამ მიზნით, ყველას სჯობს: ორაგული, თართი, კალმახი და ქორჭილა.

● უარი თქვით გაზიან ტკბილ სასმელებზე: ჯერ ერთი, მეტისმეტად ტკბილია, რაც ორგანიზმისთვის ჭარბ კალორიებს წარმოადგენს, მეორეც — მასში შემავალი ნახშირორჟანგი ჭარბად დანაყრების პროვოცირებას უწყობს ხელს, იწვევს დულილს და აჩქარებს ალკოჰოლის შეწოვას.

● თუ კუჭ-ნაწლავი გაწუხებთ, აუცილებლად იქონიეთ თან საჭმლის მომნელებელი ფერმენტული პრეპარატები და საკვების მიღებისას დალიეთ, რათა არ გაგიმწვავდეთ უკვე არსებული პათოლოგია.

● თუ ალკოჰოლური სასმლის დალევა მოგიწევთ, გირჩევთ, სტუმრად წასვლამდე, გადაკრათ ერთი სირჩა სპირტიანი სასმელი — ეს განაწყობს თქვენს ორგანიზმს ალკოჰოლის შემდგომი გადამუშავებისთვის.

● წვეულების დაწყებამდე, კარგი იქნება ლიმონიანი ან პიტნიანი ჩაის დალევა. შეგიძლიათ მიირთვათ ერთი ჭიქა ახალაგაწურული სტაფილოს წვენი, 1 ს/კ ნაღებთან ერთად — ეს დაიცავს ღვიძლს ალკოჰოლის მიღებისას.

● მიირთვით ცხიმის პატარა ნაჭერი — ამგვარად, შეფერხდება ალკოჰოლის შეწოვა.

● ნუ დალევთ სასმელს მშიერ კუჭზე — განსაკუთრებით შამპანურს. შეგიძლიათ უბრალოდ, ერთი ყლუპი მოსვათ. თუ სასმელების არევა გიწევთ, გირჩევთ, ჯერ მშრალი და მსუბუქი ღვინო მიირთვათ, შემდეგ კი ტკბილი და მაგარი სასმელი.

როდის გვჭირდება გასტროენტეროლოგის კონსულტაცია

ექიმის კონსულტაცია აუცილებელია, თუ თავდავიწყებული ქეიფის შემდეგ:

● დაგერღვათ კუჭის მოქმედება;

● გაქვთ გულის რევის შეგრძნება ან პირღებინება;

● გაწუხებთ პირის სიმშრალე და მწარე გემო;

● გაქვთ შეტევითი ტკივილი კუჭის ან მარჯვენა ფერდქვეშა არეში, აგრეთვე მუცლის ტკივილი, წელის არეში ირადიაციით (სარტყლისებრი ტკივილი), რაც პანკრეატიტს ახასიათებს;

● გაქვთ ტემპერატურა და დისპეფსიური (საჭმლის მონელების დარღვევასთან დაკავშირებული) მოვლენები.

როგორ მოვიქცეთ დაავადების გამწვავებისას

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გამწვავებისას, აუცილებელია ცხიმებისა და ცილის შეზღუდვა. ასეთ დროს, რეკომენდებულია ჩაი, წყალზე მომზადებული ბრინჯისა და მანანის ფაფები, თეთრი ორცხობილა. მე-3 დღეს, რაციონს შეგიძლიათ დაუმატოთ მოხარშული ხილი (კომპოტი, ვაშლის პიურე), გახეხილი ბოსტნეული, მაწონი, ბოსტნეულის წვნიანი, ცოტა რძიანი ჩაი, მოხარშული თევზი. კატეგორიულად გეკრძალებათ შებოლილი საკვები, ცხიმიანი საქონლის ხორცი, ტვინი, თირკმლები, ღვიძლი, ღორისა და ცხვრის, იხვის, ბატის, ინდაურის ხორცი, ცხოველური ცხიმები (გარდა კარაქისა), კონსერვები, ლობიო და სხვა პარკოსნები, სანელებლები, მჟაუნა, მწნილეული, კრემიანი ნამცხვრები, შოკოლადი, კაკაო.

ყიდევ ერთი პრობლემა — ნაბახუსევი

წვეულების მეორე დღისთვის, აუცილებლად მოიმზადეთ მწნილი — კლასიკური საშუალება, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს მინერალურ მარილებს და სწრაფად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას; რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, კეფირი, შრატი); შტოშის ან წითელი მოცვის წვენი ანდა მათი ჯემი — ეს მცენარეები წარმატებით ებრძვის ორგანიზმის გაუწყლოებას და აქვეითებს წნევას, რომელიც ნაბახუსევზე უმრავლეს შემთხვევაში, მომატებულია. ზოგის ორგანიზმი ალკოჰოლურ მოწამვლაზე წნევის დაქვეითებით რეაგირებს — მათთვის ახალდაყენებული მაგარი ჩაია უმჯობესი.

■

ცოტა რამ ალკოჰოლის შესახებ

ალკოჰოლური თრობა ეტაპობრივი, პროგრესირებადი პროცესია. მისი პირველი სიმპტომების გამოვლენა, სპირტიანი სასმლის შემადგენლობასა და კონცენტრაციაზე, მიღებული ალკოჰოლის რაოდენობაზე, ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ნერვული სისტემის აგზნებადობასა და ზოგიერთ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

ალკოჰოლის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან, ღვიძლის, თირკმლის, ენდოკრინული პათოლოგიებით დაავადებულნი, ბავშვები და მოხუცები. გადაღლილ, დასუსტებულ, დაუძლურებულ ადამიანებს ალკოჰოლის მცირე დოზაც კი ათრობთ, ხოლო ისინი, ვინც ფსიქიკური დაძაბულობითა და აგზნებადობით გამოირჩევიან, სპირტიანი სასმლის დამათრობელ ზემოქმედებას კარგა ხანს ვერ განიცდიან. საზოგადოდ კი, რაც უფრო იზრდება ალკოჰოლის დოზა, მით უფრო იმატებს და მოუწესრიგებელი ხდება ფსიქიკური და მოძრაობითი აქტივობა, უფრო და უფრო ჭირს მეტყველებისა და ქცევის გაკონტროლება. ადამიანი თანდათან კარგავს საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებისა და ანალიზის უნარს, საკუთარი სხეულის შეგრძნებას, წონასწორობა და კოორდინაცია კი ისე ერღვევა, რომ თუ რაიმეს არ დაეყრდნო, სიარულსაც ვერ ახერხებს. სიმთვრალის ამ საფეხურზე ხშირად, ვლინდება ფარული ინსტინქტები და ხასიათის ის თვისებები, რომლებიც სიფხიზლისას, ჩვეულებრივ, მიჩქმალულია.

სიმთვრალის მომდევნო ეტაპებზე, აღქმისა და ცნობიერების პროცესები განსაკუთრებით ითრგუნება. სმენა თითქოს იხშობა. ადამიანს სისუსტე ეუფლება, ეშვება და ღრმა ძილს ეძლევა.

განსაკუთრებით ძლიერი სიმთვრალე შეიძლება გადაიზარდოს კომაში — უგონო მდგომარეობაში, რომელიც ღრმა ძილს მოგვაგონებს. ამ დროს, მეტ-ნაკლებად ირღვევა გულის მუშაობა, სუნთქვის რიტმი, მგრძნობელობა და რეფლექსები.

როგორ დავეხმაროთ მთვრალს

ალკოჰოლური თრობის დროს, დახმარების საუკეთესო გზა, ღებინების გამოწვევაა. ამგვარად, ადამიანს კუჭში დარჩენილი სასმლისგან გავათავისუფლებთ. ამის შედეგად, შეწყდება ალკოჰოლის შეწოვა და აღარც თრობა გაღრმავდება. ამისათვის რეკომენდებულია ენის ძირის გაღიზიანება, ოღონდ, მთვრალს მოხერხებული პოზა უნდა მივაღებინოთ: თუ ზის, წინ დახრაში მივეხმაროთ, თუ წევს, თავი გვერდზე მივაბრუნებინოთ და დავახრევინოთ, რათა ამონაღები მასა სასუნთქ გზებში არ გადასცდეს.

ღებინების გამოწვევის მიზნით, მთვრალს არამც და არამც არ დაალევინოთ სითხე: ჯერ ერთი, კუჭის კედლების გაჭიმვა სიმთვრალისას, იშვიათად იწვევს ღებინების რეფლექსს, მეორეც — სითხის დამატებით მოცულობა კუჭში არსებული ალკოჰოლის შეწოვას დააჩქარებს და კიდევ უფრო გააღრმავებს სიმთვრალეს. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით სითხემ შეიძლება, ტრაქეაში შეაღწიოს და მოგუდვა ან სასუნთქი სისტემის ანთება გამოიწვიოს.

გულის კუნთის ტონუსის გასაძლიერებლად, მთვრალს შეიძლება კორვალოლი, კორდიამინი ან ვალოკორდინი დავალევინოთ. კარგია ვალერიანის წვეთები ან აბებიც. ნიტროგლიცერინის, ვალიდოლის ან კორონარების (გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების) გამაფართოებელი პრეპარატების მიღება არაფრით არ შეიძლება. მათ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ.

ყურადღება მიაქციეთ სხეულის ტემპერატურასა და კანის მდგომარეობას: თუ მთვრალს კანი გაუფერმკრთალდა და კიდურები გაუცივდა, დაუყოვნებლივ ჩაათბუნეთ, ფეხებთან თბილი სათბურა დაუდეთ და საშუალება მიეცით, კარგად გამოიძინოს.

აუცილებელია ვიცოდეთ

თუ ალკოჰოლთან ერთად მიიღებთ:

- ასპირინს — კუჭის წყლულის განვითარება გემუქრებათ;
- კოფეინს, ეფედრინს, თეოფედრინს, კოლდრექსს, კოლდაქტს, — შეიძლება ჰიპერტონიული კრიზი გაგივითარდეთ;
- შარდმდენ და წნევის დამწევ პრეპარატებს — წნევა მკვეთრად დაგიქვეითდებათ;
- პარაცეტამოლს — ღვიძლის ტოქსიკური დაზიანება გემუქრებათ;
- შაქრის დამწევ საშუალებებს (ინსულინს და აბებს) — სისხლში შაქრის დონე მკვეთრად დაიწევს და შესაძლოა, კომა განვითარდეს;
- ნეიროლეპტიკებს, ტკივილგამაყუჩებლებს, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს — მოსალოდნელია ორგანიზმის ინტოქსიკაცია.
- საძილე საშუალებებს, ტრანკვილიზატორებს — ღრმა ინტოქსიკაცია და ტვინისმიერი კომა შეიძლება განვითარდეს;
- ანტიბიოტიკებს, სულფანილამიდებს — სასურველ სამკურნალო ეფექტს ვერ მიიღებთ და თანაც, წამლის აუტანლობა შეიძლება გამოგივლინდეთ;
- ნიტროგლიცერინს, ანტიჰისტამინურ (ანტიალერგიულ) საშუალებებს — გულის არეში ტკივილი და ალერგიული რეაქცია გაგიძლიერდებათ.



გვირგვინოსანი მეკარე კარში პირველად ჩადგა. პრინცმა შვიდ დარტყმიდან სამის მოგერიება შეძლო, რაც დამწყები მეკარისთვის არცთუ ისე ურიგო შედეგია

დედოფალ ელიზაბეტის უფროსმა შვილიშვილმა უნივერსიტეტში სწავლის დასრულება და მარჯნის რიფების სპეციალისტად ჩამოყალიბება ხეირიანად ვერც კი მოასწრო, რომ მას ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის (FA) პრეზიდენტობა აჰკიდეს...

პრინცი უილიამი ასპარეზზე გამოდის...

როგორც ცნობილია, ჭეშმარიტ ინგლისელს პლანეტის დანარჩენი მოსახლეობისგან რამდენიმე თვისება განასხვავებს. ესენია: ტრადიციებისადმი ერთგულება, სამეფო ოჯახის სიყვარული და პატივისცემა, დოღითა და რაღა თქმა უნდა, ფეხბურთით გატაცება. ინგლისში, დოღის ტრადიციულ მფარველად მისი უდიდებულესობა დედოფალია მიჩნეული, რომელიც სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემელია. ნისლიანი ალბიონის საკულტო თამაშის — ფეხბურთის მომავალი კი, ბრიტანეთის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეზეა დამოკიდებული (როგორც ცნობილია, სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა სწორედ ინგლისში დაიბადა).

პრინცი უილიამი მებაღეობის საფუძვლებს ეცნობა. ბრიგანეთის მომავალ მეფეს ყველაფრის კეთება უნდა შეეძლოს!

პრინცი უილიამი საპატიო ტიტულს ოფიციალურად მხოლოდ 2006 წლის მაისში მიიღებს, როდესაც პრეზიდენტის პოსტზე ბიძას, ენდრიუ იორკელს შეცვლის. მანამდე კი, მისი უდიდებულესობა იმ საქმის დეტალებსა და ნიუანსებში უნდა გაერკვეს, რომლისაც, როგორც აღმოჩნდა, თითქმის არაფერი გაეგება.

პრინცი უილიამი მრავალრიცხოვანი მაყურებლისა და ფეხბურთელთა წინაშე მაშინ გაწბილდა, როდესაც ცნობილი ბრიტანული კლუბის „ჩარლტონ ატლეტიკის“ საწვრთნელი ბაზის მოედანზე პროფესიონალ ფეხბურთელებთან ერთად სათამაშოდ გამოვიდა. სწორედ ამ მატჩზე გაირკვა, რომ FA-ს მომავალი პრეზიდენტი ფეხბურთის წესებს არ იცნობს. დამწყებ გვირგვინოსან მოთამაშეზე მეტად, გუნდის წევრები ღელავდნენ და არც კი იცოდნენ, მომავალი პრეზიდენტის შეცდომებზე რა რეაგირება მოეხდინათ. როგორც აღმოჩნდა, მის უდიდებულესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმის თაობაზე, თუ რა არის „ოფსაიდი“ („თამაშგარე მდგომარეობა“) — რომელიც თამაშის დროს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტანდარტული სიტუაციაა მოედანზე. საბოლოოდ, გუნდმა შესანიშნავი გამოსავალი გამონახა — ტახტის მემკვიდრე კარში დააყენეს და საკუთარი ძალების გოლკიპერის ამპლუაში მოსინჯვის საშუალება მისცეს. პრინცმა 7 დარტყმიდან სამის მოგერიება შეძლო, რაც დამწყები მეკარისთვის არცთუ ისე ურიგო შედეგია. თამაშის დამთავრების შემდეგ, უილიამს საზეიმოდ გადაეცა „ჩარლტონის“ წითელი მაისური.

როგორც ცნობილია, ინგლისის ტახტის მემკვიდრის სპორტულ პრიორიტეტებს რაგბი და პოლო განეკუთვნება. 23 წლის ახალგაზრდა, ამ სახეობათა ნამდვილი ოსტატია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, უელსის პრინცი ფეხბურთის საიდუმლოსაც ეზიარება და მის წინაშე სპორტის ამ სახეობაშიც მომხიბლავი პერსპექტივა გადაიშლება!

მომავალი წლიდან უილიამი და მისი უმცროსი ძმა ჰარი სენდჰერსტის სამეფო სამხედრო აკადემიის კურსანტები გახდებიან. სამხედრო სამსახურის დაწყებამდე დარჩენილ დროს სერ ჩარლზის უმცროსი ვაჟი ქეიფსა და დროს ტარებაში ხარჯავს. ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე კი, სხვადასხვა პროფესიის შესწავლას ცდილობს. დედოფლის უსაყვარლესმა შვილიშვილმა სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და პრინც ჩარლზის მეგობრის, დევონშირის ჰერცოგის გლოსტერშირის მამულში სოფლის მეურნეობისა და მართვის საფუძვლების შესწავლა დაიწყო. უილიამი სოფლის საყასბოშიც კი იხილეს, სადაც ჩალის ქუდსა და წინსაფარში გამოწყობილი ახალგაზრდა პრინცი ლორის ნაჭრებს მარჯვედ ჭრიდა და ძეხვეულს წონიდა. ოქტომბერში უილიამმა ლონდონში საგასტროლოდ ჩასული დიდი თეატრის სპექტაკლების წარმოდგენებზეც იმუშავა. სცენის მუშებს დეკორაციის დადგმაში დაეხმარა და ბალეტის მსახიობებთან ერთად წაივარჯიშა კიდეც, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ სენდჰერსტის აკადემიაში მისაღები გამოცდები ჩაებარებინა.

ნოემბრის თვე უილიამმა ბანკის მოხელეთა საქმიანობის შესწავლას მიუძღვნა. ბრიტანეთის უმსხვილეს ბანკში HSBC სტაჟირება გაიარა და შემდეგ მთას მიაშურა, რათა ძალები სამაშველო სამსახურშიც მოესინჯა, მაგრამ აქ კი არ გაუმართლა: ტახტის მომავალი მემკვიდრის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების უფლება არავის აქვს! უილიამს მხოლოდ აღჭურვილობისა და აპარატურის გაწმენდა და სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა მიანდვეს. პრინცს სამთო მაშველთა ბაზიდან პრაქტიკულად არ უშვებდნენ და მთის სახიფათო ბილიკებს სიახლოვეს არ აკარებდნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სიფრთხილის ამგვარი ზომების მიზანი, პრინცი უილიამის თაყვანისმცემელი გოგონების შემოტევებისგან დაცვა უფრო იყო, ვიდრე ხიფათისგან.

და ბოლოს ფეხბურთი! როგორც ჩანს, უილიამი საყვარელ საქმეს მთელი სერიოზულობით ეკიდება. მაისამდე დარჩენილ დროში ბიძია ენდრიუ საყვარელ ძმისშვილს აუცილებელ ცოდნას გადასცემს და ბრიტანელთა გასახარად ტახტის მემკვიდრე „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღარასოდეს აღმოჩნდება!

■

მისი უდიდებულესობა ინგლისის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბის ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობს

მოახლოვემული ქორწილის დეტალები კვლავაც უცნობია

ორლანდო ბლუმისა და კეიტ ბოსვორტის ხანმოკლე დაშორების შესახებ, ტაბლოიდებში ბევრს წერდნენ, მაგრამ ცოტა ხნის წინათ, ისინი ლონდონის საიუველირო მაღაზიებში სწორედ იმ მომენტში შეამჩნიეს, როდესაც წყვილი საქორწინო ცერემონიისთვის ბეჭდებს არჩევდა. დიახ! ორლანდო ბლუმის თაყვანისმცემელთა მრავალმილიონიანი არმიის გულის გასახეთქად, მსახიობმა დაოჯახება გადაწყვიტა, გულის სწორს ხელი და გული შესთავაზა და კეიტს 175 ათას გირვანქა სტერლინგად ღირებული საქორწინო ბეჭედი აჩუქა... ბედნიერი წყვილი ქორწილის შესახებ ინფორმაციას უკანასკნელ წუთამდე საიდუმლოდ ინახავდა. მათი პრესაგენტები მომავალი ცერემონიის დეტალებს არც ახლა ახმაურებენ. ■

მერაია ქერი ოლიგარქის საშობაო საჩუქარზე უარს ამბობს

ცნობილი მომღერალი მერაია ქერი შეძრწუნებული დარჩა, როდესაც რუსი ოლიგარქის საჩუქარი მიიღო. საშობაო საჩუქრის სწორად შერჩევა არცთუ ისე იოლი საქმეა, ყოველ შემთხვევაში, იმაში მაინც უნდა იყო დარწმუნებული, რომ შენი საჩუქრით ადამიანი შეურაცხყოფილი არ დარჩება. მერაია ქერის შემთხვევაში, რუსმა ოლიგარქმა, რომლის გვარი არ სახელდება, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან ცხოველთა უფლებების ცნობილ დამცველ ქალბატონს 5 ათას დოლარად ღირებული ნატურალური ბეწვის 2 ქურქი მიართვა საჩუქრად. „მერაია თავზარდაცემული დარჩა, როდესაც ამ მამაკაცისგან ბეწვის ქურქები მიიღო ძღვნად. ისინი ახლობლები არ არიან, მაგრამ მერაიას იმედი ჰქონდა, რომ მისი შეხედულებები რუსი ოლიგარქისთვის ცნობილი იქნებოდა“, — ამბობს მომღერლის მეგობარი. The Daily Telegraph-ის ცნობით, მერაიამ ქურქები ორგანიზაცია „ადამიანები ცხოველთა მიმართ ეთიკური დამოკიდებულებისათვის“ (PETA) ნიუ-იორკის ოფისს გაუგზავნა. „ამ გულუხვმა შემოწირულობამ სულით ხორცამდე აგვაღელვა. ქურქებს უფროსკლასელთათვის განკუთვნილ პრეზენტაციებზე თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენებთ და ბავშვებს ავუხსნით, თუ როგორ ხდებიან ცხოველები სისასტიკის მსხვერპლნი“, — განაცხადა PETA-ს პრესმდივანმა. ■

კორტნი ლავი უსასლკარზე რჩება!

კურტ კობეინის ქვრივის, კორტნი ლავის კუთვნილი სახლი სულ მალე აუქციონზე გაიყიდება. ოლიმპიადან (ვაშინგტონი) 16 კმ-ით მოშორებით მდებარე სახლი, კორტნიმ განსვენებული მეუღლის ოჯახისთვის 1997 წელს შეიძინა. რამდენიმე ხნის შემდეგ, სახლი დაგირავდა, მაგრამ გირაოს თანხის გადახდა 2003 წლის დეკემბერში შეწყდა. კორტნი ლავს 367 ათასი დოლარი ვალად დაედო. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, მომღერალი სახლს იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ აღნიშნულ თანხას 6 იანვრამდე დაფარავს. სწორედ ამ დღისთვისაა დანიშნული აუქციონი. ბუნგალო, რომელსაც 13 აკრი მიწა აკრავს გარს, ლიტლ-როკის მიდამოებში, Capitol Forest-ის განაპირას მდებარეობს. ეს სახლი ადგილობრივი სამხერხაოს მფლობელმა ტომას ბორდომ 1903 წელს ააშენა. ბოლო წლებში კი აქ კურტ კობეინის და, კიმი ცხოვრობდა. უკანასკნელ ხანებში 41 წლის კორტნის სასამართლოს სარჩელები, ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს და ამის გამო მზადაა, Nirvana-ს კატალოგის მფლობელის უფლებაც კი დათმოს, რომელიც მეუღლისგან მემკვიდრეობით მიიღო. როგორც The New York Post იუწყება, კურტ კობეინის ქვრივს ამ სიმღერებში 100 მლნ დოლარის მიღება სურს და ახლა სოლიდური მყიდველის ძიებაშია. ■

ბრიტანულ ოჯახთა სასურველი სტუმრები

„ვარსკლავთა“ კატეგორიის სტუმართა შორის, შერონ და ოზი ოსბორნების ოჯახური წყვილი ბრიტანულ ოჯახთა ყველაზე სასურველ სტუმრად დასახელდა. ბრიტანელთა უმრავლესობას საშობაო წვეულებაზე ოსბორნების სტუმრობა გაახარებს. Black Sabbath-ის გიტარისტმა გამოკითხულთა ხმების 22% მიიღო, მისმა მეუღლემ, მომხიბვლელმა ტელეწამყვანმა შერონ ოსბორნმა კი, 29% დააგროვა. ბრიტანელთათვის ოსბორნების შემცვლელად ფეხბურთელი დევიდ ბეკჰემიც (ცოლის გარეშე!) გამოდგება. მისი სტუმრად მიწვევა გამოკითხულთა 21%-ს სურს. სასურველ სტუმართა საპატიო სამეულში მესამე ადგილი ხმათა 17%-ით რობი უილიამსმა დაიკავა. რაც შეეხება დევიდ ბეკჰემის მეუღლეს, Spice Girls-ის ყოფილი ვოკალისტი ვიქტორია ადამს-ბეკჰემი ბრიტანელებმა ყველაზე ნაკლებად სასურველ სტუმრად მიიჩნიეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმაც ვიქტორიას ბედი გაიზიარა. როგორც აღმოჩნდა, ამ წყვილის მასპინძლობაზე ბრიტანელები სასტიკ უარს აცხადებენ! ■

2005 წლის ყველაზე სექსუალური ფოტომოდელები

სამოდელო ბიზნესისადმი მიძღვნილმა ამერიკულმა ინტერნეტსაიტმა models.com ამ დღეებში 2005 წლის ყველაზე სექსუალური 25 ფოტომოდელის სია გამოაქვეყნა. კასტინგის სპეციალისტებისა და პოპულარული ჟურნალების რედაქტორებისგან შემდგარმა ავტორიტეტულმა ჟიურიმ მათი აზრით, ყველაზე საინტერესო მოდელები შეარჩია. ჟიურის არჩევანი ფოტომოდელთა პოპულარობით და ამასთან, გასული წლის მოდის ინდუსტრიაზე მათი გავლენით განისაზღვრა. ■

ნაომი კემპბელი სიენა მილერის წინააღმდეგ



როგორც ჩანს, ნაომი კემპბელმა ბასრი კლანჭები კიდევ ერთხელ გამოაჩინა. ფეთქებადი ხასიათით ცნობილმა სუპერმოდელმა ამჯერად მეგობრის, კეიტ მოსის დასაცავად გამოიდო თავი და ბრიტანელ სიენა მილერს შეურაცხყოფა მიაყენა. ნაომი განსაკუთრებით იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ გარშემო მყოფნი სიენას და კეიტს ერთმანეთს ადარებენ, ამიტომ კემპბელმა თავს უფლება მისცა და ჯად ლოუს საცოლის მისამართით შეურაცხმყოფელი კომენტარები გააკეთა. „ვერ ვიტან, როდესაც მილერს კეიტს ადარებენ. სიენას არ ვიცნობ, მაგრამ მას ჩემს მეგობარს არც შევადარებ. უბადრუკ ასლებს ვერ ვიტან. კეიტი კი — ნამდვილია!“ — განაცხადა კემპბელმა გაზეთ Daily Mirror-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ, მეგობარი ნიუ-იორკში მოინახულა. „ერთმანეთს შევხვდით და ავტირდით. ყველამ კარგად იცის, ბოლო თვეების მანძილზე რისი გადატანაც მოუხდა. მაგრამ ახლა ის შესანიშნავად გამოიყურება“. ■

კირა ნაიტლი „ანკარა წყლისთვის“ ყვინთავს

კირა ნაიტლის უჩვეულო ფოტოსესიაში მონაწილეობისას 4 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთვა მოუხდა. ეს ფოტოსურათები იმ ორგანიზაციისათვის გაკეთდა, რომელიც წყლის დაბინძურების პრობლემებსა და მოსახლეობისათვის აუცილებელი ჰიგიენის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის ზრუნავს. „გადაღებების შემდეგ, ჭეშმარიტი დაივერი გავხდი, რაც ძალიან მომწონს, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ფოტოსესიის დროს, პირველ რიგში იმაზე ვფიქრობდი, როგორმე დახრჩობას გადავრჩენილიყავი... სუფთა წყალი კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და თუ შეგიძლია, რომ ამ საქმეში წვლილი შეიტანო, ეს აუცილებლად უნდა გააკეთო“, — ამბობს ნაიტლი. ის პოპულარულ ადამიანთაგან პირველია, რომელიც პროექტში მონაწილეობას დათანხმდა და საკუთარ მისიას უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა. ■

Missoni–ს ახალი სახე – „ნორმალური“ დრიუ მერიმორი

როდესაც Missoni-ს სამოდელო სახლმა 2006 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონის სარეკლამო კამპანიის ახალ სახედ მსახიობი დრიუ ბერიმორი შეარჩია, ჰოლივუდის ვარსკვლავის „ზეგავლენის ძალასა“ და „პოზიტიურ სახეზე“ მიუთითა. გაზეთ Sunday Times-ის დამატება Stuke-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სამოდელო სახლის ხელმძღვანელმა ანჯელა მისონიმ აღიარა, რომ დრიუ ბერიმორი მედგარი ხასიათის, რთული ბედის და მის მიერ დაძლეული სირთულეების გამო შეიყვარა. მსახიობობის გარდა, დრიუ კინოფილმების პროდიუსერიცაა. ახლა კი ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი, ფოტომოდელის ამპლუაში ცდის ბედს და პოპულარული იტალიური მარკის ოფიციალური სახე გახდება. „ის განსაკუთრებულია იმით, რომ ნორმალურია, დრიუ ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობს და ამას ყველა მშვენივრად ხედავს“, — ამბობს მისონი. ■

ალექსანდრ ლუკაშენკო სინდი კროუფორდს და კეიტ მოსს მრბოლას უცხადებს!

ბელორუსიის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ მის ქვეყანაში სარეკლამო პლაკატებზე მსოფლიოს წამყვანი სუპერმოდელების სახეების გამოჩენა აკრძალა. ამიერიდან, ბელორუს მოქალაქეებს წარმოდგენაც აღარ ექნებათ იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურებიან პოდიუმის დედოფლები — სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი, კეიტ მოსი, ჟიზელ ბუნდჰენი და სხვები. სამაგიეროდ, ისინი თანამემამულე ქალთა გრაციითა და სილამაზით სრულად დატკბებიან, რადგან რეკლამებში გადაღების უფლება მხოლოდ იმ გოგონებს ექნებათ, რომლებიც ბელორუსიის მოქალაქეობას დოკუმენტურად დაასაბუთებენ. პრეზიდენტის ახალი ბრძანებულების წყალობით, ქვეყანაში სარეკლამო ინდუსტრია სრულ ფიასკოს განიცდის — L`Oreal-ის და Renault-ის სარეკლამო კამპანიები, რომელთაც ბელორუსის ბიუჯეტში სოლიდური თანხა შეაქვთ, იძულებულნი არიან ბაზარი დატოვონ, რადგან კომპანიათა საერთაშორისო წესების თანახმად, რეკლამიდან ნატალია ვოდიანოვას, ლეტიცია კასტას, აიშვარია რაისა და სხვათა ფოტოების ამოღების უფლება არა აქვთ. მსოფლიო მოდამ ბელორუსიის ფეშენ-ბედს განაჩენი უკვე გამოუტანა. ბელორუსი ლამაზმანები კი საკუთარი თავის გადარჩენას გაქცევით ცდილობენ და თავშესაფარს საერთაშორისო სამოდელო სააგენტოებში ეძებენ. ქვეყნის წამყვანმა მოდელმა ოლგა ანტროპოვამ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს ამერიკულ სამოდელო სააგენტოსთან. ■



რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-52)



ლაშას შეხვდებიან, რომელიც კარგა ხანია, საზღვარგარეთაა წასული...

ახალგაზრდა ქირურგი ლანა მესხი საავადმყოფოდან ზედმეტი პრინციპულობისთვის დათხოვნის შემდეგ, კოლეგის, გიზო ვაშაკიძის ინიციატივით, კერძო ფარმაცევტულ ფირმაში იწყებს მუშაობას. ფირმას გიზოს მეგობარი — გიგი გიგაური უდგას სათავეში. მას სურს, ლანას ბებიის, ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის.

მანამდე, მის ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად, ახალგაზრდა ბიზნესმენი — ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება. ლევანი ქვრივია (მისი ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს. ლევანი გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის და ლანას ცხოვრებიდან დროებით ქრება. ამასობაში, ახალგაზრდა ექიმ ქალს კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდება: დედა მას მკლავებსა და ყელზე უცნაურ ლაქებს შეამჩნევს, ექიმი კი, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის დიაგნოზს დაუსვამს.

სოფელში ბებიასთან მიმავალი ლანა, გზაში შემთხვევით, ლევანის დედასა და პატარა ქალიშვილ თამუნას გაიცნობს... ლანას ბებია — ქეთო შვილიშვილს გამოუტყდება — ჩემი საქმის გამგრძელებლად მხოლოდ შენ მეგულებიო. ქეთო შვილიშვილს დამხმარედ ჭკუასუსტ ყმაწვილს — ირონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბალახებში კარგად ერკვევა. ქეთო შვილიშვილს თავის საქმეს ნელ-ნელა აცნობს და ჰპირდება — აჭრელებულ მკლავებსა და ყელს რამდენიმე თვეში მოგირჩენო...

სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს. ამავე დროს, ლანას გერმანიიდან ლევანი დაურეკავს და გააფრთხილებს — გივი გიგაურს არაფერში ენდო, ძალიან ბნელი კაციაო...

ლანა თბილისში ბრუნდება. სამსახურში მისული, ის შეიტყობს, რომ გიზომ არ გაუმხილა გივის ქეთოს უარის ამბავი. ამავე დროს, თინიკო გაუზიარებს თავის ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს... კაფეში საჭოროდ წასული გოგონები თინიკოს ძველ ნაცნობს, სანამ თინიკო სულის მოთქმას მოასწრებდა, მამაკაცი უკვე თავზე წამოადგა და შინაურულად ჰკითხა:

— თიკო, როგორ ხარ?

— თუ არ მეჩვენება და ნამდვილად ლაშა ინწკირველი ხარ, მგონი, მთლად ცუდად არ უნდა ვიყო, — ძლივსღა ამოღერღა თინიკომ.

— ლაშა ვარ, ლაშა! — გაეღიმა მამაკაცს, შემდეგ დაიხარა, ქალიშვილს ლოყაზე ნაზად ეამბორა და თან, თვალი ლანასკენაც გააპარა: — ეს შენსავით მშვენიერი ქალბატონი ვინღაა?

— ე-ეს? — გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო თინიკომ. — ვინ უნდა იყოს?.. ჩემი მეგობარია, ლანა მესხი...

— ძალიან სასიამოვნოა, — ლანას თავი მოწიწებით დაუკრა ლაშამ და დაუმატა: — შეიძლება, თქვენთან ჩამოვჯდე?

— რა თქმა უნდა! — მაშინვე დაეთანხმა თინიკო. — დაჯექი! როდის ჩამოხვედი?

— ორი დღის წინ, — მაგიდას მიუჯდა ლაშა.

— საქმეზე ხარ ჩამოსული თუ?..

— ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე.

— ცოლ-შვილი ჩამოიყვანე?

— რომელი ცოლ-შვილი? — გაუკვირდა ლაშას.

— რას ჰქვია, რომელი?.. რომელთან ერთადაც სამი წლის წინ, ამ კაფეში შემხვდი...

— ა-ა, ისინი?.. — გაეღიმა ლაშას. — არა, არ ჩამომიყვანია.

— ისე უცნაურად ლაპარაკობ, თითქოს სხვა ცოლ-შვილიც გყავდეს... — ხმაში გაღიზიანება დაეტყო თინიკოს.

— ჯერ არა, მაგრამ აუცილებლად მეყოლება, — ისევ მშვიდად მიუგო ლაშამ.

— აი, თურმე, რაშია საქმე! — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — ცოლს ეყრები?

— მოდი, რა, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... — სთხოვა ლაშამ თინიკოს და თან, ლანას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. პასუხად, ლანა ასადგომად წამოიწია:

— თინიკო, მოდი, მე წავალ, კარგი? — გადაულაპარაკა მან მეგობარს.

— არა, რას ბრძანებთ?! — თინიკოს პასუხი დაასწრო შეწუხებულმა ლაშამ. — მე თქვენი წასვლა ნამდვილად არ მიგულისხმია... უბრალოდ, არის საკითხები, რომლებზე ლაპარაკიც ახალგაცნობილ ადამიანთან ცოტა უხერხულია. ხომ მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა, — უმალ დაეთანხმა ლანა და ფეხზე წამოდგა. — მეტიც: არის საკითხები, რომლებზეც ყველაზე უახლოეს ადამიანთანაც კი ჭირს საუბარი...

— თქვენც მართალი ბრძანდებით, — ფეხზე წამოდგა ლაშაც. — მანქანით ვარ და თუ თქვენი სურვილიც იქნება, გაგაცილებთ. მერე კი, მე და თინიკო ცოტას მარტო გავისეირნებდით...

— არა, — იუარა ლანამ. — ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ.

— რა შეწუხებაა?! — საუბარში ჩაერთო თინიკო. — ნუ გეშინია, მხოლოდ კორპუსამდე მიგიყვანთ... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვნახო, სად ცხოვრობ!

— კი, ბატონო, — ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა ლანამ. — თუ ისურვებთ, სახლხშიც სიამოვნებით შეგიპატიჟებთ...

შინ დაბრუნებულ ლანას, კარი შუბლშეკრულმა თამარმა გაუღო.

— რა იყო? — ჰკითხა მას ქალიშვილმა. — რას იბღვირები?

— კიდეც რომ მეკითხება?! — კარი უხეშად მიაჯახუნა თამარმა. — იცი, რომელი საათია?

— რომელი და თორმეტს ოცი წუთი უკლია, — მაჯის საათზე მშვიდად დაიხედა ლანამ.

— მერე?.. — ხმას აუწია თამარმა. — გაგონილა, გასათხოვარი ქალის ამ დრომდე აქეთ-იქით ხეტიალი?!

— ვინ გითხრა, რომ ვხეტიალობდი?

— აბა, რას აკეთებდი?

— კაფეში ვიჯექი და ყავას და წვენს შევექცეოდი.

— საინტერესოა, იქ ვისთან ერთად ბრძანდებოდი?.. — შვილის დაკითხვას აგრძელებდა თამარი. — შემთხვევით, შენი ვაუბატონი ხომ არ ჩამობრძანდა გერმანიიდან?

— ჩემი — არა. თინიკოს ვაუბატონი ჩამობრძანდა ამერიკიდან.

— ვისი?

— ჩემი თანამშრომელი თინიკოსი... ის ბიჭი კაფეში შემთხვევით შეგვხვდა, ლაპარაკს შევყევით და...

— რაო, მერე, რა გითხრათ? ამერიკაში გასათხოვარი ქალები კაფეებში ღამის თორმეტ საათამდე სხედანო?..

— არა, — სიცილი ძლივს შეიკავა ლანამ, — ამერიკაში გასათხოვარი ქალები კაფეებსა და ბარებში თორმეტის მერე შედიანო...

— კარგი, კარგი!.. — ხელები გაასავსავა თამარმა. — აღარ მინდა შენი მოსმენა!

ივახშმე და დაიძინე... თუმცა, რაღა დროს ვახშმობაა?!

— რას ამბობ?! — შეიცხადა ლანამ. — შიმშილით კუჭი მიხმება!

— უარესი რატომ არ გჭირს?!. — ნიშნი მოუგო შვილს თამარმა.

— მართლა, იცი, რომ აიკიდოს სექციაში ჩავეწერე? — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა ლანამ.

— ეგ რაღა უბედურებაა?

— უბედურება კი არა, აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთი სახეობაა.

— გადამრევს ეს გოგო, ნამდვილად გადამრევს!.. — საბოლოოდ ხელი ჩაიქნია თამარმა.

...ძილის წინ, ლანამ მობილური ტელეფონი გამორთო და თამარიც გააფრთხილა:

— ხომ იცი, რომ ხვალ შაბათია და გემრიელად უნდა გამოვიძინო. ამიტომ, ქალაქის ტელეფონზე ვინც არ უნდა დამირეკოს, უთხარი, შინ არ არის-თქო!

— შენს ვაუბატონსაც ასე ვუთხრა?

— ხომ გითხარი, ყველას-მეთქი! — საწოლში ერთი გემრიელად გაიზმორა ლანამ და თვალები ნელ-ნელა მილულა...

მეორე დილით, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა ლანამ დედის ხელის მსუბუქი შეხება იგრძნო:

— ლანა, შვილო, გძინავს?

— უკვე არა... რა იყო? — უკმაყოფილო ხმით ჰკითხა ლანამ და თვალები გაახილა.

— ტელეფონზე გეძახიან.

— დედა, ხომ გთხოვე!.. — გაღიზიანდა ლანა — ვინ ეშმაკია?!

— შენი თანამშრომელი თინიკო... მგონი, უკვე მეათედ დარეკა და რა მექნა?!.

ლანა ლოგინიდან ბურდღუნ-ბურდღუნით წამოდგა, ჰოლში გავიდა, გვერდზე გადადებულ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და უკმაყოფილო ხმით ჩასძახა:

— ბატონო!

— ბატებმა შეგჭამონ! — გაისმა ყურმილში თინიკოს არანაკლებ უკმაყოფილო ხმა. — ასეთი რა ძილქუში დაგეცა?! ან მობილური რატომღა გათიშე და დედაშენი დილიდანვე შემაღონებინე?

— ვერ მეტყვი, შენ რატომღა შეინთე დილაადრიან ცეცხლი?

— ცეცხლი მე კი არა, გიგაურს აქვს თუ აქვს შენთებული! — ხმაში საზეიმო ნოტები გამოურია თინიკომ. — ცოტა ხნის წინ, მის „ბუნკერში“ შევაღწიე და მგონი, ნარკოტიკებიც აღმოვაჩინე...

— „მგონი“ თუ მართლა?

— ზუსტად არ ვიცი.

— მაშინ, ჯერ დაგეზუსტებინა და მერე დაგერეკა! — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლანას.

— არ გრცხვენია, გოგო?! — კინაღამ გული ამოუჯდა თინიკოს. — მე თავი ამისთანა საფრთხეში ჩავიგდე, შენ კი მოსმენაც არ გინდა?!

— კარგი, — შერცხვა ლანას, — გისმენ, მითხარი, რა მოხდა.

— ყველაფერს ტელეფონზე ხომ ვერ გეტყვი!.. მგონი, ისედაც დაუკრეფავში გადავედი... გამოდი სამსახურში და აქ ვილაპარაკოთ!

— მოდი, რა, შენ ამოდი ჩემთან! — გემრიელად გაიზმორა ლანამ. —

— სად შენთან?.. სახლში?

— ჰო... არ გაინტერესებს, როგორ ვცხოვრობ?

— მერე, დედაშენი?..

— დედაჩემი ხელს არ შეგვიშლის, ძალიან ტაქტიანი ქალია, — უპასუხა ლანამ და იქვე მდგარ თამარს თვალი შეთქმულივით ჩაუკრა.

— უთხარი, მოვიდეს. მე მაინც რეზიკოსთან ვარ წასასვლელი და შეიძლება, ამაღამაც იქ დავრჩე. ასე რომ, ძალიანაც რომ მოვინდომო, ხელის შეშლას მაინც ვერ მოვახერხებ, — სიტყვა შეაშველა თამარმა შვილს.

— გაიგე, დედაჩემი რას გითვლის?.. — მაშინვე ჩასძახა ყურმილში ლანამ. — ოღონდ, შენ გვიკადრე და მე საერთოდაც, სხვაგან წავალო...

— გაგიუდი, გოგო?! — შეიცხადა თინიკომ. — ქალს სახლიდან აგდებ?!

— კარგი, ჰო, გეხუმრე! დედაჩემი ისედაც აპირებდა ჩემს ძმასთან წასვლას. ასე რომ, გელოდები...

თამარის წასვლის შემდეგ ლანამ ერთხანს, ტელევიზორის ყურებით გაირთო თავი, მერე სამზარეულოში გავიდა, მაცივრის შიგთავსი გულმოდგინედ დაათვალიერა და ფრიად კმაყოფილიც დარჩა: თამარის წყალობით, სტუმრის გემრიელად გამასპინძლება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. მაგრამ თავად სტუმარი არა და არ ჩანდა. ლოდინით გაბეზრებულმა ლანამ თინიკოსთან დარეკვა დააპირა, მაგრამ როგორც კი მობილური ტელეფონი ჩართო, ქალაქის ტელეფონიც მაშინვე აწკრიალდა. „მადლობა ღმერთს! გამოჩნდა ქალბატონი!..“ — გაიფიქრა ლანამ, ტელეფონის ყურმილი სწრაფად აიღო და ბრაზიანად ჩასძახა:

— სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს?.. მოკვდი შენი ლოდინით!

— კიდევ კარგი, გოგოო, თქვი, თორემ, ეჭვიანობით მოკვდებოდი... — გაისმა ყურმილში ლევანის კმაყოფილი ხმა.

— შე-ენ?! — შეცბა ლანა.

— რა იყო? ისევ არ გსიამოვნებს ჩემი ხმის გაგონება?..

— სიამოვნებამდე ბევრი მიკლია...

— სხვათა შორის, მეც და იცი, რატომ?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს.

— რას შვრები? როგორ ხარ? — ქალიშვილის ჯიქურ პასუხს ყურადღება არ მიაქცია ლევანმა.

— ძალიან კარგად!.. — გამომწვევად უპასუხა ლანამ.

— მე კი, არც ისე კარგად.

— მგონი, შენი მდგომარეობით არ დავინტერესებულვარ.

— მე კი ის მაინტერესებს, როდემდე გამებუტები?

— სიადან მოიტანე, რომ გებუტები?!

— იქიდან... — სიცილი აუტყდა ლევანს.

— არ მესმის, სასაცილო რა გითხარი.

— არც არაფერი, — სიცილი სასწრაფოდ შეწყვიტა ლევანმა. — უბრალოდ, შენი ხმის გაგონებისთანავე, სიცილი და მხიარულება მინდება...

— კარგი ერთი! — აგდებულად თქვა ლანამ. — თუ ასეა, მთელი თვე რატომღა

მოიკელი ამხელა სიამოვნება? ხომ შეგეძ-ლო, ყოველდღე გერეკა და გეცინა და გეხარხარა!..

— მართალი ხარ, მაგრამ გერმანიაში ჩამოსვლისთანვე, მობილური სადღაც დავკარგე, შენი ნომერი კი ზეპირად არ მახსოვდა. ჰოდა, დავრჩი ასე, გაღიმებულ-ი...

— კარგი იყო, ბოლომდეც ეგრე დარ-ჩენილიყავი!

— რა ტყუილად იკბინები!..

— შენ კიდევ, ტყუილად იღლები!..

— მართლა, რაჭაში რისთვის იყავი წასული? — მოულოდნელად ჰკითხა ლე-ვანმა.

— სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა მომინდა.

— სადმე ჩემები ხომ არ შეგხვედრიან?

— ვინ შენები?

— ჩემი შვილი და დედა. ისინი ზუს-ტად იმ პერიოდში იყვნენ რაჭაში და ვი-ღაც ლანა გაუცნიათ. თამუნამ მასზე ლაპარ-აკით უკვე ტვინი გამომიღო. შემთხვევით, ის „ძალიან კარგი ლანა დეიდა“ შენ ხომ არ ხარ?

— საიდან მოიტანე?! — თავი შორს დაიჭირა ლანამ.

— შენც მართალი ხარ. ამქვეყნად მარ-ტო ერთი ლანა ხომ არ დადის!.. მართლა, შენი თანამშრომელი, თამრიკო როგორ არის? — ისევ მოულოდნელად გაახსენდა ლევანს.

— რომელსაც სინამდვილეში, თინიკო ჰქვია?..

— ჰო, თინიკო, თინიკო... როგორ შემეშალა?! — შეწუხდა ლევანი. — ეტყო-ბა, კარგი „ტიპშა“ უნდა იყოს, ხომ?

— გმადლობ, არა უშავს...

— რომ ნახავ, ჩემგან მოკითხვა გადაე-ცი.

— სიამოვნებით. მით უმეტეს, რომ წუთი წუთზე, სტუმრად ველოდები.

— მაშინ, მეც დაველოდები და პირადად მოვიკითხავ, — ისევ სიცილი აუტყდა ლევანს.

— არ მესმის, ახლა რაღა გაცინებს?! — გაღიზიანება ვეღარ დაფარა ლანამ.

— ის მაცინებს, რომ ეჭვიანობ.

— ეგღა მაკლია! — ყურმილი გამეტე-ბით დაახეთქა ლანამ და სწორედ იმწუ-თას, კარზე ზარი დაირეკა.

ლანამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და კარის გასაღებად შებრუნდა. ამასობაში, ზარი გამეორდა.

— რა იყო, სახლში აღარ მიშვებ? — კარის გაღებისთანავე, ჰოლში შემოვარდა აქოშინებული თინიკო.

— რა დღეში ხარ?.. მოგდევდნენ თუ რა?!

— ჰო, ლამის შენ სახლამდე მომყვნენ...

— სერიოზულად?

— კარგი, რა, ვის რაში ვჭირდები?! — ძლივსღა ამოისუნთქა თინიკომ. — ლიფ-ტი არ მუშაობდა, აქამდე სული ძლივსღა ამოვიტანე.

— ნეტავ, რა ეცა? — შეწუხდა ლანა. — ერთი საათის წინ, დედაჩემი რომ გავაც-ილე, ნამდვილად მუშაობდა.

— კიდევ ერთი საათის შემდეგ, შეი-ძლება, ისევ ამუშავდეს, მაგრამ ჩემი ბედი რომ ვიცი, როგორც კი წასვლას დავა-პირებ, ისევ ჯორივით გაჩერდება! — სას-ტუმრო ოთახში დაუპატიჟებლად შევიდა, მაშინვე სავარძელში მოკალათდა და ირ-გვლივ დაკვირვებითაც მიიხედ-მოიხედა თინიკომ: — მშვენივრად ხარ მოწყობილი...

— ჰო, ამ მხრივ, ბედს ნამდვილად არ ვუჩივი, — დაეთანხმა ლანა და თავად, ტახტზე ჩამოჯდა. — ცოტა დაისვენე და მერე, გემრიელად გასადილებ.

— კარგს იზამ, თორემ, მშიერ კუჭზე იმის მოყოლა, რაც მე ვნახე, ძალიან გამი-ჭირდება...

— მაშინ, ახლავე სამზარეულოში გავალ და წვნიანს გავაცხელებ, — დაფაცურდა ლანა.

— რას გეტყვი, იცი?.. — ფეხზე წამოხ-ტა თინიკო. — საერთოდაც, სამზარეუ-ლოში ხომ არ დავმსხდარიყავით და იქ გველაპარაკა?

— როგორც შენ იტყვი, — სტუმარს სამზარეულოსკენ გაუძღვა ლანა...

— ჰა, ამოშაქრე, რა მოხდა, — დან-აყრებულ თინიკოს წინ ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი დაუდგა ლანამ.

— ამოშაქვრისა რა გითხრა... — ყავას სული შეუბერა თინიკომ.

— მაშინ, ამოაპილპილე მაინც, თორემ, სული დამელია!

— კარგი, დავიწყოთ! — ხელი ხელზე საქმიანად დაჰკრა თინიკომ და ფეხზე წამოხ-ტა.

— სად მიდიხარ? — გაოგნდა ლანა.

— არსადაც არ მივდივარ. უბრალოდ, ჩემი მობილური უნდა ავიღო.

— იჯექი, მე მოგიტან! — სამზარეუ-ლოდან სწრაფად გავიდა ლანა და მე-გობარს ხელჩანთა შემოუტანა.

თინიკომ ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და მაგიდაზე ფრთხ-ილად დადო.

— ლაშას ზარს ელოდები? — ტელე-ფონს ალმაცერად გადახედა ლანამ.

— არა...

— ე, გოგო, ნუ მომკალი! — მოთმინებ-ის ძაფი გაუწყდა ლანას. — აღარ მეტყვი, რა მოხდა?

— რა მოხდა, ჩემო კარგო, და მგონი, გივის „ბუნკერში“ ნარკოტიკების მოზრდილი პარტია აწყვია. ასე რომ...

— ეგ დილას, ტელეფონშიც მითხარი... — გააწყვეტინა ლანამ. — მას შემდეგ თუ შეიცვალა რამე?

— მეტი რაღა უნდა შეცვლილიყო?! — იწყინა თინიკომ.

— დღეს სამსახურში საერთოდ, რანაირდ მოხვდი? — ცოტა უფრო შორი-დან მოუარა ლანამ.

— გივიმ გამომიძახა: წამლების დიდი პარტია შემომაქვს და აღნუსხვა-დახარისხ-ებაში დამეხმარეო...

— როდის იყო, გივი წამლებს შენ გახ-არისხებინებდა? — გაუკვირდა ლანას.

— სხვა რა გზა ჰქონდა, რომ?!. გიზო გუშინ, თვითონ გააგდო მორიგ მივლინება-ში, ლიკა კი, ყველა სიკეთესთან ერთად, ფეხმძიმედაც ყოფილა. გივის მისი ქმარი ელაპარაკა: ისეთი საშინელი ტოქსიკოზი დაეწყო, რომ ფეხზე ვეღარ დგებაო...

— მოკლედ, დაგრჩენია ბურთი და მოედანი!

— ჰოდა, მეც რისი თინიკო ვიყავი, რომ „გოლი“ არ გამეტანა!.. მოკლედ, საწ-ყობში რომ მივედი, იქ უკვე ვახო და გივი ფაციფუცობდნენ. მართლა, იმხელა პარ-ტია იყო შემოზიდული, რომ წამლების ერთმანეთზე დაწყობილ ყუთებს გვერდს ვეღარ აუვლიდი. გივი და ვახო კი, ყუთებ-ის ერთ ნაწილს გივის კაბინეტში ეზიდ-ებოდნენ. მოგეხმარებით-მეთქი, — მაშინვე ვეცი, ანალგინით სავსე ერთ-ერთ ყუთს, მაგრამ გივიმ ის ხელიდან ცოფიანივით გამომგლიჯა: ამ ყუთებს მე და ვახო მოვუ-ვლით, შენ კი, რაც გარეთ დარჩება, ის აღრიცხეო... მოკლედ, შეარბენინეს ის ყუთები „ბუნკერში“ და კარიც მჭიდროდ მოხურეს. თავიდან, ოთახიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. შემდეგ, ხმამაღალი ლაპარ-აკი გავიგონე, რასაც ჩხუბისა და გინების ხმაც მოჰყვა. ბოლოს, იატაკზე რაღაც მძ-იმედ დავარდა... მეც მაშინვე კაბინეტის კარს ვეცი და დაუკაკუნებლად შევაღე.

— მერე? — გამხიარულდა ლანა. — რომელი ეგდო ძირს: ვახო თუ გივი?

— სამწუხაროდ, არც ერთი... — ამ-ოიოხრა თინიკომ. — იატაკზე გივის აგრ-ერიგად ნალოლიავები, ბოლო გამოშვების კომპიუტერი ეგდო, მახსოვს, მე ახლოსაც რომ არ გამაკარა, აი, ის... მაგიდაზე ანალ-გინის გახსნილი ყუთი იდგა, წამლის ფირ-ფიტები კი, აქეთ-იქით იყო მიმოფანტუ-ლი...

— გივი და ვახო სადღა იყვნენ? აორთქლდნენ?..

— ნეტავ, მართლაც აორთქლებუ-ლიყვნენ!.. — დანანებით წამოიძახა თინი-კომ. — ისინი ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ, მაგიდას ხელისგულებით დაყრდ-ნობოდნენ და „სინქრონში“ ღრიალებდ-ნენ.

— კომპიუტერს რაღას ერჩოდნენ ეგ ვირები?!

— მაგის კითხვა მეც მინდოდა, მაგრამ გივიმ რომ დამინახა, ისეთი ხმით მიღრი-ალა — აქ შემოსვლა როგორ გაბედეო?! — რომ ტყვიასავით გამოვვარდი ოთახი-დან... ცოტა ხანში, ვახოც უკან მომყვა და გვერდით ისე ჩამიქროლა, რომ ჩემკენ არც კი გამოუხედავს. ბოლოს, გივიც გამოვი-და. ხელები ისე უცახცახებდა, რომ „ბუნ-კერის“ კარის საკეტებს გასაღებები ძვ-ლისღა მოარგო, დაკეტა და გასაღებების ასხმული შარვლის ჯიბისკენ წაიღო. თან, ისე მკვეთრად შემოტრიალდა, რომ კარ-თან ერთმანეთზე დაწყობილ ყუთებს მხ-არი გაჰკრა და ძირს დაუშვა. თქვენ რაღას ინგრევით, თქვენი დედაცო!.. — ჩაიღმუ-ვლა ბოლოს ჩვენმა გივიკომ და საწყო-ბიდან ისიც გიჟივით გავარდა...

— რა არის, იცი?.. — უხალისოდ დაიწყო ლანამ. — სიმართლე რომ გითხრა, შენი ნაამბობიდან ჯერ ბევრი ვერაფერი გავიგე.

— ჯერ რა უნდა გაგეგო, როცა ყვე-

ლაზე მთავარი, გივისა და ვახოს წასვლის შემდეგ მოხდა...

— მართლა?!. მაინც რა?

— რა და... საწყობიდან გივისა და ვახოს გავარდნის შემდეგ, იატაკზე დაყრილი ყუთების თავ-თავის ადგილებზე დალაგება დავიწყე. ბოლო ყუთი ავიღე და რას ვხედავ?.. იატაკზე გასაღებების ასხმულა არ გდია?!

— მერე?

— რა მერე? ავიღე, გივის „ბუნკერიც“ გავაღე და ყველაფერი საგულდაგულოდ დავათვალიერე.

— მაგრად გაგირისკავს, — შეცბა ლანა. — ხომ შეიძლებოდა, გივი უცებ მობრუნებულიყო!

— იმ წუთში ამაზე არც მიფიქრია. მერე კი, მართლა ძალიან შემეშინდა. — აღიარა თინიკომ. — მაგრამ მადლობა ღმერთს, ვერ მომისწრო!

— ოთახში რა ნახე?

— რა ვნახე და ანალგინის ყუთებით გავსებული თაროები. თუმცა, რატომღაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ ყუთებში სულ სხვა წამალი უნდა იყოს.

— მაინც, რა?

— ზუსტად არ ვიცი, იმიტომ, რომ გახსნილი ყუთიდან გადმოყრილ ფირფიტებზე ვერანაირი წარწერა ვერ აღმოვაჩინე. ამიტომაც ვფიქრობ, რომ იქ შეიძლება, სულაც, ნარკოტიკები იყოს...

— მერე, მარტო შენი ფიქრი რა ბედენაა?!

— მაშინ, შენიც დაუმატე! — გაცხარდა თინიკო. — ვითომ ვერ ხვდები, რამხელა რისკზე წავედი?! თუ იმ ყუთებში მართლა ნარკოტიკებია, გივის ჩემთვის კაბინეტში რომ შემოესწრო, ხომ იქვე გამასაღებდა და მერე, იატაკშიც გულმოდგინედ ჩამაბეტონებდა!..

— კარგი, ნუ ბრაზობ!.. — დაუყვავა დაქალს ლანამ. — ყველაფერს კარგად ვხვდები. ის კი არა და, გივიმ თუ რამეზე ეჭვი აიღო, ჩაბეტონებას თუ არა, ფირმიდან გაგდებას მაინც არ აგაცილებს.

— საიდან უნდა გაიგოს? — გაუკვირდა თინიკოს. — მე ხომ იქ არანაირი ხელშესახები კვალი არ დამიტოვებია. ჩემი თითების ანაბეჭდების საპოვნელად კი, არა მგონია, კრიმინალისტები გამოიძახოს...

— მერე — გასაღებების ასხმულა?

— რომელი გასაღებების ასხმულა?! — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა თინიკო. — მე არანაირი გასაღებები არ მინახავს... გივი რომ საწყობში გიჟივით შემოვარდა, გასაღებების ასხმულა ისევ იატაკზე, ყუთების ქვეშ ეგდო. მე კი, მაგიდასთან ანგელოზის სახით ვიჯექი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების სიას ვადგენდი... თუმცა, შეფს ჩემთვის საერთოდ არ შემოუხედავს. მაშინვე, იატაკზე დაყრილ ყუთებს დააცხრა, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და გასაღებების ასხმულა რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა... ამის შემდეგ, წელში ხვნეშით გასწორდა, გასაღებები ჯიბეში კმაყოფილი სახით ჩაიცურა და მერეღა მომიბრუნდა: რა არის, შე ზარმაცო, ეს ყუთები მაინც ვერ აალაგეო?! — ერთი ფეხით მომისწარით, ბატონო გივი, ორ წუთში ალაგებას ვიწყებდი-მეთქი, — აღარც მე დავრჩი ვალში და ყუთების ალაგებაც დავიწყე. — კარგი, კარგიო, — შემაჩერა, — ამას მე მივხედავ, შენ კი, დროა, სახლში წახვიდეო...

— კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დასრულდა, — შვებით ამოისუნთქა ლანამ.

— ჰო, მაგრამ შენ გგონია, რომ მაშინვე გამოვიქეცი?.. ნურას უკაცრავად! გივის ნერვების ბოლომდე დასაძეძგად, საბუთებში კიდევ კარგა ხანს ვიქექე, საწყობიდან გამოსვლისას კი, შეფს კიდევ ერთხელ მივუბრუნდი: — ბატონო გივი, რაღაც მინდა გითხრათ და არ გამიბრაზდეთ-მეთქი. — რა მოხდაო? — მაშინვე თვალები ჭყიტა მან. — რა და, მართალია, ვახო თქვენი სერიოზული საქმიანი პარტნიორია, მაგრამ ამდენს მაინც ვერ უნდა გიბედავდეთ-მეთქი... — მეტად ვეღარაფერს გამიბედავსო... — ბოლმიანად ჩაილაპარაკა გივიმ და ყუთების თვლა განაგრძო...

— საინტერესოა, რას გულისხმობდა... ნეტავ, შენ მაგივრად, ვახო ხომ არსად ჩააბეტონა?..

— ალალი და უსაყვედურო! — გადაიკისკისა თინიკომ. — ვახოს, გივიც ზედ მიჰყოლია!.. ახლა ის მითხარი, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— ჩვენ, აბა, რა შეგვიძლია?! — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა ლანამ. — იქნებ, ცოტა ვაცალოთ — ვნახოთ, თავად გივი რას მოიმოქმედებს.

— რას ამბობ?! — აღელდა თინიკო. — თუ დავაცლი, ასობით ადამიანს მოწამლავს, თვითონ კი, ჯიბეს დოლარებით აივსებს!..

— ჰო, მაგრამ საიდან იცი, რომ იმ ყუთებში ნამდვილად ნარკოტიკებია?

— ყოველ შემთხვევაში, კარგი რომ არაფერია, ფაქტია. ბოლოს და ბოლოს, ექიმი ქალი ხარ და იმას მაინც ვერ ხვდები, რომ არ შეიძლება, ანალგინის ყუთებში გაურკვეველი წარმომავლობის წამლის ფირფიტები ეწყოს?!

— კი, ბატონო, ვხვდები. მერე?

— მერე ის, რომ ავდგეთ და ფინანსური პოლიციის ცხელ ხაზზე მაინც დავრეკოთ და „ნაკოლი“ მივცეთ — გივი გიგაური შემოსავლებს მალავს-თქო...

— მთლად გაგიჟდი, გოგო?!. — გაცხარდა ლანა. — ფინანსურ პოლიციაში ჩემს დაუძინებელ მტერსაც კი არ ვუჩივლებ!.. დაგავიწყდა, რესტორნებში როგორ შეცვივდნენ და დიდი და პატარა დააწიოკეს?!. თანაც, ნარკოტიკების შემნახველებს ფინანსური პოლიცია კი არა, „სოდი“ ებრძვის.

— მერედა, რა არის ეგ „სოდი“ თუ სოდა?

— რა არის და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, რომელიც... — აზრი ვეღარ დაასრულა ლანამ, რადგან ტელეფონი აწკრიალდა.

ლანა ჰოლში გავიდა და ყურმილი აიღო:

— ბატონო!

— თავად ბატონო! — გაისმა ყურმილში ლევანის ხმა.

— აჰ, ისევ შენ ხარ? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლანამ.

— მოვიდა?

— ვინ?

— ვინ და თინიკო. წეღან არ მითხარი, მოვა და თავად მოიკითხეო?

— კარგი, ახლავე დავუძახებ, — დაყაბულდა ლანა, ყურმილი გადადო და სამზარეულოში შებრუნდა.

— დედაშენი ხომ არ იყო? — ჰკითხა მას თინიკომ.

— ჰო, — იცრუა ლანამ. — აინტერესებდა, მესტუმრე თუ არა.

— მერე?

— რა მერე?.. ვუთხარი — ამაღამაც აქ აპირებს დარჩენას და აღარ შეგვაწუხომეთქი.

— გაგიჟდი, გოგო?!. რას იფიქრებს ის ქალი ჩემზე? ვიღაც გადარეული ვეგონები!..

— ჰოდა, თუ არ გინდა, რომ მართლა ასე ეგონოს, მიდი ეგერ, ჰოლში, ტელეფონზე გელოდება და თავად დაელაპარაკე!

— მართლა?

— აბა, რა... — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა ლანამ.

— კარგი, — ფეხზე სწრაფად წამოხტა თინიკო, — დაველაპარაკები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„დავიბადე 1904 წელს ქ. ვარშავაში. იქ იდგა ის პოლკი, რომელშიც მსახურობდა მამაჩემი. ვარშავა არ მახსოვს, რადგან ჩემი დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მთელი ჩვენი ოჯახი საქართველოში გადმოვიდა“, — ასე იწყებს თავის ბიოგრაფიულ წიგნს ქართული კინოს ვარსკვლავი — ნატო ვაჩნაძე.

ნატოს მშობლები იყვნენ: გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი და ეკატერინე სიმონის ასული სლივიცკაია.

დედა მაღალი, ტანადი ქალბატონი ყოფილა, ნაკვთების კლასიკური სრულყოფილებით გამორჩეული. მამასაც მშვენიერი გარეგნობა ჰქონია და ფიცხი ხასიათი.

ნატო ვაჩნაძის და ნიკოლოზ უჯიანლიის ლუკიდად ჯეული სიუჟეტები

თამუნა კვინიკაძე

მძიმე, მწარე სიყმაწვილე

სულ მცირეწლოვანი ყოფილა ნატო, როდესაც მამამისი მოუკლავთ, სრულიად ახალგაზრდა — 32 წლის. „ბავშვები ვგრძნობდით, რომ რაღაც საშინელება მოხდა, მაგრამ სახელდობრ რა — ეს ვერ გაგვეგო. დღე დაილია. დედა დაბრუნდა და ოთახში შემოვიდა სახეგაშეშებული, ისეთი ფერგამკრთალი არასოდეს მენახა... კარს ხელი სტაცა, წამით შედგა და მოცელილივით დაეცა იატაკზე. როცა მოასულიერეს, ჩემს უფროს დასა და მე დაგვიძახა, ახლოს მიგვიყვანა, ჩაგვიხუტა და ნელა, მშვიდად გვითხრა: მამა აღარ გყავთო.“

ის ღამე ნატოს, დედის საწოლში გაუტარებია. მამის გარდაცვალების შემდეგ უპოვიათ ანდერძი. თურმე იგი მეუღლეს შვილების აღზრდას ავალებდა და ეუბნებოდა, რომ სავსებით ენდობოდა მის კეთილგონიერებასა და სათნო გულს.

„ბავშვებთან იყავი მკაცრი, ხოლო სიმკაცრეს ნუ აურევ მოუთმენლობაში... დაკრძალვამდე სამჯერ გადამსახე პირჯვარი... თუ მწუხარებისა ან ურწმუნოების გამო დაგავიწყდეს ამის შესრულება, ნუ ინაღვლებ და შემდეგ შეასრულე ფიქრით მაინც...“

გიორგის ეს უკანასკნელი სურვილი პირნათლად შეუსრულა მეუღლემ და სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩა. ერთხელ, როდესაც დედისთვის ნატოს უკითხავს — მაინც რატომ არ მოინდომე, შენი ცხოვრება თავიდან დაგეწყოო? — უპასუხია: მე მამათქვენს მთელი სიცოცხლით მივთხოვდი, მაშასადამე, ამ გაგებით ჩემი ცხოვრება უკვე დამთავრდაო...

დაქვრივებული ეკატერინე გურჯაანში, ოთხ შვილთან ერთად, ბეზარაანთ წყაროსთან დასახლებულა. იქ გაუტარებია ნატოს ბავშვობა: „ჩვენ ვცხოვრობდით ნამდვილი სოფლური ცხოვრებით, მუშაობას მეზობელი გლეხებისაგან ვსწავლობდით, მათთან ვმეგობრობდით“.

ცხოვრების ნათელ თანამგზავრად იქცა ამ წლების მოგონებები: გოდრიანი ურმებით რთველში გამგზავრება, გარჯა ვენახში, სიმღერა, რომელიც დიდი ქვევრიდან ისმოდა, ღამისთევა ხატობაზე, ვეჯრინის მონასტერთან მოსმენილი „გრძელი კახური მრავალჟამიერი“. მნათობის შესახვედრად ფერდობის არბენა, ძირს კი ათასფრად მოლივლივე ალაზნის ველი.

„კახეთში ჩვენ მშვიდი და ერთფეროვანი ცხოვრება დაგვირღვია ჩემი დის ავადმყოფობამ. მას ძვლის ჭლექი აღმოაჩნდა და ექიმებმა გვირჩიეს, მისთვის მოსკოვში გვემკურნალა. მთელი ოჯახით გავემგზავრეთ მოსკოვს, იქიდან პეტერბურგს მოგვიხდა წასვლა, შემდეგ კი საზღვარგარეთ“.

შემდეგ, ძველი კინოქრონიკის კადრებივით, ერომანეთს ენაცვლება ბერლინი, პარიზი და ევროპის სხვა ქალაქები, პირველი მსოფლიო ომის სურათები საზღვარგარეთ. ხიფათით სავსე გზებით შინ დაბრუნება. სამშობლოს ნახვის სიხარული ფარავს მოგზაურობის ბუნდოვან შთაბეჭდილებებს... მერე — კვლავ გარჯა, სწავლა, ხელმოკლეობა. მძიმე შრომა ასანთის ფაბრიკაში, ბორბლების საცხის ქარხანაში, ავადმყოფობა, ისევ სოფელი, შემდეგ ისევ თბილისი და სწავლა... ჯვრისწერა... ამ ამბავს თვითონ ასე იხსენებს: „კახეთში გავიცანი მერაბ ვაჩნაძე, რომელსაც შემდეგ ცოლად გავყევი. იმავე შემოდგომას, როგორც კი თბილისში დავბრუნდი, ჩავაბარე მეშვიდე კლასის გამოცდები. მოხდა ისე, რომ ერთსა და იმავე დღეს, დილას ალგებრაში გამოცდა ჩავაბარე, საღამოს კი ლეჩაქით მორთულმა, მთელი საეკლესიო წესების დაცვით ტაძარში მერაბ ვაჩნაძეზე ჯვარი დავიწერე“.

ის, რაც ბავშვობის წლებიდან თან სდევდა ნატოს, — ეს იყო უსაზღვრო სიყვარული მშობლიური მიწისა, მშობელ დედასავით იყო მასზე შეყვარებული. არაერთგზის უთქვამს: „სადაც არ უნდა ვიყო, ისევ თვალწინ მიდგას... ჩემს არსებაში ცოცხლდებიან ის რიტმები, ხმები, სიმღერები, რითაც სავსეა მოგონება მშობლიურ სოფელზე, თითქოს აქედან არასოდეს არ გავმგზავრებულვარ, მუდამ თან დამაქვს ეს უზარმაზარი ბუნება“...

პირველი ნაბიჯები კინოში

ნატომ თბილისში მეუღლესთან ერთად ცოტა ხანს იცხოვრა. ის კვლავ კახეთში დაბრუნდა. 1923 წელს, გურჯაანში დედასთან სტუმრობის დროს, მას შაქრო ბერიშვილი ესტუმრა. ამ დროს თბილისის კინოსტუდია დგამდა „არსენას“. რეჟისორს, ვლადიმერ ბარსკის, შემთხვევით ენახა შიხმანის მიერ გადაღებული ნატოს ფოტოსურათი, რომელიც ქუჩის ვიტრინაში ყოფილიყო მოთავსებული. შაქრო ბერიშვილმა მას სთხოვა, რომ ფილმში ნენოს როლი შეესრულებინა.

ეს წინადადება სრულიად მოულოდნელი იყო ნატოსთვის. დედა და მეუღლე წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ თვითონ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ყოყმანობდა. ბოლოს კი გადაწყვიტა, თბილისში სასინჯ გადაღებებზე გამგზავრებულიყო.

„პირველი ჩემი გადაღება სურათში „არსენა“ კინოსტუდიის ბაღში წარმოებდა. ეს იყო სიყვარულის სცენა, არსენასთან შეხვედრა. განსაკუთრებულ მღელვარებას არ განვიცდიდი, რადგან ამ საქმეში ჩემი სრული გამოუცდელობა პასუხისმგებლობის გრძნობას მიმცირებდა. ვცდილობდი, რაც შეიძლება ბუნებრივი ყოფილიყავი, საკუთარი თავი და ჩემი შინაგანი განცდა გამომეხატა. ამ სცენაში ვნახე პირველად ჩემი თავი ეკრანზე. ძნელი გადმოსაცემია ის უცნაური გრძნობა, რასაც მაშინ განვიცდიდი“, — ასე იხსენებდა წლების შემდეგ, ნატო ვაჩნაძე თავის პირველ ნაბიჯებს კინოში.

საოცარია, მაგრამ ასეა — მას არ უოცნებია კინოზე, ის თავად გახდა „კინოს ოცნება“.

„უკანასკნელი ჯვაროსნები“

„ძნელია პირადი ცხოვრების ხელმეორედ დაწყება...“

1924 წელს, თბილისის კონსერვატორიის დარბაზში ჩატარდა ლიტერატურული საღამოების ციკლი. ახალგაზრდა ქართველმა პოეტებმა საზოგადოებას თავიანთი ნაწარმოებები გააცნეს. ერთ-ერთ საღამოზე, მაშინ უკვე კინოს ცნობილი ვარსკვლავის, ნატო ვაჩნაძის ყურადღება მიიპყრო ხავერდის ქურთუკში გამოწყობილმა მაღალმა, შავგვრემანმა კაცმა...

თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში ნატო ვაჩნაძე ნიკოლოზ შენგელაიასთან პირველი შეხვედრის გახსენებისას წერს: „ჯერ პირველ რიგებში დავინახე იგი, შემდეგ მოვიხედე და უკვე იარუსზე იყო, მაღლა. ცოტა ხნის შემდეგ კარებში გამოჩნდა. ვერიკო ანჯაფარიძე გამოდიოდა. იგი პირველად კითხულობდა ჩიქოვანის ლექსს. შენგელაია ესტრადასთან მიიჭრა, ხელები მაღლა აღმართა და დიდხანს, ღონივრად უკრავდა ტაშს. მაშინ განსაკუთრებულად დამამახსოვრდა მისი აღფრთოვანებული სახე და მისი ძლიერი ხელები“.

ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს შენგელაიას დის ოჯახში. ნიკოლოზის ძმისშვილი, ელენე შენგელაია კი ამ შეხვედრას ასე იხსენებს: „1924 წლის ნოემბრის ერთ წვიმიან საღამოს ჩემთან მეგობრები შეიკრიბნენ. ნატოც მოვიდა. ვიჯექით, ვკამათობდით... უეცრად საშინელი ხმაური გაისმა. რიგიანად ვერც კი გავერკვიეთ, რაში იყო საქმე, რომ ოთახში კოლია შემოვარდა.

— კოლია, რაშია საქმე? — აღელვებით ვკითხე მე, — აქ როგორ მოხვდი?

— უბრალოდ უკანა კარი შემოვანგრიე.

სიტყვა ვეღარ დავძარი. ჩემი სტუმრებიც გაოცებულები ისხდნენ. ზოგ მათგანს, ვინც მას იცნობდა, ეს არც გაჰკვირვებია. ნატო კოლიას შეჰყურებდა, ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა.

— ვინ არის ეს ლამაზი ქალი? — იკითხა კოლიამ და ჯიქურ შეხედა ნატოს. — ქუჩაში მოვკარი თვალი და აი, აქა ვარ, რათა გავიცნო.

კოლიამ თავი დაუკრა.

— ნატო ვაჩნაძეა, ნუთუ ვერ იცანი?..“

ასე გაიცნეს მათ ერთმანეთი და დამეგობრდნენ.

ნიკოლოზ შენგელაია 1901 წლის აგვისტოში დაიბადა წალენჯიხის მაზრის სოფელ ობუჯში, აზნაურის ოჯახში. ჩვენს ქვეყანაში ძველთაგან დადგენილი ტრადიციის თანახმად, პატარა ნიკოლოზი, როგორც მემამულის შვილი, იქაური გლეხის ოჯახში გაძიძავეს. ხუთმა წელმა მალე გაირბინა და შემდეგ, სულ სხვა გარემოში აღმოჩნდა. მკვახე მსხალი, ურმის თვალი და საკვირველი ზმანებებით აღსავსე ღამეები — რუსთაველის შაირმა, ჰიუგოს მომხიბლავმა სახეებმა, აკაკის, ვაჟას, ბაირონის ლექსებმა შეცვალა. „კოლია ჩვენში ყველაზე მოუსვენარი იყო, მაგრამ როგორც კი მოსაღამოვდებოდა და ბიძაჩემი პუშკინის ტომს აიღებდა ხელში, იგი ყველაფერს ივიწყებდა. ლექსი იყო ერთადერთი, რაც მას იმორჩილებდა. გატრუნული იჯდა ხოლმე, თვალები უბრწყინავდნენ შავგვრემან სახეზე. თმახუჭუჭა ბოშა ბიჭს ჰგავდა“, — ასე იხსენებს ობუჯში გატარებულ საღამოებს ელენე შენგელაია.

„მამის მკვლელი“

ნიკოლოზს საკმაოდ მღელვარე ბავშვობის წლები ჰქონდა. მერვე კლასში იყო, როდესაც ყველასათვის მოულოდნელად ფრონტზე წავიდა, ცხენოსანთა მესამე პოლკის მოხალისედ. მაშინ მიმდინარეობდა ომი სპარსეთთან, მაგრამ ნიკოლოზი მალევე დაბრუნდა გიმნაზიაში, თანაც — ორდენით. მაღალი, ტანადი ჭაბუკი დააბიჯებდა გიმნაზიის დერეფანში და ამაყად დაჰქონდა მკერდზე მიბნეული თავისი პირველი ჯილდო მამაცობისათვის.

1919 წელს, დაამთავრა გიმნაზია და უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მისი მოწოდება არც ფიზიკა იყო, არც მათემატიკა და მალევე მიატოვა. შემდეგ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. მამას ნიკოლოზის ეს ნაბიჯი არ მოსწონდა, დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნდა. ამიტომ შვილის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება გადაწყვიტა და დაუჟინა, ერთ-ერთ საბაჟოში შესულიყო მოხელედ. მამის ნების წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელი იყო და ნიკოლოზიც საბაჟო მომსახურების საქმეს შეუდგა.

„ნარინჯის ველი“

მხოლოდ ერთი თვე იმუშავა მან იქ. არავინ იცის, საერთოდ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მისი კარიერა, ერთი კურიოზული შემთხვევა რომ არა. ერთხელ, საბაჟოში მისულმა რევიზორებმა ახალი უფროსი ვერსად იპოვეს და უკან დაბრუნდნენ. ერთი კვირის შემდეგ, მათ მიუვიდათ ლექსად დაწერილი ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ, შემდეგ კი, თვითონ შენგელაიაც გამოცხადდა მათთან. ნადირობისას გზა ამებნა და სომხეთში აღმოვჩნდი, ხოლო ანგარიში ლექსად იმიტომ დაგიწერეთ, რომ საკითხავად მოსაწყენი არ ყოფილიყოო, — განუმარტა უფროსებს.

ნიკოლოზ შენგელაიას „გაუმართლა“: ის მაშინვე დაითხოვეს სამსახურიდან. მამას გუნება გაუფუჭა „ფუქსავატი“ შვილის საქციელმა, მაგრამ იმასაც კარგად მიხვდა, რომ თავნება შვილს ამიერიდან, საკუთარ ჭკუაზე ვეღარ ატარებდა.

ვარსკვლავი და „ცხოვრების რეჟისორი“

...1925 წელს, ნიკოლოზ შენგელაიამ, თავის ფილმში — „გიული“, მთავარი როლის შემსრულებლად ნატო ვაჩნაძე მიიწვია. ნატო დათანხმდა, მაგრამ მის თანხმობას უარყოფითად შეხვდნენ, ურჩევდნენ, არ გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, ამას ზიანი მოეტანა მისი რეპუტაციისთვის: შენგელაია მაშინ ბევრისთვის უცნობი ახალგაზრდა რეჟისორი იყო. ნატომ რჩევა კოტე მარჯანიშვილს ჰკითხა: დიდი რეჟისორის აზრი უტყუარი იყო მისთვის.

საერთო მიზანსწრაფვამ, კინოს სიყვარულმა სულიერად დაანათესავა ორი ახალგაზრდა შემოქმედი. და მოხდა ის, რაც თითქოს, უთუოდ უნდა მომხდარიყო — ნატო გახდა შენგელაიას ცხოვრების თანამგზავრი ვარსკვლავი, შენგელაია კი — ნატოს „ცხოვრების რეჟისორი“...

ნატო ვაჩნაძე თავის მოგონებებში ამ დღეებს ასე იხსენებს: „შენგელაიასთან მუშაობამ გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. კოლია შენგელაია შემიყვარდა... ძნელია პირადი ცხოვრების ხელმეორედ დაწყება, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებსაც ვერ გაუმკლავდები... მერაბ ვაჩნაძეს გავეყარე და ცოლად შენგელაიას გავყევი. სხვანაირად მოქცევა მე არ შემეძლო.

ბევრი ნაცნობი თუ უცნობი, ჩემს მეორე ქორწინებას მტრულად შეხვდა. ჭორები, გმობა — გაკიცხვა ფუტკრის გუნდივით შემომესია. შეურაცხმყოფელ და თითქმის სალანძღავ წერილებსაც ვიღებდი. ეს და სხვა მრავალიც უნდა გადამეტანა“.

მაშინ, როდესაც შენგელაია ბაქოში „26 კომისარს“ იღებდა, ნატოს უკრაინაში მოუწია გამგზავრებამ. იქ რეჟისორი გრიჩერი იღებდა ფილმს „გარეუბნის კვარტალი“, რომელშიც ნატო მონაწილეობდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სამ-ოთხ თვეს, ზოგჯერ მეტხანსაც, ნატო და კოლია ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. „მაშინ, როცა განშორება აუტანელი ხდებოდა, — წერს მოგონებებში, — ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავდით, რათა თუგინდ მოკლე ხნით, ერთმანეთს შევხვედროდით... დაბრუნების ვადა პირველი წუთიდანვე გულზე ლოდივით მაწვა.

მხოლოდ ერთი დღის დარჩენის უფლება მქონდა და რამდენი რამ უნდა გვეთქვა, გამოგვეთქვა დაგროვილი ეჭვები. როგორც ყოველთვის ხდება, წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული უცებ სადღაც ქრებოდა, ყველაფერი ინთქმებოდა ნანატრი შეხვდრის მოლოდინში. გვიხდებოდა ერთი დღის გადაცილება, მოპარვა, რათა უფრო დამშვიდებულად გვესაუბრა... საათის ისრები კი დაუნდობლად გარბოდნენ, განშორების წუთებს გვიახლოებდნენ.“

ომის წლებში, ბევრი სხვა ცნობილი კინოხელოვნის მგავსად, ნატოს შეუდარებელმა სილამაზემაც შეიძინა მკაცრი იერი და ბუნებრივად შეერწყა იმ საბედისწერო და პირქუში დღეების მოვლენათა პანორამას. მას ხშირად ნახულობდნენ ჰოსპიტლებში, დაჭრილებისთვის ნუგეშისცემას რომ ცდილობდა.

შემდეგ, როცა უკვე კავკასიონიდან ომის გრიალი ისმოდა, იგი მონაწილეობდა „იმედიან“ ფილმში — „ის კვლავ დაბრუნდება“. მოგვიანებით კი, იგონებდა: ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ის წლები სულ ჩემ გვერდით იდგა სიკვდილი და აკი, აუხდა შიში — სურათის გადაღებისას, მოულოდნელად გარდაიცვალა ნიკოლოზ შენგელაია: დაღლილმა გულმა უმტყუნა, მანქანის საჭესთან თბილისისკენ მომავალს... „სახეზე ღიმილი შერჩენია, თითქოს ოდნავ დაცინვით ამბობს: ახლაც არ გჯერათ, რომ ეს სიკვდილია?..“

ცივ შარაზე, ქარ-წვიმაში ნაბადზე დასვენებულს, დასცქეროდა ვარსკვლავი თავისი „ცხოვრების რეჟისორს“...

და აი, უკანასკნელი, გამოთხოვების დღეები. „თვალები გამშრალი მაქვს. ყველაფერი შთანთქა სიბნელემ — ხალხი, აზრი, გონება, ამხანაგები და მეგობრები. შავი ქაოსი, რომელსაც თავს ვერ დააღწევ“.

გადის დღეები, კვირები, ნატო ღამე ვერ იძინებს. მისი აზრი და გონება ძილშიც მუშაობს და ყოველ დღეს აღიქვამს მთელი სიმძაფრით — „გათავდა — აღარ არის“...

ამის შემდეგ, დიდხანს აღარ გამოჩენილა ეკრანზე, მაგრამ სიცოცხლის ტრფიალმა და შემოქმედების ჟინმა კვლავ მიაბრუნა იგი კინოსკენ. იყო ბევრი წარმატებული როლი...

ის გახლდათ პირველი ქართველი კინომსახიობი, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალზე მოხვდა. უმალ გახუნდნენ რეკლამით შექმნილი კინოვარსკვლავები, როცა მათ შორის ჩადგა ნატო ვაჩნაძე.

მეოთხედი საუკუნე ენთო ნატოს ვარსკვლავი ეკრანზე და ბრწყინვალება არასოდეს გაჰკრთომია. იგი ოცნებობდა, ეკრანზე გაეცოცხლებინა ეკატერინე ჭავჭავაძე — გენიოსი ბარათაშვილის პოეტური სიყვარული, მაგრამ ვერ მოასწრო... 1953 წელს, გაზეთები იუწყებოდნენ ტრაგიკულ ამბავს — ჰაერში თვითმფრინავის კატასტროფამ იმსხვერპლა ვარსკვლავი.

ალბათ, ესეც ბედისწერა იყო: თვითმფრინავი, რომლითაც ნატო როსტოვიდან თბილისისკენ მოფრინავდა, სწორედ ნიკოლოზ შენგელაიას მშობლიური სოფლის თავზე გახდა უამინდობის მსხვერპლი. იყო რაღაც მშვენიერიც და შემზარავიც ცაში ამაღლებულ ამ სიკვდილში: ასე მიეფარა თვალს — მკვდარი არავის უნახავს...

■

ცხინვალელი ტატიანა გოგინოვა-თიბილოვას შემოქმედება მართლაც გამორჩეულია. მისი ყველა სურათი გამხმარი ბალახითაა შექმნილი. საოცარი სინაზითა და სინატიფით აქვს გაცოცხლებული ლიტერატურული კლასიკის პერსონაჟთა სახეები...

მისმა შემოქმედებამ თბილისელ მნახველებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა: როგორც ცნობილია, ქალბატონი ტატიანას ნამუშევრების გამოფენა ჩვენს დედაქალაქში 2005 წლის დამლევს მოეწყო. მხატვარმა და მუსიკოსმა საკუთარი შემოქმედება კავკასიელ ხალხთა შორის მშვიდობას მიუძღვნა და სჯერა, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეებს გაუძლებს...

მარეხ ჭონიშვილი

— დავიბადე და გავიზარდე ცხინვალში. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავბარე მუსიკალურ ტექნიკუმში, სადირიჟორო განყოფილებაზე. დავამთავრე. მაგრამ ჩემში ბავშვობიდან, ხატვის სიყვარული უფრო ჭარბობდა, ვიდრე მუსიკის, ამიტომ გადავწყვიტე, ხატვა კარგად შემესწავლა და შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ჩავბარე.

— როდის და რატომ გაგიჩნდათ იდეა, რომ ბალახებით ასეთი მშვენიერი სურათები შეგექმნათ?

— ხშირად მისვამენ ამ შეკითხვას... ეს ალბათ, იმის შედეგია, რომ ძალიან მიყვარს ბუნებაში სეირნობა. ბუნებას თუ მიენდობი და შეიყვარებ, ისიც შეგიყვარებს... თან, ყოველთვის რაღაცის ძიებაში ვიყავი — მინდოდა, რაღაც უცხო, უჩვეულო გამეკეთებინა, რაც მხოლოდ ჩემი იქნებოდა, საკუთარი... თავიდან, მხოლოდ ვხატავდი. ბავშვებისათვის წრე მქონდა გახსნილი, სადაც მათ ხატვას ვასწავლიდი. შემდეგ, ომი დაიწყო და ყველაფერი აირია. მეც მივატოვე ხატვა. შვილიც პატარა მყავდა და ყურადღებას ითხოვდა ჩემგან, დრო აღარ მქონდა, რომ მემუშავა... 5 წელია, რაც ინტენსიურად დავიწყე მუშაობა. თავიდან, მხოლოდ ჩემთვის ვაკეთებდი, შემდეგ, მეგობრებმა, ახლობლებმა ნახეს და ძალიან მოეწონათ. წამაქეზეს და მეც დავიწყე ბალახებით სურათების შექმნა.

— როგორ იქმნება თქვენი სურათები?

— თავიდან, ვხატავ და შემდეგ, ვიწყებ ბალახით მუშაობას. ძალიან საინტერესო და ამასთანავე, ფაქიზი სამუშაოა. ყველანაირ ბალახს ვიყენებ. თავიდან, ჩემი ნამუშევარი ცოტა უფერული იყო, მაგრამ თანდათან დავხვეწე და გავიწაფე ამ საქმეში.

ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა და გიორგი ოქრიაშვილი მინისტრ გოკა გაბაშვილთან ერთად

...ამიტომ, უწმინდესმა თავად მონათლა და ნათლია მე გახლდით. ილია მეორემ ქალბატონ ტატიანას ხატი და ღვინო უსახსოვრა და დაჰპირდა, რომ მალე ჩავა ცხინვალში.

— რამდენი დრო სჭირდება ერთი სურათის შექმნას?

— ადრე, უფრო დიდხანს ვანდომებდი, ახლა გავიწაფე და ნაკლები დრო მჭირდება. თანაც, სურათსაც გააჩნია: თუ ძალიან ბევრი ფერია საჭირო, თვე, თვენახევარი უნდა, რომ კარგი სურათი გამოვიდეს. ძალიან მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ და მუშაობის პროცესიც ძალზე საინტერესოა.

— როგორ მოხდა თქვენი ჩამოსვლა თბილისში?

— დიდხანს იყო ამ გამოფენაზე ლაპარაკი, მაგრამ ისეთ დაძაბულ პოლიტიკურ პირობებში, როგორიც დღესაა, გამოფენის მოწყობა და თბილისში ჩამოსვლა ადვილი არ იყო. თან, რომ არ დაგიმალოთ, შიშის გრძნობაც მქონდა... დიდი ფიქრის შემდეგ, მაინც გადავწყვიტე და დავთანხმდი, რადგან ვფიქრობ — ჩვენ, შემოქმედ ხალხს პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს ურთიერთობასა და მეგობრობაში. თან, კულტურასა და ხელოვნებას ხომ ყოველთვის დიდი წვლილი შეაქვს კონფლიქტის მოგვარებაში.

— რამდენი ნამუშევარი წარმოადგინეთ გამოფენაზე?

— ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა იყო და 50 ნამუშევარი წარმოვადგინე. აქ იყო, როგორც ძველი, ასევე ახალი ნამუშევრებიც. მართლა არ მოველოდი, თუ ამდენი ხალხი დაინტერესდებოდა ჩემი შემოქმედებით. თან, ისეთი ცნობილი პიროვნებები იყვნენ მოსულები — მსახიობები, მომღერლები, მხატვრები — და მოწონებას გამოთქვამდნენ, რომელთა შემოქმედებასაც დიდ პატივს ვცემ. ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ასეთი პატივისცემით, სიყვარულითა და სითბოთი შემხვდებოდნენ და მიიღებდნენ ჩემს შემოქმედებას. მოკლედ, გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ...

— როგორც ვიცით, პრეზიდენტს საჩუქარი მოუმზადეთ...

— დიახ, გავუგზავნე საჩუქრად მისივე პორტრეტი. მაგრამ ეს სურათი ამ გამოფენისათვის არ გამიკეთებია — ადრინდელი ნამუშევარია. მეგობრებმა მითხრეს — თუ მართლა შეგიძლია პორტრეტის გაკეთება, სააკაშვილის პორტრეტი გააკეთე და დაგიჯერებთო. მეც გავაკეთე და მგონი, კარგი გამოვიდა. ყველას მოსწონს. როდესაც გამოფენის იდეა გაჩნდა, მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ეს პორტრეტი პრეზიდენტისთვის საჩუქრად გაგვეგზავნა. თვითონ ვერ მოვიდა, მაგრამ მოვიდა მისი მეუღლე და მას გადავეცით. ქალბატონ სანდრას ძალიან მოეწონა ჩემი ნამუშევარი და იმედია, პრეზიდენტსაც მოეწონება.

— თქვენს გეგმებზე რას იტყვით?

— ერთი რამ ნამდვილად ვიცი: გაჩერებას არ ვაპირებ. ძალიან მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ და მინდა, ახალი, საინტერესო ნამუშევრები შევქმნა.

ქალბატონ ტატიანასთან საუბრის შემდეგ, პროექტის დირექტორმა, **გიორგი ოძრიაშვილმა** *დამატებითი, საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა:*

— ისეთ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში, როგორიც დღეს საქართველოშია, ქალბატონ ტატიანას თბილისში ჩამოყვანას და გამოფენის მოწყობას, რომელსაც „იმედის ყვავილობა“ ვუწოდეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კულტურას და რელიგიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მშვიდობის დამყარებასა და მეგობრობის აღდგენაში. ქალბატონი ტატიანა დიდ რისკზე წავიდა, როდესაც ამ გამოფენის მოწყობაზე დაგვთანხმდა, მაგრამ ის ძლიერი ადამიანია და მზადაა, გაბედული ნაბიჯები გადადგას... ცხინვალში ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს, რომელსაც უნდა, რაღაც აჩვენოს, გააკეთოს, მაგრამ იქ ამის საშუალება ნაკლებადაა. ამ გამოფენის ნახვის შემდეგ, ბევრი ოსი ხელოვანი დაინტერესდა და სურვილი გაუჩნდა, რომ თავისი შემოქმედება თბილისში ჩამოიტანოს და ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს. რადგან ასეთი სურვილი არსებობს, იმედი მაქვს, რომ იქაური ხელისუფლება ვერ მოახერხებს, წინ აღუდგეს ხელოვანი ხალხის სურვილს... ამ გამოფენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და როგორც ქართულ, ასევე რუსულ მასმედიაშიც გაშუქდა.

გამოფენის მოწყობას, რომელსაც „იმედის ყვავილობა“ ვუწოდეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

— როგორც გავიგეთ, ამ პროექტთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმი გადაგიღიათ.

— დიახ, გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აქაური ექსპოზიციაა ასახული. დიდი სურვილი მაქვს, ეს ფილმი ცხინვალის ტელეარხზე გავიდეს და ნახონ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას, ინტელიგენციას ოსების მიმართ და დარწმუნდნენ, რომ ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს, მდიდარ ტრადიციებს არ შეიძლება, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ვიწრო პოლიტიკური ინტერესები აღუდგეს წინ. ქალბატონ ტატიანას დიდი სურვილი ჰქონდა, შეხვედროდა უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და მისი ლოცვა-კურთხევით დაბრუნებულიყო ცხინვალში და ეს სურვილი აუსრულდა. კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ კი გაირკვა, რომ მღვდელი, რომელსაც ქალბატონი ტატიანა ჰყავდა მონათლული, განკვეთილი ყოფილა ეკლესიიდან. ამიტომ, უწმინდესმა თავად მონათლა და ნათლია მე გახლდით. ილია მეორემ ქალბატონ ტატიანას ხატი და ღვინო უსახსოვრა და დაჰპირდა, რომ მალე ჩავა ცხინვალში. ■



2005 წელი ნინა წკრიალაშვილისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო: ის ახალ ბინაში გადავიდა და მანქანაც შეიძინა. ჩვენც ახალსახლობა მივულოცეთ მომღერალს და უკვე გასული წლის ამბებიც გამოვკითხეთ.

ნინამ საკუთარ თაობის არქიტექტორის ნიჭიც აღმოაჩინა

ეკა მინდაძე

— ნინა, კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში!

— დიდი მადლობა.

— ადვილად შეეჩვიე ახალ სახლს და გარემოს?

— მშვენივრად. პირველსავე დღიდან თავს გადასარევად ვგრძნობ. აქ ისეთი გარემოა შექმნილი, როგორიც მსურდა. მართალია, ძალიან დიდი ფართობი არ არის, მაგრამ ჩემთვის მყუდროდ ვარ. ყველაფერი მაქვს, რაც კომფორტს მიქმნის. პირველ რიგში, ვეცადე, ჩემთვის ყველაზე საჭირო ნივთები შემეძინა.

— ეს ბინა ვინ გიყიდა?

— იცი, რა, ვინაიდან ის ბინა, რომელშიც ადრე ვცხოვრობდი, მამამ მიყიდა, გამოდის, რომ ესეც მისი ნაყიდია: ის გავყიდე და თანხის დამატების გარეშე, ვიყიდე ეს. რემონტი კი მამამ გამიკეთა.

— როგორც ჩანს, მაღალ სართულზე ცხოვრება უფრო გხიბლავს, ვიდრე დაბლა.

— რა თქმა უნდა. პირადად მე, სიმაღლის შიში არა მაქვს. საერთოდ, ძალიან მინდოდა ბოლო სართულზე ცხოვრება, მაგრამ ჯერჯერობით, ეს არ გამომივიდა. ეს სახლი 10-სართულიანია, მე კი მე-9 სართულზე ვარ. მომავალში, იმედი მაქვს, ბოლო სართულზე ვიცხოვრებ და ზემოთ ვერანდას მოვაწყობ, აუზით...

— ახლო მომავალში ხომ არ აპირებ ბინის გამოცვლას?

— არა, ჯერ არა. უბრალოდ, ეს ჩემი ოცნებაა. საკუთარ სახლს მირჩევნია, ბოლო სართულზე ვიცხოვრო.

— ადრე რა უბანში ცხოვრობდი?

— ადრეც საბურთალოზე ვცხოვრობდი. ოღონდ, პეკინზე. ახლა კუტუზოვზე ვარ. 13 წელი, საბურთალოელი ვიყავი. ბოლო 8 თვე კი, ვიდრე ეს ბინა გარემონტდებოდა, ვერაზე მომიწია გადასვლამ?

— ამ ბინის დაპროექტებასა და რემონტში თუ ერეოდი?

— რა თქმა უნდა. სისტემატურად დავდიოდი და ვაკონტროლებდი სიტუაციას. მიუხედავად იმისა, რომ მყავდა ადამიანი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ხელოსნებს — ე.წ. „პრარაბი“ — მაინც ჩემი აზრი მქონდა ამა თუ იმ ოთახის დიზაინზე. სხვათა შორის, ეს ბინაც ჩემი პროექტით გადავაკეთე. ვფიქრობ, იმდენად მეხერხება სახლების დაპროექტება, რომ ჩემგან კარგი არქიტექტორი დადგებოდა *(იცინის)*.

— ავეჯი სად შეიძინე?

— ზოგი რამ ჩემი სახლიდან გადმოვიტანე, ზოგი კი, თბილისში ვიყიდე სხვადასხვა მაღაზიაში. ერთადერთი, რაც თურქეთიდან გამოვიწერე, თეთრი სავარძელია.

— ინტერიერის დიზაინერიც შენ ხარ?

— კი, რა თქმა უნდა. მთელი ფარდები და ჭაღები ჩემი შერჩეულია. დავდიოდი მაღაზიებში და ისეთ რაღაცებს ვყიდულობდი, რაც წლობით არ ეყიდებოდათ. არადა, ესენი ყველას სჯობდა. ალბათ იმიტომ, რომ საერთოდ მიყვარს ყველაფერი ორიგინალური.

— ოჯახში თუ გაქვს რაიმე ანტიკვარული ნივთი?

— აქ არა. ჩემს მშობლებთან კი მაქვს დატოვებული ანტიკვარული ვაზა. ქორწილში მაჩუქეს. იმის გამო, რომ მე თანამედროვე ნივთები უფრო მხიბლავს, ვიდრე ანტიკვარული, აქ არ გადმოვიტანე. თანაც ზუსტად ვიცი, რომ ამ ინტერიერს საერთოდ ამ მოუხდება ანტიკვარი.

ყველაზე მეტად მიყვარს სასტუმრო ოთახი

— სახლში იმდენი ფოტოა გამოფენილი, როგორც ჩანს, სურათების გადაღება გიყვარს.

— ძალიან. განსაკუთრებით ვგიჟდები შავ-თეთრ ფოტოზე.

— ამ სახლში თუ გაქვს უკვე საყვარელი ადგილი?

— ყველაზე მეტად მიყვარს სასტუმრო ოთახი. აქ მუსიკასაც ვუსმენ, კომპიუტერზეც ვმუშაობ და თუ დამჭირდა, ვუკრავ კიდეც. საღამოს კი, ძალიან, მიყვარს დივანზე წამოწოლა და ტელევიზორის ყურება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საძინებელი საგანგებოდ მოვაწყვე, ზოგჯერ ხდება ისე, რომ ღამეც დივანზე მოკალათებული ვრჩები.

— შენ შვილს თუ მოსწონს ახალი ბინა?

— სანდროს ძალიან მოსწონს ეს ბინა. განსაკუთრებით ის, რომ მას თავისი კუთხე აქვს. როგორც ნორჩ ფეხბურთელს, მისი ოთახის კედლები ფეხბურთელების სურათებით არის სავსე. გარდა ამისა, ბურთით დადის ყველგან. იღვიძებს და იძინებს ისე, რომ ბურთი სულ თან დააქვს მე კი ვეჩხუბები — ოთახებში ბურთის თამაში არ შეიძლება-მეთქი.

— ახალმოსახლეობა არ აღნიშნეთ?

— სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვახერხე. ისე დავაგვიანე, რომ ვისი დაპატიჟებაც მინდოდა, ყველა ცალ-ცალკე მოდიოდა სანახავად. ასე რომ, ამ წვეულების მოწყობა საჭირო აღარ არის. მომავალში, ჩემი დაბადების დღის გადახდას ვგეგმავ.

— ალბათ, ახალი ბინისთვის ყველამ საჩუქარი მოგიტანა...

— მართლაც, ბევრი საჩუქარი მივიღე. თითქმის ყველამ, ბინისთვის საჭირო ნივთი მაჩუქა, მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვერცხლისფერი რკინის ჭიქები, რომლებიც ჩემმა დამ მაჩუქა.

— საოჯახო საქმეებში ვინმე გეხმარება თუ მარტო უმკლავდები?

— საოჯახო საქმეებში მეხმარება ჩემი შვილის აღმზრდელი. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ სვეტას ფუნქციაში სანდროს მოვლის გარდა არაფერი შედის, როცა ჩემს მოუცლელობას ხედავს, ცდილობს, სახლიც დაასუფთავოს და საჭ�-

იც გააკეთოს.

— საოჯახო საქმეებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს და რას ვერ იტან?

— საოჯახო საქმეებიდან ყველაზე მეტად, დაუთოება მეზიზღება. არ მეზარება სახლის დალაგება. აი, რეცხვა კი, ძალიან მიყვარს. მანიაკივით ვრეცხავ ყველაფერს. დღეში ორჯერ მაინც ვრთავ სარეცხ მანქანას. სხვათა შორის, მიყვარს ჭურჭლის რეცხვაც.

— კერძების მომზადება გეხერხება?

— კი. ყველანაირი კერძის მომზადება ვიცი. მაგრამ ვინაიდან ჩემი შვილი სანდრო ძალიან ცუდი მჭამელია, მეც არ ვიწუხებ თავს კერძების მზადებით. ისე, განსაკუთრებულად გემრიელი სალათები გამომდის. ვაცხობ გემრიელ მჭადს და ვაკეთებ არნახულ გოზინაყს.

— ახალი წლისთვის როგორ ემზადებოდით?

— 3 თვეა, რაც ამ სახლში გადმოვედი და ახალ წელს აქ პირველად შევხვდი. ამიტომაც, ბინა საკმაოდ განსხვავებულად მოვრთე — გადავწყვიტე, მთლიანად წითელ და ოქროსფერ ტონებში მომერთო. ვიყიდე წითელი და ოქროსფერი ზარები. აი, რაც შეეხება ნაძვის ხეს, სპეციალურად პატარა ვიყიდე. ჩემი შვილი და დისშვილი ისე ჩხუბობენ, რომ დღეში სამჯერ მაინც მიწევს წაქცეული ნაძვის ხის წამოყენება. წარმოიდგინე, დიდი ნაძვის ხე რომ იყოს, რას მოვერეოდი?! ეს კი, პატარაა და თან, სათამაშოებიც ისეთი შევურჩიე, რომ არ ტყდება... ახლა მოსკოვში მივდივარ, მაგრამ ძველით ახალ წელს აქ ვიქნები და ალბათ, პატარა წვეულებასაც გავმართავ.

— თოვლის ბაბუის არსებობა რომელ ასაკამდე გჯეროდა?

— 7 წლის ასაკში მივხვდი, რომ თოვლის ბაბუა, მამაჩემი იყო. მიუხედავად ამისა, არც ერთი ახალი წელი არ ყოფილა, რომ ჩვენი ოჯახის თოვლის ბაბუას საჩუქრის გარეშე დავეტოვებინე. ყოველთვის მჩუქნიდა იმას, რაც ყველაზე მეტად მსურდა.

— პატარა სანდროს თუ სჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს?

— სჯეროდა, მაგრამ წელს გამომიცხადა: მივხვდი, რომ ჩვენი თოვლის ბაბუა, ზურა ბაბუა არისო (მამაჩემი)... მანამდე, ვიდრე ამას მიხვდებოდა, დიდი მონდომებით სწერდა თოვლის ბაბუას წერილს და სთხოვდა საჩუქრებს. მახსოვს, ერთხელ მთელი ოჯახისთვის სთხოვა საჩუქრები: ჩემთვის — კომპიუტერი, „სერიოზული“ რაღაც სთხოვა, ბაბუასთვის კი — „ნასკები“. რომ ვკითხეთ — ბაბუასთვის მაინცდამაინც „ნასკები“ რატომ დაუწერეო? — გვიპასუხა — ზურას ყველაფერი აქვს და აბა, რა დამეწერაო?..

— გაიხსენე ახალი წლის ღამე, რომელიც ყველაზე მეტად შემორჩა შენს მეხსიერებას...

— მახსოვს, მე-10 და მე-11 კლასში რომ ვსწავლობდი, მთელი ჩემი კლასი ახალ წელს ერთად ხვდებოდა, მე კი მშობლები არ მიშვებდნენ. კარგად მახსოვს, ამის გამო რა მწარე 2 ახალი წლის ღამე მქონდა. ის 2 ახალი წელი ტირილ-ქვითინში გავათენე.

— ნინა, როგორი იყო შენთვის 2005 წელი?

— „მრავალფეროვანი“. ბევრი კარგი რაღაც მოხდა და ბევრი ცუდიც, მაგრამ მთლიანობაში, მაინც კმაყოფილი ვარ. კარიერაში მაინცდამაინც დიდი ძვრები არ ყოფილა — გარდა იმისა, რომ ორ ფესტივალში ვმონაწილეობდი. 2005 წლის ბოლო ორი კვირა ძალიან ნაყოფიერი მქონდა, იმიტომ, რომ სტუდიაში ვიყავი ჩაკეტილი და ახალ სიმღერებს ვწერდი. რაც შეეხება ყოფას — როგორც ხედავ, ახალ ბინაში გადმოვედი, ახალი მანქანა მყავს, სანდროც ახალ სკოლაში მივიყვანე და რა ვიცი...

— რას ისურვებდი 2006 წლისათვის?

— ვფიქრობ, მთავარი — ჯანმრთელობაა. ამიტომაც ვისურვებ საკუთარ თავისა და გარშემო მყოფთა კარგად ყოფნას. სხვათა შორის, არც პირად ცხოვრებაში მაწყენდა სიახლე...

— ისე, გავიგე, რომ მალე თხოვდები. მართალია?

— ასეთი უამრავი ჭორი დადის, მაგრამ მე ყურადღებას აღარ ვაქცევ. ადრე, ყველაზე მეტად მაღიზიანებდა ის, რომ ვის გვერდითაც დამინახავდნენ, მის საცოლედ ან საყვარლად მაცხადებდნენ. ამას წინათ, მამაჩემთან ერთად დამინახეს და რომ ვერ იცნეს, ხმა გავარდა — ნინა ახალ მამაკაცთან ერთად დადისო...

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, შენი გული რომ დაიპყროს?

— მამაკაცი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ინტელექტუალური და საქმიანი ადამიანი. და რაც ყველაზე მთავარია, პირველ რიგში ჩემი მეგობარი უნდა იყოს...

■

Smart Roadster – სუპერეკონომიური და ნაკლებპოპულარული

მანქანა, რომელიც 200 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და ამასთანავე, ყოველ 100 კმ გარბენზე სულ 3-4 ლ საწვავით კმაყოფილდება, კარგა ხანია არსებობს და იყიდება კიდეც, თუმცა, არცთუ ისე კარგად. უკვე გასული, 2005 წლის მოვლენებმა ცხადყო: მსგავსი პროექტების რენტაბელობა ნაკლებსახარბიელოა. მაგალითად, „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის ტექნოლოგიების შედეგი — მოდელ WEcoRacer, რომლის მახასიათებლებია: 136 ცხ.ძ-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა, რომელიც 100 კმ გარბენზე 3,4 ლ საწვავს ხარჯავს და 230 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. მაგრამ ეს უნიკალური მანქანა მხოლოდ ექსპერიმენტულია — მისი სერიული წარმოება არც კი იგეგმება, რაც ძალზე დიდი თვითღირებულების ბრალია. სხვა ნაწილებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მანქანის ძარა (850 კგ წონის) ძალზე ძვირად ღირებული მასალის — ნახშირპლასტიკისგანაა დამზადებული. გარკვეული ხნის წინ, „ფოლკსვაგენს“ ეკონომიური (საწვავის ხარჯი — 3 ლ) მოდელის — Lupo 3-ის წარმოებიდან მოხსნა მოუხდა: ის 15.000 ევრო — ე.ი. ჩვეულებრივ Lupo-ზე 4.000-ით ძვირი ღირდა და 5 წლის მანძილზე, მხოლოდ 30 ათასი ასეთი მანქანის გაყიდვა მოხერხდა. 4 წლის მანძილზე, Audi მომხმარებლებს სთავაზობდა სუპერეკონომიურ მოდელს — A2-ს, რომელიც იმავე დიზელის ძრავათი იყო აღჭურვილი, რომლითაც Lupo L3; შედეგი — 6417 გაყიდული ეგზემპლარი. მყიდველებს მისი ფასი — 19.000 ევრო აფრთხობდა. წარმატებას ვერც Smart Roadster-ის (მაქსიმალური სიჩქარე — 175 კმ/სთ, საწვავის ხარჯი — 5,1 ლ) მწარმოებლებმა მიაღწიეს: 2,5 წელიწადში 15.000 ევროს ღირებულების 35 ათასი მანქანა გაიყიდა. ■

ექსკლუზივი – Bugatti Veyron 16.4

ექსკლუზიური სპორტული მანქანების მოყვარულნი კარგა ხანია, მოუთმენლად ელოდებიან ამ საავტომობილო შედევრის ბაზარზე გამოჩენას. ეს მართლაც, სრულიად გამორჩეული მოდელია. 1001 ცხ.ძ-ის სიმძლავრის 16-ცილინდრიანი ძრავათი აღჭურვილი Bugatti Veyron-ის მაქსიმალური სიჩქარე 407 კმ/სთ-ს აღწევს და, ბუნებრივია, მისი ფასიც ასტრონომიულია — 1,16 მლნ ევრო! გარდა ამისა, ავტოგიგანტ Volkswagen-ის მიერ გაცოცხლებული, გასული საუკუნის ლეგენდარული მარკის მანქანის ფლობის მსურველს ერთობ უსიამოვნო ფორმალობათა მთელი რიგის დაცვა მოუწევს. ეს პირველ რიგში, ფინანსებით იწყება: წინასწარი შესატანი 300 ათას ევროს შეადგენს და ხელშეკრულების თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდება მომავალ მფლობელს, თუ ის მწარმოებლის მიზეზით არ მიიღებს მანქანას დათქმულ დღეს, ხოლო თუ შემკვეთი თავად გადაიფიქრებს Bugatti-ს შეძენას, ავანსი „ფოლკსვაგენს“ დარჩება. კონტრაქტით გათვალისწინებული მეორე აუცილებელი პირობა: მომხმარებელი თანახმა უნდა იყოს, რომ ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩასატარებლად, მანქანა გაიგზავნება საფრანგეთში მდებარე ქარხანაში, რადგან ნებისმიერი შესაკეთებელი სამუშაოს ადგილზე ჩატარება აკრძალულია. გარდა ამისა, Bugatti-ს ტექნიკური კონტროლის სამსახურს უფლება აქვს, თანამგზავრის მეშვეობით ნებისმიერ მომენტში შევიდეს მანქანის საბორტო კომპიუტერში ინფორმაციის მისაღებად და ოპერატიული დიაგნოსტიკის ჩასატარებლად. მაგრამ ყველაზე მთავარი, ფირმის მიერ დადგენილ წინაპირობებს შორის გახლავთ ის, რომ მწარმოებელი, გამოყენებული მანქანის შეძენის უპირატესი უფლებით სარგებლობს — სხვაგვარად რომ ვთქვათ, Bugatti მხოლოდ Bugatti-ს შეგიძლიათ მიჰყიდოთ. ■

ჰიბრიდული საექსპოზიციო Toyota Prius

იაპონურმა კორპორაციამ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველად, ჰიბრიდული ავტომობილის გამოშვება დაიწყო. მიმზიდველი კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს უახლესი ტექნოლოგიით, კომბინირებული — ბენზინის და ელექტროძრავათი აღჭურვილი მანქანის წარმოებას, — „ტოიოტასთან“ ჩინურმა კომპანიამ — FAW-მ გააფორმა.

Toyota Prius-ს ქალაქ ჩანჩუნში მდებარე ქარხანა გამოუშვებს. პირველ ეტაპზე, საწარმოო პროცესი მხოლოდ მანქანის აწყობას ითვალისწინებს, რადგან ჩინეთში ყველა მაკომპლექტებელი იაპონიიდან გაიგზავნება. მაგრამ შემდგომში, სავარაუდოდ, ნაწილების წარმოება ადგილზეც მოხდება.

ჩინეთში Prius 35.700 დოლარი ღირს. ესოდენ დიდი ფასის მიუხედავად, იაპონური კომპანია იქ 2006 წელს 3 ათასი ეგზემპლარის გაყიდვას ვარაუდობს. სადღეისოდ კი, ამ მარკის ძირითადი მომხმარებელი ქვეყანა, აშშ გახლავთ, სადაც ის გაცილებით იაფი — 21.725 დოლარი ღირს. ამასთანავე, მის შესაძენად, ამერიკელებს წინასწარი შეკვეთის განხორციელება უწევთ — იაპონური ავტოჰიბრიდი ოკეანის მიღმა ძალზე პოპულარულია. მეტისმეტად მოუთმენლები კი, ერთიდან 3 ათასამდე ზედმეტსაც იხდიან, თანაც ე.წ. მეორადი — ერთი წლის წინანდელი მანქანებისთვის. განსაკუთრებული ბუმი კალიფორნიის შტატში აღინიშნება, სადაც აშშ-ში ყველაზე მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტები მოქმედებს და „პრიუსის“ მფლობელები საგადასახადო შეღავათებითაც კი სარგებლობენ. ■

Gemballa GTR 650 Avalanche – გაუმჯობესებული Porsche

თითქოსდა, „პორშეს“ სპორტულ მანქანებს რა სჭირს გასაუმჯობესებელი და სატიუნინგო?! მაგრამ გერმანული ფირმის — Gemballa-ს მესვეურებმა სხვაგვარად მიიჩნიეს და Porsche 997-ს ბაზაზე ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს. ამის შედეგად, გაჩნდა ორადგილიანი ავტომობილი — GTR 650 Avalanche, რომლის მახასიათებლები ნებისმიერ ადამიანზე მოახდენს შთაბეჭდილებას: 3,6 ლ მოცულობის ძრავა 650 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე — 335 კმ/სთ-ია, ხოლო 200 კმ/სთ სიჩქარის მიღწევას მხოლოდ 11,2 წმ სჭირდება. ძრავას გარდა, კონსტრუქტორებმა მნიშვნელოვნად დახვეწეს საკიდარი და მუხრუჭები. და კიდევ: ტიუნინგურ მოდელს 380 მმ დიამეტრის, 19-დუიმიანი საბორბლე დისკები აქვს. რაც შეეხება სალონს — იქ მომხმარებელი სპორტულ სავარძლებს, სპორტულ საჭესა და ალუმინისგან დამზადებულ პედლებს იხილავს. Gemballa-ს მიერ შექმნილი ეს შედევრი ფასით, იტალიურ სპორტულ ავტომანქანებს უტოლდება — 240 ათასი ევრო ღირს. ■

ჯადოსნური დამთხვევები

მოულოდნელი ქორწინება ახალი წლის ღამეს და დაბადების დღეების ჯასჯადი დეკემბრის დამლევს

ახალი წლის შეხვედრის უამრავი ტრადიცია არსებობს მსოფლიოში, მაგრამ უმნიშვნელოვანესი, ძვალსა და რბილში გამჯდარი ტრადიცია, ალბათ, თვით ახალ წელს აქვს: მუდამ გვაოცებს თავისი სასწაულებით და სიურპრიზებით. ხანდახან ჩვენს საახალწლო თავგადასავლებს, საკუთარ თავქარიანობას, ხან — ბახუსის მოძალებას, ხან კიდევ — ვინ იცის, რას აღარ ვაბრალებთ. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ უმთავრესი „დამნაშავე", სწორედ ახალი წელია. მგონი, ასე მოხდა იმ ოჯახის შემთხვევაშიც, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, ხოლო თუ რატომ გაიმეტა უხვად ახალმა წელმა თავისი „ოინბაზობები" „მეტის-მეტად სერიოზული" და „სიტყვაძუნწი" საფეხბურთო მწვრთნელისათვის — ამას იოლად მიხვდებით.

ჩვენი მასპინძელია თბილისის „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, გია გეგუჩაძე.

ირმა ხარშილაძე

— გია, მაინცდამაინც 31 დეკემბერს რატომ გადაწყვიტე ცოლის შერთვა?

— მაგაზე პასუხი არც მე ვიცი. უცებ რომ მოგივლის ადამიანს რაღაც...

— ჟენია ლუკაშინივით (მთავარი გმირი ფილმისა „ბედის ირონია ანუ გაამოთ")?

— არა, შემთხვევით არაფერი მომხდარა. სხვის მაგივრად კი არ გავუშვივარ ვინმეს იმ ოჯახში! შეგნებულად მივედი და... მოკლედ, ჩემი მშობლები იმ პერიოდში, მოსკოვში ცხოვრობდნენ, შინ მარტო ვიყავი და მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე ახალი წლის შეხვედრა. ერთ-ერთის დაბადების დღეა 31 დეკემბერს, ჰოდა, ვისხედით სუფრასთან, ვსაუბრობდით და უეცრად ძალიან მომინდა ლელასთან წასვლა. გადავწყვიტე და წავედი კიდეც. ჯემალი მახლდა, ჩემი მეგობარი.

— მიაკითხე და მაშინვე წამოგყვა?

ლელა ყამარაული, *გიას მეუღლე:*

— მაშინვე — არა. გია შემოვიდა, მოგიბოდიშა — ერთი წუთით, მთავარი დამავიწყდაო, — და უკან გაბრუნდა. მეორედ შემოვიდა, უკვე ყვავილებით ხელში.

— წავიდა, იყიდა და მოგიტანა?

— არა, მანქანაში დარჩენია და მხოლოდ შემოსვლისას გაახსენდა.

— ეს ხდება 31 დეკემბერს საღამოს...

— ...ათ საათზე.

— მანამდე ეჭვიც არ გქონდა, რომ შეიძლებოდა, მოსულიყო და ცოლობა ეთხოვა?

— არა. ნამდვილად არაფერი ვიცოდი. 1997 წელს გავიცანი გია და 2000-ში გავყევი. ბოლო პერიოდში იმდენად დაკავებული იყო, სულ ვერ ვნახულობდი. მარტო დაბადების დღეებს ვულოცავდით ერთმანეთს. ამდენად, გიას მოსვლა ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის. საერთოდ, ის წელი ჩემი ოჯახისთვის ძალიან ცუდი იყო: დეიდა დამეღუპა და ზუსტად იმ დღეს — 31 დეკემბერს დავკრძალეთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა: მგლოვიარე, ჩასისხლიანებული, ნამტირალევი თვალებით ჩავუჯექი გიას მანქანაში და წავყევი. ახლაც არ ვიცი, როგორ გადავწყვიტე ასე უცებ...

— მოვიდა, ხელი გთხოვა და უცებ დათანხმდი?

— დედაჩემს სთხოვა ჩემი ხელი.

— შენ არაფერი გითხრა?

— როგორ არა? წამიმღერა კიდეც: „ისევ მოვედი შენთან"...

გია *(მღერის)*:

— „მოვიჩქაროდი შენკენა, ტოტებს არხევდა ქარი"... მიყვარდა და იმიტომაც ვუმღერე.

ლელა:

— სხვათა შორის, გიას მოსვლა რას დაემთხვა, იცით?.. დეიდაჩემი რომ დაიღუპა, ჩემთვის დაუტოვებია ბეჭედი. სანამ ავად იყო *(ვერ მეტყველებდა)*, ინახავდა თურმე და დაკრძალვის დღეს, ჩემმა დეიდაშვილმა მომცა: შენთვის უნდოდა დედაჩემს, ახლა მე გადმოგცემ და კარგ ხელზე მომეცესო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი! ზუსტად იმ საღამოს მომაკითხა გიამ და ცოლად გავყევი. იმის მერე, ჩემი მეგობარი გოგონები სათითაოდ მოდიან და მეხვეწებიან — გათხოვება მინდა და ერთი დღით მათხოვე ეგ ბეჭედიო...

გია:

— რას ამბობ?! ეგ ბეჭედი ჩემს სახელზე იყო ნაჩუქარი, არავის ათხოვო.

გია მაისურაძე, *მეგობარი:*

— 31 დეკემბერს, ღამის 12-ის ნახევარზე, ახალი წლის მოლოდინში, სუფრას ვუსხედვართ ოჯახის წევრები და კარზე ზარია. გავიხედე, დგანან გია და ლელა და მიღიმიან: დავქორწინდითო. გავბრაზდი: კიდევ შაყირობთ-მეთქი?! — არა, მართალიაო. რას ვიზამდი?! შემოიყვანე სახლში, მერე დავიჯერე კიდეც, დავლოცე და ასე, მატებით შევხვდით ახალ წელს.

გია გეგუჩაძის ოჯახს უცნაური დამთხვევები არც მანამდე აკლდა და არც მერე მოჰკლებია: 28 დეკემბერს, მისი ვაჟის — გიორგის დაბადების დღეა, წელს 12-ის გახდა; 29 დეკემბერს, უფროსი შვილი — თამუნაა დაბადებული; თამუნა 20 წლის გახდა (გიორგი და თამუნა გიას პირველი ქორწინებიდან ჰყავს). პატარა გეგი მას და ლელას 30 დეკემბერს შეეძინათ და უკვე 2 წლისაა...

— გია, ასე ძალიან გიყვარს დეკემბერი, რომ ყველაფერი წინასწარ გათვალე?

გია:

— არა, რას ამბობ?! მარტი მიყვარს ძალიან... ისე, ლელაც მარტშია დაბადებული, მამაჩემიც და კიდევ, ერთ მნიშვნელოვან ამბავს გაგიმხელთ: მარტში მეოთხე შვილს ველოდები...

— გილოცავთ! მოკლედ, თქვენს ოჯახში ან მარტში იბადებიან, ან — დეკემბერში!..

ლელა:

— რატომ?.. ივნისშიც იბადებიან. ჩემი დედამთილია ივნისში დაბადებული. რაც მთავარია, გიას დაბადების დღეა ივნისში.

გია:

— თუ რამე კანონზომიერებას ეძებ ამა-



ჯია და გეგი სიმღერებსაც კი ასწავლიან ერთმანეთს

ში, ეს იგივეა, რომ ახლა დავფანტოთ ასანთის ღერები — ხომ გახსოვს ფილმი — Rain man, მერე, უცებ, ვთქვათ — რამდენი ღერი დაიყარა და რატომო?!. ლოგიკა არ არის აქ — ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაა, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, უბრალო დამთხვევაა. ეგ არის, რომ ყველაფერი ძალიან ლამაზად აეწყო, მოზაიკასავით, მაგრამ **რთულია იმდენად, რომ მეც, ჩემს** მეუღლესაც და შვილებსაც უდიდესი სამეგობრო გვყავს და ამდენი ხალხის გასტუმრება არ გინდა?! მოყოლებული 27 დეკემბრიდან, სულ სამზადისში ვართ, ყოველდღე ახალი სუფრაა გაშლილი, ახალი წლის ჩათვლით. ეს სასიხარულოცაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახი ცხოვრობს სრულფასოვანი ცხოვრებით: მეგობრები, ნათესავები... ისე ცოტა დამღლელიც არის...

— ბევრის დალევა გიწევს და იმიტომ?

— გადაბმულად ამდენი დღე სუფრასთან ჯდომა ადვილი არაა. თუნდაც, არ დალიო. დიდი სუფრები არც მიყვარს, მომხრე ვარ, უფრო ვიწრო წრეში აღნიშვნის. რაც თამუნა და გიორგი წამოიზარდნენ, ურჩევნიათ, თავიანთ მეგობრებთან ერთად, კაფეში აღნიშნონ დაბადების დღე, მაგრამ ოჯახში მაინც გაშლილია სუფრა.

— 31-ში როგორ ასწრებს დიასახლისი ასეთი სტუმრიანობის შემდეგ საახალწლო სამზადისს და ქორწინების დღის აღსანიშნავად მომზადებას?

— 31-ში, სუფრასთან ვსხდებით სადღაც, 12-ს რომ 15 წთ უკლია. გავაცილებთ ძველ წელს, ჩვენი შეუღლების სადღეგრძელოსაც ვიტყვით. ამასობაში, ახალი წელიც დადგება და მერე, უკვე იმ წელს ვაგრძელებთ ქეიფს... ასე იყო წელსაც.

ლელა:

— რატომ გამოგრჩა, რომ ყოველ წელს, საჩუქრებს ვუძღვნით ერთმანეთს?

გია:

— ახალი წლის ღამე ყოველთვის, სიურპრიზების ღამეა. ერთმანეთსაც ვუკეთებთ საჩუქრებს და სხვებსაც. ადამიანი ამით ცხოვრებას იხალისებ და ილამაზებ.

ლელა:

— 2003 წლის 29 დეკემბერს, როცა დღე-დღეზე ველოდებოდი გეგის დაბადებას, წავედი ბაზრობაზე, გიასთვის საჩუქრის ყიდვა მინდოდა. ამხელა მუცლით მოვიარე ბაზრობა, დაებრუნდი მშვიდობით, საჩუქრით — სუნამო ვუყიდე. თვითონ კი, დიდი სიურპრიზი მომიწყო: დამახვედრა ჩემი საოცნებო, სარეცხის მანქანა. 30-ში არც მე დავრჩი ვალში: უთენია გავაღვიძე — გია, ჩქარა ადექი, მუცელი ძალიან ამტკივდა-მეთქი! — ჰოდა, ბოლო იქნება შენთვის სიურპრიზები, როგორც ჩანს, ცუდად მოქმედებსო, — და გამაქანა სამშობიაროში. საჩუქრებს და სიურპრიზებს მაინც „ვერ გადაეჩვია“: წელს ახალი მობილური ტელეფონი მაჩუქა.

— ყოველთვის რომ იცოდეს, ცოლი რომ სულ სახლშია, ხომ?

— არც გიაა სვანი, არც — მე. მოხევე ვარ.

— ამბობენ, მოხევე ქალები მძიმე ხასიათის არიანო?

გია:

— პირიქით, მძიმე ხასიათი მე უფრო მაქვს.

ლელა:

— ისე, დღეს სიმძიმით (წონით) მე ვჯობნი... ჯიუტი ნამდვილად ვარ. გიაც ჯიუტია, მაგრამ ტკბილი სიტყვა მასზე მაინც ჭრის.

— გია, ლელა როგორი დიასახლისია?

— მშვენიერი. სამზარეულო იცის ხუთიანზე. ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს და არც ეზარება. ხანდახან მართლა ძალიან რთულია, ამდენი სტუმრის მიღება-გასტუმრება, მაგრამ ლელას, უხასიათობას ვერასოდეს შეატყობ. ცუდადაც რომ იყოს, მაინც გაგიღიმებს.

— გია როგორი მეუღლეა?

ლელა:

— კარგი, ოღონდ — სიტყვაძუნწია.

— ოჯახშიც არ ლაპარაკობს?

— არა, არანაირად არ შეგაწუხებს.

— მისი დუმილი არ გაწუხებს?

— ზოგჯერ, როცა არაფერს მეუბნება, ჩემს თავს ველაპარაკები და ასე ვერთობი. აბა, რა ვქნა?! საბედნიეროდ, ჩემი შვილი მე დამემსგავსა. ვერ ხედავთ — მთელი ინტერვიუს მანძილზე არ გაჩუმებულა?!

მგონი, ჩემი შვილებიც „მოვწამლე“ ფეხბურთით: გიორგის პირველი სიტყვები იყო „მამა“ და „გოლ!“

— მაინც როგორი მამა და მეუღლეა?

— როგორც მამა — უზომოდ თბილი, ყურადღებიანი. როგორც მეუღლე — სხვათა შორის, ზედმეტად ყურადღებიანიც, მაგრამ თუ საქმეშია ჩაფლული, ოოო... აი, „დინამოში“ მუშაობის პერიოდში, არ ახსოვდა არაფერი და არავინ, ფეხბურთისა და „დინამოს“ გარდა.

— იმ თამაშების დროს, რომლებმაც „დინამო“, უეფას ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, მგონი, სტადიონზე ყველაზე აქტიური და ხმაურიანი გულშემატკივარი შენ იყავი...

— მაშინ, მე მგონი, ათმაგად და ასმაგად ვიყავი ბედნიერი და ამაყი და მინდოდა, ხმამაღლა მეყვირა — გია გეგუჩაძის მეუღლე ვარ-მეთქი!.. ისე, სახლში რომ არის, ის უფრო კარგი გიაა, იმიტომ, რომ ჩვენთვის სცალია. ბავშვთან ურთიერთობაში ჩემზე უკეთესია: შეუძლია, გაართოს, არაფრისგან რაღაც შექმნას, დააინტერესოს. ის და გეგი სიმღერებსაც კი ასწავლიან ერთმანეთს.

გია:

— სიმღერა ძალიან მიყვარს. ადრე, გიტარაზეც ვუკრავდი. წარმოიდგინეთ, ბავშვობაში, 4 წელი ვიოლინოზეც ვიარე. 6 წლის ვიყავი, როცა ფილმი ვნახე ომზე: პატარა ბიჭს ვიოლინოს ფუტლარით ასაფეთქებელი ნივთიერება გადაჰქონდა. გერმანელებმა გააჩერეს, გახსნეს ფუტლარი, დაინახეს ვიოლინო და მოსთხოვეს დაკვრა. ბიჭმა არაჩვეულებრივი მელოდია დაუკრა; მერე გავიგე — ვივალდის ნაწარმოები იყო... მაშინ, ალბათ, ამ ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და მშობლებს ვთხოვე, ვიოლინოზე დაკვრა მასწავლეთ-მეთქი. მართლაც, მიმიყვანეს. მაგრამ მერე, ვიოლინო და ფეხბურთი ველარ „შეეწყო“ ერთმანეთს და მეც ფეხბურთი ვარჩიე. მგონი, ჩემი შვილებიც „მოვწამლე“ ფეხბურთით: გიორგის პირველი სიტყვები იყო „მამა“ და „გოლ!“, გეგის პირველი სიმღერა — „დინამო, დინამო“; თამუნა კი, ფეხბურთის აქტიური გულშემატკივარია.

— საკუთარ თავზე რას იტყვი?

— ძალიან ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანი ვარ. მაგრამ როცა გიწევს ისეთი გუნდის თავკაცობა, როგორიც თბილისის „დინამოა“, ეს ნიშნავს, რომ

მთელ საქართველოსთან გიწევს ურთიერთობა: აქ იგულისხმება ფეხბურთელიც, ხელმძღვანელიც, გულშემატკივარიც, რომელსაც თბილისის „დინამოსადმი“ ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს; მასმედია, რომელიც მეტნაკლებად ობიექტურია შეფასებისას. იგულისხმებიან ის ადამიანებიც, მუდამ ოპოზიციაში რომ არიან, — ამდენად, რთულია ეს ყველაფერი და ჯობს, ყოველთვის ნაკლები ვილაპარაკო, ათასნაირად რომ არ „მოთარგმნონ“... სამეგობროსა და ოჯახში, სადაც ყველაზე თავისუფლად ვგრძნობ თავს, არასოდეს ვყოფილვარ სიტყვაძუნწი.

— შენ მეგობრობდი ძალიან დიდ, ერთ-ერთ ყველაზე ერუდირებულ და განათლებულ ფეხბურთელთან — დავით ყიფიანთან...

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე, დათო ყიფიანის გვერდით ვიქნებოდი, მასთან ერთად ვიმუშავებდი, თუმცა, ბავშვობიდან ვოცნებობდი მასთან ურთიერთობაზე. ყიფიანი პატარაობიდან, ჩემი კერპი იყო და ასეთად დარჩება. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ის დიდი პიროვნება და დიდი კაცი იყო.

— ლამის მთელი მსოფლიო მოიარე, დუბაიში 6 თვე ცხოვრობდი და მუშაობდი. ბევრი გექნება გასახსენებელი...

— დუბაიში ჩემი ცხოვრების 6 თვე, მთლიანად კურიოზი იყო. იქ, სანამ შეიხი არ დაგიმტკიცებდა რაღაცას, მანამდე, კლუბს არაფრის უფლება არ ჰქონდა: ვთქვათ, კონტრაქტში ეწერა, რომ ბინა უნდა მოეცათ ჩასვლისთანავე, მაგრამ არ მომცეს, რადგან შეიხი იმ დროს, მგონი, სათევზაოდ იმყოფებოდა სადღაც ხმელთაშუა ზღვაში... თვე-ნახევარი, ბოსკამპმა შემიფარა, მერე, როგორც იქნა, შეიხი ჩამოვიდა და მოაწერა კონტრაქტს ხელი. მირეკავენ — მოდი, ბინა ნახეო. შევდივარ, ბინა ცარიელია. ავეჯი სად არის-მეთქი? — ვიკითხე. ახლა შეიხი სანადიროდ არის წასული, თვე-ნახევარში ჩამოვა და მერე მოგცემთო... იატაკზე ხომ არ დავწვებოდი, ამიტომ ისევ ბოსკამპთან წავედი. რომ ვიკითხე — არ შეიძლებოდა, ავეჯსა და ბინაზე ერთდროულად მოეწერა ხელი-მეთქი? — შეწუხდნენ — ეს, მართლა, როგორ გამოგვრჩაო?! მერე, როგორც იქნა, გადავედი ჩემს ბინაში, მაგრამ ახლა უკვე მანქანაზე შემექმნა პრობლემა! მანქანაც უნდა მოეცათ, მაგრამ ჩემი მართვის მოწმობა იქ არ ჭრიდა, თურმე. მითხრეს — წადი, გამოცდები ჩააბარე, აქაური მოწმობა აიღე და მანქანასაც მოგცემთო. საინტერესო კი ის იყო, რომ მანქანის დაქირავების შემთხვევაში, ჩემი მართვის მოწმობით შეიძლებოდა ქალაქში მოძრაობა!.. კლუბის ხელმძღვანელობას რომ ვკითხე — რატომაა ასეთი შეუსაბამობა-მეთქი? — მიპასუხეს — რა ვქნათ, ასეა და მორჩაო. მეც ავდექი და ვიარე კურსებზე. უსაშველოდ ცხელოდა და გამოცდებზე შორტებით გამოვცხადდი. ვინც გამოცდას იბარებდა, გამიბრაზდა — კოსტიუმით და ჰალსტუხით უნდა მოსულიყავიო, — და ერთი თვით კიდევ გადამივადა გამოცდა. ამასობაში კი, „გამოვიქეცი“ იქიდან... კარგად კიდევ ის მახსენდება, რომ უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, თუნდაც — ბოსკამპი, რომელიც დღეს ჩემი მეგობარია. პირველად რომ ჩამოვიდა საქართველოში სამუშაოდ, აეროპორტში დავხვდი. ორი ჩანთა ჰქონდა წამოღებული, ერთი — სავსე იყო წიგნებით. ბაზაზე თავისუფალ დროს მზეს ეფიცხებოდა და სულ კითხულობდა. ერთხელ შემარცხვინა კიდეც: დუბაიში ყოფნისას, კინოში წავედით, უცხოური ფილმი იყო დიდ სამამულო ომზე. რუსი გენერალი გამოჩნდა კადრში და ბოსკამპმა მკითხა — აბა, თუ იცი, ვინ არისო? ახლა, სახეზე ბევრს ვცნობდი — ჟუკოვს, როკოსოვსკის, მაგრამ ეს ვერ ვიცანი. ეს ხრუშჩოვიაო, — მითხრა ბოსკამპმა... ძალიან განათლებული ადამიანია და ბევრ საკითხშია გათვითცნობიერებული. ნებისმიერ თემაზე დაელაპარაკები. ბევრი ვინმეს და რამის გახსენება შეიძლება...

აი, „დინამოში“ მუშაობის პერიოდში, არ ახსოვდა არაფერი და არავინ, ფეხბურთისა და „დინამოს“ გარდა

— მგონი, სიურპრიზებს მარტო ოჯახის წევრებს არ უწყობ?

— მართალია. მახსოვს, ძალიან დაძაბული სეზონი გვქონდა, თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, ყოველ მეოთხე დღეს, თამაში იყო. შესაბამისად, ბიჭები ფსიქოლოგიურად ძალიან იტვირთებოდნენ. რომ ვატყობდი, გადაიღალნენ, საფრანგეთის „სოშოსთან“ თამაშის შემდეგ, 1 დღე მივეცი დასასვენებლად. წინასწარ შევუთანხმდი კლუბის ხელმძღვანელობას და როცა ბიჭები დაბრუნდნენ და ტანსაცმელი გამოიცვალეს, ვუთხარი — დღეს კროსი გვაქვს, 12 კმ უნდა ირბინოთ, ამიტომ მცხეთაში მივდივართ-მეთქი. მათთვის ძალიან უსიამოვნო ვარჯიშია კროსი, ყველამ ყურები ჩამოყარა, მაგრამ, რას იზამდნენ?! ჩავსხედით ავტობუსში, წავედით მცხეთაში და სპორტული პიჟამებით მივადექით სახინკლეს.

— კროსი იქ გქონდათ?

— რა თქმა უნდა, არა. ხინკალიც იყო, მწვადიც, დამატებით სიურპრიზად, ანსამბლი „ქართული ხმებიც“ დავახვედრეთ, თითო ჭიქა ღვინო და ლუდიც შევთავაზეთ — მოკლედ, საფუძვლიანად განვიტვირთეთ. ამან ძალიან დადებითად იმოქმედა.

— შემდეგი თამაში მოიგეთ?

— ეს სხვა საკითხია. როცა გუნდი შენზე ბევრად ძლიერია, მასთან გამარჯვება რთულია. მომავალს ოპტიმისტურად შევყურებდით. ბევრი რამ მქონდა ჩაფიქრებული, დარწმუნებული ვიყავი, ასეთი განტვირთვები (ვგულისხმობ, თეატრებში, ბოულინგში, თუნდაც, სახინკლეში სიარულს) გუნდს შეაკავშირებდა და გააძლიერებდა, მაგრამ არ დამცალდა...

— როგორი იყო შენთვის და შენი ოჯახისთვის 2005 წელი?

— კარგიც და ცუდიც. ცოტა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩა. მწერლებმა იციან ასე თქმა (კი არ ვედრები, მაგალითი მომყავს) — წიგნს რომ დაიწყებენ და ვერ დაასრულებენ მის დაწერას. „დინამოში“ ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ ვერ მოხერხდა, სამწუხაროდ. ესეც 2005 წელს იყო. წლის მიწურულს, ჩემმა პატარა ბიჭმა ფეხი მოიტეხა, ახლაც თაბაშირში აქვს; კაცურად კი უჭირავს თავი, მაგრამ ძალიან მეცოდება... კარგი ის იყო, რომ ბევრ ჩემს მეგობარს შვილი შეეძინა, ახლა ჩემი მეუღლეც ფეხმძიმედაა. გეგის „გოგო მარიამი“ უნდა. ისე, „ბიჭ საბაზეც“ თანახმაა... მჯერა, 2006 წელი მარტო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის კი არა, მთელი ქვეყნისთვის იქნება ბედნიერების, სიმშვიდის, მატებისა და ბარაქის მომტანი. ყველას გილოცავთ და გეფერებით!..

ქართველი ბარბრა სტრეიზანდი

ჯექმლი სეფიაშვილის მიუზიკლში მიიღებს მონაწილეობას

სოფო ბედია საზოგადოებამ „ნუცას სკოლიდან“ გაიცნო. როგორც თავად ამბობს, ამას კარიერაში გადადგმულ პირველ ნაბიჯად მიიჩნევს... სოფოს ძალიან უყვარს სიმღერა და დიდი შრომითა და მოთმინებით ცდილობს, დაიმკვიდროს ადგილი ესტრადაზე.

ძმასთან ერთად

მარეხ ჭონიშვილი

— „ნუცას სკოლამ“ დიდი გამოცდილება შემძინა. ამ პროექტის წყალობით გამიცნო და შემიყვარა მაყურებელმა. შევიძინე ბევრი მეგობარი. დილის გათენება მიხაროდა იმიტომ, რომ „ნუცას სკოლაში“ უნდა წავსულიყავი... პირველად, ტელევიზია, კამერა ჩემთვის უცხო იყო და გამიჭირდა, თავს შებოჭილად ვგრძნობდი. მაგრამ მერე, შევეჩვიე და ისე გავითავისე, რომ მეგონა, კამერის გარეშე ვეღარც გავძლებდი.

— სოფო, მუსიკალური განათლება თუ გაქვს?

— დამთავრებული მაქვს ლევან ლაღიძის სახელობის IV სამუსიკო სასწავლებელი, ფორტეპიანოს განხრით. ახლა კი, სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობ — ებრაულ ენასა და ლიტერატურას ვეუფლები. პარალელურად, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში საესტრადო სიმღერების სპეციალობასაც ვიძენ. ამ ბოლო დროს გამიჩნდა სურვილი, რომ მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კონსერვატორიაში ჩავაბარო. ამას ქალბატონი მარიკა კვალიაშვილიც მირჩევს, მეუბნება — კლასიკური ხმა გაქვს და კლასიკურ მუსიკას უნდა გაჰყვეო, — მაგრამ მე საესტრადო სიმღერები უფრო მიყვარს და ჩემი თავი, მხოლოდ ესტრადაზე წარმომიდგენია...



სოფო ბედია (მარცხნივ): დილის გათენება მიხაროდა იმიგომ, რომ „ნუცას სკოლაში“ უნდა წავსულიყავი...

— სიმღერა როდის დაიწყე?

— როგორც მეუბნებიან, ლაპარაკი სიმღერით დავიწყე. მამა დამეხმარა. ის მომღერალი იყო და მან მასწავლა სიმღერა. სერიოზულად კი, 16 წლიდან ვმღერი. სიმღერა ჩემთვის ყველაფერია. ესაა მთელი ჩემი ცხოვრება და ქონება. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ, როცა სცენაზე ვდგავარ და ვმღერი.

— „ნუცას სკოლის“ გარდა, კონკურსშიც თუ მიგიღია მონაწილეობა?

— ნუცას სკოლის“ შემდეგ, მონაწილეობა მივიღე კონკურსში — „ანშლაგი“, რომელიც ჩაატარეს გია მაჭარაშვილმა და ბადრი გრუზინსკიმ. გავიმარჯვე და პირველი ადგილი დავიკავე. დამპირდნენ, რომ კლიპს გადამიღებდნენ. გასულ ზაფხულს, ჩატარდა კონკურსი — „ხავერდოვანი ბათუმი-2005“, სადაც ასევე ვმონაწილეობდი. მოვიპოვე გრან-პრი და 1.000 ლარი — პრემია. ამ კონკურსზე, მარიკა კვალიაშვილის და ლევან ლაღიძის სიმღერები შევასრულე.

— „ნუცას სკოლაში“ შენ ნახევარფინალში მოხვდი და ტელეკომპანია „იმედი“ კლიპის გადაღებას შეგპირდა. საინტერესოა, თუ შეგისრულეს დანაპირები?

— ჯერჯერობით, კლიპი არ მაქვს. „იმედმა“ კი იმიტომ დააგვიანა, რომ სიმღერა არ მქონდა. ჩემი ბრალია. მატერიალური მდგომარეობა არ მიწყობდა ხელს იმაში, რომ სიმღერა შემეძინა და ჩამეწერა. ახლა მაქვს სიმღერა, რომელიც დამიწერა მაია კაჭკაჭიშვილმა და როგორც კი ჩავწერ, „იმედიც“ გადამიღებს კლიპს.

— რომელ ქართველ მომღერალთან ისურვებდი დუეტის ჩაწერას?

— ბევრთან ვისურვებდი დუეტის ჩაწერას, განსაკუთრებით — მერაბ სეფაშვილთან. სურვილი მაქვს და ვა-



პირებ, დუეტი ჩავწერო ეკა კვალიაშვილთან. ახლა კი, ჩემს ძმასთან ვწერ დუეტს. მარიკა კვალიაშვილის სიმღერას ვასრულებთ. ვინც მოისმინა ეს სიმღერა ჩვენი შესრულებით, ყველას ძალიან მოეწონა. ძალიან უხდება ჩვენი ხმები ერთმანეთს...

— შენი აზრით, რა არის მთავარი იმისთვის, რომ ქართულ შოუბიზნესში პოპულარული გახდე?

— იმისათვის, რომ პოპულარული იყო, მთავარია ფული. დღეს საქართველოში მღერის ის, ვისაც ფული აქვს. მაგრამ ჩემი აზრით, თუკი გაქვს იმის სურვილი, რომ იმღერო, არ უნდა იყო გამაღიზიანებელი. შეიძლება, არ გქონდეს გადასარევი ხმა, მაგრამ მცირედი ნიჭი მაინც უნდა გქონდეს იმისთვის, რომ ადამიანმა მოგისმინოს... ვფიქრობ, რომ მატერიალურ მდგომარეობასთან ერთად, ნიჭიც აუცილებელია. სიმღერის ნიჭი თუ არ გაქვს, რაც არ უნდა ფული გქონდეს, დიდხანს ვერ „გაქაჩავ“, მსმენელს ვერ მოატყუებ. ხანდახან გულიც მწყდება, რადგან ისეთები მღერიან, რომლებსაც სმენაც კი არა აქვთ... მაგრამ მე არ ვჩქარობ. იმედი მაქვს, ჩემი შრომა შედეგს გამოიღებს, მიზანს მივაღწევ და ქართულ ესტრადაზე ჩემს ადგილს დავიკავებ.

— სოფო, რა სტილის მუსიკას უსმენ და რომელი მომღერალი მოგწონს?

— ვუსმენ სოულს, როკს, ჯაზს, რომანსებს. რასაც ვერ მოვუსმენ და არ ვიმღერებ — ეს არის რეპი. არ მიყვარს და ყველანაირად მიუღებელია ჩემთვის. ქართული ესტრადის მომღერლებიდან ვუსმენ და დიდ პატივს ვცემ ეკა კვალიაშვილს. ვთვლი, რომ ის ძლიერი მომღერალია. ვუსმენ მერაბ სეფაშვილს, თემურ წიკლაურს, ნანი ბრეგვაძეს, „ქართულ ხმებს“ — მათი შემოქმედება და სიმღერები ყოველთვის უკვდავი იქნება. მათ მსმენელი არასდროს აკლდათ და არც მოაკლდებათ. უცხოელი მომღერლებიდან კი, ვუსმენ უიტნი ჰიუსტონს, მერაია ქერის, ძალიან მიყვარს ბარბრა სტრეიზანდი. „ნუცას სკოლაში“ „ბარბრას“ იმიჯი შემექმნა, რადგან მისი რეპერტუარიდან ვმღეროდი სიმღერებს, თან მეუბნებოდნენ — გარეგნულადაც ჰგავხარო, — თუმცა, თან ამატებდნენ — შენ ჯობიხარო... ვამაყობ, როდესაც ბარბრა სტრეიზანდს მამსგავსებენ, იმიტომ, რომ ის ჩემი კერპია.

— ახლა რითი ხარ დაკავებული, რას აკეთებ?

— ბევრ კონცერტში ვმონაწილეობ, დავდივარ რეგიონებში. ცოტა ხნის წინ, ჩამოვედით ქუთაისიდან. მიწვეული ვიყავით ჯგუფ „პროტესტის“ კონცერტზე. ძალიან ნიჭიერი ბიჭები არიან. კონცერტი ჩატარდა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში. დარბაზი გადაჭედილი იყო ხალხით. დიდი ოვაციებით და სიხარულით შემხვდნენ, როცა სცენაზე გავედი. არ მეგონა, ხალხს თუ ასე ვუყვარდი. მთელი კონცერტის განმავლობაში, სიხარულისგან ვტიროდი. ახლა კი, ბატონმა ჯემალ სეფიაშვილმა, ამ შესანიშნავმა ადამიანმა და კომპოზიტორმა, „ნუცას სკოლისა“ და „ჯეოსთარის“ მონაწილეთა ნაწილი შეგვკრიბა და მიუზიკლის დადგმას აპირებს. მან დაწერა სიმღერა ქართველ ჯარისკაცებზე, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ. უკვე მიმდინარეობს ჩაწერა, მალე მოვრჩებით. ბატონი ჯემალი ასევე აპირებს, სოლო კონცერტის ჩატარებას, სადაც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას. ის ყველანაირად გვეხმარება და ხელს გვიწყობს იმაში, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს, გზა გაგვიხსნას ქართულ ესტრადაში დასამკვიდრებლად. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

მახეში გაბმული თევზის ჭაჭა...

ინგა ჯაყელი

ვანო დიდ მსახიობობაზე ოცნებობდა და ამიტომაც დაუპირისპირდა ნათესავებს, კატეგორიულად რომ ეწინააღმდეგებოდნენ თეატრალური ინსტიტუტისკენ მის ლტოლვას. მაგრამ მიუხედავად მონდომებისა, ბევრს ვერაფერს მიაღწია. არა, ინსტიტუტში კი მოხვდა და არც გარიცხვით გაურიცხავს ვინმეს, დიპლომიც ჩაბარებულ, მაგრამ ამის შემდეგ მართლა ფართოდ გაუღეს კარი და გზაც ალალად დაულოცეს: აწი წადი და შენ იცი, როგორ გვასახელებო!..

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს ვინღა დაეძებდა, რომელიმე პროვინციული თეატრალური დასისგანაც კი ვერ ეღირსა მიწვევას. კარგა ხანს არ იტეხდა იხტიბარს: შესახვევი ვისი რა მჭირს, მოვა დრო და გაიგებენ ჩემს ფასს, ყველა გენიოსთან გვიან მიდის აღიარებაო! — მაგრამ მამამისმა რომ წაიღო ქვეყნის ჭირი და სადარდებელი, მიხვდა, ფული და საჭმელ-სასმელი ციდან რომ არ ჩამოფრინდებოდა; თანაც, დაქვრივებულ დედას პატრონი სჭირდებოდა, გათხოვილ დებს და დისშვილებს კი — ღირსეული დამხვედრი და პატივისმცემელი...

დაივიწყა სიამაყე და ჩამოუარა თეატრებს, მაგრამ ბოლომდე არც მოუსმინეს: ვინც გვყავს, იმათაც ვერაფერს ვუხერხებთ, თეატრში მაყურებელს კანფეტითაც ვეღარ ვიტყუებთ; კინო სულ გაპარტახდა. მოეშვი მსახიობობაზე ოცნებას და სანამ ახალგაზრდა ხარ, ან პოლიტიკაში ჩაერთე, ან ბიზნესი წამოიწყეო!..

ცოტა დააკლდა, რომ მდინარეში არ გადაეგდო დიპლომი. წუთიერად ისიც კი გაიფიქრა: გადავხტები, თავს დავიხრჩობ და ირტყან მერე თავში ხელები, — რა გენიოსი დავკარგეთო! — მაგრამ მიხვდა, საბრალო დედამისის გარდა, დედამიწის ზურგზე კაციშვილი რომ არ იყო მისი მომკითხავ-შემბრალებელი და ხელი ჩაიქნია: იმის მაგივრად, გამოსავალი ვეძებო,

დავმდგარვარ ამხელა კაცი და ვარტისტობო!..

ამ დროს იყო სწორედ, თანაკლასელი რომ გადაუდგა წინ. სუპერმარკეტიდან ორი დიდი ცელოფანის პაკეტი გამოიტანა და „მერსედესის“ უკანა სავარძელზე დააწყო... კი, ნამდვილად თამაზი იყო, ეძგვერაძე, მერვე კლასში ორჯერ ჩარჩენილი და მასწავლებლებისგან უტვინობის დიაგნოზდასმული...

გადაეხვივნენ ერთმანეთს. მოიკითხეს:

— საქართველოს დამსახურებულ არტისტს ვახლავარ, სადა ხარ, სად დაიკარგე, რომელ თეატრში მოღვაწეობ, ერთხელ მაინც მიგეწვიეთ პრემიერაზე! — უსაყვედურა კაცმა. ვანიკომ პასუხს თავი აარიდა და კითხვა შეუბრუნა:

— თავად როგორ ხარ?! არ უნდა უჩიოდე ცხოვრებას! — „მერსედესზე“ ანიშნა.

— რას ჰქვია, ვუჩივი... ყოველ ცისმარე დღეს სანთელს ვუნთებ მამაზეციერს, ჩემნაირების დრო რომ მოიყვანა. მოვასწარი და დიპლომი, ერთის ნაცვლად, ორი ვიყიდე; ჩვენი დირექტორი, დასანახავად რომ ვერ მიტანდა, ახლა „მამიკოს“ და „შვილიკოს“ მეძახის, თავისი მზეთუნახავი ნანაც ულაპარაკოდ მომათხოვა და ორი კვირის წინ, მესამე ბიჭიც შემეძინა. წამო, აგერ ჩემი გასართობი ცენტრია, მის რესტორანში შევიდეთ და დამილოცე ახალშობილი! — ხელი ჰკრა და ბურთივით ჩატენა თანაკლასელი ახალთახალი „მერსედესის“ სალონში...

ჩიტის რძეც არ აკლდა სუფრას. თითო ბოთლი რომ დალიეს, მერე გაეხსნა ვანოს კრიჭა და გამოუტყდა თანაკლასელს, უფრო მეტიც — დახმარება სთხოვა:

— ყველანაირ საქმეზე ყაბულსა ვარ, ოღონდ საღამოს პური მივიტანო სახლში!..

ყბა მოექცა გვერდზე თამაზს:

— ბიჭო, შენზე ჭკვიანი მოსწავლე არ იყო ჩვენს კლასში, მამაჩემს სულ შენ მოჰყავდი მაგალითად, ქამრით რომ მცემდა. რატომ არაა ცოცხალი... ენახე, ერთი, რა დღეში ხარ და ვინ აღმოჩნდა შტერი და ვინ ჭკვიანი! — თუმცა მალევე მიხვდა, რომ გადაამლაშა და მოუბოდიშა: რას გეტყვი, თუ იცი, ჩემს გასართობ ცენტრს თოვლის პაპების კონკურსი აქვს გამოცხადებული. ხომ იცი, საახალწლოდ ბევრი იხდის ფულს, რომ ანლობლებს თოვლის პაპის ხელით, ნანატრი საჩუქარი გაუგზავნოს... რაზეა ლაპარაკი, უკონკურსოდ მივაღებინებ შენს თავს, უკეთესს ვის შეარჩევენ. ხელფასი ხელფასად გექნება და „ლევიც“ ღმერთმა შეგარგოს!..

...ვანიკომ უარის თქმა ვერ გაბედა და იმავე საღამოს გაუშვეს ატელიეში ფორმისა და წითელი ჩექმების შესაკერად. რეპეტიციებზე მეორე დღესვე დაიბარეს და რომ ნახეს, მართლა ნიჭიერი იყო, რეჟისორის თანაშემწეობაც შეუთავსეს და უახლოეს მომავალში გასართობი ცენტრის „კლოუნადაც“ დაჰპირდნენ მიღებას, რაც უკვე მუდმივი სამუშაოს და შემოსავლის გარანტია იყო.

ახალი წლის ღამეს საჩუქრებით დაიტვირთა, ლამაზად მოხატული ფურგონის საჭეს მიუჯდა და მითითებული მისამართებისაკენ აიღო გეზი. პირველ ოთხ ოჯახში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მასპინძლებთან ერთად იმხიარულა, თავადაც მიიღო „ლევი“ საჩუქრები და იმის გაფიქრებაც კი მოასწრო, — სამწუხაროდ, ახალი წელი წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოდისო...

მეხუთე ოჯახი ელიტური კორპუსის მესამე სართულზე ცხოვრობდა. კარი ღია დახვდა და მიუხედავად სტუმრების სიმრავლისა, უჩვეულო სიჩუმე შეეგება „ნანატრ“ თოვლის პაპას...

მოვალეობა ხომ უნდა შეესრულებინა და, — კარლო რომელი ბრძანდებითო? — იკითხა მოკრძალებით. მერე კი, როცა გვერდითა ოთახიდან ზორბა კაცი აესვეტა წინ, რატომღაც შიშმა შეიპყრო, თხელი პაკეტი სასწრაფოდ გადასცა და წასვლა დააპირა, მაგრამ ვინ გაუშვა?! — კარლომ მაჯაში წაავლო ხელი, კაბინეტში გაიყვანა, სავარძელში ჩაახეთქა, პაკეტი გახსნა და რატომღაც ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— ახალ წელს გილოცავ, ძვირფასო „სიმამრო!“. მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ეღირსებით ჩემს სიძეობას — არაა თქვენი კახპა გოგო ჩემგან ორსულად. მე კი ღირსებას მილიონადაც არ გავყიდი. ძებნას ტყუილად ნუ დამიწყებთ: როცა თოვლის პაპა ჩემს „მილოცვას“ გადმოგცემთ, უკვე ზეცაში ვიქნები — ჩემი თვითმფრინავი ათ საათზე მიფრინავს. საქორწილოდ ნაჩუქარი ფულით ბილეთი ვიყიდე, მაგრამ არ იდარდოთ, „ვალს“ უახლოეს ხანებში დაგიბრუნებთ!..

...კაცმა კითხვა ჩაამთავრა და ისე შეხედა ვანიკოს, სიკვდილი ანატრებინა... მივარდა, ტორებით ჰაერში აიტაცა და შეაჯანჯღარა; მერე წვერი ჩამოჰგლიჯა და მონუსხულივით შედგა:

— ე, ბიჭო, არსებობს მგონი, ღმერთი და ჩემს მხსნელად გამოგაგზავნა. შენ იქნები ჩემი სიძე და უარი არ გაბედო, თორემ ჯერ შენ გამოგჭრი ყელს და მერე მე მოვიკლავ თავს, ხალხს კი არ ვათქმევინებ: ორსული გოგო მიუტოვეს ქორწილში, მილიონებმაც ვერ უშველაო!.. — ეს ამხელა კაცი ლამის მუხლებში ჩაუვარდა ვანიკოს.

არ ჰქონდა ვანოს არჩევანის გაკეთების საშუალება; თანაც მართლა, კაცურად შეეცოდა ბატონი კარლო. ვინ მიუშვებდა, თორემ სიამოვნებით მიახრჩობდა ასეთი მამის გამამწარებელ კახპას...

ნახევარ საათში, პარიზიდან ჩამოტანილ შარვალ-პიჯაკში გამოაწყვეს და „ბედნიერმა“ მამამ საზეიმოდ წარუდგინა სტუმრებს „სასიძო“:

— ცოტა კი გალოდინეთ, მაგრამ სიურპრიზს გიმზადებდით, ახლა კი სუფრასთან გთხოვთ!..

...დასვეს სუფრის თავში ვანიკო და ისეთი ანგელოზი მიუსვეს გვერდით, კახპობაც და ორსულობაც წამში აპატია. ის კი არა და, ბარძაყზეც კი იჩქმიტა: ვაითუ, სიზმარში ვარ და გამეღვიძოსო!..

P.S. ეს ამბავი ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა. ახლა ვანიკო მხოლოდ ნაბიჭვარი ბიჭის მამა და დედისერთა მზეთუნახავის ქმარი კი არა, საკუთარი თეატრის მფლობელია (მართალია „სარდაფის“, მაგრამ რას დაეძებს?!). და რაც მთავარია, მილიონერი სიმამრის უსაყვარლესი სიძე და ერთადერთი მემკვიდრეა!.. ქვეყანაზე ერთი რამის ეშინია მხოლოდ: ის ნამდვილი, გაქცეული სიძე არ დაბრუნდეს და კუთვნილი არ მოითხოვოს...

■

როგორ „დაკარგოთ" თხის რქა

მმართველი პლანეტა — სატურნი (თანამმართველი — ურანი)
სიმბოლო — ჯიხვი, კიბე
სტიქია — მიწა
კვადრატი — კარდინალური
ტემპერამენტი — მელანქოლიკური
წარმმართველი მოტივი — წინ და მაღლა მოკლე ნაბიჯებით, არჩეული მიმართულებით
ციფრი — 8 (18, 28)
ძვირფასი ქვა — ქრიზოპრასი (დადებითი ქვები — სარდიონი, საფირონი, ზურმუხტი)
დევიზი — პატივმოყვარეობა, მუდმივობა, ორგანიზება
პრინციპი — „ნელა თუ ივლი, შორს წახვალ"
გასაღები — „მე ვიყენებ" „გამჭრიახობას"
მსოფლმხედველობის ფუძე — რეალიზმი
არქეტიპი — პატრიარქი, განდეგილი
პროფესია — ფერმერი, მშენებელი, მაკლერი

თხის რქა — მამაკაცი

საერთოდ, თხის რქა-მამაკაცი საკუთარ სულში (საქმეშიც) არავის ჩაახედებს. ის შეიძლება, ყველანაირი იყოს — ძლიერიც, ამტანიც, რბილიც, მორიდებულიც, მაღალიც, დაბალიც, — მაგრამ რაც ყველა ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანს აერთიანებს, ეს პატივმოყვარეობაა. საერთოდ, სატურნის „ქვეშევრდომები" სერიოზული გამოხედვით გამოირჩევიან, არიან ძალზე მდგრადები, მომთმენები, ორგანიზებულები, შრომისმოყვარეები და დისციპლინირებულები. სატურნი ვერანაირ ქაოსს ვერ იტანს და ამას თხის რქებსაც გადასცემს. წესრიგი ყველგან და ყველაფერში — აი, მისი დევიზი. თხის რქის თევზის კუდი სიმბოლურად მიუთითებს ამ ნიშნის ქვეცნობიერ ფუძეზე, საიდანაც იგი სულიერ ძალებს იკრებს, ამაშია მისი შრომისუნარიანობის მთავარი საიდუმლო. ამ ნიშნის საწინააღმდეგო ნიშანი კირჩხიბია. კირჩხიბი უკავშირდება დედას, ოჯახს, წინაპრებს, უახლოეს ნათესავებს, ასევე — უახლოეს გარემოს, ეთნოსს, ნაციონალურ ხასიათს. ყოველივე ეს ქმნის გარკვეულ მიმართულებას, რომელსაც თხის რქა აბსოლუტურად მოკლებულია, ამიტომ, ასეთ სიტუაციებში მოხვედრისას, ის არაადეკვატური, რთულპროგნოზირებადი და უსუსურიც კი ხდება. აქედან გამომდინარე, ხშირად, თხის რქა გაუცნობიერებლად ხდება საკუთარი ახლობლების მსახური (მაგალითად, ცნობილი ფირმის მკაცრი, ერთპიროვნული მმართველი, დედის ან ცოლის გავლენის ქვეშ ექცევა). თხის რქა, როგორც წესი, ავტორიტეტული და ძლევამოსილია, მაგრამ ეს მხოლოდ გარე სამყაროში ვლინდება. ეს ნიშანი იმდენად კარგად ეხამება ნებისმიერ გარემოს, რომ ხანდახან, სრულიად შეუმჩნეველიც კი ხდება.

ზოდიაქო
21 დეკემბრიდან
19-20 იანვრამდე

თხის რქა ძალაუფლების და ტრადიციების დიდი პატივისმცემელია, რის გამოც, მას ქედმაღლობასა და სნობიზმში სდებენ ბრალს. ასეთი ბრალდებების მიმართ ის გულგრილი სულაც არ არის, მაგრამ იცის, რომ ყველა შეურაცხმყოფლისთვის პასუხის გაცემით, მტრებს მოიმრავლებს, ამიტომ, ბრძნულად დუმს.

წინსვლისას, თხის რქა ვარსკვლავებს არ ითვლის(!) — ის მხოლოდ წინ იყურება და მიწაზე მყარად დგას. ხანდახან, ამ, ერთი შეხედვით, მოწესრიგებულ და ანგარიშიან ზოდიაქოთი რომანტიკული პიროვნებებიც იბადებიან (პოლ სეზანი, ჯორჯ ბალანჩინი, მარლენ დიტრიხი). მთვარის შუქზე ისინი სიყვარულზე ოცნებობენ და ლექსებსაც წერენ, მაგრამ მოგვიანებით... სიყვარული „სამსახურად" იქცევა ხოლმე, ლექსები კი — „განცხადებად" ან „პატაკად". თხის რქა ცდილობს, დაარწმუნოს გარშემო მყოფნი, რომ მას კომპლიმენტები არ სჭირდება, მაგრამ გულის სიღრმეში, მას ძალიან უნდა, რომ ხალხმა მისი ღირსებები დაინახოს. აქვე აღვნიშნავთ მისი კიდევ ერთი დადებითი შტრიხის შესახებ: ეს ნიშანი სანიმუშო მამაა, რომელსაც შვილების გულისთვის თავის გაწირვა შეუძლია (თუმცა, ის შვილებისგან პატივისცემას, დაჯერებასა და დისციპლინას მოითხოვს).

თხის რქა ხშირად კარგი მოაზროვნე, ორატორი და წინამძღოლია (**ლაო-ძი, ზარათუშტრა, გიორგი გურჯიევი, კარლოს კასტანედა** სწორედ ამ ნიშნით იყვნენ დაბადებულები).

თხის რქა — ქალი

ისევე, როგორც ამ ნიშნით დაბადებული მამაკაცი, თხის რქა-ქალიც გარეგნულად შესაძლოა, სხვადასხვანაირი იყოს: მას ხან მკაცრი ვარცხნილობა აქვს, ხან, ექთანის თეთრი ხალათი აცვია და ავადმყოფებს უვლის, ხანაც, კეკლუცად იცინის და მამაკაცებს თავბრუს ახვევს. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც თხის რქაა და ცდილობს, ცხოვრებაში ნელ-ნელა დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მისი აზრით, ეკუთვნის. ხშირად ეს არცთუ ისე უბრალო ადგილია: თუ ის საკუთარ პროფესიონალურ კარიერას ვერ გაიკეთებს, ცდილობს, ღირსეულ მამაკაცზე მაინც გათხოვდეს და ასე დაიპყროს ის სიმაღლეები, რომელზეც ოცნებობდა (სხვათა შორის, ხშირად ახერხებს კიდეც ამას).

საჭიროა, გამოვყოთ მისი დადებითი თვისებები. ამ ნიშნით დაბადებულ ქალს უჩვეულოდ კარგი მანერები და საკუთარი თავის ფლობის საოცარი უნარი აქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ მანერების მიხედვით, მის სოციალურ წარმომავლობას ვერასდროს მიხვდებით. საერთოდ, თხის რქა-ქალი ყოველთვის კარგ ხასიათზე გეგონებათ და შესაძლოა, ისიც კი იფიქროთ, რომ მას სადარდებელი არაფერი აქვს, მაგრამ ეს სულაც არ არის ასე — ის უბრალოდ ცდილობს, საკუთარი პრობლემა სხვას არ მოახვიოს თავს (სხვათა შორის, ეს იაპონიაში ზრდილობის უმაღლეს ფორმად არის აღიარებული).

შეყვარებული თხის რქა, სანამ მამაკაცის სერიოზულ ზრახვებში, გრძნობებში, ფინანსურ მდგომარეობასა და მომავლის გეგმებში არ დარწმუნდება, თავს მოუსვენრად და აფორიაქებულად გრძნობს. მაგრამ როდესაც ყველაფერს შეიტყობს და მიხვდება, რომ სწორედ ის ადამიანი ხართ, ვისაც ეძებდა, მაშინ მართლაც გაგაკვირვებთ თავისი სინაზით, ალერსიანობითა და ვნებიანობითაც კი (ზოგიერთს ჰგონია, რომ „ცივი" თხის რქა სექსშიც ასეთია — არადა, მას შეუძლია, თვით ზოდიაქოს „დედოფლები" — კურო და ღრიანკალიც კი დაჩრდილოს ვნებიანობით). ამ ნიშნით დაბადებულ ქალს ულამაზესს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ უსაზღვროდ მომხიბვლელი კი არის და ერთიც უნდა აღინიშნოს: როდესაც სხვა ქალებს გაფურჩქვნის ხანა უმთავრდებათ, ის მხოლოდ მაშინ იწყებს „გაშლას". იგი ასევე ერთადერთი ქალია მთელ ზოდიაქოში, რომელიც მომავალ სადედამთილოს გულწრფელად მოსწონს.

ძალზე მგრძნობიარე კანის გამო, თხის რქა-ქალები კოსმეტიკას თითქმის არ ხმარობენ, რადგან ბუნებამ ისინი უჭკნობი ახალგაზრდობით დააჯილდოვა. მათ უყვართ კლასიკური მუსიკა, ყვავილები და ყველაფერი დახვეწილი. საკუთარ თავს რწმენა რომ შემატოს, მას მამაკაცის ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, სანაცვლოდ კი, სიყვარულითა და ერთგულებით უპასუხებს.

თხის რქის ნიშნით დაიბადნენ:
ალექსანდრე სკრიაბინი
ჯორჯ ბალანჩინი
მარლენ დიტრიხი
მარტინ ლუთერ კინგი
რედიარდ კიპლინგი
ედგარ ალან პო
ისააკ ნიუტონი
ლუი პასტერი
პოლ სეზანი
პაბლო კაზალოსი
იოჰან კეპლერი
ჟანა დ'არკი





წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. რადიკალი; 2. ვოლანი; 3. ლოლიტა; 4. კოლონა; 5. კლანჭი; 6. ატესტატი; 7. სინდიოფალა; 8. ლორნეტი; 9. დოდე; 10. გულაბი; 11. ჯავახეთი; 12. კურო; 13. ლუციფერი; 14. ბაცილა; 15. ოდინი; 16. ვილა; 17. ტირანა; 18. ბიტუმი; 19. ალიზი; 20. კრიტიკა; 21. უხა; 22. ზალპი; 23. უფა; 24. ემალი; 25. ზერო; 26. ტიფოზი; 27. მინდია; 28. მულინე; 29. ბორი; 30. სპიჩი; 31. რამპა; 32. რომი.

სურათზე: ჯეკ ნიკოლსონი.

ფიასკო, ფიასკოს განცდა

იტალიურად „ფიასკო“ ბოთლს ნიშნავს, ხოლო ხატოვნად ეს სიტყვა მარცხს აღნიშნავს.

არსებობს თქმულება, რომ ფლორენციელ არტისტს, არლეკინ ბიანკონელს სცენაზე გასვლისას, მუდამ რაიმე ნივთი ეჭირა ხელში და ამ ნივთის შესახებ ნათქვამი მოსწრებული ოხუნჯობით აცინებდა მაყურებელს. ერთხელ, არტისტი ბოთლით გამოვიდა სცენაზე. მან მოსწრებულად ჩამოაგდო სიტყვა ბოთლზე, მაგრამ სასურველ ეფექტს ვერ მიაღწია — ხალხი დუმილით შეხვდა მის ოხუნჯობას. არტისტმა დაინახა, რომ ამჯერად მარცხი განიცადა, ბოთლი ზურგს უკან მოისროლა და თან მიაძახა, ყველაფერი შენი ბრალიაო. მაყურებელმა ხარხარი ატეხა. ამის შემდეგ შემოვიდა ხმარებაში ეს გამოთქმა სრული წარუმატელობის და მარცხის განცდის მნიშვნელობით.

ქამელეონი

უპრინციპობისა და ყოველგვარ გარემოებასთან შეგუების სიმბოლოა. ქამელეონი ჰქვია პატარა ხვლიკს, რომელიც ხეზე ბინადრობს, იგი სინათლისა და ჰავის ზემოქმედებით ძალიან სწრაფად იცვლის შეფერილობას. მწვანე გარემოში, იგი მწვანედ გამოიყურება, ხოლო ყვითელ ფოთლებში, ყვითელ შეფერილობას იძენს. ხმარობენ უპინციპო, მერყევი, მლიქვნელი პიროვნების დასახასიათებლად. პირველად ამ გამოთქმას მსგავსი გაგებით ვხვდებით არისტოტელეს (ჩვ.წ.აღ-მდე 384-320) შრომაში „ეთიკა“.

პრესა

ეს სიტყვა წარმოქმნილია ფრანგული სიტყვისგან „პრეს“, რაც მე-13 საუკუნეში საწნეხ ჩარხს აღნიშნავდა. შემდეგ საუკუნეში საბეჭდი ჩარხის ყოველგვარ პროდუქციას საერთოდ ამ სახელით მოიხსენიებდნენ. XIX საუკუნეში კი ამ სიტყვას უკვე ვიწრო გაგებით იყენებდნენ. იგი აღნიშნავდა ყველა პერიოდულ გამოცემას, გაზეთებს, ჟურნალებს. ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა რუსულ ენაშიც.

ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოური

ანეკდოტები

***

დირექტორი მივლინებიდან ბრუნდება, ოთახში მდივანი შედის. მდივანი:

— ორი სიახლე მაქვს, ცუდი და კარგი. საიდან დავიწყო?

— ცუდით დაიწყე.

— საგადასახადო ინსპექცია შემოვიდა, ჩვენი ბუღალტერი აიყვანეს, თქვენმა ცოლმა განყოფილების უფროსთან გიღალატათ, ახლა განქორწინებას ითხოვს და ქონების გაყოფა უნდა...

— საკმარისია! ახლა კარგი მითხარი.

— მალე შვილი გვეყოლება, ძვირფასო.

***

შინაბერების დიალოგიდან:

— მაყვალა, გოგო, გუშინ საღამოს ქუჩაში მივდივარ, ვხედავ კაცს! გავიქეცი რაც ძალი და ღონე მქონდა და...

— მერე! დაეწიე?!

***

— ნოშრე, როგორ იქნება ინგლისურად ძველით ახალ წელს სიდედრი ჩვენთან არ გაატარებს?

— Yeessssssss!

***

ლოთი მაღაზიაში შევა და გამყიდველს მიმართავს:

— სამი „ტრაინოი“ ოდეკოლონი მომეცი.

გამყიდველი მიაწვდის, ოღონდ, ბოთლებს ეტიკეტები არ აქვს. ლოთი აღშფოთებულია:

— რატომ არ აქვს ეტიკეტები?

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— ძალიან დიდი, მე ეს ოდეკოლონები ბედობის სუფრაზე უნდა დავაწყო!

***

საახალწლო საჩუქარი ხალხს საქართველოს მთავრობისგან:

ბედობის ღამეს ყველა ქართველ მომღერალს სიმღერა აეკრძალა!

***

დაქალები:

— ალო, გილოცავ. როგორ ჩაიარა ახალმა წელმა?

— როგორც ყოველთვის, ლოგინში.

— და, ბევრი ხალხი იყო?

***

ლოთის ცოლი:

— ისევ მთვრალი ხარ? გუშინ ჩემზე ბედნიერი ქალი არ იყო, ფხიზელი რომ დაგინახე: არ შეიძლება რამე კარგი დამებედოს?

— ჩჩ-უ... იქქქნებ, მეც მინდა, რომ რრამე კარგი დამ-დამ-დამებედოს?

***

საახალწლო დღეებში წარწერა საბავშო ბაღის კარზე:

„მთვრალ მამებზე ბავშვები არ გაიცემა“!

***

წელიწადში 365 დღეა, მაგრამ მთავარია როგორ გადაიტან პირველ 7 დღეს...

***

პრეზიდენტის საახალწლო მილოცვისას წელსაც პირი გვექნება ღია... რა თქმა უნდა, შამპანურის დასალევად! თქვენ რა იფიქრეთ?

***

ნარკომანის ცოლი საახალწლოდ ნარკვეთილია, ახალი წლის ღამეა და არ უნდა ქმარი მომავალ წელსაც კაიფში შეხვდეს. დაქალი ურჩევს გველი იყიდე, ნაძვის ხეს შემოახვიე, რომ დაინახავს, აღარ გაიჩხირავსო. ქალი ასეც მოიქცევა. ბრუნდება ნარკომანი სახლში განგრეულ კაიფში, მიუჯდება საახალწლო სუფრას, თან აკიმარებს, შეხედავს ნაძვის ხეს, გველი იქედან — სსსსსსსსსსსსსსსს!

— რა სსსსსსსსსსსსსსს, ქალო, ჩამოდი, შამპანური დავლიოთ!!!

***

ახალი წლის დილას იღვიძებს ფიფქია და თოვლის ბაბუას ეკითხება:

— აუ, რა მოხდა გუშინ? აღარ მახსოვს...

— როცა ბავშვებთან საახალწლო ნაძვის ხეზე მივედით, შენ უკვე „ჯიგრულად“ იყავი. იქ თითო ჭიქაც დავამატეთ და შენ სტრიპტიზის ცეკვა დაიწყე...

— ააა, მეც არა ვთქვი, რატომ მაქვს ტრუსიკი კანფეტებით გატენილიიი...

***

პოლიციის საახალწლო მიმართვა ქურდებს:

— დაგერხათ, ჯიგრებო? ძაღლის წელი იწყება!

***

სვანი „ჯნოპკიან“ საწერკალამს აწკაპუნებს და ფიქრობს:

— შედის — გამოდის, შედის — გამოდის, ბალღი რათ არ ჩნდება?!

დაშლის და მიხვდება:

— ააა, სპირალი ჰქონია!

***

რეი ჩარლზი სცენაზე გამოდის:

— „ვერ ვხედავ თქვენს ხელებს!“

***

სულელი ქმარი ცოლზე ბრაზდება, ჭკვიანი საკუთარ თავზე — ცოლი რომ მოიყვანა.

***

მიმდინარეობს საქორწინო ცერემონია, ჯვრისწერა დასრულდა, სასიძო მღვდელს ჩასჩურჩულებს:

— რამდენი მოგართვათ?

— იმდენი, რამდენადაც ლამაზია თქვენი მეუღლე.

სასიძო ჯიბეში ჩაიყოფს ხელს და ლარიანს ამოიღებს.

მღვდელი განაწყენებული სახით პატარძალთან მივა, შემდეგ უკანვე დაბრუნდება და სასიძოს მიმართავს:

— არა, შვილო, არც ეს მეკუთვნის...

— და ფულს დაუბრუნებს.

***

დედა თავის გოგონასთან ერთად მიდის.

— დედა, რომ გავიზრდები, მეც შენნაირი ვიქნები?

— კი, აუცილებლად იქნები...

— მაშინ, რაღა აზრი აქვს ცხოვრებას?

***

მიხომ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. შვილმა ორი ვირი დაინახა და ეკითხება:

— მამა, ამათგანა მამა რომელია?

— შვილო! უკვე დროა იცოდე, რომა მამა ყოველთვინ დიდი ვირია!..

***

ონში გვიანი ღამეა. ცივა. ლუდის ბარის გვერდით დგას მთვრალი ჭიჭკია. გამვლელი ეკითხება:

— აქანე, რატომ იყინები, ქვე შენი ჭირიმე, შიგნით მაინც შესულიყავი.

— ამ წუთში გამომაგდო ბატონო ბარმენმა იმისათვინ, რომე მის ცოლს ვეარშიყებოდი.

— მაშინ სახლუკაში რატომ არ მიდიხარ?

— ბარმენი შემპირდა, რომე ცოლსაც გარეთ გამოვაგდებო და ვუცდი.

რამდენად საქმიანი ადამიანი ბრძანდებით?

ბევრი ჩვენგანი მთელ თავის სამუშაო თუ თავისუფალ დროს, შრომაში ატარებს. ზოგიერთებს კი, გამუდმებით გართობაზე უჭირავთ თვალი. გთავაზობთ ტესტს, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად საქმიანი ადამიანი ბრძანდებით.

1. დიდი ხნის წინ დაწყებული და გადადებული საქმის დამთავრება გადაწყვიტეთ. მოულოდნელად, გირეკავთ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელიც ძალზე გესიმპათიურებათ და შეხვედრას გთხოვთ.

ა) თქვენ პასუხობთ: „მოგვიანებით, ძვირფასო!“ — და კბილების კაწკაწით სწრაფად ამთავრებთ საქმეს — 5;

ბ) წარმოთქვამთ: „ახლავე მოვდივარ, ძვირფასო!“ — ხელს იღებთ საქმის დამთავრების განზრახვაზე და მაშინვე, შეხვედრაზე მიეშურებით — 3;

გ) ასკეტურად ცხოვრების გადაწყვეტილებას იღებთ: შეხვედრაზე უარს ეუბნებით თქვენს სიმპათიას და საქმის კეთებას მშვიდად შეუდგებით — 10.

2. არჩევანის წინაშე დგახართ: მეგობრებთან ერთად მხიარულად გაატაროთ დრო, თუ ბოლოს და ბოლოს, მოაწესრიგოთ დიდი ხნის დატოვებული, საქმიანი ქაღალდები.

ა) ქაღალდების მოწესრიგებას ჰკიდებთ ხელს — 10;

ბ) საკუთარ თავს პირობას აძლევთ, რომ ცოტა ხნით, მეგობრებთან გაერთობით, შემდეგ კი საქმეს მოჰკიდებთ ხელს — 5;

გ) დოკუმენტაციის შემდგომ ბედზე ყოველგვარი განსჯის გარეშე, მშვიდად წახვალთ დროის გასატარებლად — 3.

3. თქვენ გთხოვეს ისეთი საქმის გაკეთება, რომელთან გამკლავებაც ბევრი ადამიანის ძალას აღემატება.

ა) მეგობარს მხარზე ხელს მოუთათუნებთ და ეტყვით: „პრობლემა არ არის!“ — შემდეგ, თქვენს გავლენიან ახლობელს მიაკითხავთ და მისი მეშვეობით მოაკვარახჭინებთ საქმეს — 10;

ბ) მოუცლელობას მოიმიზეზებთ და სწრაფად გაეცლებით მთხოვნელს — 3;

გ) ნაწილობრივ შეუსრულებთ თხოვნას — 5.

4. ბევრი საქმიანი ადამიანი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ჩაცმულობას. რა მნიშვნელობა აქვს მას თქვენთვის?

ა) ძალიან ბევრს ნიშნავს. საფირმო „შმოტკების“ გარეშე ხომ, ბევრს არაფერს წარმოვადგენ — 3;

ბ) მიყვარს კარგად ჩაცმა, რადგან მიმაჩნია, რომ ამით საკუთარ თავსაც სიამოვნებას ვანიჭებ და ირგვლივ მყოფებსაც — 5;

გ) კარგად ჩაცმა საქმეს სჭირდება. თუკი ცუდად ვიქნები ჩაცმული, ადამიანები ხომ ჩემთან საქმეს არ დაიჭერენ — 10.

5. მეგობრები — ეს ხომ შესანიშნავია!

ა) მათი მეშვეობით, უამრავ საქმეს ვაგვარებ. მათი დახმარებით ვშოულობ, ვყიდი, ვყიდულობ და ა.შ. ასე რომ, მეგობრები ძალიან მჭირდებიან! — 10;

ბ) მეგობრები — კარგია! რთულ სიტუაციაში ისინი ყოველთვის მხარში მიდგანან — 5;

გ) მეგობრები — ჩემთვის ყველაფერია! რჩევას მეგობრებს ვეკითხები. თავადაც დახმარების ხელს ვუწვდი მათ — 3.

6. საკმაო ყურადღებას იჩენთ თუ არა საყვარელი ადამიანის მიმართ? მაგალითად, ყოველთვის ზრუნავთ თუ არა იმაზე, რომ როცა სამსახურში ყოვნდებით, დაურეკოთ და გააფრთხილოთ ის?

ა) სამსახურში იმდენად დატვირთული ვარ, რომ ასეთი წვრილმანებისთვის დრო არ მრჩება — 10;

ბ) როცა ვახერხებ, რა თქმა უნდა, ვრეკავ. მაგრამ ვფიქრობ, რომ არც იმით დაშავდება რამე, თუ ვერ დავრეკავ და ცოტას დავიგვიანებ — 5;

გ) რა თქმა უნდა, ვრეკავ. რატომ უნდა ვანერვიულო ჩემთვის ძვირფასი ადამიანი?! — 3.

7. პირადი ცხოვრება აქვს ყველას, მათ შორის, ძალზე საქმიან ადამიანებსაც. რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის პირად ცხოვრებას?

ა) ოჯახი, სახლი — ეს ჩემი ცხოვრებაა. მიყვარს ჩემი ოჯახი, სამსახური კი, მხოლოდ მატერიალური მხარის მოსაწესრიგებლად მჭირდება — 3;

ბ) კარგია, როცა საღამოს, ოჯახურ გარემოში ვატარებ, ვურთიერთობ შვილებთან და საყვარელ ადამიანთან, მაგრამ არც საქმეების დავიწყება შეიძლება — 5;

გ) ჩემი მოწოდება — სამსახურია! — 10.

8. შეგიძლიათ თუ არა სრულყოფილად დასვენება, საქმისგან თუ მრავალრიცხოვანი პრობლემისგან მოწყვეტა?

ა) შემიძლია, მაგრამ ყოველთვის — არა. როცა რაიმე ძალზე მნიშვნელოვანი მაქვს გასაკეთებელი, ჩემს ძალებს აღემატება, რომ ამაზე არ ვიფიქრო. ასეთ დროს, არც დასვენება მგვრის შვებას — 5;

ბ) როცა ვისვენებ, არც საქმეზე და არც არანაირ საზრუნავზე არ ვფიქრობ და უბრალოდ, ცხოვრებით ვტკბები — 3;

გ) აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის დავისვენე, გამუდმებით საქმეში ვარ ჩაფლული — 10.

ტესტის შედეგები

60 ქულაზე მეტი: თქვენ ნამდვილი ტალანტი ბრძანდებით! მსგავსი საქმიანი თვისებების მქონე ადამიანის მოძებნა ნამდვილად გაუჭირდება კაცს. ცხოვრებას მთლიანად სამუშაოს უძღვნით და თქვენი სიცოცხლის არსსაც სწორედ ამაში ხედავთ. იქნებ დროა, რომ შეჩერდეთ? შესაძლოა, ცხოვრებაში ისეთი დრო დაგიდგეთ, როცა სრულიად მარტო დარჩებით და ეს არ იქნება გასაკვირი, რადგან ახლობლებზე მეტისმეტად ცოტას ფიქრობთ, მეგობრებს კი, მხოლოდ საქმიანი პარტნიორების რანგში განიხილავთ. თქვენ ცივ და უსულო მოაზროვნე მანქანა-კომპიუტერად გადაქცევა გემუქრებათ.

35-60 ქულა: ცხოვრებასაც სათანადოდ უწყობთ ფეხს და საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებასაც შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ახლობლები თქვენ გვერდით ძალზე კარგად გრძნობენ თავს, ვინაიდან მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით; ამასთანავე, ახერხებთ იმას, რომ საქმეებიც სრულ წესრიგში გქონდეთ. სამსახური თქვენთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს და შესანიშნავია ის, რომ სამუშაოს, თქვენი ცხოვრების სრულად შთანთქმის საშუალებას არ აძლევთ. ასე გააგრძელეთ — საქმეებსაც მიხედეთ და არც ისინი დაივიწყოთ, ვისაც აგრერიგად უყვარხართ და ყველაფერი კარგად იქნება.

35 ქულამდე: საოცრად თავქარიანი ადამიანი ბრძანდებით. ცხოვრების ესოდენ თვითდინებაზე მიშვება, ძალზე სახიფათოა. გართობასა და მოცალეობაზე ამდენი ფიქრიც კარგს არაფერს მოგიტანთ. თქვენ ალბათ, ძალზე სასიამოვნოდ საურთიერთო ადამიანი ბრანდებით, მაგრამ საქმიანს ვერავინ გიწოდებთ.

გენიოსების ცხოვრებიდან

***

ინგლისელ დრამატურგს, შერიდანს ნადირობა უყვარდა, მაგრამ შინ ყოველთვის ხელცარიელი ბრუნდებოდა. ერთხელ ნადირობისას, ტბასთან შენიშნა კაცი, რომელიც იდგა და იხვებს ადევნებდა თვალს.

— რამდენს გამომართმევდი, იხვებს რომ ვესროლო? — ჰკითხა შერიდანმა. — საკმარისი იქნება 5 კრონი?

კაცი ჯერ გაოცდა, შემდეგ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. შერიდანმა მისცა ფული, გაისროლა, 6 იხვი მოკლა, ჩაყარა ჩანთაში და უთხრა:

— ვფიქრობ, ორივემ სასარგებლო საქმე გავაკეთეთ.

— მე განსაკუთრებით, — უპასუხა უცნობმა, — იხვები ხომ ჩემი არ არის...

***



პლატონს ჰკითხეს:

— რით შეიძლება ინუგეშოს თავი კაცმა, რომელსაც უბედურება შეემთხვა?

მან უპასუხა:

— ჭკვიანი კაცი თავს ინუგეშებს იმით, რომ ცნობს მომხდარი ამბის გარდაუვალობას, ბრიყვი კი იმით, რომ სხვებსაც დამართიათ ის, რაც მას შეემთხვა.

***

ერთი მელოტი კაცი გულნატკენი ამბობდა:

— ერთ ლამაზ ქალს წერილი მივწერე: ვთხოვე, ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავს-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ, უარი შემომითვალა.

— სწორედ მაგით დაგიფრთხია: აბა, რა სასიამოვნოა, მუდამ შიშვლად და ცარიელად ყოფნა?! — უთხრა აკაკიმ.

***

არჩილ გომიაშვილის ნაამბობი:

— ციმბირში გასტროლების დროს შემომთავაზეს, ჩამეტარებინა კონცერტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მივედით. იქაურმა ადმინისტრატორმა გულითადად მიგვიღო, შეგვიძღვა სასადილოში და თან დასძინა: სწორედ რომ დროზე მოგვისწარითო. იქ სადილობდნენ, გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ავადმყოფები, მათ თითქმის უკვე გამოჯანმრთელებულები ემსახურებოდნენ. ეს მდგომარეობა ვერ გავითვალისწინე. ქურქი რომ გავიხადე, რიხიანად წამოვიძახე: მე ახლა ისე მშია, შეუჭმელი არავინ და არაფერი გადამირჩება-მეთქი.

ამის თქმა ძლივს მოვასწარი — თითქოს გრიგალმა გაფანტაო, ერთბაშად „გაგრიალდა“ ყველა და სასადილო მთლიანად დაცარიელდა... ეტყობა, ეგონათ, ახალი ავადმყოფი მოიყვანესო. ექიმები ბევრს ემუდარნენ მზარეულსა და მებუფეტეს — დაბრუნდით და მოგვემსახურეთო, — მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. კონცერტი, რა თქმა უნდა, ვეღარ გავმართეთ და მშივრებიც დავრჩით.

***

— ძალიან მეცოდებით, რადგან ასეთი ღარიბი ხართ, — უთხრა ერთმა კაცმა სოკრატეს.

— შენ რომ შეგეძლოს, განიცადო ცხოვრების ის სიამოვნება, რომელიც მხოლოდ ღარიბთათვის არის ხელმისაწვდომი და რომელსაც მოკლებული ხარ, მაშინ საკუთარი თავი შეგეცოდებოდა და არა მე, — უპასუხა ბრძენმა.

***

გენიალური იტალიელი მხატვარი რაფაელი ახალგაზრდობისას, ფლორენციის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა. მას ფული შემოაკლდა. სასტუმროს პატრონი დაჟინებით მოითხოვდა თანხის გადახდას. ერთხელ მან დაინახა, რომ რაფაელი ხელბარგით გადიოდა და მყისვე მისკენ გაქანდა.

— კი, მაგრამ ფული?! — შესძახა მან.

— აი, აქ არის, მაგიდაზე, — მიუგო რაფაელმა და მაგიდაზე დაყრილ ვერცხლისა და ოქროს მონეტებზე მიუთითა.

გახარებულმა მეპატრონემ თვითონ გააცილა რაფაელი სასტუმროდან. დაბრუნდა თუ არა უკან, მიიჭრა მაგიდასთან და დაიწყო მონეტების შეგროვება. მაგრამ ჰოი, საოცრებავ! ყოველი ხელის მოსმაზე, მონეტები მაგიდაზე რჩებოდა — ისინი დიდი მხატვრის მიერ დახატული აღმოჩნდა.

***

აბასთუმნის სასტუმროში აკაკის ანგარიში წარუდგინეს. თანხა აშკარად გაზრდილი იყო ხარჯთან შედარებით. პოეტმა დახედა და თქვა:

— ახლა კი მივხვდი, რატომ ჰქვია ამ მხარეს „აბასთუმანი“: აქ თურმე, აბაზში, თუმანს ახდევინებენ.

***

აკაკი სადილზე იყო მიწვეული. ვიღაცამ იკითხა: თეთრი ღვინო სჯობს, თუ წითელი? პოეტი თეთრ ღვინოს სვამდა, მაგრამ პასუხის გასაცემად წითელიც დაისხა და რომ არ მოეწონა, თქვა:

— სადილობამდის, ეს ღვინო თეთრი ყოფილა, მაგრამ ახლა, სირცხვილით გაწითლებულა...

შიფრვორდი

3	4	16	2	32	8	1	■	13	4	8	27	4	16	4
4	■	■	■	17	■	6	7	26	■	26	■	■	■	16
15	■	18	26	12	29	1	■	16	10	15	21	1	■	4
24	■	32	■	1	■	14	■	15	■	10	■	29	■	31
26	16	30	1	■	19	1	16	4	10	■	15	4	11	4
9	■	17	■	28	■	■	12	■	■	4	■	16	■	8
1	15	1	27	1	■	21	4	10	■	14	12	1	24	1
■	4	■	■	15	18	26	■	15	30	4	■	■	32	■
33	10	25	24	1	■	1	19	1	■	16	4	6	1	10
4	■	1	■	4	■	■	1	■	■	1	■	32	■	13
32	16	8	4	■	4	15	4	9	1	■	5	26	24	1
23	■	33	■	24	■	20	■	32	■	5	■	9	■	11
32	■	4	16	4	22	1	■	16	33	4	24	1	■	26
33	■	■	■	22	■	12	1	8	■	15	■	■	■	16
1	25	26	16	26	30	1	■	26	33	1	2	4	31	1

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი1	კ	ლ24
მ15	ნ	ო10	პ	ჟ	რ16	ს	ტ	უ	ფ	ქ
ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ27	ჰ

წინა ნომრის შიფრვორდის პასუხები

ა-2; ბ-7; გ-28; დ-15; ე-24; ვ-13; ზ-22; თ-3; ი-10; კ-29; ლ-9; მ-19; ნ-5; ო-25; პ-1; ჟ-32; რ-11; ს-30; ტ-17; უ-26; ფ-6; ქ-21; ღ-16; ყ-27; შ-8; ჩ-18; ც-14; ძ-23; წ-4; ჭ-33; ხ-20; ჯ-31; ჰ-12.

ფოტოკუჩიოზები

TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

575/2

ლიმალელი — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი